
პაულო
კოელიო
ზვიადი

მიძღვნა

მანქანაში გავუმხილე, რომ ახალი წიგნის პროლოგისა და ეპილოგის ერთ-ერთი ვარიანტი უკვე მზად მქონდა. პირენეების კალთებს რომ შევუყევით, მაშინ ვუთხარი, თუ გინდა, აქ, ამ წმინდა ადგილას, სადაც ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული წუთები გავატარეთ, ნაწარმოების სათაურსაც გეტყვი და იმასაც, რა არის მისი მთავარი თემა-მეთქი. მიპასუხა, ძალიან მაინტერესებს, მაგრამ არაფერს გეკითხებიო. უბრალოდ, იცოდე, რომ კმაყოფილი და ძალიან ბედნიერი ვარო.

წიგნის სათაურიც ვუთხარი და მთავარი თემაც გავაცანი.

ჩუმად მივაბიჯებდით. მოულოდნელად უჩვეულო ხმაური შემოგვესმა. ქარი იყო - ფოთლებშემოძარცულ ხეებს შორის მიმოქროდა და თანდათან გვიახლოვდებოდა. თითქოს უნდოდა, იქაურობისთვის ხელახლა ეჩვენებინა თავისი ჯადოქრობის ძალა.

მერე თოვლი მოვიდა. ვიდექი ამ მშვენიერებით გაშეშებული და ვტკბებოდი ყველაფრით: მოფარფატე ფიფქებით, ფერფლისფერი ცით, ტყითა და იმით, რომ „ის“, როგორც ყოველთვის, ახლაც ჩემ გვერდით იყო.

და მომინდა, ყველაფერი მეთქვა, რაც სულს მიფორიაქებდა, მაგრამ გავჩუმდი; გავჩუმდი იმიტომ, რომ ჯობდა, თვითონ ეგრძნო ეს ყველაფერი, როცა პირველად გადაფურცლავდა ამ გვერდებს.

ჩემო კრისტინა, ჩემო მეუღლევ, ეს წიგნი შენ გეძღვნება.

ავტორი

ხორხე ლუის ბორხესის მიხედვით, ზაჰირის იდეა, რომელიც, როგორც ამბობენ, მე-18 საუკუნეში აღმოცენდა, ისლამური ტრადიციიდან მოდის. ზაჰირი არაბულად ხილულს, ნამდვილს ნიშნავს; იმას, რაც არასოდეს რჩება შეუმჩნეველი. თუკი ეს ვინმე თუ რამე ერთხელ მაინც შემოვა ჩვენში, ნელ-ნელა დაიკავებს ცნობიერებას, ნელ-ნელა მოირთხამს ფეხს, საბოლოოდ დაგვიპყრობს და დაგვიმორჩილებს. სხვა ფიქრისთვის ადგილსაც არ დატოვებს. შეიძლება, ეს ვინმე თუ რამე სიწმინდეა ან, უბრალოდ, დიდი სიგიჟე.

ფობურ სენ-პერი, ფანტასტიკის ენციკლოპედია, 1953

მე თავისუფალი კაცი ვარ

ეს ქალი, ესთერი, 30 წლის კორესპონდენტი, გათხოვილია და უშვილო, ახლახან დაბრუნდა ერაყის ომიდან, რადგან ამ ქვეყნის დაპყრობა გარდაუვალია.

fb.com/groups/elite

ის უცნობი კაცი, აღმოსავლურნაკვთებიანი, დაახლოებით, 23-25 წლისა იქნება. უკანასკნელად ორივე ფობურ სენ-ონორეს ქუჩაზე, კაფეში ნახეს.

პოლიცია ინფორმირებული იყო. როგორც ჩანს, ისინი ადრეც შეხვედრიან ერთმანეთს, თუმცა არავინ იცოდა, კერძოდ, რამდენჯერ. ესთერი ყოველთვის ამბობდა, რომ მიხაილის სახელსამოფარებული ეს კაცი უმნიშვნელოვანესი ვინმე იყო. ახსნით კი არასოდეს აუხსნია, ვისთვის იყო უმნიშვნელოვანესი, მისი ჟურნალისტური კარიერისთვის თუ თავად მისთვის, როგორც ქალისთვის.

პოლიციამ ფორმალური გამოძიება დაიწყო. განიხილეს შანტაჟისა და გატაცების ვერსია. გატაცებას, როგორც წესი, მკვლელობის შესაძლებლობაც თან სდევდს. გასაკვირი არაფერი იყო, რადგან ჩემს მეუღლეს სამუშაო ხშირად ავალდებულებდა ინფორმაციის მოსაპოვებლად ტერორისტულ დაჯგუფებებთან ურთიერთობას. ისიც აღმოაჩინეს, რომ გაუჩინარებამდე რამდენიმე კვირით ადრე მისი საბანკო ანგარიშიდან გვარიანი თანხა მოიხსნა. ივარაუდეს, რომ ეს თანხა სწორედ ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად დასჭირდა. სახლიდან ტანსაცმელი არ წაუღია, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ პასპორტი ვერსად იპოვეს.

იმ ახალგაზრდა უცნობისა კი არც ანაბეჭდები მოეპოვებოდათ და არც რაიმე ნივთმტკიცება, რაც მისი ვინაობის დადგენას შეუწყობდა ხელს.

ესთერი, ჟურნალისტიკის ორი საერთაშორისო პრემიის მფლობელი, 30 წლისა, გათხოვილი ქალი... ჩემი ცოლი იყო.

მოულოდნელად, ეჭვმიტანილად მცნეს და დამაკავეს. მიზეზი მარტივი იყო: უარი ვთქვი, გამემხილა, სად ვიყავი ჩემი ცოლის გაუჩინარების დღეს. საკანში დიდხანს არ მიყურყუტია. ცოტა ხანში ზედამხედველი კარს მიღებს და მეუბნება, რომ თავისუფალი ვარ.

რატომ ვარ თავისუფალი? და, საერთოდ, რა ხდება?! რატომ იცის დღეს მთელმა ქვეყანამ ყველაფერი მთელი ქვეყნის შესახებ? საკმარისია, მხოლოდ ინატრო ინფორმაცია და მაშინვე გაჩნდება; იციან, სად იყენებ საკრედიტო ბარათს; სად დადიხარ; ვისთან გძინავს; ვისთან გღვიძავს და ასე შემდეგ.

ჩემი საქმე კი იოლად მოგვარდა: ერთი ქალი, ასევე ჟურნალისტი, ჩემი ცოლის ყოფილი მეგობარი, პოლიციის განყოფილებაში მოვიდა და განაცხადა, რომ იმ დღეს (სხვათა შორის, ღამითაც), როცა ესთერი გაუჩინარდა, მასთან ვიყავი.

ველაპარაკები მთავარ ინსპექტორს, რომელიც ჩემს ნივთებს მიბრუნებს და მიბოდიშებს, აღნიშნავს, რომ ჩემი ნაუცბათევი დაკავება კანონის სრული დაცვით მოხდა, ასე რომ, არც ვინმეს დადანაშაულება შემეძლო და არც საქმის აღძვრა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვუხსნი: ასეთი რამ აზრად არ მომსვლია, კარგად ვიცი, მსგავს სიტუაციაში ნებისმიერ ადამიანზე შეუძლიათ ეჭვის მიტანა, 24 საათის

განმავლობაში ყველა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, თუმცა, უმეტესობას დანაშაული არც ჩაუდენია-მეთქი.

- თავისუფალი ბრძანდებით, - ზედამხედველის სიტყვებს მიმეორებს ინსპექტორი.

ფეხს ვითრევ.

- როგორ გგონიათ, შესაძლებელია, ჩემს ცოლს რამე სერიოზული შემთხვეოდა? - ვეკითხები. მახსოვს, ესთერი მეუბნებოდა, რომ ტერორისტულ სამყაროსთან უზარმაზარი კავშირების გამო, ხანდახან ვიღაცის თვალთვალს გრძნობდა.

ინსპექტორი პასუხს თავს არიდებს და საუბრის თემას ცვლის. შეკითხვას ვუმეორებ, მაგრამ ჯიუტად დუმს.

- ჩემს ცოლს თავისი პასპორტით მოგზაურობა თუ შეუძლია? - ვცვლი კითხვას.

თუ რაიმე დანაშაულს არ ჩაიდენს, პრობლემა არ ექნებაო, - მეუბნება.

- გამოდის, რომ შესაძლოა, ახლა საფრანგეთში აღარც კი იყოს.

- თქვენ ფიქრობთ, იმ ქალის გამო მიგატოვათ, ვისთანაც იწექით?

- ეს თქვენ არ გეხებათ, - ვპასუხობ უხეშად.

ინსპექტორი ერთი წამით თავის საქმიანობას წყვეტს და ძალიან სერიოზულად მეუბნება, რომ იძულებული გახდა, გამოძიებისთვის აუცილებელი პროცედურების გამო დავეკავებინე, თორემ თვითონ, პიროვნულად, ძალიან წუხს ჩემი მეუღლის გაუჩინარების გამო; რომ თვითონაც დაქორწინებულია და მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ მოსწონს ჩემი წიგნები (აჰა! ესე იგი, იცის, ვინცა ვარ. არც ისეთი გაუნათლებელია, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს), მაინც მზად არის, თანამიგრძნოს, რადგან კარგად იცის, რა საშინელ მდგომარეობაში ვარ ამჟამად.

მერე ვკითხე, როგორ უნდა მოვქცეულიყავი ამ წუთიდან. სავიზიტო ბარათს მაძლევს, მთხოვს, უსათუოდ ვაცნობო, თუ რაიმე ახალს შევიტყობ. ეს ის სცენაა, რომელიც თითქმის ყველა დეტექტიური ჟანრის ფილმში მინახავს, მაგრამ მე ვერ მომატყუებს - გამომძიებლებმა ყოველთვის გაცილებით მეტი იციან, ვიდრე ამბობენ.

მეკითხება, ადრე თუ შევხვედრივარ იმ ადამიანს, რომელმაც უკანასკნელად ნახა ესთერი. მიხაილს გულისხმობს. ვეუბნები, მისი სახელი ვიცოდი, მაგრამ პირადად არასოდეს მინახავს-მეთქი.

მეკითხება, ცოლთან პრობლემები თუ გქონდაო. ვეუბნები, ათ წელზე მეტია, ერთადა ვართ და ჩვეულებრივი წყვილისათვის დამახასიათებელი პრობლემები გვაქვს-მეთქი:

- ნორმალური, არც მეტი, არც ნაკლები.

ისევ მეკითხება, ამჯერად უფრო დელიკატურად, უახლოეს წარსულში გაყრაზე თუ გისაუბრიათო.

- ან იქნებ თქვენი მეუღლე ფიქრობდა განქორწინებას?

ვპასუხობ, გაყრის საკითხი ჩვენ შორის არასოდეს წამოჭრილა-მეთქი, და ვუმეორებ: თუმცა, „როგორც ყველა წყვილს“, ხანდახან ჩვეულებრივი პრობლემები ჩვენც გვქონდა-მეთქი.

- ხშირად თუ ხანდახან?

- ხანდახან! - ვიჟინებ მე.

- იქნებ ესთერი ეჭვიანობდა კიდეც თქვენზე და თავის მეგობარზე?

ვეუბნები, მის მეგობართან მაშინ პირველად და უკანასკნელად ვიწექი, ასე რომ, საეჭვიანო არაფერი ყოფილა-მეთქი. ერთი უაზრო, მოღუშული და მოწყენილი დღე იყო. სადილის შემდეგ არ ვიცოდი, რა მეკეთებინა. ფლირტი და სასიყვარულო თამაში კი ყოველთვის გვიღვიძებს ცხოვრების სურვილს და ხშირად საწოლში მთავრდება ხოლმე. სულ ეს არის-მეთქი.

- ესე იგი, თქვენ ნებისმიერთან ჩაწვებით ლოგინში მხოლოდ იმიტომ, რომ დღე მოღუშულია და მოწყენილი?

მინდა, ვუპასუხო, რომ ეს გამოძიების საქმე არ არის, მაგრამ ენას კბილს ვაჭერ: ჩემთვის აუცილებელია გამომძიებელთან თანამშრომლობა, ხომ შეიძლება, მოგვიანებით რამეში გამომადგეს! თანაც არსებობს არაოფიციალური დაწესებულება, რომელსაც „მადლის ბანკსაც“ უწოდებენ და რომელსაც ცხოვრებაში ხშირად ჩემს სასარგებლოდ ვიყენებდი.

- როცა სხვა საქმე არაფერი მაქვს, ხანდახან ასეც ხდება. ქალი ემოციებს ეძებს, მე - თავგადასავალს, სულ ესაა! მეორე დღეს ორივეს ისე გვიჭირავს თავი, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

საუბრისათვის მადლობას მეუბნება, ხელს მართმევს და ჩივის, ჩემს სამყაროში, სამწუხაროდ, ყველაფერი ასე არ ხდება: მოწყენილობაც არის, მოღუშვაც და სურვილიც, ვინმეს საწოლში შევუგორდე, მაგრამ ეს ყველაფერი გაცილებით კონტროლირებადია. არავინ აკეთებს იმას, რასაც ფიქრობს ან რისი სურვილიც აქვს, ალბათ, ხელოვანთა სამყაროში ასეთი რამეები გაცილებით თავისუფლად ხდებაო.

ვპასუხობ, რომ კარგად ვიცნობ მათ სამყაროს, მაგრამ ახლა არ მინდა, ვიკამათო საზოგადოების აზრთა სხვადასხვაობაზე. ვჩუმდები. მომდევნო სვლას ველოდები.

- ასეა თუ ისე, საუბარი მოვახერხეთ, არა? ახლა შეგიძლიათ, წახვიდეთ, - უფლებას მაძლევს ინსპექტორი.

იმედგაცრუებულია: მწერალი უარს ამბობს პოლიციასთან თანამშრომლობაზე.

- ახლა უკვე პირადად გიცნობთ, წავიკითხავ თქვენს წიგნებს. წეღან გითხარით, არ მომწონს-მეთქი, სინამდვილეში, არასოდეს წამიკითხავს.

ის არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ამას მეუბნება. არა უშავს. ეს ეპიზოდი სხვა მკითხველებს წაადგებათ.

გამომძიებელს თავაზიანად ვემშვიდობები და მივდივარ.

მე თავისუფალი ვარ. ციხიდან გამოვედი. ჩემი ცოლი საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარდა; არა მაქვს სამუშაო გეგმა; არა მაქვს პრობლემები ადამიანებთან ურთიერთობებში; ვარ მდიდარი, ცნობილი და თუ ესთერმა ნამდვილად მიმატოვა, სასწრაფოდ ვიპოვი ვინმეს, მის შემცვლელს.

მე თავისუფალი ვარ და დამოუკიდებელი.

მაგრამ რა არის თავისუფლება!

ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილი რაღაცის ტყვეობაში გავატარე. ასე რომ, უნდა მესმოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა. ბავშვობიდან ვიბრძოდი, რომ თავისუფლება მომეპოვებინა. ვიბრძოდი ჩემი მშობლების წინააღმდეგ, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ, მწერლის ნაცვლად, ინჟინერი გავმხდარიყავი; ვიბრძოდი ჩემი კოლეჯის მეგობრების წინააღმდეგ, რომლებმაც დასაწყისშივე კედელთან მიმიმწყვდიეს, რათა მათი საძაგელი ხუმრობების მსხვერპლი გავმხდარიყავი და მხოლოდ მათი და ჩემი ცხვირიდან წამსკდარი სისხლის ფასად, მხოლოდ იმ უამრავი საღამოს შემდეგ, დედაჩემს რომ ჭრილობებს ვუმალავდი (რადგან მე მის გარეშე უნდა გადამეჭრა ჩემი პრობლემები), მივაღწიე იმას, რომ ცრემლების გარეშე შემეძლო ამეტანა გაროზგვაც. ვიბრძოდი, რომ მეშოვა სამსახური, რითიც თავს იოლად გავიტანდი. ვიმუშავე რკინა-კავეულის მაღაზიის კურიერად; მინდოდა, საბოლოოდ გავთავისუფლებულიყავი საყოველთაოდ ცნობილი ოჯახური შანტაჟისაგან (შვილო! ჩვენ გაძლევთ ფულს, სამაგიეროდ, შენ ვალდებული ხარ, აკეთო „ეს“ ან „ის“); ვიბრძოდი (თუმცა, უშედეგოდ) ერთი გოგონასათვის, სიყმაწვილეში რომ მიყვარდა. მასაც ვუყვარდი, მაგრამ მოულოდნელად მიმატოვა. მშობლებს დაურწმუნებიათ, მაგ ბიჭს მომავალი არა აქვსო.

ვიბრძოდი ჟურნალისტიკის გაუსაძლისი გარემოს წინააღმდეგ. ეს ჩემი მეორე სამუშაო იყო. მახსოვს, ერთხელ ჩემმა უფროსმა სამ საათს მალოდინა. წიგნს კითხულობდა. იმ წიგნს რომ ვტაცე ხელი და დავუხიე, მაშინღა ჩამთვალა ყურადღების ღირსად. გაოგნებულმა შემომხედა და დაინახა, რომ მის წინ საბრძოლველად გამზადებული, კარგი რეპორტიორისათვის აუცილებელი თვისებებით აღჭურვილი, ჯიუტი ადამიანი იდგა.

სოციალისტური იდეალებისთვისაც ვიბრძოდი. ამ ბრძოლამ ციხეში ამომაყოფინა თავი. იქიდან რომ გამოვედი, ყველაფერი ახლიდან დავიწყე. თავს მუშათა კლასის გმირადაც მივიჩნევდი, სანამ ბითლზებს არ მოვუსმინე და არ აღმოვაჩინე, რომ მარქსით ტკბობას როკი მერჩია. ვიბრძოდი ჩემი პირველი, მეორე და მესამე ცოლისათვის; ვიბრძოდი პირველ, მეორე და მესამე ცოლთან გასაყრელადაც. სიყვარულს ფასი რომ არ დაეკარგა, წინ უნდა მევლო, სანამ იმ ქალს არ შევხვდებოდი, მხოლოდ ჩემთვის რომ მოვიდა ამქვეყნად. ყოფილი სამი ცოლიდან კი არც ერთი არ ჰგავდა ასეთ ქალს.

ვიბრძოდი, რომ მეპოვა ძალები უინტერესო სამსახურის მისატოვებლად, თავგადასავლების საძიებლად და წიგნის დასაწერად. თუმცა კარგად ვიცოდი, ჩემს ქვეყანაში არავის შეეძლო ეცხოვრა ლიტერატურით. ერთი წლის შემდეგ უარი ვთქვი ყველაფერზე, რაც დავწერე და გენიალურად მეჩვენებოდა, რადგან მეც კი ვერ შევძელი მათი გაგება.

სანამ ვიბრძოდი, თვალს ვადევნებდი თავისუფლების სახელით მოსაუბრე ადამიანებს და დავასკვენი: რაც უფრო მეტად იცავდნენ ისინი თავიანთ ერთადერთ უფლებას, მით უფრო მეტად ემონებოდნენ საკუთარი მშობლების სურვილებს; ემონებოდნენ ქორწინებას, რის გამოც ერთმანეთს დარჩენილი ცხოვრების ერთად გატარებას ჰპირდებოდნენ; ემონებოდნენ პოლიტიკურ ძვრებს, რეჟიმებს, სანახევროდ დამსხვრეულ ოცნებებს; საყვარლებს, რომელთათვისაც ვერ ახერხებდნენ ეთქვათ „არა“ ან „საკმარისია“; კვირის ბოლო დღეებს, როცა იძულებულნი იყვნენ, ესადილათ მათთან, ვისთანაც არ სურდათ, რომ ესადილათ. მოკლედ, გარეგნული ფუფუნების მონები იყვნენ; მონები ცხოვრებისა, რომელიც არ აურჩევიათ, თუმცა გადაწყვიტეს, ასე ეცხოვრათ იმიტომ, რომ მან, ვინც გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა, დაარწმუნა, თქვენთვის ასე ჯობიაო.

და ისინიც ცხოვრობდნენ ასე, დღე დღეს მისდევდა, ღამე - ღამეს. მათთვის „თავგადასავალი“ უაზრო სიტყვა იყო, ოდესღაც რომელიღაც წიგნში ამოკითხული, ანდა მუდმივად ჩართულ ტელევიზორში ნანახი... და როგორც კი რომელიმე მჭიდროდ დაგმანული კარი შემთხვევით მაინც გაიღებოდა, ყოველთვის მზად იყვნენ, ეთქვათ:

- არ მაინტერესებს, არ მინდა!

საიდან უნდა სცოდნოდათ, რა სურდათ ან რა აინტერესებდათ, როცა არასოდეს გაუსინჯავთ ცხოვრების გემო? მაგრამ შეკითხვა უაზრობა იყო; სინამდვილეში, ნებისმიერი ცვლილებისა ეშინოდათ, რადგან ყველაფერი იმით დამთავრდებოდა, რომ თავზე დაემხობოდათ მთელი სამყარო; ძვალ-რბილში გამჯდარი სამყარო...

ინსპექტორი მეუბნება, რომ თავისუფალი ვარ. სასაცილოა! ახლაც თავისუფალი ვარ და ციხეშიც თავისუფალი ვიყავი, რადგან თავისუფლება ყოველთვის ყველაფერზე

ძვირი ღირს დედამიწაზე. რა თქმა უნდა, მეც ამ თავისუფლებას მივყავდი იმ ღვინის დასალევად, რომელიც არ მომწონდა; იმ საქმის გასაკეთებლად, რომელიც არ უნდა გამეკეთებინა. და მე ვიცოდი, რომ შემეძლო, ნებისმიერ საქმეს მოვკიდებოდი; შემეძლო, სხვებიც ამეყოლიებინა და მათთვის ცხოვრების სიყვარული გადამედო.

ახლა მტკიცედ გადავწყვიტე: იარებისგან დავიცავ ჩემს სხეულსაც და სულსაც! აღარც სხვებს დავჭრი ჩემი სიტყვებით - ბოლოს ხომ მაინც ყოველთვის ბოდიშს ვუხდი ხოლმე. სულაც არ ვნანობ იმ წამებს, როცა ვიტანჯებოდი, და ჩემს იარებსაც ისე ღირსეულად დავატარებ, თითქოს მედლები იყოს.

ვიცი, თავისუფლება ძალიან ძვირია, ისევე ძვირი, როგორც მონობა. მათ შორის ერთადერთი განსხვავებაა: ტკბობისთვის ყოველთვის მეტს იხდი; თუნდაც - ღიმილით; იმ ღიმილით, რომელიც ცრემლებითაა დალაქავებული.

კომისარიატიდან გამოვდივარ. ლამაზი, მზიანი კვირადღეა. ჩემი სულიერი მდგომარეობა არაფრით არ ჰგავს ამ დღეს. ქუჩაში სანუგეშო სიტყვებითა და ყვავილების თაიგულით მელოდება ჩემი ადვოკატი. მეუბნება, რომ ყველგან დარეკა, საავადმყოფოებიც გადაამოწმა (როცა ვინმე შინ მისვლას აგვიანებს, ასე იქცევიან ხოლმე), მაგრამ ესთერის კვალს ვერსად მიაგნო. თუმცა ის კი მოახერხა, რომ ჟურნალისტებს ჩემი დაკავების თაობაზე ვერაფერი შეეტყოთ. მეუბნება, რომ ჩემთან საუბარი უნდა, უნდა შეიმუშაოს იურიდიული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მომცემს, მომავალში თავი დავიცვა შესაძლო ბრალდებებისგან. ყურადღებისთვის მადლობას მოვახსენებ. ვიცი, არანაირი იურიდიული სტრატეგიის შემუშავება არ სურს (სინამდვილეში, არ უნდა, მარტო დამტოვოს, რადგან არ იცის, რას მოვიმოქმედებ. ხომ შეიძლება, დავთვრე და ისევ ციხეში მიკრან თავი, ან სკანდალი მოვაწყო, ან თვითმკვლელობა ვცადო). ვარწმუნებ, რომ ახლა გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი, თანაც, ორივემ კარგად ვიცით, რომ კანონთან პრობლემები აღარ შემექმნება. ისევ თავისას ცდილობს, მაგრამ საუბრის გაგრძელებას აღარ ვაპირებ. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ თავისუფალი კაცი ვარ.

თავისუფალი! თავისუფალი იმისთვის, რომ საშინლად მარტო ვიყო.

ვჯდები ტაქსიში და პარიზის ცენტრისაკენ მივდივარ. ტრიუმფალურ თაღთან ვაჩერებინებ. ელისეს მინდვრებზე მივაბიჯებ, სასტუმრო „ბრისტოლის“ მიმართულებით. როცა ერთ-ერთი ჩვენგანი საზღვარგარეთიდან ბრუნდებოდა, ამ სასტუმროში მოვდიოდით ცხელი შოკოლადის დასალევად. შინ დაბრუნების რიტუალს ჰგავდა; სიყვარულის მორევში გადაშვებას, ერთად ყოფნას რომ გვინარჩუნებდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება სულ სხვადასხვა მხარეს გვერეკებოდა.

ქუჩაში მივაბიჯებ. ხალხი იღიმება, ამ შუა ზამთარში ბავშვებს გაზაფხულის მცირეოდენი გაელვებაც უხარიათ. ყველაფერი რიგზეა. ამ ადამიანებიდან არც ერთმა

არ იცის ან თავს მაჩვენებენ, ვითომ არ იციან, ან კიდევ არც აინტერესებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ცოლი დავკარგე. ნუთუ ვერ ხვდებიან, როგორ განვიცდი? წესით, ყველა მოწყენილი უნდა იყოს; წესით, ყველა მონაწილე უნდა იყოს იმ კაცის მწუხარებისა, ვისი სულიდანაც სიყვარული სისხლად იცლება, მაგრამ ვითომც არაფერი, ისევ იღიმებიან, ისევ ჩაძირულები არიან თავიანთ პაწაწინა, უბადრუკ ცხოვრებაში, სადაც მხოლოდ კვირის ბოლო დღეებში ახერხებენ არსებობას.

რა სისულელეა! იქნებ ეს ადამიანებიც დამსხვრეულ სულებს დაატარებენ, მე კი არაფერი გამეგება მათი ტანჯვისა.

ბარში შევდივარ. თამბაქოს ვყიდულობ. გამყიდველი ინგლისურად მესაუბრება. აფთიაქშიც შევიარე. პიტნის კარამელებზე ვგიჟდები. აფთიაქის გამყიდველიც ინგლისურად ლაპარაკობს (სხვათა შორის, პროდუქტი ორივეგან ფრანგულად მოვითხოვე). სასტუმროში მისვლამდე, ტულუზიდან ახლახან ჩამოსული ორი ახალგაზრდა მიჭრის გზას. რომელიღაც მაღაზიას ეძებენ. მეუბნებიან, უამრავი ადამიანი გავაჩერეთ, მაგრამ ვერავის გავაგებინეთ, რა გვინდაო. რა ჯანდაბაა! სანამ მე 24 საათის განმავლობაში ციხეში ვიჯექი, ელისეს მინდვრებზე სალაპარაკო ენა ხომ არ გამოცვალეს?

ისე, ტურიზმი და ფული სასწაულებს ახდენსო, - მეუბნებოდნენ, მაგრამ რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე? ალბათ, დიდი ხანია, მე და ესთერს „ბრისტოლში“ ცხელი შოკოლადი აღარ დაგვილევია.

ყოველთვის არის რაღაც უფრო მნიშვნელოვანი! ყოველთვის არსებობს რაღაც აუცილებელი კომპრომისი. მისი ხმა მახსენდება. თავს ვიტყუებ: „ჰო, ჩემო სიყვარულო, ჩვენ ისევ აქ დავლევთ შოკოლადს, შენ ოღონდ მალე მოდი, ხომ იცი, დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს. აეროპორტში ვერ დაგხვდები, ტაქსი დაიჭირე, მობილური ჩართული მაქვს, თუ რამე სასწრაფო იყოს, დამირეკე, თუ არა და, საღამოს შინ შევხვდებით.“

მობილური ტელეფონი! როგორ დამავიწყდა. ჯიბიდან ვიღებ და საჩქაროდ ვრთავ. ტელეფონი გამუდმებით რეკავს, გული ლამის საგულიდან ამომივარდეს. პატარა ეკრანზე იმ ხალხის სახელები იკვეთება, რომლებიც ახლა ყველგან დამეძებენ. არავის ვპასუხობ. ერთადერთი სურვილი მაქვს - ნეტავ, დარეკოს და დაეწეროს „ნომერი უცნობია“, ეს შეიძლება, ესთერი იყოს. მაგრამ უცნობი ნომერი არ ჩანს. ხან მეგობრები მირეკავენ, ხან თანამშრომლები. უნდათ, გაიგონ, რა მოხდა, რით შეიძლება დამეხმარონ (კი მაგრამ, როგორ?) ან იქნებ რამე მჭირდება.

ტელეფონი ისევ რეკავს. ვუპასუხო? იქნებ რომელიმე ჩემი მეგობარი მენახა?

გადაწყვეტილებას ვიღებ: არავის არ ვნახავ. მარტო ვიქნები მანამ, სანამ კარგად არ შევიგნებ, რა მოხდა.

უკვე „ბრისტოლში“ ვარ. ესთერი ამბობდა, „ბრისტოლი“ პარიზის იმ მცირერიცხოვან სასტუმროთა რიგს ეკუთვნის, სადაც „კლიენტებს სტუმრებივით ექცევიან და არა თავშესაფრის მაძიებელი მაწანწალებივითო“.

ისე მესალმებიან, თითქოს მათი ოჯახის წევრი ვიყო. ლამაზი საათის ქვეშ ვჯდები, ვუსმენ ფორტეპიანოს და ბაღს გავყურებ.

უფრო პრაქტიკული უნდა ვიყო, ყველა შესაძლო ალტერნატივა შევისწავლო და სიმართლეს თვალი გავუსწორო.

ცხოვრება გრძელდება. მე ცოლისაგან მიტოვებული კაცი ვარ, თუმცა, ალბათ, არც პირველი და არც უკანასკნელი, მაგრამ რატომ უნდა ვყოფილიყავი მარტო ამ მზიან დღეს, როცა ქუჩაში მზე ანათებს, გაზაფხულის პირველი ნიშნები ჩნდება, ხალხი იღიმის, ბავშვები მღერიან, მძღოლები ქვეითად მოსიარულეებს უთმობენ გზას? რატომ?

ხელსახოცს ვიღებ. ჩემი თავიდან ყველა იდეას ამოვიფერთხავ და ყველა აზრს, რაც კი თავში მიტრიალებს, ქაღალდზე გადავიტან. გრძნობები გვერდზე უნდა გადავდოთ, აბა, ვნახოთ, რა გამოგვივა.

განვიხილოთ შესაძლო ვარიანტები:

ა. დავუშვათ, რომ მართლა გაიტაცეს და რომ მისი სიცოცხლე ახლა, ამწუთას საფრთხეშია. მე ქმარი ვარ, მისი მეგობარი ჭირშიც და ლხინშიც, ამიტომ ცა და დედამიწა უნდა გადავაბრუნო და ვიპოვო.

პასუხი: პასპორტი თან წაიღო. პოლიციისთვის არ მითქვამს, მაგრამ პირადი ნივთებიც თან წაუღია და წმინდანების ხატებიც, რომლებიც ყოველთვის თან ჰქონდა, როცა სამოგზაუროდ მიდიოდა. თანაც ბანკიდან ფული გამოიტანა.

დასკვნა: წასასვლელად მზად იყო.

ბ. დავუშვათ, ვინმესთან საქმიან შეხვედრაზე წავიდა და ხაფანგში გაება.

პასუხი: საშიშ სიტუაციაში ხშირად აღმოჩენილა (ეს მისი სამსახურის ნაწილი იყო), მაგრამ მსგავს შემთხვევებში ყოველთვის მაფრთხილებდა. მე ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვისაც ბოლომდე ენდობოდა. ყოველთვის მეუბნებოდა, სად უნდა ყოფილიყო, ვისთან ერთად (თუმცა, ჩემთვის საფრთხე რომ აეცილებინა, პიროვნების სახელს არ აკონკრეტებდა) და რა უნდა გამეკეთებინა იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ დროს უკან არ დაბრუნდებოდა.

დასკვნა: აზრადაც არ მოსვლია ინფორმაციის მომწოდებელთან შეხვედრა.

გ. დავუშვათ, სხვა კაცს შეხვდა.

პასუხი: პასუხი არ არის. ეს ერთადერთი ლოგიკური ჰიპოთეზაა, მაგრამ ვერ ვიჯერებ. ვერ ვიჯერებ, რომ ასე წავიდა. ადგა და წავიდა. თან არაფერი მითხრა. მე და ესთერი ხომ ყოველთვის ვამაყობდით, რომ ერთად შეგვეძლო გადაგველახა ცხოვრების სირთულეები. გვიჭირდა, მაგრამ ერთმანეთი არასოდეს მოგვიტყუებია, თუმცა ჩვენი თამაშის წესები ექსტრემალურ შემთხვევებსაც ითვალისწინებდა.

ვიცი, რომ იმ ვიღაც მიხაილის გაცნობის შემდეგ შეიცვალა, მაგრამ ეს ცვლილება სრულებით არ ამართლებს ათწლიანი ქორწინების დამსხვრევას. შესაძლოა, იწვა მასთან; შესაძლოა, შეუყვარდა; შესაძლოა, უბრალოდ, არ აუწონ-დაუწონია ჩვენი თანაცხოვრების მომენტები, სანამ თავგადასავლის საძიებლად გაემგზავრებოდა.

მაგრამ ის ხომ თავისუფალი იყო. ემოგზაურა, როცა უნდოდა და სადაც უნდოდა. მახსოვს, ერთხელ ისეთ ჯარისკაცებთან ცხოვრობდა, რომლებსაც დიდი ხნის მანძილზე ქალისთვის თვალიც არ მოუკრავთ. მაშინ არაფერი მიკითხავს მისთვის, არც მას უთქვამს რამე. ჩვენ ხომ თავისუფლები ვიყავით და ამით ვამაყობდით კიდეც.

თუმცა, ფაქტია, ესთერი გაუჩინარდა. მხოლოდ ჩემთვის დატოვა ნაკვალევი, ისე, მინიშნებასავით - „მივდივარ“.

რატომ? იქნებ არც ღირს, ამ შეკითხვას ვუპასუხო.

არა! როგორ თუ არ ღირს, ამ პასუხში იმალება ჩემი პირადი უმწეობა, უუნარობა, რის გამოც ვერ შევძელი, შემენარჩუნებინა ქალი, რომელიც მიყვარს. იქნებ თვითონ ვცადო მისი მოძებნა და დაყოლიება, რომ დამიბრუნდეს? ან იქნებ დავუჩოქო და შევევედრო, რომ გადაარჩინოს ჩვენი ქორწინება?

სასაცილოა! ჯობს, ისევ ისე დავიტანჯო, როგორც ადრე ვიტანჯებოდი, როცა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები მტოვებდნენ; ჯობს, მაშინდელივით შევიხორცო ჭრილობები.

მასზე ფიქრში გაივლის დრო. სხეულში იმედგაცრუება ჩამისახლდება; მეგობრებს შევაწუხებ ჩემი გაუთავებელი წუწუნით, რადგან ესთერის გაუჩინარების გარდა, სხვა სასაუბრო თემას ვეღარ გამოვნახავ. ალბათ, შევეცდები, გავამართლო ის, რაც მოხდა. ჰო! გაივლის დრო, სანამ თავიდან შევძლებ განვიცადო მასთან გატარებული წამები და დავასკვნა, რომ ის ძლიერი იყო, მე კი ყოველთვის მხოლოდ იმას ვცდილობდი, უკეთესი ვყოფილიყავი.

მერე გავიცნობ სხვა ქალებს. ვისეირნებ ქუჩაში და გზას გადავუჭრი რომელიმე გოგონას, რომელიც, შესაძლოა, „ის ერთადერთი“ იყოს. დავიტანჯები დღე და ღამე; ღამე და დღე. იქნებ ეს ტანჯვა კვირაობით გაგრძელდეს, თვეობით, იქნებ - წლობითაც.

ერთ მშვენიერ დღეს კი გავიღვიძებ და მივხვდები, რომ უკვე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. მივხვდები, რომ ყველაზე უარესი უკან მოვიტოვე. გული ახლა მაქვს გატეხილი, თორემ ხვალ შეხორცდება. შეხორცდება და ისევ გააგრძელებს ცხოვრების

მშვენიერებით ტკბობას. ცხოვრება ხომ წრეა. აქ ყველაფერი მეორდება. როცა ვინმე მიდის, იმიტომ მიდის, რომ მერე სხვა დაბრუნდეს. ჰოდა, ისევ ვიპოვი სიყვარულს.

ერთი წამით ახალი იდეაც მხიბლავს: უცოლო ვარ და მილიონერი. ვისთანაც მომინდება, იმასთან წავალ; როცა მომინდება, მაშინ წავალ. ჩემს თავს დღესასწაულებზე სიარულის უფლებასაც მივცემ. რა ხანია, არსად ვყოფილვარ. ინფორმაცია სწრაფად გავრცელდება და ძალიან მალე უამრავი ქალი, ახლგაზრდა ან არც მთლად ახალგაზრდა, მდიდარი ან არც ისე მდიდარი, როგორადაც თავს ასაღებენ, ჭკვიანი ან, უბრალოდ, განათლებული, მოირბენს ჩემთან და მეტყვის ყველაფერს, რისი მოსმენაც მსურს. ჩემი სახლის კარის ზარი კი არ გაჩუმდება.

მინდა, მჯეროდეს, რომ თავისუფლება გენიალური რამაა. მით უმეტეს, ხელახლა მოპოვებული თავისუფლება. დროა, მოვემზადო ჩემი ცხოვრების ნამდვილ სიყვარულთან შესახვედრად; იმ ქალთან შესახვედრად, რომელიც ამდენი ხანია, მელოდება, და რომელიც არასოდეს აღარ მიმატოვებს ასე საშინლად და დამამცირებლად.

ცხელი შოკოლადი უკვე დავლიე. ახლა საათს მივჩერებივარ და ვგრძნობ, რომ მე ჯერ კიდევ კაცობრიობის უდიდეს ნაწილს მივეკუთვნები. ვიწყებ ოცნებას: ვითომ შემოსასვლელი კარიდან ესთერი შემოდის, კაფეში დაგებულ სპარსულ ხალიჩაზე მოაბიჯებს, უსიტყვოდ ჯდება ჩემ გვერდით, სიგარეტს გააბოლებს, ბაღს გახედავს, მერე ხელს მკიდებს... ნახევარი საათი მაინც გავიდა. ამ დროის განმავლობაში ისიც მოვასწარი, რომ აღარ მეფიქრა სულ ახლახან გამოგონილ ისტორიაზე.

გადავწყვიტე, ამ საღამოს შინ არ დავბრუნდე. სასტუმროს მისაღებში გავდივარ. ვითხოვ ოთახს, კბილის ჯაგრისსა და ტუალეტის წყალს. სასტუმრო სავსეა, მაგრამ ადმინისტრატორი რამეს მომიხერხებს. ეს დღეც მთავრდება - ჩემი ფანჯრიდან მოჩანს ეიფელის კოშკი, ტერასები, პარიზული კრამიტის სახურავები, ალაგ-ალაგ მოკიაფე სინათლეები, ოჯახები, ამ კვირადღეს ერთად სავახშმოდ რომ შეკრებილან. მე კი ისევ ის შეგრძნება მიბრუნდება, ელისეს მინდვრებზე სეირნობისას რომ დამეუფლა: რაც უფრო მშვენიერია ირგვლივ ყველაფერი, მით უფრო საშინელი და აუტანელი ხდება ჩემთვის.

არანაირი ტელევიზორი, არანაირი ვახშამი. ტერასაზე ვჯდები და ჩემი ცხოვრების რეტროსპექტივის ჩვენებას ვაწყობ. ვხედავ: ახალგაზრდა, რომელსაც სურვილი კლავდა, გამხდარიყო ცნობილი მწერალი, აღმოაჩენს, რომ რეალობა, რომელშიც ცხოვრობს, მისი ოცნებებისაგან ძირფესვიანად განსხვავდება; ეს ახალგაზრდა წერს იმ ენაზე, რომელზეც არავინ კითხულობს; წერს იმ ქვეყანაში, სადაც ამბობენ, რომ მკითხველი არ არსებობს. ოჯახი გაუთავებელი შეგონებებით უნივერსიტეტისაკენ ექაჩება („ნებისმიერი პროფესია გამოგადგება, ჩემო ბიჭუნა, მთავარია, „ხარისხი“ დაიცვა, სხვაგვარად ამ ცხოვრებისთვის ვერ ივარგებ“). წინააღმდეგობა იმდენად დიდია, რომ ეს ახალგაზრდა ჰიპების ეპოქაში მსოფლიოს შემოივლის, გაიცნობს

რომელიღაც მომღერალს, დაიწყებს სიმღერების ტექსტების წერას და, მოულოდნელად, თავის დაზე უფრო მეტ ფულს იშოვის; მისმა დამ მშობლების რჩევით გადაწყვიტა, ქიმიკოსი გამხდარიყო.

ასე გადის დრო. მე სულ უფრო მეტ ტექსტს ვწერ. ნაცნობი მომღერალი სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევს. ვყიდულობ საკუთარ ბინას, ხანდახან ვჩხუბობ მომღერალთან, მაგრამ საკმარისი ფული მაინც მაქვს საიმისოდ, რომ მომდევნო წლები უზრუნველად ვიცხოვრო. პირველად ჩემზე გაცილებით უფროს ქალზე ვიწერ ჯვარს, მისგან ბევრს ვსწავლობ - სიყვარულს, ინგლისურს, მანქანის მართვას და გვიან დაძინებას. ბევრს ვსწავლობ, მაგრამ ქორწინებას განქორწინებით ვასრულებ იმიტომ, რომ მე ის ვარ, ვისაც ჩემი ცოლი „ემოციურად მოუმწიფებელ“ ტიპს უწოდებს; რომელიც „ნებისმიერ დიდმკერდიან ქალიშვილზე მიწებებული“ იცხოვრებს. მეორედ და მესამედ უკვე ისეთ ქალებზე ვქორწინდები, ვისთანაც, ჩემი აზრით, ემოციურ მდგრადობას შევინარჩუნებ. მიზანს ვაღწევ, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ჩემ ნაოცნებარ „ემოციურ მდგრადობას“ ღრმა მოწყენილობა ახლავს.

ასე რომ, შედეგად ვიღებ ორ განქორწინებას და თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლება კომპრომისების არქონას კი არ ნიშნავს, არამედ იმის შესაძლებლობას, აირჩიო, თუნდაც რისკის ფასად, ის, რაც უკეთესია.

სასიყვარულო თავგადასავლების ძებნას ვაგრძელებ. ვაგრძელებ სიმღერების ტექსტების წერასაც. როცა მეკითხებიან, რას საქმიანობო, ვპასუხობ, მწერალი ვარ-მეთქი; როცა მეუბნებიან, მხოლოდ სიმღერების ტექსტები წაგვიკითხავსო, ვპასუხობ, ეგეც ჩემი საქმიანობის ნაწილია-მეთქი; როცა ბოდიშს მიხდიან იმის გამო, რომ არც ერთი ნაწარმოები არ წაუკითხავთ, ვუხსნი, რომ ახალ პროექტზე ვმუშაობ; რაც, რაღა თქმა უნდა, სიცრუეა. სინამდვილეში, ყველაფერი უფრო მარტივადაა: ფულიც მაქვს და საჭირო ნაცნობობაც. ერთადერთი, რაც მაკლია, ეს არის გამბედაობა, რომ ვცადო და ჩემი ოცნება რეალობად ვაქციო. მაგრამ რომ ვცადო და არ გამომივიდეს? მერე რა ვქნა, როგორღა გავატარო დარჩენილი სიცოცხლე? ამიტომაც, უმჯობესია, ოცნება ოცნებად დარჩეს, ვიდრე კრახით დასრულდეს.

ერთ დღეს ვიღაც უცნობმა ჟურნალისტმა ინტერვიუსათვის მომაკითხა. უნდოდა, გაეგო, რას ნიშნავს მწერლისათვის ის ამბავი, როცა მთელი ქვეყანა იცნობს მის შემოქმედებას, პირადად მასზე კი წარმოდგენაც არა აქვს, რადგან, როგორც წესი, ეკრანზე მხოლოდ მომღერალი ჩნდება და არა სიმღერის ტექსტის ავტორი. სხვათა შორის, ჟურნალისტი ლამაზი იყო, ჭკვიანი და მშვიდი. მეორედ რაღაც დღესასწაულზე შევხვდი. სამსახური არაფერ შუაში იყო. იმ ღამესვე ლოგინში შევითრიე. შემიყვარდა, თუმცა ვერ დავაჯერე, რომ შემიყვარდა. უმნიშვნელო ახირებაა და გაივლისო, - ამბობდა. ვურეკავდი, მაგრამ მეუბნებოდა, არა მცალიაო. რაც უფრო ხელს მკრავდა, მით მეტი სურვილი მიჩნდებოდა. ბოლოს და ბოლოს, დავითანხმე, კვირის ბოლო დღეები ჩემს აგარაკზე გაგვეტარებინა.

სამ დღეს ვტკბებოდით ზღვით და სამყაროსგან გარიყულებივით ვცხოვრობდით. მე მისთვის სადილებს ვამზადებდი, ის თავის თავგადასავალს მიყვებოდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მასაც შევუყვარდი. ქალაქში დაბრუნების შემდეგაც ყოველღამე ჩემთან რჩებოდა. ერთ დილას კი მეტისმეტად ადრიანად წავიდა და უკან თავისი საბეჭდი მანქანით დაბრუნდა. იმ დღის შემდეგ ასე უსიტყვოდ, უკომენტაროდ და უთქმელად, ჩემი სახლი მის სახლად გადაიქცა.

მასთანაც მალე იწყება ისეთივე კონფლიქტები, როგორიც წინა ცოლებთან: ისინი ხომ ყოველთვის სტაბილურობასა და ერთგულებას ეძებდნენ, მე კი - თავგადასავლებსა და იდუმალებას, მაგრამ ამჯერად ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდა. ორი წლის შემდეგ უკვე ვფიქრობდი, რომ ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ესთერი სახლში წავიდა და თავისი ნივთებითა და საბეჭდი მანქანით დაბრუნდა უკან. მაშინ ვუთხარი კიდეც:

- არა მგონია, ასე უკეთესი იყოს.

- მაგრამ შენ ხომ გიყვარვარ? მეც მიყვარხარ. ხომ ასეა?

- არ ვიცი. თუ იმას მეკითხები, მომწონს თუ არა შენთან ყოფნა, მაშინ - ასეა, მაგრამ თუ ისიც გინდა, იცოდე, შევძლებ თუ არა შენ გარეშე ცხოვრებას, გეტყვი, რომ შევძლებ.

- არასოდეს მინატრია, კაცად დავბადებულიყავი, კმაყოფილი ვარ ჩემი სქესით. ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი, რასაც თქვენ, კაცები, ჩვენგან, ქალებისგან, ელით, კარგი მზარეულობაა. ჩვენ კი თქვენგან ყველაფერს უნდა ველოდეთ: ოჯახის შენარჩუნებას, სექსს, შთამომავლობის დაცვას, სარჩოს მოპოვებასა და წარმატებას.

- ეგ რა შუაშია: ჩემი თავით ძალიან კმაყოფილი ვარ. მომწონს შენთან ყოფნა, მაგრამ, რატომღაც, არა მგონია, ყველაფერი ასე მარტივი იყოს.

- აბა რა. შენ მოგწონს ჩემთან ყოფნა იმიტომ, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა გძულს. ყოველთვის თავგადასავალს ეძებ, რადგან გინდა, გაცილებით მნიშვნელოვანი რამეები დაივიწყო... საკუთარ ძარღვებში წარმოქმნილ ადრენალინზე ხარ მიწებებული, ის კი გავიწყდება, რომ ძარღვებში სისხლი უნდა ჩქეფდეს, სისხლი, და სხვა არაფერი. გაიგე?

- არაფერსაც არ გავურბივარ, მით უმეტეს, მნიშვნელოვან რამეებს. ერთი მაგალითი მაინც მითხარი.

- დაწერე წიგნი.

- წიგნის დაწერა ნებისმიერ დროს შემიძლია.

- მაშინ, დაწერე. აი, მერე კი, თუ მოგინდება, გავიყაროთ.

რა აბსურდია, როცა მომინდება, წიგნს მაშინ დავწერ. გამომცემლებსაც ვიცნობ, ჟურნალისტებსაც, იმათაც, ვინც უარს არ მეტყვის დახმარებაზე. ესთერი, უბრალოდ, ის ქალია, რომელსაც ჩემი დაკარგვისა ეშინია. ამიტომაც იგონებს რაღაცეებს. ვეუბნები, საკმარისია, ჩვენმა ურთიერთობამ პიკს მიაღწია-მეთქი. საქმე ის კი არ არის, რომ შენ ჩემი ბედნიერება გინდა, საქმე სიყვარულია.

- მაინც, რა გგონია ეს სიყვარული? - მეკითხება ესთერი. ნახევარ საათზე მეტხანს ვუხსნი, რომ „სიყვარულის“ განსაზღვრა არ შემიძლია, ამას ახლახან მივხვდი-მეთქი.

- ჰოდა, სანამ განსაზღვრებას მოუძებნი, წიგნი დაწერე.

ვეუბნები, ამ ორ რაღაცას შორის პაწაწინა კავშირიც არ არსებობს, ამიტომაც დღესვე სახლიდან მივდივარ, შენ კი, რამდენ ხანსაც მოგესურვება, აქ იმდენ ხანს დარჩი-მეთქი. ვფიქრობ, სანამ ბინას ვიშოვი, რომელიმე სასტუმროში წავალ-მეთქი. ესთერი მეუბნება, მე ხელს არ შეგიშლი, თუ გინდა, ახლავე წადი. ერთ თვეში ბინას დავცლი. ხვალვე სხვა საცხოვრებლის ძებნას დავიწყებო.

მე ჩემოდანს ვალაგებ. ის კი მშვიდად კითხულობს წიგნს.

- გადავიფიქრე, დღეს უკვე გვიანია, ხვალ დილით წავალ.

- ჯობია, ახლავე წახვიდე, ხვალ უფრო სუსტად იქნები და გადაწყვეტილების მიღებაც უფრო გაგიჭირდება, - მეუბნება მინიშნებასავით.

- ჩემგან თავის დაძვრენა გინდა? - ვეკითხები. იცინის. მე კი არა, შენ გინდა, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დაამთავროო.

დასაძინებლად მივდივართ. მეორე დღეს მაინცდამაინც დიდი სურვილი აღარა მაქვს, წავიდე. გადავწყვიტე, დავრჩე და ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრო. ესთერი, რაღა თქმა უნდა, ამბობს, რომ საკითხი ამით არ მთავრდება. თურმე, სანამ მე ცხოვრების ჭეშმარიტ აზრს ვერ მივხვდები, ასეთი დღეები ისევ გამეორდება და ბოლოს დავასკვნი, რომ, უბრალოდ, ხელმოცარული ტიპი ვარ, ესთერი კი ის ქალია, ვინც მიმატოვებს. მხოლოდ ეს მაიძულებს, ფიქრი მაშინვე მოქმედებად ვაქციო და თავადვე დავწვა ყველა ხიდი, რომელიც ესთერს დაბრუნების შანსს მისცემს.

- ამით რის თქმა გინდა-მეთქი, - ვეკითხები.

- მინდა, ვინმე მოვძებნო; ვინმე ისეთი, ვინც შემიყვარდება, - მიხსნის ღიმილით.

ესთერი რედაქციაში მიდის, მე გადავწყვიტე, დასვენების დღე ავიღო (იმ დროისათვის მე მარტო სიმღერების ტექსტებს კი არ ვწერდი, დისკების კომპანიაშიც ვმუშაობდი).

ვჯდები საბეჭდ მანქანასთან. მერე ისევ ვდგები და გაზეთებს ვკითხულობ, მნიშვნელოვან წერილებს ვპასუხობ, გასაკეთებელი საქმეების ნუსხას წინასწარ

ვადგენ, მუსიკას ვუსმენ, ცოტა ხნით ქუჩაში ვსეირნობ, მეფუნთუშესთან ვჭორაობ და ისევ შინ ვბრუნდები... მთელი დღე ისე გადის, ერთი უბრალო, მარტივი ფრაზაც ვერ დავწერე. როგორ მძულს ესთერი - მაიძულებს, ის ვაკეთო, რაც ახლა სრულებითაც არ მეპიტნავება.

რედაქციიდან დაბრუნებული არაფერს მეკითხება; ხვდება, რომ ვერაფერიც ვერ დავწერე. მერე მეუბნება: დღესაც ისეთივე გაცრიატებული მზერა გაქვს, როგორიც გუშინო.

ხვალ ვიმუშავებ-მეთქი, - კი გავიფიქრე, მაგრამ იმ საღამოსვე მივუჯექი მაგიდას. არაფერი გამომდის. ვდგები, ვკითხულობ, ვუყურებ ტელევიზორს, ვუსმენ მუსიკას და ისევ მაგიდასთან ვჯდები. ორ თვეს გრძელდება ჩემი ტანჯვა. ორ თვეს ვხევდი „პირველი ფრაზებით“ სავსე ფურცლებს, მაგრამ ერთი აბზაციც ვერ დავასრულე.

რით აღარ ვიმართლებ თავს: „ამ ქვეყანაში მაინც არავინ კითხულობს“, „ჯერჯერობით სიუჟეტი არა მაქვს, თორემ...“ ან: „გენიალური სიუჟეტი მაქვს, უბრალოდ, მის დასახვეწად ზუსტ საშუალებებს ვეძებ“. ან: „ძალიან ბევრი საქმე მაქვს, ხან სტატიას ვწერ, ხან - სიმღერების ტექსტებს“...

ზუსტად ორი თვის შემდეგ ესთერს თვითმფრინავის ბილეთი მოაქვს.

- კმარა! გეყოფა თავის მოკატუნება, თითქოს ძალიან მოუცლელი მყავდე და შენი პასუხისმგებლობაც გაცნობიერებული გქონდეს. ვერაფრით დამაჯერებ, თითქოს ვინმეს ძალიან სჭირდება ის, რასაც შენ აკეთებ. აი, ბილეთი. ცოტა ხნით სამოგზაუროდ წადი.

ყოველთვის შემეძლო, ვყოფილიყავი იმ გაზეთის რედაქტორი, რომელშიც ხანდახან რეპორტაჟებს ვაქვეყნებ; ყოველთვის შემეძლო, ვყოფილიყავი დისკების იმ კომპანიის პრეზიდენტი, რომლისთვისაც ტექსტებს ვწერ და რომელშიც მხოლოდ იმიტომ ვმუშაობ, რომ არ სურთ, სხვა კომპანიებისთვისაც ვწერო რამე; ყოველთვის შემეძლო, თავიდან დამეწყო ის საქმე, რასაც ახლა ვაკეთებ, მაგრამ ოცნებას აღარ შეუძლია ლოდინი - დაიღალა. ახლა ან ესთერს უნდა დავყვე, ან საბოლოოდ დავივიწყო, რა მინდა.

- სად მივდივარ?

- ესპანეთში.

რამდენიმე ჭიქას ვამსხვრევ, მაგრამ რისხვას ვერ ვიმორჩილებ და ვყვირი:

- ბილეთები ხომ ძალიან ძვირია, თანაც ყველაფრის მიტოვება არ შემიძლია, ბოლოს და ბოლოს, აქ უამრავი საქმე მაქვს! კონტაქტებს უნდა გავუფრთხილდე! შესაძლოა, უამრავი მომღერალი დავკარგო. გაინტერესებს სიმართლე? პრობლემა ჩემში კი არა, ჩვენს ქორწინებაშია. წიგნის დაწერა რომ მინდოდეს, ვერავინ შემიშლიდა ხელს!

- გეთანხმები. შეგიძლია, სურვილი გაქვს, მაგრამ არ აკეთებ. გიმეორებ, შენი პრობლემა ჩემში და ჩვენში კი არა, მხოლოდ შენშია, ამიტომ კარგი იქნება, თუ ცოტა ხანს მარტო დარჩები, - წყნარად მირჩევს ესთერი და რუკას მაწვდის.

მადრიდამდე ჩავფრინდები, მერე საფრანგეთის მოსაზღვრე პირენეებამდე მიმავალ ავტობუსში ჩავჯდები და სანტიაგოს გზაზე ჩემი პილიგრიმობაც დაიწყება - კიდევ, თურმე, ფეხით უნდა ვიარო. ის კი დამელოდება. თუ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგაც ვეტყვი, რომ აღარ მიყვარს; რომ ჯერ კიდევ არ მიცხოვრია იმდენი, ლიტერატურული ნაწარმოების შესაქმნელად მეყოს; რომ მწერლობა ჩემი ახალგაზრდობის უბრალო ოცნება იყო და სხვა არაფერი, მაშინ აუცილებლად გამიგებს.

ჰალუცინაციას ჰგავს. ქალი, რომელთანაც უკვე ორი წელია, თითქოს სამუდამო სასიყვარულო ურთიერთობა მაქვს, ჩემს ცხოვრებას განაგებს; მაიძულებს, მივატოვო სამუშაო და მთელი ქვეყანა ფეხით შემოვიარო! ვცდილობ, როგორმე სერიოზულად აღვიქვა ეს სისულელე. რამდენიმე ღამეს განუწყვეტლივ ვსვამ, სხვათა შორის, ისიც სვამს, თუმცა სასმელს ვერ იტანს. თანდათან აგრესიული ვხდები, ვუმტკიცებ, ჩემი დამოუკიდებლობისა გშურს და ეს გიჟური იდეაც იმიტომ გაგიჩნდა, რომ შენი მიტოვება გადავწყვიტე-მეთქი. ის კი მეუბნება, ყველაფერი კოლეჯში დაიწყო, როცა მწერლობა ოცნებად გექცაო.

- ახლა უკვე საკმარისია უკან დახევა: ან პირისპირ დაუხვდები საკუთარ „მე“-ს, ან დარჩენილ სიცოცხლეს ქორწინებებში, განქორწინებებში, წარსულის ლამაზი ამბების მოყოლასა და უკან-უკან სიარულში გაატარებ.

რა თქმა უნდა, ვერ ვეტყვი, რომ მართალს ამბობს, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ სწორედ ასეა. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო აგრესიული ვხდები. საყვედურებისა და წუწუნის გარეშე მიძლებს. უბრალოდ, მახსენებს, რომ გამგზავრების დრო თანდათან ახლოვდება.

ერთ ღამეს ჩემთან დაწოლაზეც უარს ამბობს, ამიტომაც ვეწევი ჰაშიშს, ვსვამ ორ ბოთლ ღვინოს და შუა ოთახში გულწასული ვიშხლართები. გონს მოსული ვხვდები, რომ ერთადერთი, რაც დამრჩენია, „თვალის გახელა“ და ზედაპირზე ამოტივტივებაა. ამჯერად უკვე ჩემივე გამბედაობით გაამაყებული თვალს ვუსწორებ ჩემს საცოდავ, უსუსურ, უღიმღამო ცხოვრებას. იმ დილით ესთერს კოცნით ვაღვიძებ და ვეუბნები, როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცევი-მეთქი. და მივდივარ. ოცდათვრამეტ დღეს ფეხით ვმოგზაურობ სანტიაგოს გზაზე. კომპოსტელაში მისული ვხვდები, რომ ჩემი ნამდვილი სამუშაო დღეები სწორედ აქ იწყება. თანაც მინდა, მადრიდში ვიცხოვრო. გადავწყვიტე, ბოლომდე გამოვიყენო „საავტორო უფლებები“ და დავივიწყო, რომ ესთერის სხეულს ოკეანე მაშორებს, თუმცა, ოფიციალურად ისევ ერთად ვართ, ტელეფონზე ხშირად ვსაუბრობთ. სხვათა შორის, მშვენიერი რამეა, თან

დაქორწინებული იყო, თან სრული დამოუკიდებლობით ტკბებოდე და იცოდე, რომ ნებისმიერ დროს შეძლებ ცოლის თბილ მკლავებში დაბრუნებას.

ჯერ კატალონიელი ვიღაც სწავლული შემიყვარდა, მერე - არგენტინელი იუველირი; მერე - მეტროში მომღერალი გოგონა. საავტორო უფლებებითაც ბოლომდე ვსარგებლობ. ვცხოვრობ გემრიელად, არ ვმუშაობ, ყველაფრისათვის მრჩება თავისუფალი დრო... წიგნის დასაწერადაც.

მაგრამ წიგნი ხვალამდე მოიცდის, დღეს ხომ მადრიდის მერმა გადაწყვიტა, ქალაქი დღესასწაულად აქციოს, ბარებში ვიზიტებიც დაგეგმა და ქუჩაში საინტერესო პლაკატები გამოფინა. პლაკატებზე ეწერა: „მე მკლავს მადრიდი“. ახალ მოძრაობას რომანტიკული დასათაურებაც მოუძებნა - „მადრიდული მოძრაობა“. ამ ყველაფერს ხვალისთვის ხომ არ გადავდებ?! ძალიან სახალისოა, თანაც დღეები ძალიან მოკლეა, ღამეები კი - გრძელი.

ერთ მშვენიერ დღეს ესთერი მირეკავს, შენს სანახავად მოვდივარო. მისი აზრით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვაგვაროთ ჩვენი პრობლემა. ბილეთს მომდევნო კვირისათვის იღებს და საშუალებას მაძლევს, ყველაფერი მოვაწესრიგო: (მეტროში მომღერალ ქერა გოგონას, ახლა რომ ჩემთან ათენებს ღამეს და ყოველდღე ჩემთან ერთად სტუმრობს „მადრიდულ მოძრაობას“, ვეუბნები, პორტუგალიაში მივდივარ და ერთი თვის შემდეგ დავბრუნდები-მეთქი); ბინას ვალაგებ, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ყველა ნიშანს უკვალოდ ვაქრობ, მეგობრებს ვთხოვ, პირში წყალი ჩაიგუბონ და ვემზადები: ჩემი ცოლი ერთი თვით მესტუმრება.

თვითმფრინავიდან ესთერი ჩამოდის... რაღაც უცნაური და საშინელი ვარცხნილობა აქვს. ერთად ვმოგზაურობთ მთელ ესპანეთში, ერთ ღამეში ვათვალიერებთ პატარა ქალაქებს, რომლებსაც მარტო მაინც ვერასოდეს ვნახავდი. მივდივართ კორიდაზე, ფლამენკოს საღამოებზე. ვცდილობ, მსოფლიოში საუკეთესო ქმრის როლი ვითამაშო - აქედან შინ დაბრუნებული ესთერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ძალიან მიყვარს. ვერ ვხვდები, რაში მჭირდება ამ ილუზიის შექმნა, იქნებ იმიტომ, რომ ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად დასრულდება ჩემი მადრიდული ოცნება.

იმდენი ვიწუწუნე მის ახალ ვარცხნილობაზე, რომ ძველი იერი დაიბრუნა. ახლა ისევ ისეთი ლამაზია... მხოლოდ ათი დღეღა დამრჩა. მისი არდადეგები მალე დასრულდება და მადრიდიდან კმაყოფილი გაემგზავრება. მე კი ისევ მარტო დავრჩები აქ, ამ ქალაქში, რომელიც „მე მკლავს“, დისკოთეკებთან, დილის ათ საათზე რომ იღება; ხარებთან, ქალებთან, ალკოჰოლთან, ერთსა და იმავე თემებზე გაუთავებელ საუბრებთან; უფრო მეტ ხარებთან, მეტ ალკოჰოლთან, მეტ ქალებთან... და არანაირ გეგმასთან.

იმ კვირადღეს მაღაზიისაკენ მივდიოდით, როცა ესთერი აკრძალულ თემას შეეხო, - წიგნს, რომელიც, ჩემი თქმით, უკვე მზად უნდა ყოფილიყო. ერთ ბოთლ ხერესს ვსვამ,

გზად შემხვედრ ყველა რკინის კარს მუშტებს ვუბრახუნებ, ქუჩაში ხალხს შეურაცხყოფას ვაყენებ. ვერ ვმშვიდდები. ვეკითხები, ნუთუ ასე შორს მხოლოდ იმისთვის ჩამოხვედი, რომ ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქციო და ეს ბედნიერი წუთები ჩამაშხამო-მეთქი. არაფერს მეუბნება, მაგრამ ორივე ვხვდებით, რომ ჩვენი ურთიერთობა ზღვარს უახლოვდება. ასე რომ, კიდევ ერთმა უძილო ღამემ ჩაიარა და მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც სასტუმროს მმართველს უაზროდ ვებუზღუნე, ტელეფონი გამართულად არ მუშაობს-მეთქი; მას შემდეგ, რაც ოთახების დამლაგებელს ვუსაყვედურე, ერთი კვირაა, ლოგინის თეთრეული არ გამოგიცვლია-მეთქი; მას შემდეგ, რაც მთელი დილა შხაპს ვიღებდი, რომ ნაბახუსევისთვის როგორმე მემკურნალა, ბოლოს და ბოლოს, გამოვათრიე საბეჭდი მანქანა და მაგიდას მივუჯექი, რათა ესთერისათვის დამემტკიცებინა, რომ პატიოსნად ვცდილობდი მუშაობას.

და, მოულოდნელად, სასწაული ხდება: ვუყურებ ესთერს და ვხედავ ქალს, რომელმაც ახლახან ყავის მოხარშვა დაასრულა და ახლა გაზეთს კითხულობს; თვალებში დაღლილობა და მოუთმენლობა ჩაჰბუდებია. როგორც ყოველთვის, ახლაც მშვიდია, არასოდეს ამხელს მიმიკებს მიღმა ამოფარებულ სინაზეს. ეს არის ქალი, რომელმაც სწორედ მაშინ მაიძულა, მეთქვა „კი“, როცა „არას“ თქმას ვაპირებდი; მაიძულა, მებრძოლა იმისათვის, რისიც მას სჯეროდა და რაც ჩემი ცხოვრების აზრი იყო; უარი თქვა ჩემთან ყოფნაზე მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ თავზე მეტად ვუყვარდი, და ოცნების საძებნელად მარტო გამომიშვა. შევყურებ და ვტკბები ამ თითქმის ბავშვური ქალის სიმშვიდით, მისი თვალებით, რომლებიც სიტყვებზე მეტს ამბობენ, და გულით, უამრავჯერ რომ აფართხალებია, მაგრამ არასოდეს დაუხევია უკან, ყოველთვის მზად იყო, ჰყვარებოდა და არ შეჰგუებოდა, არ ეთხოვა პატიება, რომ იბრძოდა ქმრისთვის... ჰო, მოულოდნელად ხდება სასწაული და ჩემი თითები სწრაფად ეხებიან მანქანის კლავიშებს.

პირველი ფრაზა გამოდის, მეორეც...

ორ დღეს საჭმელს ვერ ვეკარები, მხოლოდ აუცილებლობის გამო ვიძინებ. სიტყვები კი მანამადე უცნობი წიაღიდან ისე ჩნდებიან, თითქოს სიმღერის ტექსტი იყოს, როგორც მაშინ, როცა უემოციო დისკუსიებისა და განხილვების შემდეგ, მე და ჩემმა პარტნიორმა ზუსტად ვიცოდით, რომ „ეს“ სწორედ ის არის, რაც ჩვენ გვჭირდება, მზა მასალაა, და ახლა ის დროა, ფურცელზე და მუსიკალურ ნოტებზე მიაწებო. მაგრამ ამჯერად „ეს“ ესთერის გულიდან მოდის. ჩემი სიყვარული თავიდან იბადება და წიგნს ვწერ იმიტომ, რომ ესთერი არსებობს; იმიტომ, რომ მან საყვედურების გარეშე შეძლო, გაემარჯვა ჩვენი ცხოვრების მძიმე წუთებზე, თანაც ისე, თავი მსხვერპლად არ მოუჩვენებია. ჰოდა, მეც ვიწყებ მოყოლას იმ ერთადერთი გამოცდილების შესახებ, რაც ამ ბოლო წლებში შევიძინე: ეს ჩემი გზაა სანტიაგოსკენ.

შეძლებისდაგვარად ვწერ და ვხვდები, რომ ჩემი მსოფლმხედველობა იცვლება. მრავალი წლის განმავლობაში ვსწავლობდი და ვეუფლებოდი მაგიასა და ალქიმიას. აღფრთოვანებული ვიყავი იმით, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ფლობდა უშველებელ ძალას და არ მიეკუთვნებოდა კაცობრიობის უდიდეს ნაწილს, თუმცა ძალიან სარისკო იყო ამ უზარმაზარი პოტენციალის გამოუცდელ ხელებში მოხვედრა. მონაწილეობას ვიღებდი უცნაური სექტების საიდუმლო შეკრებებში. ჩუმად ვ ყიდულობდი უძვირეს წიგნებს და უამრავ დროს ვფლანგავდი უსასრულო რიტუალებში. ყოველთვის აღფრთოვანებული შევდიოდი რაღაც ჯგუფებსა და გაერთიანებებში იმ იმედით, რომ ვიპოვიდი ვინმეს, ვინც, ბოლოს და ბოლოს, შეძლებდა და მაჩვენებდა იდუმალი სამყაროს საიდუმლოებებს, მაგრამ შედეგით ყოველთვის იმედგაცრუებული ვრჩებოდი. ამ ადამიანთა უმრავლესობა ხომ, უბრალოდ, ბრმად მისდევს ამა თუ იმ დოგმას და ხშირად ფანატიკოსად იქცევა ხოლმე, რადგან ფანატიზმი ეჭვებისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა.

აღმოვაჩინე, რომ უამრავი რიტუალი მართლაც არსებობდა, მაგრამ იმაშიც დავრწმუნდი, რომ ის, ვინც თავს მასწავლებელსა და ცხოვრების საიდუმლოებების მფლობელს უწოდებდა, ვინც ამტკიცებდა, ჩვენ ვფლობთ ტექნიკას, რათა ადამიანებმა მოახერხონ თავიანთი შესაძლებლობების განხორციელებაო, სავსებით დაშორდა უძველეს სიბრძნეს. სანტიაგოს გზამ, ჩვეულებრივ ხალხთან ურთიერთობამ, იმ სამყაროს აღმოჩენამ, რომელიც საკუთარ ენაზე მეტყველებდა და ამ ენას „ნიშანს“, „სიმბოლოს“ უწოდებდა, შემაგნებინა, რომ თუ ოდნავ მაინც აზროვნებ, უნდა დაეჭვდე, არის კი ოკულტიზმი ამდენი საიდუმლოს ერთადერთი გასაღები? სწორედ ამიტომ, ადამიანური შესაძლებლობების განვითარებაზე მსჯელობას ვიწყებ და ძიებას ვასრულებ დასკვნით: „ცოდნა ყოველთვის მაშინ მოდის, როცა მზად ხარ, და თუ ყურადღებით მოეკიდები „ნიშნებს“, შეძლებ, ისწავლო ყველაფერი, რაც მომდევნო ნაბიჯის გადადგმაში დაგეხმარება“.

ადამიანებს ორი უდიდესი პრობლემა აქვთ: ერთი არის დასაწყისის, მეორე კი - დასასრულის პრობლემა.

ერთი კვირის შემდეგ ვიწყებ წიგნის პირველ, მეორე, მესამე ვარიანტს. მადრიდი აღარ მკლავს, შინ დაბრუნების დროა; ვგრძნობ, რომ გარკვეული ეტაპი დამთავრდა და ახლა სასწრაფოდ მჭირდება რაიმე ახლის დაწყება. მადრიდს ჩვეულებისამებრ ვემშვიდობები. ყოველთვის ფრთხილად ვამბობ სიტყვას - „ნახვამდის“. ხომ შეიძლება, ოდესმე აზრი შევიცვალო, ამიტომ ყოველთვის ვიტოვებ უკან დასაბრუნებელ გზას.

ჩემს ქვეყანაში მივდივარ, ესთერთან. დარწმუნებული ვარ, სამუშაოს ოდესმე ვიპოვი, მაგრამ სანამ არ მიპოვია (და არ მიპოვია იმიტომ, რომ არ მჭირდება), დაწერილ წიგნს ვაშალაშინებ, თუმცა ეჭვი მეპარება, რომელიმე სულიერს საინტერესოდ მოეჩვენოს იმ

კაცის გამოცდილება, რომელმაც ესპანეთის რომანტიკული, მაგრამ რთული გზა ფეხით გაიარა.

ოთხი თვის შემდეგ, უკვე მეათედ რომ დავაპირე წიგნის რედაქტირება, ხელნაწერი ვერსად ვიპოვე. არც ესთერი იყო შინ. სიმწრისაგან უკვე გონებას ვკარგავდი, ესთერი რომ დაბრუნდა და მითხრა: წიგნი ერთი პატარა გამომცემლობის მფლობელისთვის, თავისი ყოფილი საქმროსთვის გაუგზავნია.

ექსსაქმრომ წიგნი დაბეჭდა. პრესაში ერთი სიტყვითაც არავის უხსენებია, მაგრამ ვიღაცეები მაინც ყიდულობენ. მერე სხვასაც ურჩევენ, იყიდეო; ის სხვა სხვას ურჩევს და ასე იყიდება. ექვს თვეში პირველი გამოცემა სულ გაიყიდა; ერთი წლის შემდეგ უკვე სამი გამოცემა მომზადდა. მე კი ახლა ფულს იმით ვშოულობ, რაზეც ვერც კი ვიოცნებებდი: ლიტერატურით.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სიზმარი. მე ის ვიცი, რომ უკვე გადავწყვიტე, ვიცხოვრო ისე, თითქოს ეს ჩემი უკანასკნელი წამია. და ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ, ვხედავ, როგორ მიღებს კარს ჩემი ნანატრი წარმატება. ამჯერად უკვე სხვა გამომცემლები ითხოვენ ჩემს მორიგ ნაწარმოებს.

მაგრამ სულ სანტიაგოს გზაზე წერა არ შეიძლება. „აბა, რაზე დავწერო?“ ნუთუ თავიდან დაიწყება ყველაფერი: საბეჭდ მანქანასთან დაჯდომის ტრაგედია, ფრაზები, აბზაცები? ნუთუ ასე მნიშვნელოვანია ჩემი ფანტაზიებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების გაზიარება? მიჭირს, მაგრამ მაინც ვცდილობ, რამდენიმე დღე-ღამეს უშედეგოდ ვჯახირობ. ერთ საღამოს კი სრულიად შემთხვევით (შემთხვევით?) „ათას ერთ ღამეში“ ვკითხულობ საინტერესო ამბავს. მეჩვენება, რომ ჩემი საკუთარი გზის სიმბოლოს წავაწყდი; ისეთ რამეს წავაწყდი, რაც დამეხმარება, გავიგო, ვინ ვარ და რატომ დამჭირდა ამდენი დრო იმის გასაცნობიერებლად, რაც ყოველთვის ვიცოდი და მხოლოდ მე მელოდა. საფუძვლად ვიყენებ ლეგენდას ცხვრების მწყემსზე, რომელიც ეგვიპტის პირამიდებში ჩამარხული ძვირფასეულობის საძებნელად მიდის. ძვირფასეულობა გაცილებით მეტია, ვიდრე ოქრო-ვერცხლი. ეს მისი ოცნებაა. შინ თავისი სიყვარული ელოდება, სწორედ ისე, როგორც მე მელოდა ესთერი მანამ, სანამ მე ცხოვრების ლაბირინთებში დავბოდიალობდი.

მე ის კაცი აღარა ვარ, რომელიც უაზროდ ოცნებობდა, ვინმე ყოფილიყო. ახლა, უბრალოდ, ვარ! ის მწყემსი ვარ, უდაბნოს რომ გადაივლის, მაგრამ ხანდახან ალქიმიკოსი მეკარგება. სად არის კაცი, რომელიც გზის გაგრძელებაში დამეხმარება? ახალ რომანს ვამთავრებ, თუმცა წესიერად ვერც ვხვდები, შიგ რა წერია: ბავშვებისათვის ფერიაზე დაწერილ ზღაპარს უფრო წააგავს, მაგრამ ახლა ბავშვებს ომები, სექსი და ძალადობის ამსახველი ისტორიები აინტერესებთ. გამომცემელი კი თანახმაა, ჩემი რომანი გამოაქვეყნოს. წიგნი იბეჭდება და მკითხველი მასაც ბესტსელერებს შორის მოიხსენიებს.

სამი წლის შემდეგ უკვე იმას ვაკეთებ, რაც მინდა, და ჩემი ქორწინებაც შესანიშნავად მიდის. ჯერ პირველი ოჯახური ტრადიცია ჩნდება, მერე - მეორე, მესამე. წარმატება ნელა, მაგრამ მაინც მსოფლიოს ყველა კუთხეში დაატარებს ჩემს ნამოღვაწარს.

გადავწყვიტე, პარიზიდან წავიდე - აღარ მხიბლავს მისი კაფეები, მწერლები, კულტურული ცხოვრება. ამ ქალაქში აღარაფერია ნამდვილი. ცნობილი ადამიანების ფოტოებით სავსე კაფეები ტურისტების თავშეყრის ადგილებად იქცა. მწერლების უმეტესობა ახლა ნაწარმოების სტილზე უფრო ზრუნავს, ვიდრე მის შინაარსზე. ცდილობენ, ნაწარმოებს ორიგინალურობა შესძინონ, თუმცა ერთადერთი, რის მიღწევასაც ახერხებენ - გაუგებრობაა. და ცხოვრობენ ასე, საკუთარ სამყაროში გამომწყვდეულები. მე კი, რაც დრო გადის, მით უფრო კარგად ვითვისებ ფრანგული ენის ერთ შეუდარებელ გამოთქმას, „ლიფტის უკან გაგზავნას“, რაც იმას ნიშნავს, რომ მე ვამბობ, რომ მომწონს შენი წიგნი, შენც ამბობ, რომ მოგწონს ჩემი, ასე რომ, მე და შენ საფუძველს ვუყრით ახალ კულტურულ ცხოვრებას, რევოლუციას, ახალ ფილოსოფიურ აზროვნებას. ვიტანჯებით, როცა ჩვენი არავის ესმის, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ეს პრობლემა ძველი დროის გენიოსებსაც აწუხებდათ - თანამედროვეებს მათი არ ესმოდათ.

„ლიფტის უკან გაგზავნას“ ზოგიერთი მწერლისთვის თავიდან გარკვეული წარმატება მოაქვს: ხალხი ხომ ღიად არასოდეს აკრიტიკებს იმას, რაც არ ესმის, მაგრამ როცა ხვდება, რომ ატყუებენ, კრიტიკოსების ნათქვამს ბრმად აღარ უჯერებს.

ინტერნეტი და მისი ენა სამყაროს შეცვლას აგრძელებს. პარიზში თითქოს პარალელური სამყარო გაჩნდა: ახალი თაობის მწერლები ძალას არ იშურებენ, რომ როგორმე თავიანთი ნათქვამი და სული მკითხველისთვის გასაგები გახადონ. ასეთ მწერლებთან უფრო მარტივია საერთო ენის გამონახვა, ამიტომაც მათთან ერთად ვსტუმრობ პარიზის არცთუ ცნობილ კაფეებს. თანდათან საკუთარ სტილს ვქმნი, გამომცემლებისაგანაც ვსწავლობ ადამიანებთან ურთიერთობას... და „მადლის ბანკით“ სარგებლობას...

- მაინც რას ნიშნავს ეგ თქვენი „მადლის ბანკი“?

- შენ რა, ჯერ არაფერი გაგიგია? ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ იცის...

- შეიძლება, მართალი ხარ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვხვდები, რას ნიშნავს „მადლის ბანკი“.

- პირველად რომელიღაცა ამერიკელი მწერლის წიგნშია ნახსენები. მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბანკია, დედამიწის ნებისმიერ წერტილში აქვს ფილიალი.

- ჩემი ქვეყანა მდიდარი ლიტერატურული ტრადიციებით არ გამოირჩევა. მე არაფერი გამიგია ამის შესახებ.

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს. თუ გინდა, მაგალითს გეტყვი. დავუშვათ, მე ზუსტად ვიცი, რომ თქვენ უზარმაზარი პოტენციალის მქონე ადამიანი ბრძანდებით. უფრო მეტიც, ახლო მომავალში შესაძლოა, დიდ გავლენასა და წარმატებებს მიაღწიოთ. ინტუიციით ვხვდები; ერთ დროს ხომ მეც თქვენნაირი ვიყავი: ამბიციური, დამოუკიდებელი, ჭკვიანი. დღეს ძველი ენერგია აღარა მაქვს, სამაგიეროდ, დახმარების სურვილი არ გამქრობია, თუნდაც იმიტომ, რომ არ მინდა, მომავალში მარტო დავრჩე. პენსიაზე გასვლაზე კი არა, ცხოვრებაზე ვოცნებობ, ჩემო კარგო, საინტერესო ბრძოლაზე, ძალაუფლებასა და გამარჯვებაზე. გესმით? ჰოდა, მე ვიწყებ დეპოზიტის დარიცხვას თქვენს ანგარიშზე. დეპოზიტი ფული კი არა, საჭირო კონტაქტებია. მოკლედ, ჯერ ერთ გავლენიან ადამიანთან წარგადგენთ, მერე - მეორესთან. მარტივად ვაწარმოებ სავაჭრო გარიგებას, აუქციონივით. თქვენ კი თანდათან ხვდებით, რომ ჩემგან მეტისმეტად დავალებული ბრძანდებით, თუმცა მე თქვენგან არაფერი მიმიღია.

- და ერთ დღესაც...

- სწორედაც. ერთ მშვენიერ დღეს პატარა თხოვნა მიჩნდება. თქვენ არ შეგიძლიათ, უარი მითხრათ, ჩემგან ხომ დავალებული ბრძანდებით? ამიტომ აუცილებლად შეეცდებით, გააკეთოთ ის, რაც გთხოვეთ... და ასე გაგრძელდება ცხოვრების ბოლომდე. სხვები კი აუცილებლად შეიტყობენ, როგორი საიმედო, ერთგული ადამიანი ბრძანდებით, და ისინიც გარკვეულ წვლილს შეიტანენ თქვენს ანგარიშზე. კონტაქტები და ურთიერთობა - აი, რითაა დახუნძლული მსოფლიო. თუ რამეს გთხოვენ, თქვენ, როგორც საიმედო საყრდენი, მხარში ამოუდგებით. გავა დრო და, უკვე საკუთარ კავშირებს შეიძენთ. გაიცნობთ ყველას, ვინც უნდა გაგეცნოთ, და თქვენი გავლენა ათჯერ მაინც გაიზრდება.

- მაგრამ მე ხომ შემიძლია, უარი ვთქვა თქვენს თხოვნაზე.

- რა თქმა უნდა, „მადლის ბანკი“ ისეთივე რისკთანაა დაკავშირებული, როგორც სხვა ბანკები. შეგიძლიათ, უარი თქვათ ჩემს დახმარებაზე და დაიჯეროთ, რომ მე თქვენდამი პატივისცემის გამო დაგეხმარეთ, რადგან საუკეთესო ბრძანდებით; და რომ ჩვენ ყველანი ვალდებულები ვართ, აღმოვაჩინოთ თქვენი ტალანტი. შესანიშნავია. მე მადლობას გადაგიხდით, და მხარდაჭერას მეორე, ასევე ჩემგან დავალებულ ადამიანს ვთხოვ, თქვენზე მე ხმასაც არ ამოვიღებ, მაგრამ ამ წუთიდან ყველას ეცოდინება, რომ თქვენ ნდობას არ იმსახურებთ.

შესაძლოა, გარკვეულ წარმატებას მიაღწიოთ კიდეც, მაგრამ ყველაფერს ვერ განახორციელებთ. თქვენი ცხოვრება თანდათან გაუარესებას, უკან სვლას დაიწყებს... შუაგზა კი მწვერვალს არ ნიშნავს. თქვენც ასე იქნებით: ცოტა კმაყოფილი, ცოტა სევდიანი, ცოტა იმედგაცრუებული, ცოტა იმედიანი, არც ცივი, არც ცხელი. მოკლედ, ხშირად გაგახსენდებათ ერთი ევანგელისტი, რომელიც წმინდა წიგნში ამბობდა, „ნელთბილ ნივთებს გემო არ გაესინჯებაო“. ახლა მიმიხვდით?

გამომცემელი საკმაო დეპოზიტს რიცხავს ჩემი „მადლის ბანკის“ ანგარიშზე. მეც ვსწავლობ, განვიცდი, წიგნები ფრანგულიდან ითარგმნება და საზღვარგარეთიც შეძლებისდაგვარად იღებს. და არა მხოლოდ იღებს: წიგნები საზღვარგარეთ წარმატებას აღწევს. 10 წლის შემდეგ ჩემი ბინიდან უკვე სენის ხედები იშლება, მკითხველს ვუყვარვარ, კრიტიკას ვძულვარ (სხვათა შორის, სანამ ჩემს პირველ ასი ათას ეგზემპლარს გავყიდდი, კრიტიკოსები ჩემს ქებას საზღვარს ვერ უძებნიდნენ, მაგრამ ახლა მათი „ამოუცნობი გენია“ თითქოს დაიკარგა). „მადლის ბანკში“ ყოველდღე დეპოზიტს ვრიცხავ და მაშინვე ახალ კონტაქტებს ვიღებ. ჩემი გავლენა თანდათან იზრდება. ვსწავლობ თხოვნას, მაგრამ იმასაც ვსწავლობ, როგორ შევასრულო ის, რასაც სხვები მთხოვენ.

ესთერი ჟურნალისტად მუშაობს. ზოგადად, ნებისმიერი ქორწინებისთვის დამახასიათებელ კონფლიქტებს თუ არაფრად ჩავაგდებთ, კმაყოფილი ვარ. პირველად ვაცნობიერებ, რომ წინა ქორწინებისა თუ ნიშნობის წარუმატებლობა იმ ქალების კი არა, ჩემი საკუთარი ტკივილების ბრალი იყო. ესთერი ერთადერთი ადამიანია, ვინც მარტივი აქსიომა ჩამოაყალიბა: „მეს“ გაგება უნდა მესწავლა, რომ მისთვის გამეგო. რვა წელია, ერთად ვართ, მჯერა, რომ ესთერი ჩემი ცხოვრების ქალია და თუმცა ცხოვრების გზაზე ხანდახან (უკეთესი იქნებოდა, მეთქვა, საკმაოდ ხშირად-მეთქი) მაინც მიყვარდება სხვა ქალებიც, განქორწინებაზე ფიქრიც არ მინდა. არასდროს მიკითხავს, ჩემი თავგადასავლის შესახებ თუ იცოდა რამე. პატივს მცემდა. ასე რომ, თვითონაც არაფერი უკითხავს.

ერთ საღამოს, კინოდან რომ გამოვედით, ძალიან გამიკვირდა, რომ მითხრა, რედაქციას ვთხოვე, აფრიკაში სამოქალაქო ომის დროს რეპორტაჟის გაკეთების უფლება მომცენო.

- რას მეუბნები!

- რას და..... მინდა, ომის კორესპოდენტი გავხდე.

- გაგიჟდი? რაში გჭირდება. რაც გინდა, იმას ისედაც აკეთებ. ფულს შოულობ, თუმცა ფული სრულებითაც არ გჭირდება. „მადლის ბანკშიც“ მნიშვნელოვანი შენატანი გაქვს. ნიჭიერი ხარ და თანამშრომლები დიდ პატივს გცემენ.

- მაშინ, მოდი, ასე ვთქვათ: მარტო დარჩენა მინდა.

- ჩემ გამო?

- რას ამბობ. ჩვენ ხომ ერთად ავაშენეთ ჩვენი ცხოვრება. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ქმარი ჩემდამი ერთგულებით არ გამოირჩევა.

- ამას პირველად მეუბნები.

- იმიტომ, რომ ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა. აბა, მითხარი, რა არის ერთგულება. გრძნობა, რომლითაც ვფლობ იმ სხეულსა და სულს, რომელიც მე არ მეკუთვნის? აი, შენ, ნუთუ გჯერა, რომ ერთად ცხოვრების მანძილზე მე სხვა კაცის ლოგინში არ ვწოლილვარ?

- არც მე მაინტერესებს. არ მინდა, ვიცოდე.

- ჰო! არც მე.

- მაშინ, რაში გჭირდება სადღაც, მსოფლიოს რომელიღაც მიკარგულ კუთხეში გაჩაღებული ომის ისტორია.

- მჭირდება-მეთქი, ხომ გითხარი. მჭირ-დე-ბა.

- შენ ხომ ყველაფერი გაქვს?

- ჰო, ყველაფერი, რაც შეიძლება, ქალმა ინატროს.

- რას ხედავ ამაში ცუდს?

- სწორედ ეგ არის ცუდი. ყველაფერი მაქვს, მაგრამ, რატომღაც, მაინც უბედური ვარ. ალბათ, გამონაკლისი არ უნდა ვიყო... ამ წლების მანძილზე ყველა ტიპის ადამიანს შევხვდი. მდიდარს, ღარიბს, შეძლებულს, იმედგაცრუებულს. როგორც კი მათ თვალებში ჩავხედავდი, აუტანელ ტკივილს ვკითხულობდი. მიუხედავად იმისა, რომ არ აღიარებდნენ, ქვეცნობიერად ამ ტკივილით ცხოვრობდნენ და უსაზღვრო სევდას დაატარებდნენ. მისმენ?

- გისმენ. თან ვფიქრობ. შენ გგონია, ბედნიერი ადამიანი არ არსებობს?

- ზოგი ბედნიერს წააგავს: უბრალოდ, არასოდეს ფიქრობენ ამაზე.ზოგი წინასწარ გეგმავს ცხოვრებას: მეყოლება ქმარი, ორი შვილი, მექნება სახლი, აგარაკი. გეგონება, ხარები არიან, ოღონდ ტორეროს გარეშე - ინსტინქტურად მოქმედებენ, თითქოს მოძრაობენ, მაგრამ არ იციან, საით მიექანებიან. ყიდულობენ მანქანებს, შენ წარმოიდგინე, ზოგჯერ - „ფერარისაც“. ფიქრობენ, რომ ცხოვრების აზრი სწორედ ამაშია, და ამიტომაც აღარ სვამენ შეკითხვებს. მაგრამ კითხვა არც არის საჭირო. მათი თვალები პატრონთან შეუთანხმებლად ამხელენ იმ დიდ სევდას, რომელსაც ისე დაატარებენ სულში, თვითონ აზრზედაც არ არიან. აი, თუნდაც შენ, ბედნიერი ხარ?

- მე? არ ვიცი.

- არც მე ვიცი. იქნებ მართლა მთელი სამყარო უბედურია. დროს მაქსიმალურად იყენებენ, უვლიან შვილებს, ქმარს, კარიერას, ტიტულებს. ფიქრობენ, რა იყიდონ, რა შეიძინონ, რა აკლიათ იმისთვის, რომ ხვალ უკეთესად იცხოვრონ. მოკლედ, ყოველთვის საზრუნავში არიან ჩაფლულები. ამიტომაცაა, ძალიან ცოტას თუ უთქვამს, უბედური ვარო. უმრავლესობა ამბობს: შესანიშნავად ვარ. რაც მინდოდა,

ყველაფერს მივაღწიეო. ასეთებს ხშირად ვეკითხები: მაინც რა განიჭებს ბედნიერებას-მეთქი. პასუხი ერთი და იგივეა: „მე ყველაფერი მაქვს, რაც შეიძლება ადამიანმა ინატროს: ოჯახი, სახლი, სამსახური, ჯანმრთელობა. „ ისევ ვეკითხები: ერთხელ მაინც თუ შეჩერებულხარ და გიფიქრია, ნუთუ ეს არის ყველაფერი, რაც ცხოვრებაში გინატრია-მეთქი“, „ჰო, ეს არისო“, - მეუბნებიან. ხანდახან აღარ მოვეშვები ხოლმე: „გამოდის, რომ ცხოვრების აზრია ოჯახი, შვილები, რომლებიც გაიზრდებიან და მიგატოვებენ; ცოლი ან ქმარი, რომელიც წლების განმავლობაში მეგობარს უფრო ჰგავს, ვიდრე ვნებიან საყვარელს; სამსახური, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს დასრულდება... და მერე? რა მოხდება მერე?“ გინდა, გითხრა პასუხი? - დუმდებიან, მერე საუბრის თემას ცვლიან.

- სინამდვილეში, ალბათ, გპასუხობენ ხოლმე: ჩემი შვილები რომ გაიზრდებიან, ჩემი ცოლი ან ქმარი თანდათან მეგობრად რომ გადაიქცევა, პენსიაზე რომ გავალ, აი, მაშინ ოცნებასაც ავისრულებ და ვიმოგზაურებო. როცა შეეკითხები: კი მაგრამ, თუკი იმას აკეთებთ, რაზედაც ოცნებობდით, რატომ არ ამბობთ, ბედნიერი ვარო?“ მხოლოდ ერთ რამეს გიპასუხებენ: „საქმე მაქვს, არ მცალია,“ - და საუბრის თემა იცვლება.

- თუ საუბრის გაგრძელება მაინც დავიჟინე, რესპონდენტები უეცრად აღმოაჩენენ, რომ მათ, მართლაც, რაღაც აკლიათ: ერთ დიასახლისს თურმე ფულზე მეტად დამოუკიდებლობა სჭირდება; ერთ ახალგაზრდას საცოლის დაკარგვისა ეშინია; ახლად გამომცხვარი სტუდენტი იმაზე ფიქრობს, პროფესია თვითონ აირჩია თუ აურჩიეს. კბილის ექიმს მომღერლობა ნდომებია, მომღერალს - პოლიტიკოსობა; პოლიტიკოსს - მწერლობა; მწერალს კი უნდოდა, უბრალო გლეხი ყოფილიყო... წარმოგიდგენია? თუმცა ისიც კი, ვინც თავის საქმეს აკეთებს, მაინც იტანჯება. სიმშვიდე ვერ უპოვია. რატომ? ისე, შენი პასუხიც საინტერესო იქნება: შენ თუ ხარ ბედნიერი?

- არა. მე მყავს ქალი, რომელიც მიყვარს. თითქოს ყველაფერი მაქვს, რაზეც ოცნებობდი. თავისუფალი ვარ, რაც მეგობრებსაც შურთ; წარმატებას მივაღწიე, აღიარებული ვარ, ვმოგზაურობ, მაგრამ არის რაღაც...

- რა?

- ასე მგონია, თუ გავჩერდები, ცხოვრება აზრს დაკარგავს.

- შეგიძლია, მოდუნდე, თვალი შეავლო პარიზს, ხელზე ხელი მომკიდო და მითხრა: იცი? მე მივაღწიე იმას, რაც მინდოდა. ახლა შემიძლია, უბრალოდ, დავტკბე.

- შემიძლია, პარიზს ვუყურო; შემიძლია, ხელი ხელზე მოგკიდო, მაგრამ მაგ სიტყვების თქმა არ შემიძლია.

- აი, მე კი თავს დავდებ, რომ ამ ქუჩაზე, ჩვენ რომ ვსეირნობთ ახლა, ნებისმიერი ადამიანი იმავეს განიცდის. ის ელეგანტური ქალბატონი, ახლა რომ გაიარა, მთელ

დღეს დროის შეჩერებას ცდილობს. სჯერა, რომ სიყვარულიც დროზეა დამოკიდებული. ქუჩის მეორე მხარეს გაიხედე: შეხედე, ახალგაზრდა წყვილი და ორი ბავშვი. ახლა, როცა შვილებთან ერთად სეირნობენ, ალბათ, ბედნიერების მოზღვავებას განიცდიან, მაგრამ, იმავდროულად, ქვეცნობიერი რაღაცა მოსვენებას უკარგავთ: ფიქრობენ, შესაძლოა, უმუშევრები დავრჩეთ ან რაიმე ავადმყოფობამ დაგვრიოს ხელიო; იქნებ ჩვენმა საიმედო ექიმმა დაპირება ვერ შეასრულოს, ან ერთ-ერთი შვილი დაგვეღუპოსო. და სანამ გართობას ცდილობენ, საშუალებასაც ეძებენ ტრაგედიებისაგან თავის დასაღწევად, მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად.

- ქუჩის კუთხეში რომ მათხოვარი ზის, იმაზე რას იტყვი?

- იმაზე რა უნდა ვთქვა. მათხოვრებთან ამ თემაზე არ მისაუბრია. ეს ხომ უბედურების ცოცხალი ნიმუშია, თუმცა, ალბათ, სხვა მათხოვრებივით, მისი თვალებიც რამეს მალავენ. მის მზერაში ისეთი ხილული სევდაა... დაჯერებაც არ შემიძლია.

- ნეტავ რა გვაკლია?

- წარმოდგენა არა მაქვს. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ ადამიანების ფოტოებს რომ ვუყურებ, მიკვირს: ყველა იცინის, ყველა კმაყოფილია. მეც ცნობილი ადამიანის ცოლი ვარ და ვიცი, მათი ღიმილი მოჩვენებითია. მთელი დღის განმავლობაში ერთობიან, მაგრამ ფიქრისთვის დილა-საღამოს თუ მოიცალეს, ესეც საქმეა. უამრავ კითხვას სვამენ: „რა არის საჭირო პრესის ფურცლებზე მოსახვედრად?“, „როგორ დავმალო, რომ ფუფუნების შესანარჩუნებლად ელემენტარული ფული არ გამაჩნია?“, „როგორ გავმდიდრდე? რა გავაკეთო, სხვებისგან რომ განვსხვავდებოდე?“, „ხომ შეიძლება, ამ მსახიობმა, დღესასწაულის ფოტოზე გაღიმებული რომ მიდგას გვერდით, ხვალ როლი წამართვას?“, „ნეტავ მასზე უკეთესად თუ ჩავიცვამ?“, „რატომ ვიცინით - ჩვენ ხომ ერთმანეთი გვძულს?“ , „რატომ ვყიდით ბედნიერებას გაზეთის მკითხველებზე. ჩვენ ხომ საზოგადოებრივი აზრის უბედური მონები ვართ?“

- სულაც არა ვართ საზოგადოებრივი აზრისა და ჭორების მონები.

- პარანოიკი ხარ! ჩვენზე არ გეუბნები.

- აბა, რა გინდა?

- რამდენიმე წლის წინ გერმანელებზე ერთი საინტერესო რამ წავიკითხე. დავუშვათ, ჰიტლერს მოეგო ომი, გაენადგურებინა ებრაელები, გაეპარტახებინა მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭული, დაერწმუნებინა ხალხი, რომ რეალურად არსებობდა უმაღლესი რასა. იცი, რა მოხდებოდა? ისტორია შეიცვლებოდა. ასი წლის შემდეგ ჰიტლერის მემკვიდრეები ინდიელებსაც ბოლოს მოუღებდნენ. სამასი წლის მერე ზანგებს მოსპობდნენ. ხუთას წელიწადში კი ომის ყოვლისშემძლე მანქანა მთელ დედამიწას დასავლეთის რასად გადააქცევდა. ისტორიის წიგნები ბარბაროსების წინააღმდეგ გამართულ შორეულ ბრძოლებზე ისაუბრებდა, მაგრამ არანაირი

მნიშვნელობა აღარ ექნებოდა წიგნებს, მათ არავინ წაიკითხავდა. ასე რომ, დავუშვათ, ნაციზმის დაბადებიდან ორი ათასი წლის შემდეგ, ტოკიოს ერთ-ერთ ბარში ჰანსი და ფრიტსი ლუდს სვამენ (ჰო, დამავიწყდა, ტოკიოში, უკვე ხუთი საუკუნეა, მაღალი და ცისფერთვალება ხალხი ცხოვრობს), ჰოდა, ამ დროს ჰანსი ფრიტსს უყურებს და ეკითხება:

„ფრიტს! როგორ გგონია, ყოველთვის ყველაფერი ასეთი იყო?“

„რას ნიშნავს „ასეთი“?“ ვერ ხვდება ფრიტსი.

„მსოფლიოზე გეუბნები.“

„აბა რა! მსოფლიო ასეთი იყო, ასე არ ვისწავლეთ?“

„ჰო, რა თქმა უნდა! ვერ გამიგია, რატომ დამებადა ასეთი იდიოტური კითხვა,“ უკვირს ჰანსს.

ლუდის სმას აგრძელებენ. ახალ თემაზე საუბრობენ, ძველს ივიწყებენ.

- შორს წასვლა რა საჭიროა. ორი ათასი წლით უკან დახევაც საკმარისია. შენ რა, მოგეწონებოდა გილიოტინა, სახრჩობელა ან ელექტროსკამი?

- მივხვდი, საითაც მიდიხარ! ყველაზე საშინელი საწამებლისკენ - ჯვარცმისაკენ! ხომ ასეა? გახსოვს, ციცერონი მას „საზარელ სასჯელს“ უწოდებდა, რომელიც სიკვდილის დადგომამდე აუტანელ ტკივილებს იწვევდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს ხალხი ჯვარს ან კისერზე იკიდებს, ან ოთახის კედელზე ჰკიდებს. მოკლედ, რელიგიურ სიმბოლოსთან აიგივებს. ყველამ დაივიწყა, რომ ჯვარი ოდესღაც „წამების ინსტრუმენტი“ იყო.

- მას შემდეგ ორმა საუკუნემ მაინც გაიარა, ვიდრე ვიღაცეები გადაწყვეტდნენ, რომ დრო იყო, წარმართული დღესასწაულებისათვის ბოლო მოეღოთ. თურმე ეს დღესასწაულები, ძირითადად, ზამთარში იმართებოდა; იმ დროს, როცა მზე ყველაზე მეტად შორდებოდა დედამიწას. მოციქულები და მათი მიმდევრები იესოს ქადაგებების გავრცელებით ისე იყვნენ გატაცებულები, არასოდეს შეწუხებულან natalis invict Solis-ზე ფიქრით. მზის დაბადების ეს მისტიკური დღესასწაული 25 დეკემბერს აღინიშნებოდა მანამ, სანამ ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა არ გადაწყვიტა, რომ ამგვარი დღესასწაულები საფრთხეს უქმნიდა რწმენას. მას შემდეგ უკვე გვაქვს შობა, საჩუქრები, სათამაშოები და უდავო ჭეშმარიტება, რაც ყველაზე მთავარია - რწმენა, რომ ქრისტე 25 დეკემბერს დაიბადა.

- ის თუ იცი, საიდან მოდის ნაძვის ხის ტრადიცია?

- არა. წარმოდგენა არა მაქვს.

- ბავშვობაში, თურმე, წმინდა ბონიფაციუსს გადაუწყვეტია წარსულში ღმერთ ოდინისადმი მიძღვნილი რიტუალის გაქრისტიანება. გერმანიკულ ტომებს ასეთი ტრადიცია ჰქონიათ: წელიწადში ერთხელ მუხის ძირას ბავშვებს საჩუქრებს უტოვებდნენ ხოლმე. სჯეროდათ, რომ ამით წარმართულ ღვთაებებს გაახარებდნენ.

- რა დროს ეგაა! ჰანსისა და ფრიტსის ამბავს დავუბრუნდეთ. ეს ცივილიზაცია, ადამიანური ურთიერთობები, ჩვენი სურვილები, დაპყრობები - როგორ გგონია, ისტორიული ფაქტების დამახინჯებით აღწერის შედეგია? სანტიაგოს გზაზე რომ წერდი, მაშინაც ანალოგიური დასკვნა გამოიტანე. ხომ ასეა? გჯეროდა, რომ მხოლოდ „რჩეულთა“ პაწაწინა ჯგუფმა იცოდა მაგიური სიმბოლოების მნიშვნელობა. დღესდღეობით უკვე ფიქრობ, რომ ნებისმიერმა ჩვენგანმა იცის, თუმცა აღარავის ახსოვს სიმბოლოები, უბრალოდ, დავიწყებული გვაქვს.

- ცოდნა არაფერს ნიშნავს. ხალხი მაქსიმალურად ცდილობს ყველაფრის დავიწყებას და იმ უზარმაზარი პოტენციალის გამოყენებაზეც ამბობს უარს, რომელსაც ფლობს - ეს ხომ მათი უნივერსალური გეგმების წონასწორობას დაარღვევს.

- მაგრამ ფაქტია, შეძლებით ყველას შეუძლია, ხომ ასეა?

- გეთანხმები, ასეა. უბრალოდ, გამბედაობა არ ჰყოფნით, რომ ოცნებებსა და ნიშნებს მოუსმინონ. იქნებ სწორედ აქედან მოდის ადამიანური სევდაც?

- არ ვიცი. გადაჭრით ვერც იმას ვიტყვი, შენთან უბედური ვარ-მეთქი. ვერთობი, მიყვარხარ, ვგიჟდები ჩემს საქმეზე. მაგრამ ხანდახან შიშის და დანაშაულის გრძნობა ღრმა სევდას მგვრის. ეს უძირო სევდა ხან გაუჩინარდება, ხან ისევ გამოჩნდება. მერე ჩვენი ჰანსივით უმისამართოდ ვსვამ კითხვას და რადგან პასუხი არ გამაჩნია, უბრალოდ, ვცდილობ, დავივიწყო. იცი? შემეძლო, მშიერ ბავშვებს დავხმარებოდი ან დელფინების დაცვის ასოციაცია დამეფუძნებინა; ან იესოს სახელით ხალხის გადარჩენაც დამეწყო, რა ვიცი, ნებისმიერი რამ შემეძლო, ისეთი, რაც დამიბრუნებდა იმის შეგრძნებას, რომ ვიღაცას ვჭირდები, მაგრამ ესეც არ მინდა. გაიგე?

- აბა, ომში წასვლა რაღა საჭიროა?

- მე მგონი, ომში ადამიანი ზღვარზეა. სიცოცხლის ზღვარზე. ყოველ წამს შეიძლება, მოკვდეს. ზღვარზე მდგარი ადამიანი ყოველთვის განსხვავებულად იქცევა.

- შენ რა, გინდა, ჰანსის შეკითხვას უპასუხო?

- ჰო.

ეს მაშინ იყო! დღეს კი „ბრისტოლის“ ამ მშვენიერ ნომერში, ეიფელის კოშკთან, რომელიც ყოველი საათის ბოლოს ხუთ წუთს ალმასივით ბრწყინავს, თავდახურულ ღვინის ბოთლთან, უკვე მოწეულ სიგარეტთან, ხალხთან, რომელიც ისე მესალმება, თითქოს არანაირი საშინელება არ მომხდარიყოს, ვზივარ და ჩემს თავს ვეკითხები:

იქნებ სწორედ კინოდან გამოსვლის დღეს დაიწყო ყველაფერი? იქნებ არ უნდა მიმეცა უფლება, „დამახინჯებული“ ისტორიის საძებნელად წასულიყო? იქნებ მეტი სიმტკიცე უნდა გამომეჩინა და მეთქვა, დაივიწყე ეგ უაზრო ახირება-მეთქი. ის ხომ ჩემი ცოლი იყო და ჩემგან მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებოდა?!

რა სისულელეა! ახლაც ვიცი და მაშინაც კარგად ვიცოდი: სხვა გამოსავალი არ მქონდა. მის სურვილს უნდა დავყოლოდი. რომ მეთქვა: აირჩიე, ან მე, ან ეგ შენი ომის კორესპონდენტობის იდეა-მეთქი, ყველაფერს ვუღალატებდი; ყველაფერს, რაც ესთერმა ჩემ გამო გააკეთა. და თუმცა „დამახინჯებული“ ისტორიის საძებნელად წასვლის მიზანს არ ვიწონებდი, მაინც დავასკვენი, რომ მას ცოტა თავისუფლება, ძლიერი ემოციებით ცხოვრება სჭირდებოდა. რა იყო ამაში ცუდი?

ამიტომაც დავეთანხმე. კარგად მახსოვდა „მადლის ბანკში“ შეტანილი მისი წვლილი (კარგად დაფიქრდით, ხომ სასაცილოა?). ორი წლის განმავლობაში კონტინენტიდან კონტინენტზე ისე ხშირად დაფრინავდა, თითქოს ფეხსაცმელს იცვლიდა. ყოველთვის, როცა ბრუნდებოდა, ვფიქრობდი, რომ ამჯერად მაინც დაიხევდა უკან და იტყოდა, რომ შეუძლებელია დიდი ხნით იქ ცხოვრება, სადაც არ არის ნორმალური საჭმელი, აბაზანა, კინო ან თეატრი. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა. ვეკითხებოდი, ჰანსის შეკითხვას თუ უპასუხე-მეთქი. - ცოტაც, და მალე ვუპასუხებო, - ამბობდა. სხვა რა გზა მქონდა, ვეთანხმებოდი. ხანდახან თვეობით მიდიოდა შინიდან. ბუნებრივია, მისი საქციელი „ქორწინების ოფიციალურ ისტორიას“ სრულიად ეწინააღმდეგებოდა (ამ დროისათვის, მე უკვე ესთერის ტერმინებით ვსაუბრობდი), მაგრამ, სამაგიეროდ, გამგზავრება ჩვენს ქორწინებას აძლიერებდა და უფრო ნათლად ვხედავდით, რომ ერთმანეთისათვის უმნიშვნელოვანესი ადამიანები ვიყავით. პარიზში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა თავის ზენიტს.

როგორც მივხვდი, მიხაილი იმ დროს გაიცნო, როცა შუა აზიაში რეპორტაჟის გასაკეთებლად თარჯიმანი სჭირდებოდა. თავიდან მის შესახებ დიდი ენთუზიაზმით მიამბობდა: ძალიან მგრძნობიარე ადამიანიაო, სამყაროს სწორედ ისე ხედავს, როგორიც არის, და არა ისე, როგორც გვასწავლიდნენო. თითქოს რაღაც „მაგიურ“ ძალასაც ფლობდა. მასზე ხუთი წლით უმცროსი იყო. ესთერს ისეთი ყურადღებითა და მოთმინებით ვუსმენდი, თითქოს ის ლაწირაკი და მისი იდეები უზომოდ მაინტერესებდა, მაგრამ, სინამდვილეში, ჩემი ფიქრები სხვაგან დაჰქროდა; თავი გამოტენილი მქონდა მომავალ საქმეებზე ფიქრით, იმ აზრებით, ტექსტისთვის რომ მჭირდებოდა; ჟურნალისტებისა და გამომცემლების შეკითხვებზე პასუხებით; ჩემით დაინტერესებული ქალების მოხიბვლის საშუალებებით; წიგნების შესაქმნელად სასარგებლო მოგზაურობების გეგმებით და, რა ვიცი, კიდევ რამდენი რამით.

არ ვიცი, შეიძლება, ესთერი მიხვდა კიდეც. სამაგიეროდ, მე ვერც კი შევამჩნიე, როგორ გაქრა მიხაილი ჩვენი საუბრებიდან, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ცოცხლად არ

მომევლინა და ჩემი ცხოვრება თავდაყირა არ ამოატრიალა. ესთერიც შეიცვალა: თანდათან უფრო რადიკალური ხდებოდა, კვირაში რამდენჯერმე ღამღამობით სახლიდან გადიოდა. ამბობდა, მათხოვრებზე და მიუსაფრებზე რეპორტაჟებს ვაკეთებო.

ვიფიქრე, მის თავს რაღაცა ამბავია-მეთქი. მთელ ერთ კვირას ვიტანჯებოდი. მერე საგონებელში ჩავვარდი, როგორ ჯობდა, ჩემი ეჭვები გამეზიარებინა, თუ თავი ისე დამეჭირა, ვითომ არაფერიც არ ხდებოდა. ბოლოს გადავწყვიტე, ყურადღება არ მიმექცია „თვალებისათვის, რომლებიც ვერ ხედავენ გულს, რომელიც ვერაფერს გრძნობს“. ასე რომ, მას სრული თავისუფლება მივანიჭე. თუმცა, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, გაუგებარია, ამდენი ძალისხმევის შემდეგ, როცა საკუთარი თავი მაპოვნინა, როგორღა შეძლო, ჩვენი ვნებისათვის გაუჩინარების უფლება მიეცა.

მე კი, თუ ოდნავ მაინც მაინტერესებდა მისი პირადი სამყარო, ერთხელ მაინც რატომ არ ვკითხე, რა დაემართა თარჯიმანს ან სად გაქრა მისი „მაგიური“ მგრძნობიარობა. აუცილებლად უნდა დავეეჭვებინე ასეთ სიჩუმეს; ერთხელ მაინც უნდა მეთხოვა, შენთან ერთად წამოვალ რომელიმე რეპორტაჟზე-მეთქი.

რამდენჯერაც მკითხა, ჩემი სამუშაო თუ გაინტერესებსო, იმდენჯერ ვუთხარი, მაინტერესებს, მაგრამ ჩარევას არ ვაპირებ, მინდა, თავისუფალი იყო და შენი ოცნება ისე განახორციელო, როგორც შენ გსურს-მეთქი.

ცხადია, ყველაფერი მაინტერესებდა, მაგრამ ადამიანების ტვინი ასეა მოწყობილი: მხოლოდ ის სჯერა, რაც უნდა, რომ სჯეროდეს. ესთერსაც სჯეროდა.

ამ წუთებში ინსპექტორის ნათქვამი მიტრიალებს თავში. აი, ის, ციხიდან გამოსვლისას რომ მითხრა: თავისუფალი ხარო. მაინც, რა არის თავისუფლება? როცა ქმრისათვის სულერთია, რას აკეთებს ცოლი? ან იქნებ ის, როცა ისეთი მარტოსული ხარ, რომ ყველაზე ინტიმური გრძნობების გამზიარებელიც კი არა გყავს, რადგან, საუბედუროდ, სამუშაოში და შესანიშნავ, ბრწყინვალე კარიერაში თავჩარგულ ადამიანზე დაქორწინდი?

ისევ ეიფელის კოშკს შევყურებ. კიდევ ერთი საათი გასულა და ისევ ბრილიანტივით ბრწყინავს. ნეტავ მერამდენე საათი შესრულდა, რაც აქ, ამ ფანჯარასთან ვზივარ?

მაშინ „თავისუფლების“ სახელით ვისარგებლე და არც კი შევიმჩნიე, როგორ გაუჩინარდა ესთერის საუბრებიდან მიხაილის სახელი. ახლა კი, ამ ბარში, ჩემს ფიქრებში ხელახლა გამოჩენილი მიხაილი ისევ მაშინდელივით გაქრა და თან ჩემი ცოლიც წაიყოლა. მე კი, სახალხო და ცნობილი მწერალი, დამტოვა დანაშაულში ეჭვმიტანილ ვიგინდარასავით. და, რაც ყველაზე აუტანელია, არათუ დამტოვა, მიტოვებულ კაცადაც მაქცია.

ჰანსის შეკითხვა

ბუენოს-აირესში ზაჰირს ჩვეულებრივ მონეტას უწოდებენ; მე-18 საუკუნეში გუჯარათში ზაჰირს ვეფხვს ეძახდნენ; ჯავაში ზაჰირი ბრმა მოხუცი იყო, რომელიც მეჩეთთან მორწმუნეებმა ჩაქოლეს; მაჰდის ციხეში ზაჰირი პატარა კომპასი იყო, რომელსაც 1892 წელს რუდოლფ კარლ ფონ სლატინი შეეხო...

ესთერის გაუჩინარებიდან ერთი წლის შემდეგ, ერთ დილით ხორხე ლუის ბორხესზე ფიქრმა გამაღვიძა. ერთხელ ნანახი და განცდილი ხომ არასოდეს ეძლევა დავიწყებას. მანამდე ებღაუჭება ტვინის ხვეულებს, სანამ სიგიჟემდე არ მიგიყვანს. ჩემი ზაჰირი არც ბრმის მეტაფორულ რომანტიზმს, არც სამიზნეებს, არც ვეფხვსა და არც მონეტებს არ უკავშირდება.

ჩემს ზაჰირს სახელი აქვს და მას ესთერი ჰქვია.

ციხიდან გამოსვლის მერე სენსაციური ჟურნალის ფურცლები ნაირ-ნაირი ინფორმაციით აჭრელდა: წერდნენ შესაძლო დანაშაულზე, თუმცა არშემდგარი პროცესის გამო, სტატიას ყოველთვის ჩემი „უდანაშაულობის“ მტკიცებით ამთავრებდნენ: „მწერალი გათავისუფლებულია“ (გათავისუფლებული? ნეტავ როდის ვიყავი დაჭერილი?). მერე სულ რაღაც ერთ კვირას შეისვენებდნენ და ისევ თავიდან იწყებდნენ (თუ წიგნები შეუფერხებლად იყიდებოდა, აი, მაშინ კი „ეჭვმიტანილი მწერალი“ ვხდებოდი, მოკლედ, ის ადამიანი, რომელიც სულიერებაზე წერს და თვითონ კი თავში ბნელი „რაღაც“ უტრიალებს). ამტკიცებდნენ, რომ ესთერი იმიტომ გაიქცა, ქმრის ექსტრაორდინარული თავგადასავლების შესახებ შეიტყოო. რომელიღაც გერმანული გაზეთი იტყობინებოდა, თითქოს ნორვეგიაში, ოსლოში, ჩემზე ოცი წლით უმცროს მომღერალს ვხვდებოდი (ისე, მართალი იყო, მაგრამ ეს შეხვედრა სულ სხვა მიზეზით შედგა: მეგობარმა მთხოვა და ერთხელ ამ გოგონასთან ვივახშმე. სულ ეს იყო. სხვათა შორის, იმ მომღერალმა მოგვიანებით განაცხადა, ჩვენ შორის მხოლოდ საქმიანი ურთიერთობააო (თუმცა ჟურნალის გარეკანზე მაინც გამოჩნდა ჩვენი ფოტო) და, სხვათა შორის, „ჩემმა კეთილისმსურველმა გოგონამ“ ინტერვიუს დროს „შემთხვევით“ აღნიშნა, ახალ დისკს ვუშვებო. მოკლედ, მეც და გაზეთიც სარეკლამოდ გამოგვიყენა.

ასე თუ ისე, ჭორმა იბორგა, იბორგა, მაგრამ სკანდალი დიდხანს არ გაგრძელებულა: ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში, ადამიანთა უნდობლობა მხოლოდ მიღებული კი არა, გამართლებულიცაა. არავის მოსწონს ისეთი ამბების კითხვა, რომელიც შეიძლებოდა, ნებისმიერს შემთხვეოდა.

ამიტომაც „ჩემი“ თემა ჟურნალ-გაზეთების თავფურცლებიდან მალე გაქრა, თუმცა გარკვეული ჰიპოთეზები შიგადაშიგ მაინც ჩნდებოდა. მაგალითად, ერთი მსახურის ფოტო. ეს მსახური ირწმუნებოდა, ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდაო. იხსენებდა,

როგორ ვიკამათეთ მე და ესთერმა ვიღაც ჩრდილოამერიკელი მწერლის გამო. ზოგი ამბობდა, რაც მოხდა, იმის ბრალია, რომ ქმარი ცოლს ცუდად ეპყრობოდაო. ერთი ინგლისური გაზეთი იმასაც ამტკიცებდა, თითქოს ჩემი ცოლი ისლამური ტერორისტების რომელიღაცა იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო. მაგრამ ამ განცხადებას განსაკუთრებული გამოხმაურება არ მოჰყოლია.

გავიდა დრო. ღალატით, განქორწინებებით, მკვლელობებით სავსე, საფრთხის მუდმივი მოლოდინით მცხოვრებმა ქვეყანამ ერთ თვეში ყველაფერი დაივიწყა. წლების გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ასეთი ტიპის განცხადებები ჩემს ერთგულ მკითხველს ნაკლებად აინტერესებს. ამას ცხადყოფს ერთი ამბავი: რამდენიმე წლის წინ არგენტინული ტელევიზიის ერთ-ერთ პროგრამაში გამოჩნდა ჟურნალისტი, რომელიც ჩილეს მომავალ პირველ ლედისთან ჩემს საიდუმლო პაემნებზე ყვებოდა, მაგრამ ჩემი წიგნები მაინც ყველაზე კარგად იყიდებოდა. რომელიღაც ამერიკელ მსახიობს ისიც კი წამოსცდა, ეს რა სკანდალია - თხუთმეტ წუთში დასრულდაო. მაგრამ მე სულ სხვა რამ მაწუხებდა. მაწუხებდა ჩემი მომავალი ცხოვრება, ახალი სიყვარულის პოვნა, ახალი ნაწარმოების შექმნა და სიყვარულისა და სიძულვილის ზღვარზე გაჩენილ პაწაწინა ყუთში ჩემს ცოლთან დაკავშირებული მოგონებების შენახვა. ან, უკეთესად რომ ვთქვა, ჩემს მეხსიერებაში ექსცოლის არსებობისთვის საბოლოო წერტილის დასმა.

გავიდა დრო და ზოგიერთი რამ მართლაც ისე მოხდა, როგორც იმ საღამოს სასტუმროს ოთახში წარმოვიდგინე. მე საკმაოდ დიდხანს არ გავსულვარ შინიდან: არ ვიცოდი, როგორ შემეხედა მეგობრებისათვის თვალებში და როგორ მეთქვა: „იცით, ჩემმა ცოლმა ვიღაც ახალგაზრდა კაცის გამო მიმატოვა“. გგონიათ, ვინმე რამეს მეკითხებოდა? არა. რამდენიმე ჭიქა ღვინის დალევის შემდეგ თავს ვალდებულად ვთვლიდი, რამე მომეყოლა. თითქოს მათ აზრებს ვკითხულობდი; თითქოს, ჩემი ცხოვრების გარდა, სხვა საზრუნავი არ ჰქონდათ ან მეტისმეტად კარგად აღზრდილები იყვნენ იმისათვის, რომ არაფერი ეკითხათ.

მოკლედ, ჩემს გუნებაზე იყო დამოკიდებული: ხან ვამბობდი, ესთერი ისეთი ქალია, მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებს-მეთქი; ხან კი გამყიდველს, მოღალატეს ვემახდი (მან ხომ ისეთ გამოუვალ სიტუაციაში ჩამაგდო, რომ ლამის კრიმინალშიც დამდეს ბრალი).

მეგობრები, ნაცნობები, გამომცემლები - ყველა, ვისთანაც ვალდებული ვიყავი, საღამოს წვეულებებზე მევლო, - თავიდან დიდი ცნობისმოყვარეობით მისმენდნენ. მოგვიანებით შევამჩნიე, რომ თანდათან თემის შეცვლას ცდილობდნენ - რაღაც მომენტში ჩემი მონოლოგი ინტერესს იწვევდა, თუმცა ყოველდღიური განხილვის საგანს აღარ წარმოადგენდა. მათთვის გაცილებით საინტერესო იყო, ვიღაც მომღერალმა ვიღაც მსახიობი რომ მოკლა, ან ვიღაც თინეიჯერმა ცნობილი პოლიტიკოსების თავგადასავლებზე წიგნი რომ დაწერა. ერთ დღეს კი საბოლოოდ

დავრწმუნდი: თანდათან იკლო წვეულებებისა და ოფიციალური ვახშმების რიცხვმა, თუმცა ამ დროს თითქმის უკვე კარგად ვგრძნობდი თავს, ესთერის წყევლა-ლოცვასაც შევეშვი, მაგრამ, როგორც ჩანს, დამაგვიანდა.

ახლა მე მოღალატე ქმარზე უარესი ვიყავი - გაუწონასწორებელი ადამიანი, რომელსაც ყველა გაურბოდა.

როგორც კი საბოლოოდ გადავწყვიტე, ჩუმად, ჩემთვის დავტანჯულიყავი, ჩემი საფოსტო ყუთი ისევ მოსაწვევებით აივსო.

მაგრამ ჩემი ზაჰირი, რომლზეც ხან ზიზღით ვფიქრობდი, ხან - სიყვარულით, სულში თანდათან იზრდებოდა. ყველა ქალში ესთერს ვეძებდი: ბარებში, კინოში, ავტობუსის გაჩერებაზეც კი ის მელანდებოდა. რამდენიმეჯერ ტაქსის მძღოლი შუა ქუჩაში გავაჩერე და ვიღაც უცნობ ქალს გავეკიდე - ესთერს მივამსგავსე. მოკლედ, ცხოვრება აუტენელი გახდა.

ფიქრები ზაჰირით იყო გაჟღენთილი. სასწრაფოდ „შხამსაწინააღმდეგო“ ვაქცინა მჭირდებოდა, ისეთი, რაც უიმედობის ჭაობიდან ამომათრევდა.

ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ვიპოვე, ახალი საცოლის ძებნა იყო.

სამი-ოთხი მიმზიდველი ქალი გავიცანი, ოცდათხუთმეტი წლის ფრანგი მსახიობითაც დავინტერესდი. მარი ერქვა - სხვათა შორის, ახალ ნაცნობებში ერთადერთი ქალი იყო, ვისაც არ უთქვამს: „როგორც კაცი, ისე მომწონხარ, და არა ისე, როგორც პოპულარული ადამიანი, რომელსაც ნებისმიერი ქალი სიამოვნებით გაიცნობდაო“. ან უფრო უარესი: „გახსოვდეს, შენი ფული არ მაინტერესებსო“. მარის ასეთი სისულელეები არასოდეს წამოუროშავს.

გულწრფელად მხოლოდ მას უხაროდა ჩემი წარმატება, ისიც ცნობილ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა და ზუსტად იცოდა, რომ საზოგადოებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. იცოდა, ისეთ ადამიანთან ცხოვრება, რომლისთვისაც სხვა ქალებისაგან არაფრით განსხვავდები, ძალიან რთულია, მაგრამ იყო ამ ურთიერთობაში რაღაც ისეთი, რაც მის „ეგოს“ აკმაყოფილებდა.

მიღებებსა და წვეულებებზე ხშირად ერთად გვხედავდნენ. იმ უამრავი ჭორიდან, ჩვენს შესახებ რომ შეითხზა, არც არაფერს უარვყოფდით, არც არაფერს ვადასტურებდით. მითქმა-მოთქმა ჰაერში რჩებოდა, თუმცა გაზეთის ფურცლები უშედეგოდ, მაგრამ მაინც ელოდნენ „რომანტიკული ამბორის“ აღმბეჭდავ ფოტოს. მეც და მარიც ყველაფერს სახალხო სპექტაკლის ვულგარულ გამოვლენას მივაწერდით და ზომებსაც შესაბამისად ვიღებდით. მას თავისი საქმე ჰქონდა, მე - ჩემი. როცა შემეძლო, მე ჩავდიოდი მილანში; როცა შეეძლო, ის ჩამოდიოდა პარიზში. ერთად ვიყავით, თუმცა ერთმანეთის მიმართ არანაირ ვალდებულებას არ ვკისრულობდით.

მარიმ იცოდა, რა ხდებოდა ჩემს სულში, მე ვიცოდი, რა ხდებოდა მის სულში (ამ ქალს შეეძლო ნებისმიერი კაცისთვის შეეყვარებინა თავი, გარდა თავისი მეზობლისა). მოკლედ, მეგობრები ვიყავით, ვერთობოდით და თავს არ ვუტყდებოდით, რომ მე ესთერის მსგავსი სიყვარულისათვის არ მყოფნიდა სივრცე, მას - თავისი ცოლიანი მეზობლის მსგავსი სიყვარულისთვის.

ისევ დავიწყე ავტოგრაფების ჩამორიგება, კონფერენციებში მონაწილეობის მიღება, სტატიების წერა, საქველმოქმედო ვახშმებზე სტუმრობა, სატელევიზიო პროგრამებში გამოჩენა. ყველაფერი თავიდან დავიწყე - გარდა წერისა.

მაგრამ ეს სრულებით არ მაღელვებდა, სულის სიღრმეში მჯეროდა, რომ სამწერლო კარიერა სამუდამოდ დამთავრდა, რადგან ის, ვინც ჩემს ოცნებას ფრთები შეასხა, გვერდით აღარ მყავდა. თითქოს იმ ოცნების დროს საკმარისად ვიცხოვრე; თითქოს იქამდე მივაღწიე, სადამდეც ბევრი ვერ მიდის, და ახლა უკვე შემეძლო, დარჩენილი ცხოვრება გართობისათვის დამეთმო.

დილაობით სხვა ვერაფერზე ვფიქრობდი, მაგრამ საღამოობით ვხვდებოდი, რომ ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მხიბლავდა, წერა იყო. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მეცადა და შემექმნა რამე ახალი. და მეც ღამღამობით ვცდილობდი ძველი ოცნების განხორციელებას.

მომდევნო წელი ესპანეთში წმინდა კომპოსტელას წელი იყო. სხვათა შორის, წმინდა კომპოსტელას დღე, 25 ივლისი, რატომღაც, ყოველთვის კვირას ემთხვევა. ამ წელს ტაძრის მთავარი კარი 365 დღის განმავლობაში ღიაა. ტრადიციის მიხედვით, ვინც ტაძარში ამ კარით შევა, დალოცვილი იქნება.

ესპანეთში, მოგეხსენებათ, უამრავი დღესასწაულია. და რადგან მოგზაურობა ისევ მხიბლავდა, გადავწყვიტე, ბასკების ქვეყანაში წავსულიყავი, რომ იანვრის თვეში იქ გამართულ ერთ შესანიშნავ დღესასწაულს დავსწრებოდი. ეს იყო საუკეთესო გამოსავალი: გავექცეოდი ყველაფერს, ბორბალივით რომ ბრუნავდა ჩემს თავზე: წიგნის დაწერის მცდელობას, მიღებებს, აეროპორტებს, მილანში მარისთან სტუმრობას, ვახშამს, სასტუმროებს, ინტერნეტს, ისევ - აეროპორტს, ისევ - ინტერვიუებს, ისევ - მიღებებს...

ასეც მოვიქეცი - წინ მანქანით გასავლელი 1400 კილომეტრი მელოდა.

ის ადგილებიც კი, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ, ჩემს განსაკუთრებულ ზაჰირს მახსენებდა: ალბათ, ამ რესტორანში სადილი მოეწონებოდა; ეს პეიზაჟი მოხიბლავდა. ღამის გასათევად ბაიონში ვჩერდები, სანამ თვალებს დავხუჭავ, ტელევიზორს ვრთავ. მოულოდნელი და საშინელი თოვლის ნამქერის გამო, დაახლოებით, 5000-მდე სატვირთო მანქანა საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზეა გაჩერებული.

პარიზზე ფიქრით მეღვიძება, შესანიშნავი მიზეზი მაქვს შეხვედრების გადასადებად. ორგანიზატორებმა, ალბათ, უკვე იციან - მოძრაობა შეუძლებელია, ასფალტი მოყინულია, ესპანეთისა და საფრანგეთის მთავრობები რჩევებს იძლევიან: ავარიის რისკი ძალიან დიდია და კვირის ბოლოს სახლიდან არ გამოხვიდეთო. დღეს გუშინდელზე საშიში სიტუაციაა. დილის გაზეთი იტყობინება, 17000 ადამიანი ბლოკირებულია, სამოქალაქო თავდაცვა მობილიზებულია, რომ დაზარალებულებს სურსათ-სანოვაგითა და სახელდახელოდ მოძიებული პალტოებით მაინც დაეხმარონ. მანქანებს საწვავი გაუთავდათ და გათბობას ვეღარ რთავენო.

სასტუმროში მიხსნიან: თუ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება წასვლა.

ყურს არ ვუგდებ. ინსტინქტურად ვამჯობინებ, გზა გავაგრძელო: თითქოს შიგნიდან ვიღაცა მიბიძგებს მოყინული ასფალტისკენ, მანქანების გრძელი ჯაჭვისაკენ.

ალბათ, ის ვიღაც თუ რაღაც, ქალაქის სახელი ვიქტორიაა! ან იქნებ, უბრალოდ, კომფორტს მეტისმეტად მივეჩვიე და კრიზისულ სიტუაციებში იმპროვიზების უნარი დავკარგე? მაგრამ იმ ხალხის ენთუზიაზმი, ყურადღების მისაქცევად საუკუნეების წინ აშენებული ტაძრის აღდგენას რომ ცდილობს, თავისთან მიხმობს. აქ დარჩენა არ შემიძლია. ჩემ გარდა, რამდენიმე მწერალი ეყოლებათ მიწვეული. მახსენდება: ძველი ამერიკელი დამპყრობლები ამბობდნენ: აუცილებელი არ არის, რომ იცხოვრო, მაგრამ აუცილებელია, იმოგზაუროო.

მეც ვიმოგზაურებ.

დიდი ხნის ჯახირის შემდეგ, როგორც იქნა, ვიქტორიაში ჩავაღწიე. ხალხი ჯერ კიდევ მელოდა.

- ოცდაათი წელია, ასეთი ნამქერი არ ყოფილა. მადლობას მოგახსენებთ ჩამობრძანებისათვის. ახლა უკვე შეგვიძლია, ოფიციალურ პროგრამას მივხედოთ და სანტა მარიას ტაძარს ვეწვიოთ, - ორგანიზატორი მოკრძალებულად იღიმება.

გვერდით ახალგაზრდა ქალი მომყვება. თვალები უცნაურად უბრწყინავს. ტაძრის ისტორიას მიყვება: თავიდან, თურმე, უზარმაზარი კედელი ყოფილა, მერე კედლის ერთი ნაწილი სამლოცველოს ასაშენებლად გამოუყენებიათ. მას შემდეგ ათობით წელმა განვლო, სამლოცველო ჯერ ეკლესიად გადაიქცა, საუკუნის ბოლოს კი - გოთურ ტაძრად.

დამარცხებების გარდა, ტაძარს გამარჯვებებიც ახსოვს. მოგვიანებით სამშენებლო პრობლემებმა იჩინა თავი. იძულებულნი იყვნენ, ტაძარი ცოტა ხნით მიეტოვებინათ, მაგრამ „ვაი რეფორმებმა“ მისი წინანდელი სახე დაარღვია.

გავიდა დრო და ახლა ახალი თაობა შეეცადა პრობლემის გადაწყვეტას. შეადგინეს რეკონსტრუქციის გეგმა. კედელი ხან იქით გადასწიეს, ხან - აქეთ. მთავარი ძელი მოაშორეს, მეორე მხრიდან კი ჯერ მინის კარი შეაბეს, მერე ისიც ჩამოხსნეს.

მაგრამ ტაძარმა ყველაფერს გაუძლო.

ახლა მეც ამ უძველესი ტაძრის ნანგრევებზე მივაბიჯებ და თვალნათლივ ვხედავ „ნამდვილ რეფორმებს“. არქიტექტორები ირწმუნებიან, საუკეთესო გადაწყვეტილებები მივიღეთო. ჯერჯერობით კი ირგვლივ მიმოფენილი ლითონის კონსტრუქციები და ხარაჩოები მომავალ გეგმებსა და წარსულის ზოგიერთ შესწორებებზე თხზავენ თეორიებს.

მოულოდნელად აკლდამის შუაგულში გავშეშდი. მივხვდი, რომ უმნიშვნელოვანესი რამ აღმოვაჩინე: ტაძარი მე ვარ! და არა მარტო მე! ყველა ჩვენგანი ტაძარია. ვიზრდებით, ვიცვლით ფორმას, პირისპირ ვეჩეხებით საკუთარ სისუსტეებს, რომლებსაც აუცილებლად ვიღაც შეგვისწორებს, გვიჭირს საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, წინ მივდივართ და თავაწეულები ვცდილობთ, არ შევცდეთ. ფანჯრებს, კარებსა და კედლებს კი არა, სულში ღრმად ჩაკირულ ცარიელ სივრცეებს ვაფასებთ, ქედს ვუხრით და ისე ვეთაყვანებით, თითქოს უაღრესად ძვირფასი და მნიშვნელოვანი რამ იყოს.

ჰო! ნამდვილად ასეა! მე ტაძარი ვარ, მაგრამ რა შეიძლება იყოს იქ, შიგნით, ჩემს ცარიელ სივრცეში?

რა კი არა, ვინ! ვინ და - ესთერი, ჩემი ზაჰირი.

ესთერმა ყველაფერი შეავსო. ის ერთადერთია, ვის გამოც ვცხოვრობ.

ძლივს გამოვფხიზლდი. გარშემო მიმოვიხედე. კონფერენციისათვის უნდა მოვემზადო. ახლა ვხვდები, რატომ მოვინდომე, ნამქერსა და მოლიპულ გზას პირისპირ შევჯახებოდი: არ უნდა დამვიწყებოდა, რომ აუცილებელია საკუთარი თავის მუდმივი ძიება და (პირველად, ჩემი არსებობის მანძილზე) აღიარება იმისა, რომ ნებისმიერი სხვა ადამიანი ჩემს თავზე მეტად მიყვარს.

პარიზისკენ მიმავალი (მეტეოროლოგები უკვე უკეთეს პროგნოზს აკეთებენ) ტრანსში ვვარდები: აღარაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ გზაზე გაჭიმულ საცობს მივჩერებივარ ყურადღებით.

შინ მისული მოსამსახურე ქალს ვთხოვ, არავინ შემაწუხოს, თვითონაც ღამე იქ გაათიოს, სადაც ჩემი არყოფნის დროს ათევდა, წასვლამდე კი საუზმე, სადილი და ვახშამი მომიმზადოს. ჩემს ოთახში ვიკეტები. ინტერნეტთან დამაკავშირებელ პაწაწინა აპარატზე ფეხებით ვდგები და ნამსხვრევებად ვაქცევ. მობილურ ტელეფონს ქაღალდში ვახვევ და გამომცემელს ვუგზავნი თხოვნით - უკან არ დამიბრუნოს, სანამ პირადად არ მივალ წამოსაღებად.

ერთი კვირის განმავლობაში დილაობით სენის ნაპირზე ვსეირნობ, შინ დაბრუნებული კი ისევ კაბინეტში ვიკეტები და ისე გამალებით ვწერ, თითქოს სათქმელს ანგელოზის ხმა მკარნახობდეს. მე წიგნს ვწერ - უფრო სწორად, წერილს, თან - გრძელ წერილს, ჩემი ოცნების ქალისათვის; ქალისათვის, რომელიც მიყვარს და რომელიც ყოველთვის მეყვარება. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს ეს წიგნი მის ხელში აღმოჩნდეს, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, ჩემი სული მაინც სიმშვიდითაა სავსე. აღარ ვეომები ჩემს საამაყო ჭრილობებს და აღარც ესთერის აჩრდილს დავეძებ ბარებში, კინოებში, ვახშმებზე, საგაზეთო სტატიებსა და მარიში.

პირიქით, ახლა კმაყოფილი ვარ, რომ ესთერი არსებობს და მადლობას ვწირავ. სწორედ მან მაჩვენა, რომ ისეთი სიყვარული შემძლებია, როგორზედაც წარმოდგენაც არ მქონდა. მე თავს ვანებებ ზაჰირს - უბრალოდ, უფლებას ვაძლევ, საითაც უნდა, იქით წამიყვანოს: ან სიწმინდისაკენ, ან - სიგიჟისაკენ.

წიგნი, რომლის სათაურიც ეკლესიასტეს ერთ-ერთი ლექსის საფუძველზე შეიქმნა, აპრილის ბოლოს გამოვიდა და მაისის ბოლოს უკვე ბესტსელერების წიგნების სათავეშიც მოექცა. „დრო ჭრისა და დრო კერვისა“, – ასე ერქვა ჩემს ახალ წიგნს. ლიტერატურული გაზეთების თავდასხმა აშკარად გაორმაგდა. გაზეთებიდან ძირითადი კომენტარების ამოჭრა განვაახლე და, წინა წლების კრიტიკასთან ერთად, რვეულში ჩავაკარი. სხვათა შორის, ახლაც თითქმის იმავეს წერდნენ, მაგრამ ამჯერად - უფრო მარტივად. მხოლოდ სტატიის სათაურები იცვლებოდა.

„...და კიდევ ერთხელ, ჩვენს ამაღელვებელ და ხმაურიან დროში, ავტორი სიყვარულის ისტორიებით ცდილობს რეალობიდან გაქცევას“ (თითქოს სიყვარულის გარეშე შეიძლებოდეს ცხოვრება).

„...ფრაზები ძალიან მოკლეა, სტილი - ზედაპირული“ (თითქოს გრძელი ფრაზები ქმნიდეს ღრმა სტილს).

„ავტორმა წარმატების საიდუმლოს მიაგნო - ეს მარკეტინგია“ (თითქოს დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანაში დავიბადე და პირველივე წიგნის გამოცემისას ბედი მწყალობდა).

„როგორც ყოველთვის, ახლაც იყიდება მისი წიგნები, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კაცობრიობა არ არის მზად, წინ აღუდგეს იმ ტრაგედიას, რომელიც გარს გვაკრავს (თითქოს იცოდნენ, რას ნიშნავს მზად ყოფნა)“.

ზოგიერთი ტექსტი ოდნავ განსხვავებული იყო - შენიშვნების სახით იხსენებდნენ მოვლენებს. წერდნენ, რომ წინა წლის სკანდალი ჩემს სასარგებლოდ, ანუ მეტი ფულის მოსაგებად გამოვიყენე. ასე თუ ისე, ჩვეულებრივი ამბავი მოხდა: უარყოფითმა კრიტიკამ ხელი შეუწყო ჩემი ნამუშევრის გავრცელებას. რაღა თქმა უნდა, ერთგული მკითხველები წიგნებს ისედაც ყიდულობდნენ, მაგრამ ისინი, ვისაც დავიწყებული ჰქონდათ ძველი სკანდალი, ხელახლა იხსენებდნენ, ცდილობდნენ,

ესთერის გაუჩინარების ჩემეული ვერსია მოესმინათ (მაგრამ ჩემი წიგნი ხომ, უბრალოდ, სიყვარულისადმი მიძღვნილი ჰიმნი იყო და არა გაუჩინარების აღწერა, ამიტომ იმედგაცრუებულები, კრიტიკოსების სტატიებს დიდი ამბით დაჰფოფინებდნენ). ასე იყო თუ ისე, ახალი ნაწარმოები კვლავ ყველა ქვეყანაში იყიდებოდა. გამომცემლობაში გაგზავნამდე მარის წავაკითხე. არ შევმცდარვარ: ჩემმა წარმატებამ ძალიან გაახარა. სხვა ქალი, ალბათ, ეჭვიანობის სცენებს მომიწყობდა და მეტყოდა, რომ ასე საჯაროდ ჩემი სულის სიღრმეების გამოფენა არ შეიძლებოდა, მაგრამ მარიმ გამამხნევა: „არ გაჩერდე, სულ წინ იარეო“. სწორედ იმ პერიოდში ერთი უცნობი მისტიკოსის ნაშრომს კითხულობდა და საუბარში ხშირად იშველიებდა ხოლმე მის ციტატებს.

- როცა ხალხი გაქებს, საკუთარ მოქმედებებს მეტი ანგარიში უნდა გაუწიო.

- კრიტიკოსები მე არასოდეს მაქებენ.

- კრიტიკოსებზე კი არა, მკითხველებზე გეუბნები. ამ ბოლო დროს იმდენი წერილი მიიღე, შეიძლება, დაიჯერო, რომ საუკეთესო ხარ და მეტისმეტად თვითდაჯერებული გახდე. ეს კი, დამერწმუნე, ძალიან საშიშია.

- იმ ტაძრის დათვალიერების შემდეგ მე მართლა მგონია, რომ ადრინდელზე უკეთესი გავხდი. მკითხველების წერილებთან ამას რა საერთო აქვს? და თანაც, შეიძლება, აბსურდულად მოგეჩვენოს, მაგრამ მე სიყვარული აღმოვაჩინე.

- გენიალურია! შენი ახალი წიგნიდან ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ არც შენს ექსცოლს და არც საკუთარ თავს არაფერში ადანაშაულებ.

- უბრალოდ, ვისწავლე, რომ მსგავს სისულელეებზე არ შეიძლება დროის დაკარგვა.

- ძალიან კარგი. სამყარო შენ გარეშეც მოახერხებს ჩვენი შეცდომების გამოსწორებას.

- შენ რა, ესთერის გაუჩინარებას „შეცდომების გამოსწორებასთან“ აიგივებ?

- იცი, რა, მე შენი ტრაგედიებისა და ტანჯვისა არაფერი გამეგება. ტრაგედია და ტკივილი ცხოვრების ნაწილია და არ შეიძლება, სასჯელივით აღიქვა. როცა შეცდომებს ვუშვებთ, სამყარო ყოველთვის გვანიშნებს და ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს - მეგობრებს გვართმევს. შენც ასე დაგემართა. თუ ვცდები?!

- იცი, ახლა აღმოვაჩინე: ნამდვილი მეგობრები ლხინის დროს გიდგანან გვერდით, გამარჯვებები უხარიათ, სიხარულში არ გტოვებენ, ყალბი მეგობრები კი მხოლოდ გასაჭირში ჩნდებიან, საოცრად მოწყენილ, „სოლიდარობის“ გამომხატველ სახეებს მიიწებებენ და ხვდები, რომ შენი ტკივილი მათთვის თავიანთი უჟმური ცხოვრების მალამოა და მეტი არაფერი. შარშანდელი კრიზისის დროს ისეთი ადამიანები მაკითხავდნენ, მანამადე თვალიც რომ არ მომიკრავს. მძულს ასეთი ფარისევლობა!

- მეც!

- იცი, მარი, ღმერთს მადლობას ვწირავ, შენ რომ გაგიცანი.

- მაინცდამაინც ნუ იჩქარებ, ძვირფასო. ჩვენი ურთიერთობა არც ისე ძლიერია. თუმცა, ამ ბოლო დროს სერიოზულად ვფიქრობ, ან შენ გთხოვო საცხოვრებლად მილანში გადმოსვლა, ან მე გადმოვბარგდე პარიზში. არა მგონია, ამით ჩვენს სამსახურებს რამე დაუშავდეთ. შენ ყოველთვის შინ მუშაობ, მე - სხვადასხვა ქალაქებში. აბა, რას იტყვი? სასაუბრო თემა ხომ არ შეგვეცვალა?

- ჰო, ასე აჯობებს.

- კი ბატონო. შენი ახალი წიგნი დიდი გაბედულებით არის დაწერილი. ერთადერთი, რაც მაკვირვებს, ის არის, რომ იმ ბიჭზე სიტყვაც არ გითქვამს.

- ის ბიჭი არ მაინტერესებს და იმიტომ.

- როგორ არ გაინტერესებს! ერთხელ მაინც დადგება დრო, როცა იკითხავ, რატომ აირჩია შენმა ცოლმა „ის.“

- არ ვიკითხავ.

- იტყუები. აი, მე კი ძალიან მაინტერესებს, ჩემი მეზობელი რატომ არ ეყრება თავის უინტერესო, მუდმივად მოღიმარ ცოლს, რომელიც სულ შინ ზის, საჭმელს აკეთებს, ბავშვებს უვლის და კომუნალურ გადასახადებს იხდის. ისე მაინტერესებს, ერთი სული მაქვს, ვკითხო. ჰოდა, წარმოიდგინე, თუ მე მინდა, ესე იგი, ოდესმე შენც მოგინდება იმ შეკითხვის დასმა.

- რა გინდა, გამაგებინე. გითხრა, რომ მძულს, რადგან ცოლი წამართვა?

- პირიქით, მე მინდა, რომ აპატიო.

- არ შემიძლია.

- ჰო, ძალიან ძნელია. მაგრამ არჩევანი არა გაქვს. თუ არ აპატიებ, ვერასოდეს ვერ მოიშორებ დანაშაულის გრძნობას, არასოდეს არ გაგიყუჩდება ტკივილი. მოძებნე, შეიყვარე და პატივი ეცი-მეთქი, - ხომ არ გეუბნები. მართლა, რა ჰქვია?თუ არ ვცდები, რუსული სახელი უნდა ჰქონდეს, არა?

- რა მნიშვნელობა აქვს.

- ხედავ? სახელის წარმოთქმაც არ გინდა. ცრურწმენაა თუ რა გჭირს?

- არაფერიც არ მჭირს. თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი: მიხაილი ჰქვია.

- სიძულვილის ენერგია ვერსად წაგიყვანს, ჩემო კარგო, მაგრამ პატიების ენერგია, სიყვარულის მიღმა რომ იმალება ხოლმე, შენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

- ტიბეტელ მასწავლებელს მაგონებ. თეორიულად ლამაზ-ლამაზი სიტყვებით საუბარი რომ ეხერხება, პრაქტიკულად კი ვერაფერს ახორციელებს. არ დაგავიწყდეს, უკვე უამრავჯერ მატკინეს გული.

- ამიტომაც ჯერ კიდევ მტირალა, მშობლების ზურგს ამოფარებულ, კოლეჯის ყველაზე უსუსურ პატარა ბავშვს დაატარებ სულის სიღრმეში; ჯერ კიდევ კნაჭა ბიჭს ჰგავხარ, რომელსაც არც სპორტის რომელიმე სახეობაში გაუღიმა ბედმა და არც საცოლის სიყვარულის მოპოვებაში. მოკლედ, ვერ შეძელი იმ უსამართლობების ნაკვალევის წაშლა, რომელიც შენს ცხოვრებას მუდმივად თან სდევს. მაგრამ ვერ ვხვდები, რაში გჭირდება ძველი ლაქები.

- შენ საიდან იცი, რა შემემთხვა ბავშვობაში?

- ვიცი. შენივე თვალები მეუბნება. მე ისიც ვიცი, რომ ეს სიკეთეს არ მოგიტანს. ერთადერთი, შეიძლება, საკუთარი თავი მეტად შეგებრალოს, შენ ხომ ყოველთვის ძლიერთა მსხვერპლი იყავი. ან გაიძულებს, შურისმაძიებელი გახდე და ადამიანებს იმაზე მეტი ტკივილი მიაყენო, ვიდრე შენ იწვნიე. თუმცა, მხოლოდ დროს დაკარგავ.

- ეს ადამიანური საქციელია.

- რეალურად - კი. მაგრამ ასეთი საქციელი არც ჭკვიანურია, არც მიზანშეწონილი. დააფასე შენი დრო ამ პატარა დედამიწაზე. გაიხსენე, ღმერთი ხომ ყოველთვის გაპატიებდა ხოლმე. ჰოდა, შენც აპატიე.

შევყურებდი ელისეს მინდვრებზე წიგნის მაღაზიაში ჩემი ავტოგრაფების მისაღებად მოსულ ხალხს და ვფიქრობდი - ამათგან ნეტავ რამდენმა განიცადა იგივე, რაც მე? ალბათ, ძალიან ცოტამ. იქნებ მხოლოდ თითო-ოროლამ. ამ ხალხის უმრავლესობას ხომ მხოლოდ წიგნის ტექსტი აინტერესებს.

მწერლობა ყველაზე მარტოსული პროფესიაა. ორ წელიწადში ერთხელ მარტოკა ვჯდები კომპიუტერთან, შევაცქერდები ჩემივე სულის იდუმალ ზღვას და აქა-იქ ამოზრდილ კუნძულებზე ვხედავ საკუთარ აზრებს, რომლებიც ახლა უკვე მზად არის დასახვეწად. მეც ვირჩევ გემს - სახელად „სიტყვას," - და წარსულისაკენ მოგზაურობას ვიწყებ. გზაში უამრავ დინებას, ქარს, ნამქერს ვეჩეხები, მაგრამ ჩემთვის სულერთია. ახლა უკვე გაცნობიერებული მაქვს, რომ ჩემს სავალ გზას ავცდი. ის კუნძული კი, საითაც აქამდე მივიჩქაროდი, ჰორიზონტზე თანდათან უჩინარდება.

უკან დაბრუნება არ შეიძლება. როგორმე წინ უნდა ვიარო, თორემ შუა ოკეანეში დავიკარგები... ამის გაფიქრებისთანავე თავში საშინელი სცენები გამიელვებს და ვხედავ, როგორ ვატარებ დარჩენილ ცხოვრებას წარსული წარმატებების თვალიერებაში; გამწარებული როგორ ვაკრიტიკებ ახალგაზრდა მწერლებს მხოლოდ იმიტომ, რომ თავად არ მეყო ძალა, დამეწერა და გამომექვეყნებინა წიგნები. განა ჩემი

ოცნება მწერლობა არ იყო? ასე რომ, უნდა განვაგრძო ფრაზების, აბზაცების, თავების შექმნა. სიკვდილამდე უნდა ვწერო და მთელი ძალისხმევა გამოვიყენო, რომ წარმატებამ არ გამანადგუროს და ხაფანგში არ მომიმწყვდიოს. სხვა რა შეიძლება იყოს ჩემი ცხოვრების აზრი? ნუთუ ის, რომ შემიძლია საფრანგეთის ჩრდილოეთით წისქვილის ყიდვა და ბაღების მოვლა? თუ ის, რომ კონფერენციების მოწყობა მეხერხება (საუბარი ხომ წერაზე ადვილია)? იქნებ ჯობია, რაღაც იდუმალი გზით გამოვეყო მსოფლიოს და შევქმნა ლეგენდა, რომელიც სიხარულითა და კმაყოფილებით ამავსებს?

აი, ასეთი საშინელი აზრებით შეძრული ვცდილობ, ძალა და გამბედაობა მოვიკრიბო. მათი არსებობა დიდი ხანია დამავიწყდა, არადა სულის ბნელ ხვეულებში სწორედ ისინი მეხმარებოდნენ, რომ გამერისკა და ჩემი გემი აღთქმულ კუნძულზე ამომეთრია.

დღედაღამ ვცდილობ ნანახისა და განცდილის აღწერას. საკუთარ თავს იმასაც ვეკითხები, რატომ ვიქცევი ასე. რა საჭიროა ძალების ხარჯვა. მე ხომ არავის არაფერს არ ვუმტკიცებ. თანაც უკვე მივაღწიე იმას, რაც მინდოდა; უფრო მეტიც: მივაღწიე იმას, რაზეც ვოცნებობდი.

ვამჩნევ, ყოველი წიგნის დაწერის პროცესი ერთნაირია: ისევ 9 საათზე ვიღვიძებ, საუზმის შემდეგ ვჯდები კომპიუტერთან, ვკითხულობ გაზეთებს, მივდივარ სასეირნოდ, უახლოეს ბარში ძველ ნაცნობებთან ვსაუბრობ, შინ ვბრუნდები, კომპიუტერს თვალს შევავლებ და მაინცდამაინც მაშინ მახსენდება, რომ დასარეკი მაქვს. მერე ისევ დაჟინებით შევყურებ კომპიუტერს. ელექტრონული ფოსტის ნახვა მინდება. მახსენდება: ინტერნეტი გამოვრთე. ერთადერთი გამოსავალი მაქვს - ფოსტის სანახავად სახლიდან ათი წუთის სავალზე კაფეში უნდა წავიდე. მაგრამ მანამდე ხომ არ ჯობდა, ისე, დანაშაულის გრძნობისაგან გასათავისუფლებლად, ნახევარ საათს მაინც მემუშავა?

წერას ვალდებულების გამო ვიწყებ, მაგრამ მოულოდნელად „რაღაცა“ შემიპყრობს და გაჩერებას ვეღარ ვახერხებ. მოსამსახურე სავახშმოდ მიხმობს. ვთხოვ, არ შემაწუხოს, მაგრამ 1 საათში ისევ მეძახის. მშია - ერთი სტრიქონი კიდევ, არა, აი, ეს ერთი გვერდიც და წავალ. სუფრასთან რომ ვჯდები, საჭმელი ცივი მხვდება. სწრაფად ვვახშმობ და ისევ კომპიუტერთან ვბრუნდები - ახლა უკვე ვეღარ ვაკონტროლებ საკუთარ ნაბიჯებს. „კუნძულს“ თითქმის ვხედავ, კიდეებს მიღმა ვდგავარ და ისეთ უცნაურობებს ვეჯახები, რომლებზეც ადრე არც მიფიქრია და არც მიოცნებია. ერთ ფინჯან ყავას ვსვამ, მერე - მეორეს, მესამეს და ღამის ორ საათზე ვწყვეტ მუშაობას. თვალები დამეღალა.

ვწვები, მაგრამ მომავალ აბზაცში გასათვალისწინებელ შენიშვნებს ვაანალიზებ. ვიცი, ყველა მათგანი უსარგებლოა. ჩემი თავის დასაცარიელებლად თუ გამოდგება, თორემ... ფიქრში ძილი მეპარება. პირობას ვდებ, რომ ხვალ აუცილებლად დილის

თერთმეტ საათზე დავიწყებ, მაგრამ მეორე დღესაც იგივე ხდება - გასეირნება, საუბრები, საჭმელი, ძილი, დანაშაულის გრძნობა და რისხვა - ინტერნეტის არქონის გამო: პირველი გვერდისთვის ჯახირი და ასე შემდეგ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, თერთმეტი კვირა მალე გადის. დასასრულს ვუახლოვდები. სიცარიელის შეგრძნება მიპყრობს - მე ხომ ჩემთვის დასატოვებელი სიტყვები დავხარჯე. უკვე დროა, უკანასკნელ ფრაზამდე მივიდე. და მივდივარ კიდეც.

ადრე, ცნობილი მწერლების ბიოგრაფიებს რომ ვკითხულობდი, მეგონა, აჭარბებდნენ, როცა ამბობდნენ: „წიგნები თვითონ იწერება, მწერალი მხოლოდ ასლების გადამწერიაო“. სრული ჭეშმარიტებაა. ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხვდება, საოცნებო კუნძულის ნაცვლად, რატომ მიაქანებს დინება წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით. შემდეგ „გადამოწმებების, ამოჭრა-შედარებების“ დრო მოდის. უკვე აღარ შემიძლია ერთი და იმავე სიტყვების მეათასეჯერ წაკითხვა. ხელნაწერს გამომცემელს ვუგზავნი. ისიც გადახედავს და ალბათ, გამოაქვეყნებს.

მე კი ისევ გაორება მიპყრობს. ჩემი მკითხველები ჩემს წიგნებში საკუთარ კუნძულებს აწყდებიან. მერე ერთმანეთს უამბობენ. იდუმალი ჯაჭვი თანდათან გრძელდება და ის, რაც მანამადე მხოლოდ მწერლის საკუთრება იყო, ნავსადგურად ან გემად იქცევა, სადაც უცხო სულები დახეტიალობენ და რომელიღაც რგოლში ერთიანდებიან.

ნამქერში დაკარგულ კაცს აღარ ვგავარ: მკითხველთა შორის ჩემს თავს ვპოულობ და ვხვდები, რომ მე ის დავწერე, რასაც სხვებიც გრძნობენ, მაგრამ რაზედაც სხვებს არ უფიქრიათ. როცა ასეთ ადამიანებს თვალებში ვაცქერდები, იშვიათად, მაგრამ მაინც ვგრძნობ: მე მარტო არა ვარ.

დანიშნულ დროს ისევ დავიწყე ავტოგრაფების დარიგება. სწრაფი, ვიზუალური კონტაქტი ერთიანობის გრძნობით, სიხარულითა და ურთიერთპატივისცემითაა გაჟღენთილი. ხელს ხელზე მიჭერენ, საჩუქრად მიძღვნიან წერილებს, აკეთებენ კომენტარებს. ოთხმოცდაათწუთიანი მიღების შემდეგ, დასასვენებლად ათ წუთს ვითხოვ. არავინ წუწუნებს. ჩემი გამომცემელი (როგორც, ტრადიციულად, ჩემი წიგნების პრეზენტაციაზე ხდება ხოლმე) ბრძანებს, ყველა იქ მყოფს ჭიქა შამპანურით გაუმასპინძლდნენ (უკვე ვცადე, ეს ტრადიცია სხვა ქვეყნებშიც შემოეღოთ, მაგრამ ამბობენ, ფრანგული შამპანური ძვირიაო. ამიტომ მინერალურ წყალს სთავაზობენ დამსწრე საზოგადოებას. ესეც პატივისცემის ერთგვარი გამოხატვაა).

მაგიდასთან ვბრუნდები მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის აღმწერნი საწინააღმდეგოს ფიქრობენ, ორი საათის შემდეგაც არ ვგრძნობ დაღლილობას. პირიქით - ისეთი ენერგიით ვარ სავსე, გვიან ღამემდეც შემიძლია, ვიმუშაო. მაღაზიები უკვე დაკეტეს, მაგრამ მკითხველთა რაოდენობა არ მცირდება, რიგში ორმოცი ადამიანია, მერე - ოცდაათი, ოცი, თერთმეტი, ხუთი, ოთხი, სამი, ორი,.....

... და, მოულოდნელად, ჩემი მზერა „მას“ შეეჩეხა.

- ბოლომდე გელოდით. მინდოდა, ბოლო მე ვყოფილიყავი - მოკითხვა უნდა გადმოგცეთ.

ენა ჩამივარდა. არ ვიცი, რა ვთქვა. გვერდით ვიხედები: გამომცემლები, წიგნის მაღაზიის მფლობელები დიდი ენთუზიამით საუბრობენ. ცოტა ხანში სავახშმოდ წავალთ. დავლევთ, მთელი დღის ემოციებს გავუზიარებთ ერთმანეთს, მოვყვებით ავტოგრაფების დარიგების დროს მომხდარ კურიოზებს...

მე არასოდეს მინახავს „ის“. მაგრამ ზუსტად ვიცი, ვინ არის. ვართმევ წიგნს და ვაწერ: „სიყვარულით - მიხაილს“.

არაფერს ვამბობ. არ მინდა, დავკარგო: ნებისმიერმა სიტყვამ, უადგილო ფრაზამ, გაუთვალისწინებელმა მოძრაობამ შეიძლება წასვლა აიძულოს და მერე აღარასოდეს დაბრუნდეს. ეს ჩემი მარცხია, მაგრამ გამოსავალი არა მაქვს. მხოლოდ „მას“ შეუძლია მიხსნას ზაჰირის წყევლა-ლოცვისგან; ის ერთადერთია, ვინც იცის, სად არის ესთერი. უნდა შევძლო და, ბოლოს და ბოლოს, პასუხი მოვუძებნო უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს.

- უბრალოდ, მინდოდა, გცოდნოდათ, რომ ის კარგად არის. შესაძლებელია, უკვე თქვენი წიგნიც წაიკითხა.

გამომცემლები და წიგნის მაღაზიის მფლობელები მიახლოვდებიან. გულში მიკრავენ. მეუბნებიან, მშვენიერი საღამო გამოვიდაო. ახლა მოსადუნებლად დალევაც შეიძლება და საუბარიცო.

- კარგი იქნებოდა, ამ მკითხველსაც თუ დავპატიჟებდით, - მიხაილზე ვანიშნებ, - იცით, სულ ბოლო იყო, თანაც, მკითხველების წარმომადგენელია, ხომ გესმით (რატომღაც თავს ვიმართლებ)?

ოდნავ შეშინებული შემომცქერის.

- არ შემიძლია, სხვა გეგმები მაქვს. მხოლოდ მოკითხვა მინდოდა, გადმომეცა.

- რა მოკითხვა? - კითხულობს გამყიდველი.

- ეს კაცი არავის ეპატიჟება ხოლმე. თავს ნუ იფასებთ, წამოდით, ერთად ვივახშმოთ, - ეუბნება გამომცემელი.

- მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ხუთშაბათობით შეკრებებში ვმონაწილეობ ხოლმე.

- რომელ საათზე?

- ორ საათში იქ უნდა ვიყო.

- სად იქ?

- სომხურ რესტორანში.

ჩემი მძღოლი სომეხია. ეუბნება, ეგ რესტორანი აქედან 15 წუთის სავალზეა, მიგიყვანთო. დამსწრე საზოგადოებას სურვილი უჩნდება, მასიამოვნონ. ფიქრობენ, რომ ის ადამიანი, რომელიც მოწვევის ღირსად ჩავთვალე, კმაყოფილებითა და სიხარულით უნდა დაფრინავდეს და ნებისმიერი სხვა საქმე მეორე დღისათვის გადადოს.

- რა გქვიათ? - ეკითხება მარი.

- მიხაილი.

- მიხაილი? - იმეორებს მარი და ყველაფერს უსიტყვოდ ხვდება. - ერთი საათით წამობრაძანდით, რესტორანი აქვეა. ვახშმის შემდეგ მძღოლი წაგიყვანთ. ან თუ გინდათ, ჩვენ გავაუქმებთ შეკვეთას და ყველანი თქვენს სომხურ რესტორანში წამოვალთ, რას იტყვით?

მისი ცქერით ვერ ვძღები. მასში არაფერია განსაკუთრებული. არც მახინჯია, არც ლამაზი; არც მაღალია, არც დაბალი; შავი ტანისამოსი აცვია, უბრალო და ელეგანტური, თუმცა სწორედ ეს უბრალო ელეგანტურობა მაფიქრებინებს, რომ სისულელეა ძვირფასი ფირმები და ეტიკეტები.

მარი მიხაილს მკლავს უყრის და გასასვლელისაკენ მიდის. წიგნის მაღაზიის მფლობელი მეუბნება, რომ უამრავი წიგნი დამრჩა ხელმოსაწერი. ვპირდები, რომ ხვალ დავასრულებ ავტოგრაფების დარიგებას. ფეხები საშინლად მიკანკალებს. გულში თითქოს ხანჯალს მიყრიან. მინდა, თავი ისე დავიჭირო, ვითომ წარმატებით კმაყოფილი ვარ და ჩემ მიმართ გამოთქმული ყველა კომენტარი თუ შენიშვნა ძალიან საინტერესოა. მარი და მიხაილი წინ მიდიან. ელისეს მინდვრები უკვე გადაკვეთეს. მზე ტრიუმფალურ თაღს ეფარება და მე ვხვდები, ეს ნიშანია, თანაც - კარგის ნიშანი.

ყოველთვის ვახერხებდი უხერხული სიტუაციების მართვას, მაგრამ ახლა რა მემართება?

რატომ მინდა ამ კაცთან საუბარი? გამომცემლობის თანამშრომელი რაღაცას მიყვება. ავტომატურად ვპასუხობ შეკითხვებზე. ვერავინ ამჩნევს, რომ დაბნეული ვარ. სამაგიეროდ, თვითონაც ვერ ვხვდები, რატომ უნდა ვივახშმო იმ ადამიანთან ერთად, რომელიც მთელი არსებით უნდა მძულდეს? ნუთუ ესთერის ადგილსამყოფელის გაგება მინდა? ან იქნებ ამ ბიჭზე მინდა შურისძიება? არა, მაინც როგორ შეძლო ამ დაბნეულმა ლაწირაკმა ჩვენი დაშორება? იქნებ ჩემს თავს მინდა დავუმტკიცო, რომ მასზე ბევრად უკეთესი ვარ? არა! ეს კაცი უნდა მოვხიბლო, თავი მოვაწონო, თუ დამჭირდა - ქრთამიც შევაძლიო, ოღონდ ცოლის დაბრუნებაში დამეხმაროს.

ყველა კითხვა უპასუხოდ მრჩება, მაგრამ ახლა უკვე აზრი აღარ აქვს. ერთადერთი ფრაზა, რაც აქამდე წარმოვთქვი, იყო: „მინდა, ჩვენთან ერთად ივახშმოთ.“

რამდენჯერ წარმომიდგენია მასთან შეხვედრის სცენა: ცხადად ვხედავდი ხოლმე, როგორ მოდიან ქუჩაში ორნი; როგორ წავავლებ ქეჩოში ხელს; როგორ ვუთავაზებ გემრიელად და როგორ მოვაყრევინებ მუხლს ესთერის თვალწინ. ან პირისპირ მივალ ესთერთან და მისი წასვლით გაჩენილ ყველა ჭრილობას ვაჩვენებ... ყველაზე უარეს შემთხვევაში მოჩვენებითი გულგრილობა და აგრესიის სცენებიც ხშირად წარმომიდგენია, მაგრამ არასოდეს, არასოდეს გამივლია ფიქრად ეს უაზრო ფრაზა: „მინდა, ჩვენთან ერთად ივახშმოთ“.

წარმოდგენა არა მაქვს, რას მოვიმოქმედებ ცოტა ხანში, მაგრამ ახლა თვალი უნდა ვადევნო იმ ორს, ჩემ წინ რომ მიდიან, და მხედველობიდან არ უნდა დავკარგო. მარი მიხაილის მკლავზე ისეა დაყრდნობილი, თითქოს მისი საცოლე იყოს. არ უნდა, რომ მიხაილი წავიდეს, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ მეხმარება ეს ქალი: მან ხომ იცის, ამ ბიჭის პოვნა შესაძლოა ცოლის პოვნას ნიშნავდეს.

როგორც იქნა, რესტორანს მივაღწიეთ. სუფრა გაშლილია. მიხაილი ჩემგან მოშორებით ცდილობს დაჯდომას. ალბათ, საიდუმლოდ გასაუბრების საფრთხეს გაურბის. იწყება მხიარულება, შამპანური, არაყი და ხიზილალა. მენიუს ვათვალიერებ. საშინელებაა! ჯერ არ შემოვსულვართ და წიგნის მაღაზიის მფლობელმა უკვე ათას დოლარამდე დახარჯა.

საუბარი ჯერჯერობით ზედაპირულია, მიხაილს დღევანდელი საღამოს შეფასებას ვთხოვ.

ამბობს, ძალიან მომეწონაო. სხვები წიგნის თაობაზე ეკითხებიან. ასევე პასუხობს. ცოტა ხანში მიხაილი ყველას ავიწყდება. ყურადღება ჩემკენაა მოპყრობილი - აინტერესებთ, კმაყოფილი ვარ თუ არა; საღამოს ორგანიზება მომეწონა თუ არა; დაცვის მუშაობაზე რა აზრის ვარ... გულში ტკივილს ვგრძნობ. ვცდილობ, შინაგანი სიმშვიდე შევინარჩუნო. ორგანიზატორებს ყველაფრისათვის მადლობას მოვახსენებ.

ნახევარსაათიანი საუბრისა და რამდენიმე ბოთლი არყის შემდეგ ვამჩნევ, მიხაილი ძალიან მოდუნდა. ყურადღების ცენტრში აღარაა. არც სათქმელი აქვს არაფერი, ალბათ, ცოტას კიდევ მოითმენს და მერე წავა (სომხურ რესტორანზე სიმართლე გვითხრა). აღარ ვღელავ. კვალი უკვე მაქვს. ვიცი, ჩემი ცოლი ისევ პარიზშია! არა! მაქსიმალურად თავაზიანი უნდა ვიყო, ნდობა მოვიპოვო. დაძაბულობის პირველივე ნიშნებს თვითონვე ვაქრობ.

დრო სწრაფად გადის. მიხაილი საათს დაჰყურებს - წასვლას აპირებს. სასწრაფოდ რამე უნდა ვიღონო. ყოველთვის, როცა მას ვუყურებ, თავს უსუსურ ადამიანად ვგრძნობ. ბუნდოვნად მახსენდება, როგორ გამცვალა ესთერმა ამ ადამიანზე, რომელიც რეალობისგან ძალიან შორს დგას (ჩემი ცოლი ხომ ხშირად ამბობდა, „მაგიურ“ ძალას ფლობსო). ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ახლა მშვიდად ვყოფილიყავი და მშვიდად მესაუბრა.

რამე უნდა ვიღონო!

- მოდით, ჩვენს ერთგულ მკითხველზე ცოტა რამ მაინც გავიგოთ, - ვამბობ ხმამაღლა. სუფრასთან სიჩუმე ისადგურებს. - ცოტა ხანში, ალბათ, დაგვტოვებს კიდეც, არადა, ჯერ არაფერი უთქვამს თავის ცხოვრებაზე. აბა, რას საქმიანობთ?

როგორც ჩანს, არყის მიუხედავად, მიხაილი თავდაჯერებულობის აღდგენას ახერხებს.

- სომხურ რესტორანში შეკრებებს ვაწყობ ხოლმე.

- რა შეკრებებს?

- სცენიდან სხვადასხვა ისტორიებს ვუყვები ხალხს. მერე კი მათაც ვაძლევ უფლებას, თავიანთი თავგადასავლები მიამბონ.

- ჩემს წიგნებში მეც ამას ვაკეთებ.

- ვიცი. ეს სწორედ ის მსგავსებაა, რამაც დამაახლოვა...

ახლა იტყვის, ვისთან დააახლოვა! დავიღუპე!

- თქვენ აქ დაიბადეთ? - მარი აშკარად ხელს უშლის, დაასრულოს ფრაზა (...რამაც დამაახლოვა თქვენს ცოლთან).

შვებით ამოვისუნთქე.

- არა! მე ყაზახეთის სტეპებში დავიბადე.

ყაზახეთი. ვნახოთ, ვინ გაბედავს და ჰკითხავს, სად არის ყაზახეთი.

- სად არის ყაზახეთი? - ბედავს სავაჭრო წარმომადგენელი.

რა ბედნიერია ის, ვინც არ ერიდება თავისი უცოდინრობის გამომჟღავნებას.

- ამ შეკითხვას ველოდი, - მიხაილს თვალები სიხარულით გაუბრწყინდა, - როგორც კი ვამბობ, სად დავიბადე, ათ წუთში დასკვნა გამოაქვთ: ხან პაკისტანიდან ვარ, ხან - ავღანეთიდან. არადა, ჩემი ქვეყანა შუა აზიაში მდებარეობს. 14 მილიონი ადამიანი 60 მილიონიან საფრანგეთზე გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

- აჰა! ესე იგი, თქვენთან სივრცის ნაკლებობაზე არავინ წუწუნებს, - ღიმილით შენიშნა გამომცემელმა.

- ოცი საუკუნის განმავლობაში, ძალიანაც რომ მოენდომებინათ, ჩვენთან არავის ჰქონდა წუწუნის უფლება. თავიდან, როცა კომუნისტურმა რეჟიმმა ბოლო მოუღო კერძო საკუთრებას, სტეპები ფაქტიურად განადგურდა. მცხოვრებლების 48,8%

შიმშილით დაიღუპა, გესმით? 1932-33 წლებში ჩემი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი შიმშილით განადგურდა.

აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა. ამგვარი ტრაგედიების მოსმენა ყოველთვის აფუჭებს დღესასწაულებს. ვიღაცამ თემის შეცვლა განიზრახა. მაგრამ, ნურას უკაცრავად! მე კატეგორიულად ვითხოვ საუბრის გაგრძელებას.

- როგორია სტეპი? - ვკითხულობ მე.

- გიგანტური მოშიშვლებული ველია. წესით, უნდა იცოდეთ.

რა თქმა უნდა, ვიცი, მაგრამ საუბრის შესანარჩუნებლად კითხვა ხომ უნდა დამესვა?!

- ყაზახეთის შესახებ რაღაც მეც მახსენდება, - ამბობს გამომცემელი, - ცოტა ხნის წინ ერთმა იქაურმა მწერალმა ხელნაწერი გამომიგზავნა. სტეპებში განხორციელებული ატომური კვლევების შესახებ მოგვითხრობდა.

- ჩვენს ქვეყანას მიწაშიც და სულშიც სისხლი აქვს ჩაქცეული. იცით, ჩვენთან ის შეიცვალა, რაც არ უნდა შეცვლილიყო. ამის გამო უკვე მერამდენე თაობა იხდის სასჯელს. ჩვენ ხომ შევძელით და ზღვა გავაქრეთ.

როგორც ჩანს, ახლა მარის ჯერია.

- ზღვის გაქრობა არავის შეუძლია.

- მე 25 წლის ვარ. სწორედ 25 წელი დასჭირდა ერთ თაობას, რომ წყალი, რომელიც ათასობით წლის განმავლობაში იმ ტერიტორიაზე იყო, მტვრად გადაექცია. კომუნისტურმა მთავრობამ გადაწყვიტა, მდინარეების - ამუდარიისა და სირდარიისათვის - კალაპოტი შეეცვალათ. ფიქრობდნენ, ამ გზით ბამბის პლანტაციების მორწყვას შეუწყობდნენ ხელს. მიზანს ვერ მიაღწიეს, ზღვა კი გაქრა, ნაყოფიერი მიწა უდაბნოდ იქცა.

წყლის ნაკლებობამ ქვეყნის კლიმატზე იმოქმედა. დღესდღეობით, ქვიშის გიგანტური ნამქერი ყოველწლიურად 150000 ტონა მარილსა და ქვიშას ავრცელებს. ხუთი ქვეყნის 50 მილიონი ადამიანი დაზარალდა საბჭოთა ბიუროკრატების უპასუხისმგებლო, უყურადღებო გადაწყვეტილებით. ცოტაოდენი წყალი დარჩა, მაგრამ ისეთი დაბინძურებულია, რომ ხშირად უამრავი დაავადების კერა ხდება...

მიხაილის ნათქვამს ვაანალიზებ. რომელიმე კონფერენციაზე გამომადგება. ის კი თავისი ტრაგიკული, სრულიად „არაეკოლოგიური“ ხმით განაგრძობს:

- პაპა მიყვებოდა: თურმე არალის ზღვას წყლის ფერის გამო ადრე ცისფერ ზღვას უწოდებდნენ. დღეს ზღვა აღარ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხს აზრად არ მოსდის თავიანთი სახლების დატოვება და სხვაგან გადასახლება. ისინი ჯერ კიდევ

ოცნებობენ დიდ ტალღებზე, თევზებზე, სანაპიროზე. ჯერ კიდევ ინახავენ სათევზაო ანკესებსა და საღამოობით გემებსა და „დინამიტებზე“ საუბრობენ.

- ატომური აფეთქებები მართლა იყო? - გამომცემელს დაჟინებული ხმა აქვს.

- მე მგონი, იქ დაბადებულმა ნებისმიერმა ადამიანმა იცის, რას გრძნობს მისი მიწა, რადგან თითოეული მათგანი სისხლით დაატარებს მას. სტეპები ორმოცი წლის განმავლობაში უძლებდა მომწამვლელ და თერმულ ბომბებს. 1989 წლამდე, დაახლოებით, 456 შემთხვევა დაფიქსირდა. ამ აფეთქებებიდან 116 ღია სივრცეში განხორციელდა, რაც, საერთო ჯამში, 2500-ჯერ აღემატება მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ჩამოგდებული ბომბის სიმძლავრეს. შედეგად ათასობით ადამიანი რადიოაქტიური ნივთიერებებით დაავადდა. დღეს უამრავი დეფექტური ბავშვი იბადება, კიდურების გარეშე ან გონებრივად განუვითარებელი. აი, ასეა.

მიხაილი საათს დაჰყურებს.

- ახლა კი, თუ ნებას დამრთავთ, წავალ.

საუბარი აშკარად საინტერესოდ წარიმართა. სუფრის ერთი ნაწილი ლამისაა, ატირდეს, მეორე ნახევარი შედარებით კმაყოფილია: ასეთ მხიარულ საღამოზე ტრაგიკული ამბების მოყოლა აშკარად აბსურდულია.

მიხაილი ყველას თავის დაკვრით ემშვიდობება. მე კი რატომღაც გულში მიკრავს. არა, რაიმე განსაკუთრებულ გრძნობას კი არ განიცდის, უბრალოდ ასე შეუძლია, ჩუმად ჩამჩურჩულოს:

- როგორც გითხარით, ის კარგადაა. არ ინერვიულოთ.

- წარმოიდგინე, მითხრა, არ ინერვიულოო. არა! მაინც რატომ უნდა ვინერვიულო იმ ქალის გამო, რომელმაც მიმატოვა, პოლიციის ყბაში ჩამაგდო და სენსაციური ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე გამომაჭენა! ლამის მეგობრები დამაკარგვინა, დღედაღამ ტკივილით მაცხოვრა და...

- და „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ დაგაწერინა. მოდი, ზრდასრული ადამიანებივით ვისაუბროთ. თავს ნუ მოვიტყუებთ: ბუნებრივია, გინდა, იცოდე, როგორ არის. უფრო მეტს გეტყვი - არც მის ნახვაზე იტყოდი უარს.

- თუ ასე გგონია, რატომ დამეხმარე მიხაილთან შეხვედრაში? მე ხომ მის კვალს მივაგენი: ახლა ვიცი, რომ ყოველ ხუთშაბათს სომხურ რესტორანში დადის.

- ჰოდა, ძალიანაც კარგი.

- შენ რა, არ გიყვარვარ?

- „გუშინდელზე მეტად და ხვალინდელზე ნაკლებად," - როგორც ღია ბარათებს აწერია ხოლმე. როგორ არ მიყვარხარ! სიმართლე თუ გინდა, თავდავიწყებით მიყვარხარ. იმასაც ვფიქრობ, საცხოვრებლად ამ უზარმაზარ, მარტოობით გაჟღენთილ სახლში ხომ არ გადმოვსულიყავი, მაგრამ, როგორც კი ამ საკითხზე ვიწყებ საუბარს, მაშინვე ბანზე მიგდებ სიტყვას. ამიტომაც საკუთარ გრძნობას ვივიწყებ და ერთად ცხოვრებაზე უფრო მნიშვნელოვან რამეებზე ვფიქრობ - ჯერ ამის დრო არ დამდგარა. ხანდახან შესაძლოა, გგონია კიდეც, რომ მეც ესთერივით დამკარგავ, ან იქნებ მის დაბრუნებას ელი? თანაც მაგ შენი თავისუფლებით ისე ხარ შეპყრობილი, ხან მარტო დარჩენისა გეშინია, ხან - ვინმესთან ერთად ყოფნისა; შენც ვერ გაგიგია, რა გინდა. ასე რომ, საბოლოო ჯამში, მე მგონი, ჩვენი ურთიერთობა სრული სიგიჟეა, მაგრამ რადგან გაბედე და მკითხე, გულახდილად გიპასუხებ - უზომოდ მიყვარხარ.

- მაშინ, ამიხსენი, რატომ დამეხმარე.

- იმიტომ, რომ არ შემიძლია, მუდმივად იმ ქალის აჩრდილთან ერთად ვიცხოვრო, რომელმაც, რატომღაც, ახსნა-განმარტებების გარეშე მიგატოვა. მე წავიკითხე შენი წიგნი და არ შევცდები, თუ ვიტყვი: მანამ, სანამ მას არ შეხვდები, სანამ ერთხელ და სამუდამოდ არ მოაგვარებ ყველაფერს, შენი გული არასოდეს არ გახდება ჩემი. გახსოვს, ჩემი მეზობელი რომ მიყვარდა? მასთანაც, დაახლოებით, იგივე დამემართა: საკმაოდ კარგად ვიცნობდი და ვიცი, როგორი მშიშარა იყო. ვერასოდეს ვერ იკისრებდა პასუხისმგებლობას „ჩვენს სახიფათო კავშირზე", მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ყველაზე მეტად ამ ურთიერთობაზე ოცნებობდა. რამდენჯერ გითხარი, სრული თავისუფლება არ არსებობს-მეთქი. არსებობს არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება. შენ თუ იცი, რომ რაც უფრო ახლოს მყავდა ის ჩემი მეზობელი, უფრო მეტს ვფიქრობდი შენზე - აღფრთოვანებული ვიყავი, – და შენ ახლა გინდა, დამაჯერო, რომ კაცს, რომელსაც ცოლი მიტოვების შემდეგაც ისე უყვარს, რომ მასზე სახალხოდ საუბარსაც არ თაკილობს, არ უნდა, მის შესახებ რამე იცოდეს? შენი წიგნიდან ზეპირად მახსოვს ის აბზაცი:

„როცა დასაკარგი აღარაფერი მქონდა, მაშინ მივიღე ყველაფერი. როცა აღარ ვფიქრობდი, „ვინ" ვიყავი, მაშინ ვიპოვე საკუთარი თავი. როცა შეურაცხყოფილმა გავაგრძელე გზა, მაშინ მივხვდი, რომ ბედის საძებნელად თავისუფალება მქონდა. იქნებ გიჟი ვარ ან იქნებ ჩემი ქორწინება იყო სიზმარი, რომელიც ცხადში ვერ მოვიხელთე - ვერ დავტკბი, სანამ ჩემთან იყო. ახლა ვიცი: მე შემიძლია მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ ერთხელ კიდევ რომ მენახა, აუცილებლად ვეტყოდი იმას, რის თქმაც ერთად ყოფნის დროს ვერ შევძელი: შენ მე საკუთარ თავზე მეტად მიყვარხარ! თუ ამ სიტყვებს სულის ჩაკეტილი სივრციდან გამოვდევნი, მე მშვიდად შევძლებ ცხოვრების გაგრძელებას, რადგან ამ სიყვარულმა მე გამათავისუფლა."

- მიხაილმა მითხრა, ალბათ, წაიკითხავდაო. ჰოდა, ძალიანაც კარგი.

- ეგრეა. ასე რომ, სანამ შენს გულს მოვიპოვებ, ის უნდა მოძებნო და პირისპირ უნდა უთხრა სათქმელი. შეიძლება, არც მოისურვოს შენი ნახვა, მაგრამ უნდა სცადო. მე ხომ გავთავისუფლდი „იდეალური ქალის“ მანიისაგან, ახლა შენ უნდა განიკურნო, როგორც ამბობ ხოლმე, ზაჰირის არსებობისაგან.

- რა ძლიერი ხარ, მარი! ისეთი მამაცი...

- გეშლება. მშიშარა ვარ! უბრალოდ, ახლა სხვა არჩევანი არა მაქვს!

მეორე დილით დავიფიცე, ფიქრადაც არ გამევლო ესთერის ადგილსამყოფელის გაგება. ორი წლის განმავლობაში საკუთარ თავს ვაჯერებდი, რომ იძულებული გახდა, წასულიყო; რომ მოიტაცეს ანდა ტერორისტების ჯგუფმა დააშანტაჟა. მაგრამ დღეს, როცა ვიცი, რომ კარგად არის (იმ ბიჭმა ასე მითხრა), რატომღა უნდა ვნახო? ჩემს ექსცოლს სრული უფლება ჰქონდა, ბედნიერების საძებნელად წასულიყო. მე კი პატივი უნდა მეცა მისი გადაწყვეტილებისათვის.

ლამის ოთხ საათს ვფიქრობდი, თავი ამტკივდა. საღამოს ეკლესიაში წავედი, სანთელი ავანთე და პირობა დავდე (ამჯერად - წმინდა რიტუალის თანხლებით), რომ მაინც მოვძებნიდი. მარი მართალი იყო. უკვე დიდი ხანია, ზრდასრული ვიყავი. აღარ შემეფერებოდა თავის მოტყუება და მუდმივი მტკიცება, თითქოს ესთერი აღარ მაინტერესებდა! ვაფასებდი მის გადაწყვეტილებას, მაგრამ ვაღიარებდი, რომ ქალმა, რომელიც ცხოვრების „მოწყობაში“ დამეხმარა, თვითონვე, საკუთარი სურვილით, ერთი ხელის მოსმით თავისივე აშენებული ცხოვრება თითქმის ბოლომდე დამინგრია. ყოველთვის ძლიერი იყო, ამიტომ მიჭირს, გავიგო, რაში დასჭირდა, შუაღამისას, მიზეზების აუხსნელად, ჩემს თვალებში ჩახედვის გარეშე, სახლიდან ქურდივით გაპარულიყო?

ჩვენ ხომ დიდები ვიყავით, საკუთარი მოქმედებების განსაზღვრაც შეგვეძლო და მათზე პასუხისმგებლობაც არ გვაშინებდა; სწორედ ამიტომ მგონია, ჩემი ცოლის ქცევა (ვასწორებ - ჩემი ექსცოლის) მის საკუთარ გადაწყვეტილებას არ ჰგავდა, და მე უნდა ვიცოდე, რატომ?

თეატრის წარმოდგენამდე სრული ერთი კვირა იყო. წინა დღეებში ისეთ ინტერვიუებზე დავთანხმდი, სხვა დროს თავს რომ ვარიდებდი. გაზეთისათვის სტატიებიც დავწერე, იოგის ვარჯიშებზე სიარული დავიწყე, მედიტაციაში გადავეშვი, რომელიღაცა რუსი მხატვრის მიერ დაწერილი წიგნი წავიკითხე, მერე ნეპალის დანაშაულებებსაც გადავხედე და გამომცემლების დიდი ხნის თხოვნა შევასრულე: წიგნებისათვის 4 რეკომენდაცია და ორი წინასიტყვაობა დავწერე.

ჯერ კიდევ დიდი დრო მქონდა. „მადლის ბანკში“ გარკვეული დეპოზიტის შეტანასაც მოვასწრებდი - ასე რომ, ვახშმებზე მოწვევა მივიღე, ჩემი მეგობრების შვილების კოლეჯში მოკლე დისკუსიები გავმართე, გოლფის კლუბს ვეწვიე, მეგობრის წიგნების მაღაზიაში ავტოგრაფები დავარიგე. ჩემმა მდივანმა მითხრა, ალბათ, კმაყოფილი

ბრძანდებით, რამდენი ხანია, ასეთი აქტიური არ მინახიხართო. ჩემი წიგნი რომ ბესტსელერების სათავეში აღმოჩნდა, სტიმულს მაძლევს, უფრო მეტი ვიმუშაო- მეთქი, - ვუპასუხე.

იმ კვირის განმავლობაში ორად ორი რამ ვერ შევძელი: პირველი, ეს იყო შემოსული ხელნაწერების გვერდზე გადადება - როგორც ჩემი ადვოკატები მატყობინებდნენ, საჩქაროდ უნდა დამებრუნებინა უკან, რადგანაც თუ გაგზავნას დავაგვიანებდი, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ხელნაწერის ავტორს ეჩივლა, ჩემი ისტორიით ისარგებლაო (სხვათა შორის, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ მიგზავნის ეს ხალხი ხელნაწერებს - მე ხომ გამომცემელი არა ვარ!).

და მეორე - ატლასში ყაზახეთის პოვნა, თუმცა ვიცოდი, მიხაილის ნდობის მოსაპოვებლად, მის ფესვებსა და წარმომავლობაზე ცოტა რამ მაინც უნდა გამეგო.

ხალხი მოთმინებით ელოდება კარის გახსნას. ერთი სული აქვთ, როდის შევლენ რესტორნის პატარა დარბაზში, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პარიზის სენ-ჟერმენის ბარებთან, პაწაწინა, მყუდრო კაფეებთან, თეატრალურ ელეგანტურობასთან; ქალაქის ბისტროებში გამართულ „ჯადოსნურ“ სპექტაკლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სხვათა შორის, ასეთ სპექტაკლებზე მსახიობები მაქსიმალურად ცდილობენ, თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინონ, რადგან იმედი აქვთ, რომ დარბაზში აუცილებლად იქნება ვინმე ცნობილი ბიზნესმენი, რომელიც შოუს დასასრულს აღფრთოვანებას ვერ დამალავს და მოცეკვავეთა დასს რომელიმე პრესტიჟულ დაწესებულებაში სამუშაოდ მოაწყობს.

მაგრამ ფაქტია, ეს რესტორანი სავსეა. თუმცა პარიზის თეატრალური მოვლენების ამსახველ და გასართობად განკუთვნილ სახალისო ჟურნალებშიც კი არაფერი წამიკითხავს ამ ადგილის შესახებ. სანამ კარს გააღებენ და ხალხს შესვლის საშუალებას მისცემენ, რესტორნის მფლობელს ვესაუბრები: როგორც ჩანს, გადაწყვეტილი აქვს, ერთი დარბაზის ნაცვლად, შეკრებას მთელი რესტორანი დაუთმოს.

- ხალხის ნაკადი ყოველ კვირას მატულობს. მოდიან და მოდიან. თავიდან, ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა, ხუთშაბათობით რესტორანი დაუთმე და, სამაგიეროდ, ჩემს გაზეთში რეკლამას გაგიკეთებო. ახლა მეც მომწონს ეს იდეა. სანამ წარმოდგენას ელოდებიან, ეს ხალხი აქ ვახშმობს. შესაძლოა, ხუთშაბათი კარგი შემოსავლის წყაროც გახდეს. მხოლოდ ერთი რამ მაშინებს - ვაითუ სექტა იყოს. ხომ იცით, სექტანტებისათვის რა მკაცრი კანონებია!

ჰო! რა თქმა უნდა, ვიცოდი. და იმასაც ვხვდებოდი, რომ ჩემი აქ ყოფნით საფრთხეს ვუქმნიდი საკუთარ თავს. ისედაც ერთი-ორჯერ ბრალი დამდეს, ვითომ ჩემი წიგნები ეყრდნობოდა ისეთ რელიგიურ მიმდინარეობას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა

საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებს. ლიბერალურ საფრანგეთში კი ამ თემას ჭირივით გაურბიან.

- როგორ ატყობინებენ ხალხს შეკრებების შესახებ? - ვეკითხები რესტორნის მფლობელს.

- წარმოდგენა არა მაქვს...

და მერე, ეჭვების გასაფანტად (მიუხედავად იმისა, რომ არ იცის, ვინ ვარ), მამშვიდებს:

- შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ეს სექტა არ არის. ისინი, უბრალოდ, მსახიობები არიან.

დარბაზის კარი იღება. ხალხის უმრავლესობა შემოსასვლელში დადებულ პატარა კალათში ხუთ ევროს აგდებს. იქ, შიგნით, იმპროვიზებულ უგემოვნო სცენაზე თეთრი ფერის, ფართხუნატანისამოსიანი ორი გოგონა და ორი ბიჭი ტანის მსუბუქი რხევით ცეკვავს. ამ ოთხის გარდა, სცენაზე ვხედავ ხანშიშესულ კაცს, ხელში აფრიკული დოლით - კონგათი, და ფაშფაშა ქალს, რომელსაც უზარმაზარი ვერცხლისფერი დაირა უჭირავს. საკმარისი იყო, ქალს დაირა გაეტოკებინა, რომ დარბაზში გამაყრუებელი ჟღრიალი ისმოდა.

სცენაზე მყოფთაგან ერთ-ერთი მიხაილია, ახლა ის სრულიად არ ჰგავს ავტოგრაფების საღამოზე გაცნობილ ბიჭს. მიხაილი მშვიდად დგას და თავისი მწველი, მოელვარე თვალებით სივრცის რომელიღაცა ცარიელ წერტილს მიშტერებია.

ხალხი სკამებზე ჯდება. ისე არიან ჩაცმულები, ქუჩაში რომ შემხვედროდნენ, ვიფიქრებდი, ნარკოტიკებით არიან გაბრუებულები-მეთქი. აქ არიან საშუალო ასაკის მამაკაცები ცოლებთან ერთად, ცხრა-ათი წლის ორი-სამი ბავშვი (ალბათ, მშობლებმა მოიყვანეს) და რამდენიმე მოხუცი (გაუგებარია, როგორ მოაღწიეს აქამდე, უახლოესი მეტროს სადგური ხომ ლამის ხუთი კვარტლითაა დაშორებული).

სვამენ, ეწევიან, ხმამაღლა საუბრობენ, თითქოს სცენაზე მყოფნი აღარც ახსოვთ. თანდათან ხმაური ძლიერდება, უკვე ხორხოცობენ. დარბაზში სადღესასწაულო, მხიარული განწყობა სუფევს. ვითომ მართლა სექტანტები არიან? თუ მწეველების ასოციაციაა?.. არ ვიცი. აქეთ-იქით ვიყურები - ესთერს ვეძებ, მაგრამ ის ქალები, აქ რომ სხედან, ოდნავადაც არა ჰგვანან ჩემს ცოლს (რატომ ვერ მივეჩვიე - ჩემს ექსცოლს).

აქ რა ხდება-მეთქი, ვეკითხები გემოვნებით ჩაცმულ ქალბატონს. ისე შემომხედა, თითქოს უვიცი ვიღაცა ვყოფილიყავი, რომელსაც მხოლოდ ამ წუთიდან განუზრახავს ცხოვრების საიდუმლოებებში გარკვევა. ქალბატონი ცოტა ხანს მიყურებს და მერე სხაპასხუპით მეუბნება:

- სიყვარულის ისტორიები. ისტორიები და ენერგია. აი, რა ხდება.

ისტორიები და ენერგია! ამ ქალს სრულიად ნორმალური გამომეტყველება აქვს, მაგრამ ვამჯობინებ, არ ჩავაცივდე. ვიფიქრე, ვინმე სხვას ვკითხავ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ახლა უმჯობესია, ჩუმად ვიყო. გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი მიდგას. დაჟინებით მათვალიერებს და ეღიმება.

- იცით, მე თქვენი წიგნები წამიკითხავს. ასე რომ, ვიცი, რატომაც მოხვედით.

შიშმა ამიტანა: ნუთუ ჩემი ცოლისა და მიხაილის ამბავი იცის (ისევ უნდა შევასწორო, მიხაილისა და ჩემი ექსცოლის)?

- აქ ერთი ადამიანია, რომელიც ტენგრის თქვენსავით იცნობს. მას პირდაპირი ურთიერთობა აქვს, როგორც თქვენ უწოდებთ, „სინათლის მეომრებთან“.

- ჰოო! - გულზე მომეშვა.

და ჩემთვის ვფიქრობ, რომ წარმოდგენაც არა მაქვს, რაზე მესაუბრება.

ოც წუთში სიგარეტის კვამლისაგან სუნთქვა შეუძლებელი ხდება. მოულოდნელად ისმის ვერცხლისფერი დაირას ჟღრიალი. ხმაური რაღაც სასწაულის ძალით ერთბაშად წყდება და ორი წამის წინ გამეფებული ანარქია რელიგიურ სიმშვიდეში გადადის. დუმს სცენა. დუმს დარბაზი... ახლა მხოლოდ მოპირდაპირე რესტორნიდან გამოსული ღრიანცელი ისმის.

და თითქოს სადღაც, კიდეზე მდგომი, მზერით იდუმალ წერტილს მიშტერებული მიხაილი ოდნავ ქალური, მაგრამ თავდაჯერებული ხმით იწყებს:

- ერთი მონღოლური მითი ქვეყნიერების შექმნის შესახებ ასე მოგვითხრობს:

...და გამოჩნდა ცისფერ-ნაცრისფერი ველური ძაღლი,

რომლის ბედისწერაც მაღალ ცას განესაზღვრა უკვე...

და მას ცოლად ჰყავდა შველი...

ასე იწყება სიყვარულის ეს ისტორია. ველური ძაღლი, ყველას მოგეხსენებათ, ძლიერია და მამაცი. შველი კი - თბილი, მგრძნობიარე, ელეგანტური. მოკლედ, მონადირე და მსხვერპლი ერთმანეთს შეხვდა და ერთმანეთი შეუყვარდათ. ბუნების კანონების მიხედვით, ერთს მეორე აუცილებლად უნდა გაენადგურებინა, მაგრამ სიყვარული ხომ არც ცუდია და არც კარგი; არც შენებას ემორჩილება და არც ნგრევას. ის, უბრალოდ, მოძრაობაა; ძალა, რომელსაც თვით ბუნების კანონების შეცვლაც კი ძალუძს.

მიხაილი ერთი წამით გაჩუმდა, მერე განაგრძო:

- იმ სტეპებში, საიდანაც მე ჩამოვედი, ველური ძაღლი მდედრობითი სქესის ცხოველად აღიქმება: შესანიშნავი ინსტინქტი აქვს, საკმაოდ მგრძნობიარე და მორიდებულია. ერიდება ძალის უაზროდ გამოყენებას, არასოდეს ირჩევს სუსტ სტრატეგიას. ბუნებრივი ინტუიცია ეხმარება. ფრთხილია და სწრაფი, მაგრამ როცა მსხვერპლის დაჭერა უნდა, შესაძლოა, ერთ წამში სუსტი და უსუსური ცხოველიდან მტაცებელ ველურად იქცეს.

„ნეტავ შველი როგორია?“ – გავიფიქრე და პასუხიც მაშინვე გავიგონე. არ გამკვირვებია. მე ისტორიებს ფურცელზე ვთხზავდი, მიხაილი კი სცენიდან ყვებოდა.

- შველს, პირიქით, მამაკაცური თვისებები აქვს - სისწრაფე და მიწის აღქმის უნარი. ორივე - შველიცა და ძაღლიც - საკუთარ სამყაროში მოგზაურობენ და, შესაბამისად, მათი ხასიათის დამთხვევა გამორიცხულია. და თუ ისინი მაინც ახერხებენ ბუნების კანონებსა და დაბრკოლებებზე მაღლა დადგნენ, მაშინ ადამიანებიც აუცილებლად შეძლებენ. ასეა: ორი განსხვავებული ბუნება შობს სიყვარულს - ამას მოგვითხრობს მონღოლური მითი. წინააღმდეგობების გადალახვისას სიყვარული ძალას იკრებს, გარდაქმნებისა და ცვლილებების დროს კი თავს იცავს.

ყველას თავისი ცხოვრება აქვს. დღევანდელ დღემდე მოსასვლელად უამრავი გზა გადავლახეთ, გავერთიანდით. ეს არ არის იდეალური გზა, მაგრამ თანაცხოვრება მაინც შევძელით. მაგრამ რაღაც მაინც გვაკლია, – რაღაც ყოველთვის გვაკლია. სწორედ ამ დანაკლისმა გაგვაერთიანა დღეს აქ, ამ დარბაზში: ჩვენ საკუთარი თავის პოვნაში ვეხმარებით ერთმანეთს. ამიტომ ვყვებით უაზრო ისტორიებს; ვეძებთ რეალობის აღსაქმელ ნებისმიერ საშუალებას და ასე იქნება მანამ, სანამ ოდესმე, რომელიმე თაობაში, ახალ, განსხვავებულ გზას არ აღმოვაჩენთ.

იტალიელმა პოეტმა, დანტემ, „ღვთაებრივ კომედიაში“ თქვა: ერთ მშვენიერ დღეს, თუკი ადამიანი ნამდვილ სიყვარულს ამოფრქვევის საშუალებას მისცემს, დალაგებულ-მოწესრიგებული საგნებიც კი ქაოსში გაეხვევა. სამყარო კი მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ადამიანი სიყვარულს ისწავლის. მანამდე მხოლოდ ერთი რწმენით შეგვიძლია ცხოვრება - რწმენით, თითქოს სიყვარულისა რამე გაგვეგებოდეს, არადა, მისი დაფასება ჯერაც ვერ გვისწავლია.

სიყვარული ველურ ძალას ჰგავს. როცა გაკონტროლებას ვცდილობთ, გვანგრევს, როცა დატყვევებას - გვიმონებს. მისი არსის გაგებას თუ მოვისურვებთ, დაბნეულობისა და ქაოსის გარდა, ვერაფერს მივიღებთ.

ეს ძალა სიხარულის მოსანიჭებლად მოდის მიწიდან; მოდის იმიტომ, რომ უფრო მეტად დაგვაახლოოს ღმერთთან - ჩვენ ახლა გვიყვარს, თორემ ერთსაათიანი სიმშვიდის შემდეგ, ისევ მოწყენილობა და ნაღველი დაისადგურებს.

მოდით, დღეს ნუ მოვყვებით სიყვარულის ისტორიებს, დღეს უსიყვარულობის ისტორიები მოვისმინოთ. ვცადოთ, ზედაპირი დავინახოთ და სიღრმეს მივაგნოთ.

ვნახოთ, საიდან მოდის ჩვენი ჩვეულებები, ღირებულებები. თუ ამ სიღრმეში შევაღწევთ, საკუთარ თავს ვიპოვით. აბა, ვინ დაიწყებს?..

უამრავი ადამიანი იწევს ხელს. მიხაილი ერთ გოგონას ირჩევს, რომელიც არაბს ჰგავს. გოგონა სწრაფად მიბრუნდება დარბაზის კუთხეში მარტო მგომი კაცისაკენ და მოულოდნელად ეკითხება:

- რომელიმე ქალთან თავი იმპოტენტად თუ გიგრძნიათ?

კაცმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, სიცილი რომ მიწყნარდა, ხმა ამოიღო:

- რატომ მეკითხებით, გოგონი? ნუთუ თქვენი საქმროა იმპოტენტი?

სიცილის ტალღა ხელახლა აზვირთდა. წეღან, როცა მიხაილი საუბრობდა, ეჭვმა გამიელვა, იქნებ აქ შეკრებილი ხალხი მართლაც რომელიღაც სექტას ეკუთვნის- მეთქი, მაგრამ, ჩემი წარმოდგენით, სექტების შეკრებებზე არავინ სვამს, არავინ ეწევა და არც ახლობლების სექსუალური ცხოვრებით ინტერესდება.

- სულაც არა! - მტკიცე ხმა ჰქონდა გოგონას, - ჩემი შეკითხვა სერიოზულად რომ მიგეღოთ, აუცილებლად მიპასუხებით: „დიახ, ასეთი შემთხვევა ყოფილაო“. საქმე ის გახლავთ, რომ ნებისმიერი ქვეყნისა და კულტურის მამაკაცები, სიყვარულისა ან სექსუალური სიმპათიისაგან დამოუკიდებლად, ხშირად იმ ადამიანთან გრძნობენ თავს იმპოტენტად, რომელიც ყველაზე მეტად სურთ. და ეს სავსებით ნორმალურია. სხვათა შორის, ამის შესახებ პირველად ფსიქიატრმა მითხრა.

აი, რა გვიამბო გოგონამ:

- ერექციას თითქმის ყველა მამაკაცი აღწევს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ასე არ ხდება, ჰგონით, რომ არ შეუძლიათ. ქალები კი ასეთ დროს თავიანთ თავს ადანაშაულებენ - საკმარისად მიმზიდველები არა ვართო. იმპოტენცია მეგობრებთანაც კი ტაბუდადებულ თემად იქცა. როგორც წესი, მამაკაცები ერთადერთი ფრაზით იმართლებენ თავს: „იცი, საყვარელო, პირველად დამემართა ასე.“ თავისი თავისა რცხვენიათ. ასეთ დროს როგორ იქცევა უმრავლესობა? არ უნდათ, მაგრამ მაინც შორდებიან იმ ადამიანს, ვისთანაც შესანიშნავი ურთიერთობა შეიძლებოდა ჰქონოდა. ექნებოდა კიდეც, შანსი რომ მიეცათ ერთმანეთისათვის მეორედ, მესამედ, თუნდაც მეოთხედ; რომ გაემხილათ მეგობრებისთვის, ეთქვათ სიმართლე, აღმოეჩინათ, რომ არც პირველები არიან და არც უკანასკნელები და, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი ცოლისა თუ საცოლის რწმენა არ დაეკარგათ და თავი დამცირებულად არ ეგრძნოთ.

დარბაზში ტაში აგრიალდა. სიგარეტებს ისე მოუკიდეს, თითქოს ყველამ რაღაცნაირი შვება იგრძნო.

მიხაილმა ისევ ასწია ხელი და ამჯერად იდუმალი გამომეტყველების კაცს ანიშნა, შენ დაიწყეო.

fb.com/groups/ellib

- მე ადვოკატი გახლავართ, - თქვა კაცმა, - გაყრის საკამათო საქმეებზე ვმუშაობ.

- როგორ თუ საკამათო? - იკითხა ვიღაცამ.

- როცა ერთ-ერთი მხარე არ არის თანახმა, საქმე საკამათოა, აბა რა! - ადვოკატი გაღიზიანებული ჩანს. სახეზე ეტყობა, უკმაყოფილოა, სათქმელი რომ შეაწყვეტინეს. თან, ალბათ, ფიქრობს, „აბსურდია, ასეთი მარტივი სიტყვის მნიშვნელობა რომ არ გესმისო.“

- განაგრძეთ, - მიხაილის ხმაში უზარმაზარი ძალა იგრძნობა; ამას ვერასოდეს ამოვიცნობდი ავტოგრაფების საღამოზე.

ადვოკატი უყოყმანოდ ემორჩილება.

- დღეს ლონდონის ერთ-ერთი კვლევითი ცენტრიდან საინტერესო ინფორმაცია მივიღე. აღმოჩნდა, რომ:

ა) ერთ კომპანიაში მომუშავე ადამიანების ორ მესამედს ერთმანეთთან სასიყვარულო ურთიერთობა აკავშირებს. წარმოიდგინეთ! სამიდან ორს თანამშრომელთან ინტიმური ურთიერთობა აქვს.

ბ) 10% სამუშაოს სწორედ ამ მიზეზით ტოვებს. 40% კი ახერხებს და სამ თვეზე მეტხანს ინარჩუნებს ურთიერთობას. ათიდან რვა ისეთი პროფესიის ადამიანი, რომელიც სახლის გარეთ დიდ დროს ატარებს, სერიოზულ რომანს აბამს. დაუჯერებელია, არა?

- ალბათ, სტატისტიკის მონაცემებს დაეჯერება! ჩვენ ხომ ყველას ბრმად გვწამს სტატისტიკისა. იცით, ეს რას ნიშნავს?! ეს ნიშნავს იმას, რომ დედაჩემი მამაჩემს ატყუებს, ღალატობს და ეს მისი კი არა, სტატისტიკის ბრალია! - ამბობს საშიში დამნაშავეების ჯგუფის უფროსივით გამოწყობილი ახალგაზრდა.

ისევ სიცილი, ისევ ანთებული სიგარეტები და სიმშვიდე; თითქოს ამ დარბაზში მყოფი ადამიანები იმას ისმენდნენ, რისიც ყოველთვის ეშინოდათ. სწორედ ამიტომ მათ სულში ფესვმოკიდებული მოწყენილობა და შეშფოთება ნელ-ნელა ქრება. ფიქრით ისევ ესთერსა და მიხაილს ვუბრუნდები. როგორ იყო? - „ათიდან რვა მაინც რომანს აბამს“.

საკუთარი თავი მახსენდება. მეც ასე მემართებოდა. რა ბედნიერებაა, სტატისტიკა რომ არსებობს - ესე იგი, მარტო არა ხარ.

დარბაზში ისევ ეჭვიანობის, მიტოვების, დეპრესიის ისტორიებს ყვებიან, მაგრამ აღარაფერი მაინტერესებს. ჩემში ზაჰირი ბრუნდება. უცნაურია! ჩემი ცოლის გამტაცებელ კაცთან ერთად ამ უცნაურ შეკრებაზე ვარ (იმ კაცთან, რომელიც მეგონა, ჯგუფურ თერაპიას ეწეოდა), და ისტორიებს ვისმენ. ჩემი წეღანდელი ნაცნობი მიახლოვდება და მეკითხება.

- როგორ მოგეწონათ დისკუსია?

სიხარულით ვპასუხობ, იქნებ ზაჰირი დროებით მაინც დავივიწყო:

- მათ მიზანს ვერ ვხვდები. კაცი იფიქრებს, ანონიმური ალკოჰოლიკების რეაბილიტაციის ჯგუფის წევრები არიანო.

- იმას ხომ ეთანხმებით, რაც აქ მოისმენთ?

- შესაძლებელია, მაგრამ მიზანს მაინც ვერ ვხვდები.

- მიზანს? თავი რომ მარტო არ ვიგრძნოთ! აი, მიზანი! როცა ყველას თვალწინ ყვები შენს ამბავს, გრძნობ, რომ იგივე სხვებსაც განუცდიათ.

- მაგრამ პრაქტიკული შედეგი ხომ უნდა არსებობდეს?

- რა ვერ გაიგეთ! თუ მარტონი არა ვართ, მაშინ ძალასაც ვიპოვით, რომ ღრმად ჩავიხედოთ ჩვენს ცხოვრებაში, მივხვდეთ, სად დავუშვით შეცდომა და სწორ გზას დავუბრუნდეთ. მაგრამ თქვენ ჯერ ყველაფერი არ გინახავთ. ახლა ჩვენ ენერგიის მიღებისათვის ვემზადებით.

საუბარს დაირის ხმა გვაწყვეტინებს. ამჯერად კონგას წინ მდგომი მოხუცი იწყებს საუბარს.

- დისკუსიის ნაწილი დასრულებულია. დროა, რიტუალზე გადავიდეთ; ემოციაზე, რომელიც ყველაფერს შეცვლის. ეს ცეკვა საზოგადოების სიყვარულის უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს. ნიჭისა და შთაგონების ერთადერთი წყარო ხომ სიყვარულია, რომელიც ბოლომდე გაგვწმენდს და გაგვათავისუფლებს.

სიგარეტები წამსვე ქრება. დარბაზში ისევ უცნაური სიჩუმე ისადგურებს. სცენაზე მდგომი გოგონა თითქოს ლოცულობს:

- ღვთისმშობელო, ჩვენ ახლა შენთვის ვიცეკვებთ და ჩვენი ცეკვით ზეცამდე ავმაღლდებით!

ღვთისმშობელი ახსენა თუ მომეჩვენა? არა! ღვთისმშობელოო, ნამდვილად ასე თქვა.

სინათლეს აქრობენ. გოგონა ოთხ სანთელს ანთებს.

თეთრ, განიერ კაბებში გამოწყობილი ოთხი სილუეტი სცენიდან ჩამოდის და ხალხში იკარგება. მეორე ბიჭი თითქოს მუცლიდან ამოსული ხმით თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში მონოტონურ სიმღერას მღერის და, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ზაჰირს მავიწყებს, მადუნებს და ძილბურანში მხვევს. ის ბავშვი, წეღან „სიყვარულის ამბების თხრობისას“ აქეთ-იქით რომ დარბოდა, ახლა მშვიდად დგას და სცენას მიშტერებია. დარბაზში მსხდომთაგან ზოგს თვალები დაუხუჭავს, ზოგის მზერა

იატაკს ბურღავს, ზოგიც, მიხაილივით, სივრცის რომელიღაც უხილავ წერტილს მისჩერებია.

სიმღერის დასრულებისთანავე ვერცხლისფერი დაირა და კონგა ერთდროულად ახმაურდა. მსგავსი ხმა მხოლოდ აფრიკის რელიგიურ დღესასწაულებზე მქონდა მოსმენილი.

თეთრსამოსიანები ტრიალს იწყებენ. ხალხი ადგილს ათავისუფლებს, ასე უკეთესად შეამჩნევენ ჰაერში მოფრიალე კაბების სილამაზეს. რიტმი ჩქარდება. მოცეკვავეები უფრო სწრაფად ტრიალებენ. ბგერები, რომლის მსგავსი არც ერთ ნაცნობ ენაში არ მომისმენია, ისე უჩინარდება, თითქოს პირდაპირ ანგელოზებს ესაუბრებიან ან ღვთისმშობელს.

ჩემი მეზობელიც ცეკვის დროს რაღაც გაუგებარ ფრაზებს ბუტბუტებდა. ათი თუ თერთმეტი კაციც იმავეს იმეორებდა, სხვები კი აღფრთოვანებულები უყურებდნენ მოცეკვავეებს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ცეკვა. ინსტრუმენტების ჟღერადობა თითქოს ხმას აყოლებდა ჩემი გულის ფეთქვას. უზარმაზარი სურვილი მქონდა, უცნაური სიტყვები მეთქვა და სხეული მემოძრავებინა. ალბათ, ძალიან სასაცილო ვიქნებოდი. ასე რომ, თვითკონტროლის წყალობით ძლივს ვაიძულე საკუთარი თავი, გიჟივით არ მებზრიალა მაშინ, როცა ესთერის ლანდი, ჩემი ზაჰირი, რომელიც ასე ცხადად არასოდეს მიგრძნია, თითქოს ჩემ წინ მოღიმარი იდგა და მთხოვდა, შენც იცეკვე ღვთისმშობლის პატივსაცემადო.

დიდი ძალისხმევის შემდეგ შევძელი, ჩემთვის უცხო რიტუალში მონაწილეობა არ მიმეღო. ერთი სული მქონდა, როდის დასრულდებოდა ყველაფერი. ვცდილობდი, იმ ღამის სამიზნე - მიხაილი - თვალსაწიერიდან არ დამეკარგა (მას შეეძლო, ჩემს ზაჰირთან მივეყვანე). მაგრამ უმოძრაობა აუტანელი გახდა. სკამიდან წამოვდექი და როცა ფრთხილად, მორცხვად ვცადე პირველი ნაბიჯების გადადგმა, მუსიკა შეწყდა.

სანთლებით განათებულ დარბაზში ახლა ცეკვისაგან დაღლილი ადამიანების სუნთქვაღა ისმოდა. თანდათან ისიც მიწყნარდა და სინათლე აინთო. ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდა. ვხედავდი, როგორ ივსებოდა ჭიქები ლუდით, ღვინით, წყლითა და მინერალური სასმელით. ბავშვები ისევ დარბოდნენ, ყველა ერთდროულად და ხმამაღლა საუბრობდა, გეგონებოდა, ორი წუთის წინ არაფერი მომხდარაო.

- შეკრების დამთავრების დროა, - თქვა გოგონამ, რომელმაც წეღან სანთლები აანთო, - ალმა ბოლო ისტორიას გვიამბობს.

ალმა დაირის დამკვრელი ქალი იყო.

- იყო ერთი მასწავლებელი, - აღმოსავლური აქცენტით დაიწყო ალმამ, - ჰყავდა ერთი კამეჩი, რომელსაც რქები ისე გაფარჩხოდა, რომ მათ შორის ჩამჯდარი ადამიანი ტახტრევანზე იგრძნობდა თავს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა დაღლილი ცხოველი ჩაჩოქილიყო და ისვენებდა, მასწავლებელი ჩუმად მიეპარა და, როგორც ოცნებობდა, კისერზე შემოასკუპდა. კამეჩი ისეთი სისწრაფით წამოდგა, რომ პატრონი შორს მოისროლა.

ამის დანახვაზე მასწავლებლის ცოლი გულამოსკვნილი ატირდა.

- ნუ ტირი, - დაამშვიდა მასწავლებელმა, როცა გონს მოვიდა, - ძალიან ცუდად ვარ, მაგრამ არ ვწუხვარ, მე ხომ დიდი ხნის სურვილი და ოცნება ავისრულე.

ასე დაასრულა მოხუცმა ალმამ თავისი ისტორია.

ხალხი ნელ-ნელა მიმოიფანტა.

- აბა, რას გრძნობთ? - ვკითხე ჩემ გვერდით მჯდომს.

- ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, თქვენ ხომ ამაზე წერთ.

არაფერიც არ ვიცოდი, მაგრამ თავი უნდა მომეჩვენებინა, ვიტომ ვიცოდი.

- შესაძლებელია, ვიცი კიდეც, მაგრამ მირჩევნია, დავრწმუნდე.

ისე შემომხედა, აშკარად დაეჭვდა, ნამდვილად მწერალს ვესაუბრები თუ მეშლებაო.

- დღეს მე სამყაროს ენერგია ვიგრძენი. ღმერთი მყავდა სულში, - მიპასუხა მან და ისე წავიდა, არც კი ამიხსნა, რას გულისხმობდა.

დაცარიელებულ დარბაზში, ჩემ გარდა, ოთხი მსახიობი და ორი მუსიკოსი დარჩა. ქალები რესტორნის საშხაპეში წავიდნენ ტანისამოსის გამოსაცვლელად. კაცებმა იქვე, დარბაზში გამოიცვალეს.

შემდეგ დარბაზი მიალაგ-მოალაგეს, შანდლები და ინსტრუმენტები ერთ უზარმაზარ ჩემოდანში შეინახეს.

ხანშიშესულმა კაცმა, მთელი ცერემონიის განმავლობაში კონგას რომ უკრავდა, დათვლილი ფული 6 ტოლ ნაწილად გაყო.

მე მგონი, ამ დრომდე მიხაილს ჩემი იქ ყოფნა არ შეუმჩნევია, თუმცა, გვერდით რომ ჩამიარა, მტკიცე ხმით მითხრა:

- გელოდებოდი.

- ალბათ, გეცოდინებათ, რატომ მოვედი.

- მას შემდეგ, რაც ენერგია მთელ ჩემს სხეულს გაივლის, ყველაფრის მიზეზს ვხვდები; ვხვდები სიყვარულისა და ომის მიზეზს. ვხვდები, რატომ ეძებს შეყვარებული კაცი საყვარელ ქალს. მოკლედ, ბევრ რამეს ვხვდები.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დანის პირზე დავდიოდი. თუკი ამ კაცმა ჩემი აქ ყოფნის მიზეზი იცოდა, აუცილებლად ეცოდინებოდა, რომ შესაძლოა, მისთვის საფრთხეც შემექმნა..

- შეგვიძლია, როგორც ორმა ღირსეულმა მამაკაცმა ისე ვისაუბროთ? - მიხაილი მთვრალივით ბარბაცებდა. მე მაინც გავაგრძელე: - ვიცი, აქედან წასულს, ალბათ ხარის რქებიდან ჩამოვარდნილ მასწავლებელზე მეტი ჭრილობა მექნება, მაგრამ ვფიქრობ, რომ სიმართლის გაგებას ვიმსახურებ. თუნდაც იმ ტკივილის გამო ვიმსახურებ, რომელიც გაუცნობიერებლად მომაყენეს. არა მგონია, ესთერს მივეტოვებინე, მისი სიყვარული ოდნავ მაინც რომ დამეფასებინა.

- არაფერი გესმის, - მითხრა მიხაილმა.

პასუხმა გამაცოფა. როგორ შეუძლია ამ ოცდახუთი წლის ბიჭუკელას მე - ცხოვრებანანახ, ტანჯულ კაცს - მითხრას, რომ არაფერი მესმის? მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. თავი უნდა შემეკავებინა, დავმცირებულიყავი ან ნებისმიერი სისულელე ჩამედინა. აღარ შემეძლო მოჩვენებასთან ერთად ცხოვრება. აღარ შემეძლო ზაჰირისთვის დამეთმო მთელი შინაგანი სამყარო.

- შესაძლოა, მართლა არ მესმის: აქ ამიტომ ვარ. მინდა, გავიგო და სანახევროდ მაინც გავთავისუფლდე თავს დამტყდარი ამბებისგან.

- ადრე ყველაფერი გესმოდა, მაგრამ მერე რატომღაც „გაუგებარი გახდი“. ყოველ შემთხვევაში, ესთერმა ასე მიამბო. უბრალოდ, სხვა ქმრებივით, შენს ცხოვრებაშიც დადგა დრო, როცა ცოლი უძრავ-მოძრავი ქონებისა და საოჯახო ნივთების ნაწილად აქციე.

ერთი სული მქონდა, მეყვირა: ხომ შეეძლო, ეს თვითონ ეთქვა, შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა მოეცა და ოცდარაღაცა წლის ბიჭის გამო, რომელთანაც მალე ანალოგიურად მოიქცევა, არ მივეტოვებინე-მეთქი! მინდოდა, მეყვირა, მაგრამ, ამის ნაცვლად, ჩუმად ამოვილუღლუღე:

- არა მგონია, ასე იყოს. თქვენ წაიკითხეთ ჩემი წიგნი, ავტოგრაფების საღამოზეც იყავით; იცით, რასაც ვგრძნობ და დამშვიდებაც გინდოდათ. ჩემი გული ხომ ჯერ კიდევ დაფლეთილია. ზაჰირზე თუ გსმენიათ რამე?

- ადრე ისლამურ რელიგიაში კარგად ვერკვეოდი. ზაჰირის იდეასაც იქიდან ვიცნობ.

- ჰოდა, იცოდეთ, მთელი ჩემი ცხოვრება ზაჰირითაა გაჟღენთილი. მეგონა, თუ დავწერდი, რასაც ვგრძნობდი, მისი არსებობისაგან გავთავისუფლდებოდი. დღეს

უკვე ჩუმად, უხმაუროდ მიყვარს, თუმცა ჯერ კიდევ სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. რასაც ისურვებთ, ყველაფერს შეგისრულებთ, მაგრამ უნდა ამიხსნათ, რატომ გაუჩინარდა. როგორც თავად მითხარით, არაფერი მესმის.

საშინელება იყო - ჩემი ცოლის საყვარელს ვემუდარებოდი, გამაგებინე, რა მოხდა- მეთქი. ავტოგრაფების საღამოზე მიხაილი რომ არ გამოჩენილიყო, ალბათ, ვიქტორიის ტაძარი, სადაც ბოლომდე ვიგემე სიყვარული და შემდეგ „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ დავწერე, ზედაპირულადაც მომეჩვენებოდა, მაგრამ ჩემს ბედისწერას აშკარად სხვა გეგმები ჰქონდა - ერთხელ კიდევ მომცა ცოლის ნახვის პაწაწინა შანსი და ძლივს მოპოვებული წონასწორობა ხელახლა დაარღვია.

- ერთად ვისადილოთ, - მითხრა ცოტა ხნის შემდეგ მიხაილმა, - მართლაც არაფერი გესმის, მაგრამ ის ღვთაებრივი ენერგია, დღეს ჩემი სხეული რომ მოიცვა, დიდსულოვანია შენ მიმართ.

შეხვედრა მეორე დღისთვის დავგეგმეთ და შინ წავედი. გზაში ესთერთან საუბარი გამახსენდა. ეს იყო გაუჩინარებამდე სამი თვით ადრე.

ვსაუბრობდით იმ ენერგიაზე, რომელიც მთელ სხეულს იპყრობდა.

- იცი, სინამდვილეში, მათი თვალები განსხვავებულია. სიკვდილისა ეშინიათ, მაგრამ შინაგანად მზად არიან მსხვერპლად შეეწირონ. მათ ცხოვრებას აზრი აქვს.

- ჯარისკაცებზე ამბობ?

- ჰო! ჯარისკაცებზე და იმაზე, რასთანაც ძალიან გამიჭირდა შეგუება. ომი რიტუალია. სისხლისა და სიყვარულის რიტუალი.

- ნამდვილად შეიშალე.

- ალბათ. ომის სხვა კორესპონდენტებიც გავიცანი. ერთი ქვეყნიდან მეორეში ისე გადადიან, თითქოს სიკვდილი მათი ცხოვრების ნაწილი იყოს. არაფრისა არ ეშინიათ, საფრთხეს ჯარისკაცებივით პირისპირ ხვდებიან. შენ გგონია, სტატიების დასაწერად იქცევიან ასე? არა, ძვირფასო, უბრალოდ, საფრთხის, თავგადასავლის ან სისხლში მოჭარბებული ადრენალინის გარეშე ცხოვრება აღარ შეუძლიათ. ერთხელაც ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, ბრძოლის ველი ერთადერთი ადგილია, სადაც თავს კარგად ვგრძნობო. ის კაცი ოცდაოთხი საათის განმავლობაში მხოლოდ ოჯახსა და შვილებზე საუბრობდა. მათ გარეშე სიცოცხლეც არ შეეძლო.

- ვერაფერი გავიგე. ესთერ, ხომ იცი, არ მინდა, შენს ცხოვრებაში ჩავერიო, მაგრამ მე მგონი, ეგ შენი ექსპერიმენტები საბოლოოდ მხოლოდ ტკივილს მოგაყენებს.

- ტკივილს მე გრძნობების გარეშე ცხოვრება მაყენებს. ომში კი ყველა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს გრძნობს.

- რას გრძნობენ? ისტორიულ მომენტებს?

- არა! მხოლოდ ისტორიული მომენტები სიცოცხლის გასარისკად საკმარისი არ უნდა იყოს! იცი, რას გრძნობენ?! ადამიანის ნამდვილ არსს, სიამოვნებას!

- მაინც რას, ომს?

- არა, სიყვარულს.

- ალბათ, შენც უკან დაბრუნებას აპირებ.

- ალბათ.

- უთხარი რედაქტორს და დაამთავრე. საკმარისია უკვე.

- არ შემიძლია. ნარკოტიკივითაა. თუ ომის ველზე ვარ, ცხოვრება აზრს იძენს. რამდენიმე დღეს არ ვბანაობ, ჯარისკაცების საკვებს ვჭამ, ღამეში სამ საათს მძინავს, სასტვენის ხმაზე ვიღვიძებ, ვიცი, შეიძლება ნებისმიერ წუთს ბომბი აფეთქდეს. მაგრამ ეს ყველაფერი ძალას მმატებს; ცხოვრებისა და სიყვარულის ძალას. იქ უადგილოა სევდა, ეჭვები... სისულელეები ქრება - მხოლოდ სიცოცხლისადმი უსაზღვრო სიყვარულს განვიცდი. მისმენ?

- მთელი გულისყურით.

- ეს... ეს ღვთაებრივ შუქს ჰგავს. თითქოს ბრძოლის - ყველაზე დიდი საშინელების - შუაგულში, ღვთაებრივი შუქი ანათებს. შიში ბრძოლამდე და ბრძოლის მერე გიპყრობს. ტყვიების ზუზუნის დროს არაფრისა გეშინია. სროლის დროს ზღვარზე დგახარ და ყველაზე გმირული და არაადამიანური მოქმედების მომსწრე ხდები. ტყვიების წვიმაში გარბიან, მეგობრების გადასარჩენად იბრძვიან, მაგრამ, იმავდროულად, თავადაც ყველაფერს ანადგურებენ; ყველაფერს, რაც მოძრაობს - ბავშვებს, ქალებს, ყველაფერს, რაც გზაზე ეღობებათ. პატარა ქალაქებში გაზრდილი ლამაზი, ჭკვიანი და წესიერი ადამიანები აპარტახებენ მუზეუმებს, ანგრევენ ყველაფერს, რაც საუკუნეების განმავლობაში გადარჩა; იპარავენ მათთვის უსარგებლო ნივთებს, თავიანთ მხეცურ, საზარელ ნამოქმედარს ფოტოებს უღებენ და იმის ნაცვლად, რომ სადმე ღრმად შეჩურთონ, ამაყობენ კიდეც. ეს შეშლილი სამყაროა!

- ახლა რას იტყვი, შენი ნაამბობით მაინც თუ შეძელი, პასუხი გეპოვა კითხვაზე, რომელიც ტოკიოს ბარში ჰანსმა ფრიტსს დაუსვა.

- კი. პასუხი იეზუიტ ტეიჰარდ დე შარდენის ერთ პატარა ციტატაშია:

„ჩვენი სამყარო სიყვარულის მოსასხამშია გახვეული: ჩვენ ვფლობთ ქარის, ზღვის და მზის ენერგიას, მაგრამ, როცა ადამიანი სიყვარულის ენერგიის მართვას შეძლებს, ეს მსოფლიოსთვის ცეცხლის მოპოვებაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება“.

- და შენ ეს ყველაფერი ომში ისწავლე?

- არ ვიცი. მაგრამ როგორი პარადოქსიც უნდა იყოს, ომში ადამიანები ბედნიერები არიან. ცხოვრებას აზრი აქვს. როგორც წეღან გითხარი - ერთიანი ძალა და რაღაც მიზეზების გამო მსხვერპლის გაღება სიცოცხლეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მათ უსაზღვრო სიყვარული შეუძლიათ; იმიტომ, რომ დასაკარგი არაფერი აქვთ. არც ერთი სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარისკაცი არასოდეს სთხოვს ექიმს, გემუდარები, გადამარჩინეო. უკანასკნელი სიტყვები ყოველთვის მარტივია და ნამდვილი: „უთხარით ჩემ ცოლ-შვილს, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს“. წარმოგიდგენია? უიმედობის ბოლო წამს სიყვარულზე ლაპარაკობენ!

- შენ რომ კაცმა გისმინოს, იფიქრებს, ადამიანის ცხოვრების არსის შეცნობა მხოლოდ ბრძოლის ველზეა შესაძლებელიო.

- ჩვენ ხომ ისედაც სულ ბრძოლაში ვართ. სიკვდილს ვებრძვით. სიკვდილი კი, ყოველდღიური ცხოვრებისაგან განსხვავებით, შეიარაღებული კონფლიქტების დროს უკეთესად ჩანს. ამ დროს არ შეგიძლია, საკუთარ თავს უფლება მისცე, უბედური იყო.

- რა გინდა? მე რისი გაკეთება შემიძლია?

- დახმარება მჭირდება. დახმარება იმას კი არ ნიშნავს, „სთხოვე რედაქტორს, გაგათავისუფლოს და დასვენების უფლება მოგცესო“! რედაქციიდან წამოსვლა უარესი იქნება. დამეხმარე, რომ როგორმე შევძლოთ და ვიპოვოთ გზა, რომელიც წმინდა, მთლიან სიყვარულს სულს შთაბერავს, მოაწესრიგებს და, ჩვენი სხეულების გავლით, ყველა კუთხე-კუნჭულში გაავრცელებს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც აქამდე ჩემი ესმოდა, თარჯიმანია, რომელსაც ამ ენერგიასთან დაკავშირებით რაღაც აღმოჩენებიც ჰქონია, მაგრამ ის კაცი, მე მგონი, უფრო შორს დგას რეალობიდან.

- შენ ღვთის სიყვარულზე საუბრობდი.

- ღვთის სიყვარული მაშინ ჩნდება, როცა ერთ ადამიანს მეორის სიყვარული საზღვრებისა და ვალდებულებების გარეშე შეუძლია. და თუ ჩნდება, შენი მოყვასიც გეყვარება; თუ გეყვარება, საკუთარი თავის სიყვარულს ისწავლი; თუ საკუთარი თავიც გიყვარს, მაშინ ნებისმიერი ქაოსი დალაგდება და ისტორიის მსვლელობა შეიცვლება... რომ იცოდე, ისტორია პოლიტიკის, დაპყრობების, თეორიებისა და ომების გამო არ იცვლება, - ეს ყველაფერი, უბრალოდ, გამეორებაა; ეს ის არის, რასაც სამყაროს დაბადებიდან ვადევნებთ თვალს. ისტორია მაშინ შეიცვლება, თუ სიყვარულის ენერგიასაც გამოვიყენებთ - როგორც ქარის, ზღვის ან ატომების ენერგიას ვიყენებდით აქამდე.

- შენ ფიქრობ, ჩვენ სამყაროს ხსნა შეგვიძლია?!

- ჩემ გარდა, ბევრია, ვინც ასე ფიქრობს. აბა, რას იტყვი, დამეხმარები?

- რა თქმა უნდა. როგორც ყოველთვის. რაც გინდა, დამავალე.

- არადა, მე სწორედ ეგ არ ვიცი.

„სიმპათიური“ პიცერია, რომელსაც პარიზში მოგზაურობის დროს ხშირად ვსტუმრობდი, უკვე ჩემი ისტორიის ნაწილი იყო. ბოლოს აქ კულტურის სამინისტროს მიერ მონიჭებული „ხელოვნებისა და ლიტერატურის“ მედლით დაჯილდოება აღვნიშნეთ. თუმცა, ალბათ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნას უფრო ძვირი რესტორანი შეეფერებოდა. ასე ხალხი ფიქრობდა, თორემ პიცერიის მეპატრონე რობერტო ჩემთვის ავგაროზივით იყო. აქ მოსვლისას ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულად კარგი ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში.

- ჩვენი საუბრის დაწყება სასიამოვნო ფაქტებითაც შეიძლება. მაგალითად, ჩემი ახალი წიგნის გამოხმაურებებით ანდა თქვენი თეატრალური წარმოდგენის დროს ჩემში აღძრული უცნაური ემოციებით.

- ის თეატრალური წარმოდგენა არ გახლავთ, შეკრებაა, - შემისწორა მიხაილმა, - ჩვენ სიყვარულის ენერგიისთვის ვცეკვავთ და ისტორიებს ვყვებით.

- თავი რომ უფრო მყუდროდ იგრძნო... რა ვიცი, ნებისმიერ რამეზე შეგვიძლია საუბარი, თუმცა ორივემ კარგად ვიცით, დღეს ჩვენი ერთად ყოფნის მიზეზი სულ სხვაა.

- შენი ცოლის გამო ვართ აქ, - თქვა მიხაილმა, რომელიც ამ წუთებში თავისი ასაკის ახალგაზრდებისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა, თუმცა ეს მიხაილი არც არაფრით ჰგავდა ავტოგრაფების საღამოზე გაცნობილ ბიჭსა და „შეკრებების“ სულიერ ლიდერს.

- მგონი, შეგეშალათ: ჩემი ექსცოლის გამო. ერთი თხოვნა მაქვს: წამიყვანეთ მასთან. შემომხედოს თვალებში და ისე მითხრას, რომ ჩემგან წავიდა. მხოლოდ ასე თუ გავთავისუფლდები ჩემი ზაჰირისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ უამრავჯერ, ასჯერ ან ათასჯერ მაინც გავიხსენებ ჩვენს ამბავს და გამუდმებით მასზე ვიფიქრებ, იმიტომ, რომ დღემდე სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. მინდა, მივხვდე, სად დავუშვი შეცდომა და რატომ გაიყარა ჩვენი გზები.

გაიცინა.

- მხოლოდ ერთი და იმავე ამბის ბევრჯერ გახსენებით თუ შეძლებ რაღაცის შეცვლას?

- შესანიშნავი ნათქვამია, მაგრამ ფილოსოფიური დისკუსიის თავი არა მაქვს. ვიცი, რომ თქვენ, ახალგაზრდებს, სამყაროს გამოსწორების ზუსტი ფორმულა გაქვთ. თუმცა, ოდესმე თქვენც მოხვალთ ჩემს ასაკამდე; თქვენც გახდებით ჩემი ტოლი და ნახავთ, რომ არც ისე ადვილია ყველაფრის შეცვლა. ახლა, სანამ ამ საკითხზე საუბარი ფუჭია და უსარგებლო, მიპასუხეთ: შეგიძლიათ, თხოვნა შემისრულოთ?

- სანამ პასუხს გაგცემდე, ნება მომეცი, გკითხო - დაგემშვიდობა?

- არა.

- გითხრა, მივდივარო?

- არა. ხომ იცით, რომ არა?!

- გჯერა, რომ შენი ესთერი, აუხსნელად და პირისპირ საუბრის გარეშე შეძლებდა იმ კაცის მიტოვებას, ვისთანაც ათ წელზე მეტი იცხოვრა?

- სწორედ ეგ მაგიჟებს, მაგრამ ვერ ვხვდები, რისი თქმა გინდათ?

საუბარი რობერტომ შეგვაწყვეტინა. რას მიირთმევთო, - გვკითხა. მიხაილს პიცა უნდოდა. რობერტოს ვუთხარი, ჩემთვისაც მოეტანა რამე, რადგან მე არჩევის თავი არ მქონდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ორივეს სასწრაფოდ ღვინო გვჭირდებოდა და ვთხოვე, ჯერ წითელი ღვინო მოეტანა. რა მარკის გნებავთო? ნებისმიერი-მეთქი, ისე ვესროლე, მიხვდა, წასვლის დრო იყო, მარტონი უნდა დავეტოვებინეთ და აღარ უნდა შევეწუხებინეთ, რათა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაში და ჩემ წინ მჯდომ ახალგაზრდასთან საუბარში ხელი არ შეეშალა.

ღვინო ერთ წუთში მოიტანა. ჭიქები შევავსე.

- ახლა სად არის და რას აკეთებს?

- ნამდვილად გინდა, იცოდე?

კითხვაზე კითხვითვე გაცემულმა პასუხმა აშკარად ამანერვიულა.

- ჰო, მინდა.

- ხალიჩებს ქსოვს და ფრანგულს ასწავლის.

ხალიჩებს! ჩემი ცოლი (თუ შეძლებ, ბატონო მწერალო, ბოლოს და ბოლოს, მიეჩვიე - „ჩემი ექსცოლი“), რომელსაც საკმარისზე მეტი ფული ჰქონდა; რომელმაც უნივერსიტეტში ჟურნალისტიკა შეისწავლა; ოთხი უცხო ენა იცის, ახლა იძულებულია, ხალიჩები ქსოვოს და გაკვეთილები ატაროს?! შევეცადე, წონასწორობა შემენარჩუნებინა: არ შემეძლო მისი მამაკაცური თავმოყვარეობის შელახვა, თუმცა მიმაჩნდა, რომ მისი სირცხვილი იყო, თუკი ესთერს ვერ უზრუნველყოფდა ისე, როგორც იმსახურებდა.

- თუ გესმის, რა გადავიტანე ამ ერთი წლის განმავლობაში? მხოლოდ ორი საათი მჭირდება, ან ერთი, - უკვე სულერთია. მერწმუნეთ, თქვენს ურთიერთობას საფრთხეს არ შევუქმნი.

როგორც ჩანს, მიხაილი ჩემმა სიტყვებმა მოალბო.

- კითხვაზე არ მიპასუხე, - მითხრა ღიმილით, - გგონია ესთერი, ის ესთერი, რომელსაც შენ იცნობ, თავისი ცხოვრების მამაკაცს დაუმშვიდობებლად მიატოვებდა და წასვლის მიზეზს არ აუხსნიდა?

- ალბათ, არა.

- მაშინ, რა საჭიროა „მიტოვებაზე“ სენტიმენტალური საუბარი. რატომ ამბობ, „საფრთხეს არ შეგიქმნითო“?

აშკარად დავიბენი. შიგნით, გულის სიღრმეში, რაღაც უჩვეულო სიმშვიდე ვიგრძენი, თითქოს რაღაცის მოლოდინი და იმედი გამიჩნდა, თუმცა ვერ ვხვდებოდი, „საიდან“ ან „რას“ ველოდი.

- თქვენ ამბობთ, რომ...

- დიახ, მე ვამბობ, რომ მას არც შენ და არც მე არ მივუტოვებივართ. უბრალოდ, დროებით გაუჩინარდა. ჩვენ მის გადაწყვეტილებას პატივი უნდა ვცეთ.

თითქოს მბრწყინავი შუქი შემოიჭრა პიცერიაში და თან წარსულის ლამაზი მოგონებები და სასიამოვნო ამბები შემოიტანა. მოულოდნელად, ყველაფერი დავიჯერე, რასაც ეს ბიჭი ამბობდა. ზაჰირი ახლა ჩემს მაჯისცემაშიც კი იგრძნობოდა.

- იცით, სად არის ახლა?

- ვიცი. მაგრამ მის დუმილს პატივს ვცემ. მეც ძალიან მაკლია. მთელი ეს ამბავი ჩემთვისაც ცოტა ბუნდოვანია. ესთერი ან კმაყოფილია, რომ შენი სიყვარულით შორიდან იწვის, ან ერთ-ერთ ჩვენგანს ელოდება, როდის მოვინდომებთ მის მოძებნას. არ შემიძლია, ხელი შევუშალო, თუმცა ვფიქრობ, რომ შენთვის ნამდვილად აუცილებელია, ეძებო გზა, რომელიც მხოლოდ მის სხეულთან კი არა, სულთანაც მიგიყვანს.

როგორ მინდოდა, მეცინა, მეხარხარა, მეტირა, ჩავხუტებოდი ან... ან მომეკლა ეს უცნაური ადამიანი. ემოციები შთამბეჭდავი სისწრაფით მეცვლებოდა...

- თქვენ და ის...

- ვიწექით თუ არა? ააა, შენ ეს ხომ არ გაინტერესებს?! ესთერის სახით დიდი ხნის ნანატრი მეგობარი ვიპოვე. ადამიანი, რომელიც ჩემი მისიის შესრულებაში, ძალების მოკრებასა და რწმენაში დამეხმარა. ის ანგელოზია. მან გამიღო კარი, მაჩვენა გზა, ბილიკი და, თუ ღვისმშობელიც ინებებს, დედამიწაზე სიყვარულის ენერგიის აღდგენაშიც დამეხმარება. მაგრამ შენს დასამშვიდებლად მაინც გეტყვი: მე საცოლე მყავს. აი, ის, სცენაზე რომ ქერათმიანი გოგონა იდგა. ლუკრეცია ჰქვია, იტალიელია.

- მართალს ამბობთ?

- დიახ, ღვთაებრივი ენერგიის სახელით, მართალს ვამბობ.

მოულოდნელად მიხაილმა ჯიბიდან ქსოვილის ნახევი ამოიღო და ცხვირწინ ამიფრიალა.

- ხედავ? სინამდვილეში ეს ნაჭერი მწვანეა, მაგრამ შავი ფერი დაჰკრავს, იმიტომ, რომ მასში სისხლი მოძრაობს. მსოფლიოს რომელიღაც ქვეყნის რომელიღაც ჯარისკაცს, სიკვდილის წინ ესთერისათვის უთხოვია: ჩემი პერანგი პატარა ნაჭრებად დახიე და იმ ადამიანებს გაუნაწილე, ვინც სიკვდილის მესიჯის გაგებას შეძლებსო. შენ გაქვს ასეთი ნაჭერი?

- ჩვენ არასოდეს გვისაუბრია ამ თემაზე. ასე, რომ...

- როცა ესთერი ისეთ ადამიანს ხვდებოდა, ვისთვისაც აუცილებელი იყო, ერთი შეხედვით ამ უბრალო მესიჯის გაგება, იმ ჯარისკაცის სისხლიანი პერანგის ნაწილს ჩუქნიდა.

- მაინც რა იყო ეს მესიჯი? რაღაც ვერ გავიგე.

- თუ შენთვის მსგავსი არაფერი უჩუქებია, ალბათ ასე ჩათვალა საჭიროდ. თუმცა ჩემთვის არასოდეს უთხოვია, საიდუმლო შემინახე და კრინტი არ დაძრაო.

- კიდევ ვის აქვს იმ პერანგის ნახევი?

- ყველას, ვინც ხუთშაბათობით ჩემთან ერთად სცენაზე დგას. ჩვენ ესთერმა გაგვაერთიანა.

ფრთხილად უნდა მემოქმედა. მასთან ურთიერთობა უნდა გამემყარებინა. „მადლის ბანკში“ დეპოზიტის შეტანაც არ მაწყენდა.

ახლა არ ღირდა მისი შეშინება და ჩემი აუტანელი მღელვარების გამოაშკარავება. სისულელე იქნებოდა მისთვის შეკითხვების დასმა სამუშაოზე, მშობლიურ ქვეყანაზე, რომლის შესახებ საოცარი სიამაყით მიამბობდა. იქნებ სიმართლეს არც ამბობდა და სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. იქნებ ესთერთან ჯერ კიდევ ახლო ურთიერთობა აკავშირებდა...

ამ წუთას ჩემი ფიქრები მხოლოდ ეჭვს ჰგავდა.

ერთი მხრივ, ძალიან მინდოდა დამეჯერებინა, რასაც მიამბობდა, მეორე მხრივ კი, როცა მახსენდებოდა, რამდენ იარას, ტკივილს, ათასობით თეთრად გათენებულ ღამეს დავატარებდი გულში, უსაზღვრო სევდა მიპყრობდა. დავიფიცე, თუკი ერთ მშვენიერ დღეს, კარის საკეტში გაჩხაკუნებული გასაღების ხმა შემიკრთობდა სმენას, თუკი ფეხაკრეფით შემოვიდოდა ესთერი და გვერდით უსიტყვოდ მომიწვებოდა, არასოდეს არაფერს ვკითხავდი. მხოლოდ ვაკოცებდი და ჩურჩულით ვეტყოდი: „მშვიდად იძინე, ჩემო სიყვარულო“. დილით კი ჩახუტებულები გავიღვიძებდით და დავიჯერებდით, რომ ყველაფერი მხოლოდ ერთი დიდი, საშინელი კოშმარი იყო...

რობერტომ პიცა მოგვიტანა. თითქოს ინტუიციით იყნოსა, ფიქრი რომ მჭირდებოდა და შესაბამის დროს გამოჩნდა.

მიხაილს თვალს ვერ ვაშორებდი. გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, გავიფიქრე კიდეც: თუ თავი არ ვაკონტროლე, ინფარქტი არ ამცდება-მეთქი და დასამშვიდებლად ერთი ყლუპი ღვინო მოვსვი.

რა მანერვიულებდა?!

- შენი მჯერა. ჯერ დრო გვაქვს. შეგვიძლია საუბარი გავაგრძელოთ.

- ალბათ გინდა მთხოვო, რომ მასთან წაგიყვანო.

თითქოს მეთამაშებოდა. აშკარად მიწვევდა.უნდა ავყოლოდი.

- რატომაც არა! წამიყვანე. ესთერის დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ არ მეჩქარება. მოდი, ჯერ პიცა მივირთვათ. შენს ცხოვრებაზე მიამბე რამე. მინდა მეტი ვიცოდე.

შევამჩნიე, ხელები უკანკალებდა.

- მე მისია მაქვს. ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე მისი შესრულება, თუმცა წინ დიდი დრო მაქვს.

- შემიძლია დაგეხმარო?

- რა თქმა უნდა. ნებისმიერს შეუძლია დამეხმაროს. უფრო ზუსტად კი სიყვარულის ენერგიის დედამიწაზე გავრცელებაში უნდა დაეხმაროს. ეს საკმარისი იქნება.

- მე მეტის გაკეთებაც შემიძლია.

„ფრთხილად! შორს ნუ შეტოპავ. ზედმეტი გულახდილობა არ გარგებს. იქნებ შენი ტკივილით სარგებლობს, იქნებ გატყუებს კიდეც...“ - მაფრთხილებდა შინაგანი ხმა.

- მე მხოლოდ იმ სიყვარულის ენერგიას ვიცნობ,რომელიც ჩემგან წასულ ქალს ეკუთვნის, ან უფრო სწორად, როგორც შენ ამბობ, დროებით განცალკევებულ ქალს, მე რომ მელოდება. თუკი ოდესმე მის ნახვას შევძლებ, ბედნიერი ვიქნები და მჯერა, ყველაფერი უკეთესობისაკენ შეიცვლება. ასეა!

მიხაილმა ჯერ რესტორნის ჭერს მიაპყრო მზერა, მერე მაგიდას...

- ხმა მესმის, - თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ და თვალი ამარიდა.

ამქვეყნად იმდენი საოცარი რამ მინახავს, აღარაფერი მიკვირდა. უფრო მეტიც. მჯეროდა, რომ სასწაულები ნამდვილად არსებობდა. მჯეროდა, რომ ნებისმიერი ადამიანი ოდესღაც ღრმად დავიწყებულ შინაგან მაგიურ ძალას ფლობდა და მისი შეცნობა და განცდა ნებისმიერ წუთს ხელახლა შეეძლო. მაგრამ ახლა ამ თემაზე

სასაუბროდ შესაფერისი დრო არ იყო. მე მხოლოდ ზაჰირი მაინტერესებდა, მინდოდა, ჩემს ზაჰირს ესთერის სახელი რქმეოდა.

- მიხაილ...

- მე მიხაილი არ მქვია. ჩემი ნამდვილი სახელი ოლეგია.

- ოლეგ...

- როცა ცხოვრების ხელახლა დაწყება გადავწყვიტე, მიხაილი მაშინ დავირქვი. მე ცეცხლოვანი მახვილით ვუხსნი გზას „სინათლის რაინდებს“ - ეს არის ჩემი მისია.

- სხვათა შორის ჩემიც.

- არ გირჩევნია, რომ ესთერზე ვისაუბროთ?

„როგორ? ნუთუ იმ თემას გადავუხვიე, რომელიც ყველაზე მეტად მაინტერესებდა?“

- თავს ცუდად ვგრძნობ, - მიხაილს მზერა ჩაუქრა, აშკარად ველარ მამჩნევდა. თვალებით რესტორნის ყველა კუთხე-კუნჭულს აწყდებოდა. - გთხოვ, ამ თემას ნუ შევეხებით, მაგრამ... ხმა...

ვგრძნობდი, რაღაც უჩვეულო ხდებოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდი: ნუთუ მხოლოდ ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად სჭირდებოდა ეს სპექტაკლი? ნუთუ სხვების მსგავსად ისიც მთხოვდა, ჩემზე რამე დაწერეო?

თვითონაც ხშირად მისარგებლია „მადლის ბანკში“ შეტანილი დეპოზიტით.

ყოველთვის, როცა რაიმე მიზანი მქონდა, მზად ვიყავი, მის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამომეყენებინა (ბოლოს და ბოლოს ჩემს წიგნებშიც ამას „ვქადაგებდი“ და მე საკუთარი სიტყვის ღალატი არ შემეძლო).

მიზანი კი, მიხაილის მსგავსად, მეც მქონდა, ზაჰირისათვის თვალებში უნდა ჩამეხედა!

უკვე ახალ ინფორმაციას ვფლობდი: ვიცოდი, რომ ეს კაცი ესთერის საყვარელი არ იყო, რომ არც მე ვიყავი მიტოვებული კაცი და ყველაფერს მხოლოდ დრო და მოთმინება სჭირდებოდა. მიუხედავად ამისა, რატომღაც არ მასვენებდა ეჭვი, რომ დღევანდელი საუბარი ფარსი იყო, ჩემ წინ მჯდომი ახალგაზრდა კაცი კი ჩემს ტკივილს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მიზნის მისაღწევად იყენებდა.

ღვინო ისევ მოვსვი.

„აბა ჭკვიანად! მშვიდად!“ - განუწყვეტლივ მაფრთხილებდა შინაგანი ხმა.

- ესთერზე საუბარი კარგია, მაგრამ მინდოდა შენზეც მცოდნოდა რამე...

- ტყუილია. შენ მხოლოდ ჩემს მოხიბვლას ცდილობ. ტკივილს ვერ იყუჩებ. გგონია, რომ გატყუებ და შენი მდგომარეობით ვსარგებლობ.

მიხაილი ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რესტორანში მყოფი ხალხი ერთიანად გაისუსა და მოგვაჩერდა.

- ჰო. ნამდვილად ასეა. შთაბეჭდილების მოხდენა გინდა, თუმცა, შენ არც კი იცი, რომ შთაბეჭდილება შენი წიგნებით უკვე მოახდინე. მე ბევრი ვისწავლე. უბრალოდ, ახლა ტკივილმა დაგაბრმავა და დაგამუნჯა. ტკივილმა, რომელსაც ზაჰირი დაარქვი. სიმართლე თუ გინდა, აქ მისდამი შენს სიყვარულს არ მოვუყვანივარ...

ხმა აუკანკალდა... თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს კონტროლს კარგავდა.

- სინათლე.

- რა გჭირს? რა ხდება?

- ...აქ მხოლოდ მისი შენდამი სიყვარულის გამო ვარ.

- კარგად ხარ?

რობერტო მიხვდა, რაღაც რიგზე ვერ იყო, მაგიდასთან აღელვებულმა მოირბინა და მიხაილს მხრებში ჩასჭიდა ხელი.

- როგორც ჩანს, ჩემმა პიცამ გაწყინათ, - გაიღიმა უხერხულად, - გადახდა არ არის საჭირო, შეგიძლიათ წახვიდეთ.

გადაწყდა. შეგვეძლო, რაც შეიძლება სწრაფად მოვშორებოდით ჩვენკენ მომართულ ათეულობით ცნობისმოყვარე მზერას.

არა! ეს ყველაფერი სპექტაკლს არ ჰგავდა. ეს კაცი არ თამაშობდა.

- ქარის ქროლვას გრძნობ?

შევამჩნიე, რომ მიხაილის არსება პანიკურ შიშს მოეცვა, გაცილებით დიდ და აუტანელ შიშს, ვიდრე მე განვიცდიდი ახლა. პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი. სრულიად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ვხედავდი, მიხაილი მთელი ძალისხმევით ცდილობდა საკუთარი თავის კონტროლს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

- სინათლე... სინათლე გამოჩნდა. წამიყვანეთ აქედან, გემუდარებით.

აკანკალებული სხეული ბურთივით უხტოდა. დამალვასა და სიმშვიდის შენარჩუნებას აზრი არ ჰქონდა. მეზობელი მაგიდებიდან ხალხი წამოიშალა.

- ყაზა...

სიტყვა ვერ დაასრულა. მაგიდას ხელი ჰკრა და პიცა, ჭიქები, ჩანგლები, - ყველაფერი იატაკზე გადაყარა. გამომეტყველება სულ მთლად შეეცვალა. სხეული უკანკალებდა და თვალები ისე გადმოეკარკლა, თითქოს ბუდიდან ორიოდ წუთში ამოუცვივდებაო. თავი ძლივს მოაბრუნა და მე ძვლების ჭახჭახი გავიგონე.

ვიღაც სოლიდური ბატონი მეზობელი სუფრიდან წამოდგა და ჩვენკენ გამოემართა. რობერტოს იატაკიდან კოვზი აეღო, მიხაილისათვის პირში ჩაეჩარა და ქეჩოში ხელი ჩაევლო, რომ კანკალის დროს თავი იატაკზე არ ერახუნებინა.

ეს შემზარავი სცენა რამდენიმე წამს გაგრძელდა, მაგრამ მეგონა, საუკუნე გავიდა. თავში საშინელი აზრები მიტრიალებდა. წარმოვიდგინე, როგორ დაიწყებდნენ სენსაციური გაზეთები იმის აღწერას, რომ ცნობილი მწერალი, რომელიც უამრავ კრიტიკას ღირსეულად უძლებდა და ახლახან ახალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი გახდა, რობერტოს პიცერიაში ყურადღების მისაქცევად და პოპულარიზაციისათვის სპირიტიზმის სეანსებს აწყობდა. თავს დატეხილ პარანოიას ვეღარ ვუმკლავდებოდი: მომავალი სტატიები რიგრიგობით ცვლიდა ერთმანეთს - ჟურნალისტები შეიტყობდნენ, რომ ეს მედიუმი ჩემს ცოლთან ერთად გაუჩინარებული კაცი იყო... იმასაც შეიტყობდნენ... მოკლედ, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. მე კი ცხოვრების ახალი გამოცდების გასაძლებად პატარა ძალაც აღარ მექნებოდა.

აგერ, მეზობელ მაგიდებთან ჩემი მეგობრებიც სხედან, მაგრამ რომელია მათ შორის ნამდვილი მეგობარი? ვინ შეძლებს, სკანდალი ამარიდოს და აქ მომხდარზე კრინტი არ დაძრას?

მიხაილის სხეულმა კანკალი შეწყვიტა და ნელ-ნელა დამშვიდდა. რობერტო, ყოველი შემთხვევისათვის, ხელს არ უშვებდა. იმ სოლიდურმა ბატონმა მიხაილს პულსი გაუსინჯა, ქუთუთოები გაახელინა და მე შემომხედა.

- არა მგონია, პირველი შემთხვევა იყოს. რამდენი ხანია, იცნობთ?

- აქ ხშირად მოდიან, - დამეხმარა რობერტო, როცა მიხვდა, ხმის ამოღების თავი არ მქონდა, - მაგრამ დღეს, ასეთი რამ პირველად მოხდა. ისე, რესტორანში მსგავსი შემთხვევები ყოფილა...

- მივხვდი. გამოცდილი ჩანხართ. იცით, როგორ მოიქცეთ. თქვენ არ შეგშინებიათ.

ეს მე მითხრა. სახეზე ფერი არ მედო. როგორც კი ის ბატონი თავის მაგიდას დაუბრუნდა, რობერტომ მაშინვე გამანათლა:

- ცნობილი მსახიობის პირადი ექიმია. რა დაგემართათ? სახეზე ფერი არ გადევთ. ამაზე მეტად თქვენ გჭირდებათ დახმარება.

მიხაილი, ოლეგი ან ვინც უნდა ყოფილიყო ეს ახალგაზრდა მამაკაცი, უკვე იღვიძებდა. თვალები ნელა გაახილა, გარშემო მიმოიხედა, დაბნეულმა მორცხვად გაიღიმა და მომიბოდიშა:

- მაპატიეთ, თავის შეკავება ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა.

ვეცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა და ნერვებს არ ავყოლოდი..

- თქვენ არ ინერვიულოთ, დამსხვრეული ჭურჭლის საფასურს ჩვენი ძვირფასი მწერალი აანაზღაურებს, - უჩურჩულა რობერტომ და მე მომიბრუნდა: - ეპილეფსიის შეტევა ჰქონდა. სულ ესაა.

რესტორნიდან გამოვედით. მიხაილმა პირველივე შემხვედრი ტაქსი გააჩერა.

- მოიცათ, სად მიდიხართ. ჩვენ ხომ ჯერ არ გვილაპარაკია.

- ახლა მაგის თავი არა მაქვს. ბოდიშს გიხდი. თანაც უკვე იცი, სად უნდა მიპოვო.

ერთდროულად ორი სამყარო არსებობს: რეალური და საოცნებო.

იმ სამყაროში, რომელზეც ვოცნებობდი, მიხაილმა სიმართლე თქვა: ესთერი მოთმინებით მელოდა. მელოდა, რომ აღმომეჩინა გზა, რომელიც მასთან მიმიყვანდა, ბოდიშს მომახდევინებდა და ხელახლა დაგვაწყებინებდა ერთად ცხოვრებას.

იმ სამყაროში, რომელზეც ვოცნებობდი, მე და მიხაილი მშვიდად ვსაუბრობდით. გამოვდიოდით პიცერიიდან, ვსხდებოდით ტაქსიში და ზარს ვრეკავდით კარზე, რომლის მიღმაც ჩემი ექსცოლი (თუ ცოლი?) დილაობით ხალიჩებს ქსოვდა, საღამოობით ფრანგულს ასწავლიდა და ღამით ჩემსავით მარტოდმარტო ეძინა და ელოდა, როდის დარეკავდა კარზე ზარს მისი ქმარი, როდის მიაკითხავდა ყვავილების თაიგულით და როდის წაიყვანდა ელისეს მინდვრების ახლოს მდებარე სასტუმრო „ბრისტოლში“ ცხელი შოკოლადის დასალევად.

რეალურ სამყაროში, პიცერიაში მომხდარი ამბის გამო, მიხაილთან ყოველი შეხვედრა დაძაბული იქნებოდა. ალბათ, ყველაფერი, რის თქმაც მოასწრო, მისი წარმოსახვის ნაყოფია. სინამდვილეში, არც მან იცოდა ესთერის ადგილსამყოფელი.

რეალურ სამყაროში დილის 11 საათსა და 45 წუთზე მე აღმოსავლეთის სადგურზე ვიყავი და სტრასბურგიდან მომავალ მატარებელს ველოდი, რომელსაც ჩემი ნაწარმოების მიხედვით ფილმის გადასაღებად რეჟისორი და ცნობილი მსახიობი უნდა ჩამოეყვანა.

სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში საუბრობდნენ წიგნის ეკრანიზაციაზე, მაგრამ მე ყოველთვის კატეგორიულ უარს ვამბობდი.

მე ვფიქრობ, რომ წიგნის კითხვისას ყველა ადამიანი თავის ფილმს იღებს, თვითონ არჩევს პერსონაჟის სახეებს, აწყობს დეკორაციებს, ისმენს ხმებს და გრძნობს სუნს.

ამიტომ, როცა საყვარელ ნაწარმოებზე გადაღებულ ფილმს ნახულობს, მკითხველი მოტყუებული რჩება და ასკვნის: „წიგნი სჯობია ფილმს“.

მაგრამ ამ ბოლო დროს ჩემმა ლიტერატურულმა აგენტმა ძალიან შემაწუხა. „ეს შემოთავაზება სრულიად განსხვავდება დანარჩენებისაგან, მსახიობიც და რეჟისორიც „ჩვენები“ არიანო“, – ჩამჩიჩინებდა ყოველდღე. რეჟისორთან შეხვედრას დავთანხმდი. ერთად უნდა გვევახშმა, დეტალები დაწვრილებით შეგვესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიგვეღო. ყველაფერი ხდება: იქნებ მათი ფიქრები ტყუპისცალივით ჰგავდა ჩემს ფიქრებს!..

მაგრამ შეთანხმებიდან ორ კვირაში ჩემი გეგმები მთლიანად შეიცვალა: ხუთშაბათი იყო, სომხურ რესტორანში წასვლას ვაპირებდი. ისევ უნდა მენახა ეპილეფსიით დაავადებული ბიჭი (ის ხომ ერთადერთი იყო, ვინც ზაჰირის ადგილსამყოფელი იცოდა და ირწმუნებოდა, ზებუნებრივი ხმები მესმისო). ჰოდა, ვიფიქრე, რადგან შეხვედრა რეჟისორმაც ხუთშაბათს მოინდომა, იქნებ ნიშანია და საავტორო უფლებებს აღარ გავყიდი-მეთქი. შეხვედრის ჩაშლა ვცადე, მაგრამ მითხრეს, „რა მნიშვნელობა აქვს, როდის შევხვდებით. ვახშამი 1-2 დღით გადავდოთ, პარიზში კიდევ ერთი ღამის გათევას რა სჯობსო“. სხვა არგუმენტი ვეღარ ვიპოვე და იძულებული გავხდი, დავთანხმებოდი.

იმ სამყაროში, რომელზეც ვოცნებობდი, ესთერი ჯერ კიდევ ჩემთან იყო, მისი სიყვარული ძალას მმატებდა, რომ მუდმივად წინ მევლო და ყველა შესაძლებლობა ბოლომდე გამომეყენებინა.

რეალურ ცხოვრებაში კი ზაჰირი ავადმყოფობას ჰგავდა, ენერგიას ბოლომდე მწოვდა; მთელ შინაგან სამყაროს იკავებდა და ნებისყოფის მოკრებას, მუშაობას, პროდიუსერებთან შეხვედრას, ინტერვიუებს მაიძულებდა.

შეუძლებელია, ნუთუ ორი წლის განმავლობაში ვერაფრით დავივიწყე? ფიქრს გავურბოდი, მოვლენების გაანალიზება მიჭირდა და ვცილობდი თავდაჯერებულობის შენარჩუნებას, გაქცევას, წერას, იოგას ვარჯიშს, საქველმოქმედო საქმეების კეთებას, მეგობრებთან სტუმრობას, ქალების მოხიბვლას, წვეულებებზე სიარულს, კინოში წასვლას (რა თქმა უნდა, მხოლოდ სპეციალურად კინოსათვის შექმნილი სცენარები მაინტერესებდა, ლიტერატურულ ეკრანიზაციებს ყურადღებას არ ვაქცევდი), არ გამომიტოვებია სპექტაკლი, ბალეტი, საფეხბურთო მატჩი, მაგრამ...

მართლაც რომ, მაგრამ! ზაჰირი ყოველთვის იგებდა ომს, მუდმივად ჩემთან იყო და მაიძულებდა, მენატრა: „როგორ მინდა, რომ ჩემთან იყო!!!“

ახლა კი მატარებლის სადგურზე ვდგავარ და საათს დავყურებ. სტუმრების ჩამოსვლამდე 15 წუთი რჩება...

იმ სამყაროში, რომელზედაც ვოცნებობდი, მიხაილი ჩემი მოკავშირე იყო, რეალურ ცხოვრებაში კი, შესაძლებელია, მოკეთის ნიღაბაფარებული მტერი ბრძანდებოდა და სურვილი მაიძულებდა, რომ მისი ნაამბობი ყოველგვარი „დამამტკიცებელი საბუთების“ გარეშე დამეჯერებინა.

საშინელებაა! ძველი შეკითხვები ახლაც ნამქერივით მეყრება თავზე: „რატომ წავიდა? რატომ არაფერი მითხრა?“ იქნებ ჰანსის შეკითხვის გამო? იქნებ სამყაროს გადარჩენა გადაწყვიტა სწორედ ისე, როგორც მე გადავწყვიტე მაშინ, ომზე საუბრისას, თან გავყოლოდი?

თვალებით მატარებლის რელსებს ვაშტერდები. თითქოს მე და ესთერი მივდივართ - გვერდიგვერდ. ერთმანეთს არ ვეხებით. ჩვენ ორნი ვართ, როგორც...

მატარებლის რელსები...

- ნეტავ რა მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისაგან?

ზაჰირის დასავიწყებლად სადგურის თანამშრომელს ვაჩერებ, რელსებზე ვანიშნებ და ვეკითხები:

- თქვენ გეცოდინებათ, რა მანძილია ამ ორ რელსს შორის?

- 143,5 სანტიმეტრი. ან, თუ გნებავთ, 4 ნაბიჯი და 8,5 დუიმი.

რა აბსურდია. გაცილებით ლოგიკური არ იქნებოდა, რელსებს შორის მანძილი 150 სანტიმეტრი ან 5 ნაბიჯი ყოფილიყო? ინჟინრები და რკინიგზის მუშაკები დამრგვალებულ ციფრებს ხომ გაცილებით მარტივად დაიმახსოვრებდნენ.

- რატომ? - ჩავაცივდი.

- ვაგონის ბორბლებს შორის ეს მანძილია და იმიტომ.

- კი მაგრამ, ვაგონის ბორბლებს რა საერთო აქვთ რელსების დაშორებასთან?

- იცით რა, მე სადგურზე ვმუშაობ და ვალდებული არა ვარ, მატარებელზე და რელსებზე ყველაფერი ვიცოდე. და თუ გეუბნებიან, რომ ასეა, ესე იგი, მართლა ასეა, მორჩა და გათავდა.

არა! ეს კაცი მშვიდ და ბედნიერ ადამიანს არ ჰგავდა. შეეძლო, ერთ შეკითხვაზე აუღელვებლად ეპასუხა, მაგრამ შორს ვეღარ მიდიოდა. ბოდიში მოვუხადე და ისევ რელსებს მივაშტერდი. ისინი თითქოს რაღაცის თქმას ცდილობდნენ...

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ჩემს ქორწინებაზე თუ, ზოგადად, ქორწინებებზე მეუბნებოდნენ რაღაცას.

ჩამოსული მსახიობი იმაზე სიმპათიური აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. სასტუმრომდე თავაზიანად მივაცილე და შინ დავბრუნდი. მარი მომეგება. ამინდის გამო გადაღებები ერთი კვირით გადაიდოო, - მითხრა.

- დღეს ხომ ხუთშაბათია! რესტორანში წასვლას აპირებ?

- შენც წამოხვალ?

- ჰო. მე კი მინდა, მაგრამ შენ, ალბათ, მარტო გირჩევნია წასვლა.

- მართალი ხარ.

- მერე რა. მე მაინც წამოვალ. ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელიც მეტყვის, სად უნდა წავიდე და სად - არა.

- მარი, შენ თუ იცი, რატომ არის რელსებს შორის დაშორება 143,5 სმ?

- ინტერნეტში მოვძებნი. მნიშვნელოვანია?

- ძალიან.

- რელსები მერე იყოს. შენს ზოგიერთ თაყვანისმცემელს ვესაუბრე. ჰგონიათ, რომ კაცი, რომელიც წერს „დრო ჭრისა და დრო კერვისას“ წერს მწყემსზე; აღწერს სანტიაგოს გზაზე პილიგრიმობას, ნამდვილად ბრძენი იქნება და ნებისმიერ კითხვაზე შეძლებს პასუხის გაცემას.

- მტკნარი სიცრუეა, შენ მაინც ხომ იცი.

- მაშ, რაა სიმართლე? როგორ აუხსნი მკითხველებს შენი ცნობიერების მიღმა არსებულ ფიქრებს?

- ჩემი ფიქრები ცნობიერების მიღმა არ არის. ყოველი დაწერილი ფრაზა სულის ნაწილია, ცხოვრებისგან ნასწავლი გაკვეთილია, რომლის გამოყენებასაც თვითონვე ვცდილობ. მეც საკუთარი წიგნების მკითხველი ვარ და მეც მათგან ვსწავლობ, რაც ქვეცნობიერად ყოველთვის ვიცოდი, მაგრამ რასაც აქამდე ვერ ვაცნობიერებდი.

- მკითხველი?

- მკითხველსაც იგივე ემართება. წიგნი დაფარულს აშიშვლებს. შენც იცი, ახლა სიყვარულისაგან ვიტანჯები. სიყვარული კი შეიძლება, ჯოჯოხეთად გექცეს, შეიძლება - შთაგონებად. მე მხოლოდ წიგნის დაწერისას მივხვდი, რომ სიყვარული შემეძლო...

- შენი სულიერი მხარე? ან ნაწარმოებების თითოეულ გვერდზე წარმოდგენილი იდუმალების შეგრძნება?

- უკვე მომწონს, რომ რესტორანში ჩემთან ერთად აპირებ წამოსვლას. იქ მიხვდები... არა, უკეთესად რომ ვთქვათ, იქ სამ უმნიშვნელოვანეს რამეს გააცნობიერებ:

პირველი: როცა ადამიანები პრობლემას პირისპირ ეჯახებიან, მხოლოდ მაშინ ხვდებიან, რომ იმაზე კარგად შეუძლიათ მისი გადაწყვეტა, ვიდრე მანამდე ფიქრობდნენ.

მეორე: ნებისმიერი ენერგია და სიბრძნე იმ ქვეცნობიერი წყაროდან მოდის, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ. ერთადერთი, რასაც ჩემი არეული გზის დასაწყისში მივხვდი, ამ ენერგიის პატივისცემა იყო, ყოველდღე მასთან შერწყმა, „ნიშნების“ მიდევნება და ცოდნა, რომელსაც უშუალოდ საქმის კეთების დროს იძენ და არა მაშინ, როცა გასაკეთებელზე ფიქრობ.

და მესამე: საკუთარ სატანჯველთან არავინ რჩება მარტო - ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვინც მასზე მეტად ფიქრობს, უხარია ან, სულაც, განიცდის. სწორედ ეს გვაძლევს ძალას, წინ აღვუდგეთ ნებისმიერ თავსდატეხილ უსიამოვნებას.

- ეგ მესამე „პუნქტი“ სიყვარულით ავადმყოფობასაც მოიცავს?

- ყველაფერს მოიცავს. თუ იტანჯები, თვალიც უნდა გაუსწორო ამ ტანჯვას. თუ თავს მოიტყუებ, ვითომ ტკივილი არ არსებობს, არაფერი გამოგივა. თუ გიხარია, ბოლომდე უნდა გაიხარო, მაგრამ არც ის დაივიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ეს სიხარულიც დასრულდეს. არსებობს ხალხი, ვისაც სიცოცხლით ტკბობა მხოლოდ მსხვერპლის გაღების შემდეგ ანდა უარყოფის შემდეგ შეუძლია. არსებობს ხალხი, რომელიც კაცობრიობის ნაწილი მაშინ ხდება, როცა ფიქრობს, რომ „ბედნიერია“, მაგრამ შენ რატომ მეკითხები?

- შეყვარებული ვარ. არადა ტკივილისა მეშინია.

- ნუ გეშინია, ტკივილის გაქრობის ერთადერთი საშუალება სიყვარულზე უარის თქმაა.

- მე ვგრძნობ, რომ ესთერი შენი აწმყოს ნაწილია. თანაც - იმ ბიჭის ეპილეფსიის შეტევა... შენ არ მიამბე, რა მოხდა პიცერიაში სადილის დროს. დუმილი ჩემთვის ცუდი ნიშანია - სამაგიეროდ, შენთვის „კარგი“ იქნება.

- შეიძლება, ჩემთვისაც „ცუდი“ ნიშანი იყოს.

- რამდენი ხანია, მინდა, გკითხო, გიყვარვარ თუ არა, მაგრამ ვერ ვბედავ. არ ვიცი, რატომ ვერ ვინარჩუნებ მამაკაცებთან ურთიერთობას. მე ხომ ყოველთვის მინდა, რომ გვერდით მამაკაცი მყავდეს, რადგან მხოლოდ ასე ვგრძნობ თავს ჭკვიან, განათლებულ, მგრძნობიარე, განსაკუთრებულ ქალად. მამაკაცების მოხიბლვის სურვილი კი მაიძულებს, უკეთესი ვიყო. სწორედ ეს მშველის. თანაც, ძალიან ძნელია მარტო ცხოვრება.

- მაინც, რა გინდა, იცოდე? მიყვარს თუ არა ქალი, რომელმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიმატოვა?

- უთქმელადაც ვხვდები, შენი წიგნი წავიკითხე. ვიცი, რომ გიყვარს.

- მაშ, რა გინდა იცოდე? ესთერთან ერთად შენც მიყვარხარ თუ არა?

- მაგას ვერ გკითხავ. პასუხმა შეიძლება, მთელი ცხოვრება დამინგრიოს.

- გინდა, იცოდე, ერთი კაცის ან ქალის, მოკლედ, რამდენიმე ადამიანის სიყვარული თუ შემიძლია?

- წინა შეკითხვა უფრო პირდაპირი იყო. იმაზე მიპასუხე.

- ალბათ, კი. ორი ადამიანის ერთდროულად სიყვარული შესაძლებელია, თუ ერთი ქალი გადაიქცევა...

- ...ზაჰირად. გასაგებია. კარგი! შენთვის ვიბრძოლებ. მგონი, ღირს. კაცს, რომელსაც შენსავით შეიძლება უყვარდეს ქალი - ნამდვილად იმსახურებს ჩემს პატივისცემას. და ახლა, სწორედ ამ ნების გამოსახატავად, დასამტკიცებლად, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ხარ, როგორი აბსურდიც უნდა იყოს, შენთან ერთად მოვდივარ, – ამბობს მარი.

მე კი ისევ მეფიქრება:

აუცილებლად უნდა გავარკვიო - რატომ არის მატარებლის რელსები ერთმანეთისგან 4 ნაბიჯითა და 8,5 დუიმით დაშორებული.

ამჯერად მარტო დარბაზი კი არა, მთელი რესტორანი იყო სავსე. როგორც ჩანს, მეპატრონემ პირობა შეასრულა და ისე მოიქცა, როგორც წინა კვირას შემპირდა. მარი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ხალხს და გაოცებას ვერ მალავდა.

- შეხედე, როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან! ბავშვებს აქ რა უნდათ! რა აბსურდია!

- ალბათ, მშობლებს დამტოვებელი არავინ ჰყავთ, – ვამშვიდებდი მე.

ზუსტად 9 საათზე სცენაზე აღმოსავლურ ტანისამოსში გამოწყობილი ექვსი სილუეტი - ორი მუსიკოსი და თეთრი, ფართხუნა სამოსით შემოსილი ოთხი ახალგაზრდა გამოჩნდა. იქაურობა წამსვე სიჩუმემ მოიცვა.

- ქვეყნიერების შექმნის შესახებ შექმნილ მონღოლურ მითში შველი და ველური ძაღლი ერთმანეთს შეხვდა, – მიხაილმა საუბარი დაიწყო და მე ისევ მომეჩვენა, რომ ეს ხმა მას არ ეკუთვნოდა (თითქოს, მის ნაცვლად, სხვა ადამიანი საუბრობდა), – ერთმანეთს შეხვდა ორი სრულიად განსხვავებული ბუნების არსება: ველური ძაღლი, რომელიც ყოველთვის კლავს შველს და შველი, რომელიც ყოველთვის ველური

ძაღლის მსხვერპლია. მონღოლურ მითში ორივე ცხოველი ხვდება, რომ შექმნილ გარემოებებზე გასამარჯვებლად აუცილებელია ერთმანეთის თვისებების დაფასება.

მაგრამ ამისათვის ჯერ სიყვარული უნდა ისწავლონ. სიყვარულს კი, თუ საკუთარი თავიდან არ ამოხტებიან და ერთმანეთში არ გადასახლდებიან, ვერასოდეს შეძლებენ. გარკვეული დროის შემდეგ ველური ძაღლი ხვდება, რომ ინსტინქტი, რომელიც მანამდე მხოლოდ თვითგადარჩენისათვის სჭირდებოდა, ახლა უკეთესი მიზნისთვის უნდა გამოეყენებინა ანუ თავისი მეორე ნახევრის პოვნისთვის - იმის პოვნისთვის, ვისთან ერთადაც მსოფლიოს გადაწყობას, მის ხელახლა აშენებას შეძლებდა.

მიხაილმა ღრმად ჩაისუნთქა და ისევ განაგრძო:

- როცა ვცეკვავთ, იმ ენერგიის გარშემო ვბრუნავთ, რომელიც ღვთისმშობლამდე აღწევს და მერე მთელი ბრწყინვალებით უკანვე გვიბრუნდება. სწორედ ისე, როგორც მდინარის წყალი ქრება, ღრუბლებად გადაიქცევა და წვიმის სახით დედამიწაზე ბრუნდება. დღეს სწორედ სიყვარულის შთამბეჭდავ წრეზე გიამბობთ:

ერთ დილას ერთმა გლეხმა მონასტრის კარებზე მთელი ძალით დააბრახუნა. როცა მეკარე ბერმა კარი გააღო, გლეხმა ზურგს უკან დამალული ყურძნის ულამაზესი მტევანი გამოაჩინა.

- საყვარელო ძმაო, ეს ჩემი ვენახის ყველაზე ლამაზი მტევანია. მინდა, თქვენ გაჩუქოთ.

- გმადლობ. ახლავე აბატს წავუღებ. ეს ძღვენი გაახარებს.

- არა! ეს მტევანი მე თქვენ მოგიტანეთ.

- მე? მე არ ვიმსახურებ ასეთ მშვენიერ საჩუქარს.

- ყოველთვის, როცა ამ კარზე ვაკაკუნებდი, კარს თქვენ მიღებდით. როცა გვალვა მოსავალს მინადგურებდა და დახმარება მჭირდებოდა, ყოველდღე ჭიქა ღვინოსა და პურის ნატეხს მაძლევდით. ახლა მე მინდა, ყურძნის ამ მტევანმა მზის სიყვარული, წვიმის სილამაზე და ღვთის წყალობა მოგმადლოთ.

მეკარე ბერმა მტევანი გამოართვა და მთელი დილა აღტაცებულმა გაატარა - მტევანი ნამდვილად ულამაზესი იყო. სწორედ ამის გამო, მაინც გადაწყვიტა, საჩუქარი აბატისათვის მიეძღვნა, რომელიც ბრძნულ რჩევა-დარიგებას არასდროს იშურებდა მისთვის.

აბატიც აღფრთოვანდა, მაგრამ უეცრად გაახსენდა, რომ ერთი ბერი ავად იყო, და გაიფიქრა, მტევანს მას მივუტან, ვინ იცის, იქნებ ცოტა მაინც გავახაროო.

მტევანი არც ავადმყოფი ბერი ოთახში დარჩა დიდხანს: „მზარეული, მე რომ მივლის, საუკეთესო საჭმელს მაძლევს, ბედნიერი იქნება, თუ მას ვაჩუქებ“, - გაიფიქრა

ავადმყოფმა და როდესაც სადილის დროს მზარეულმა ბერმა საჭმელი მიუტანა, ყურძენი მას აჩუქა.

- შენთვისაა. შენ ხომ ყოველდღე ბუნების ქმნილებებს ეხები, უკეთესად გეცოდინება, როგორ მოექცე ღვთის ამ საჩუქარს.

მზარეულ ბერს თვალი მოსჭრა ყურძნის სილამაზემ და გადაწყვიტა, თავისი დამხმარისათვის ეჩვენებინა მისი სრულყოფილება. მტევანი ისეთი ბრწყინვალე იყო, მედავითნის გარდა, მონასტერში ვერავინ შეძლებდა მის შეფასებას. მედავითნე სიწმინდეებს იცავდა. წმინდა, იდუმალი კაცის სახელი ჰქონდა.

მედავითნემ, თავის მხრივ, მტევანი მორჩილს აჩუქა, რომ უკეთესად შეეცნო ღვთის სასწაული, რომელიც ყველაფერში ვლინდება. საჩუქრის მიღებისას მორჩილის გული ღვთის დიდებით აივსო და ის ადამიანი გაახსენდა, რომელმაც მონასტერში პირველად მოსულს კარები გაუღო. სწორედ მან მიიყვანა იმ ხალხთან, რომლებიც ყველაზე კარგად ხვდება ღვთის სასწაულის ფასს.

ასე რომ, სანამ მონასტერში ღამე ჩამოწვა, მორჩილმა მტევანი მეკარე ბერს მიუტანა.

- ჭამე და შეგერგოს! უმეტეს დროს მარტოკა ატარებ, ეს ყურძნის მტევანი კი, დარწმუნებული ვარ, ბედნიერებას მოგანიჭებს.

მეკარე ბერი მიხვდა, რომ ეს საჩუქარი სწორედ მას ეკუთვნოდა. ყურძენი გემრიელად მიირთვა და ბედნიერმა დაიძინა. ასე შეიკრა სიხარულისა და ბედნიერების წრე, რომელიც ყოველთვის იმ ადამიანის გარშემო ჩნდება, ვინც მუდმივად ეხება სიყვარულის ენერგიას...

ალმამ დაირას ძლიერად შემოჰკრა და ააჟღრიალა.

- როგორც ყველა ხუთშაბათს, ახლაც სიყვარულის ერთი ისტორია მოვისმინეთ. ახლა უსიყვარულობის ჯერია. ვნახოთ, რა ხდება ზედაპირზე, და თანდათან გავიგოთ, რა ხდება შიგნით! შევიცნოთ საკუთარი ჩვეულებები, ხასიათი, ფასეულობები. და როცა ზღვარს მივაღწევთ, საკუთარ თავსაც აუცილებლად ვიპოვით. აბა, ვინ დაიწყებს?

მარის გასაკვირად, ბევრმა ასწია ხელი, მათ შორის - მეც. ხალხი ამოძრავდა, ატყდა ხმაური. მიხაილმა ცისფერთვალა მაღალ, ლამაზ ქალს ანიშნა, შენ დაიწყეო, და ქალიც წამოდგა:

- წინა კვირას მთებში მეგობრის სანახავად წავედი. საფრანგეთის საზღვართან ახლოს ცხოვრობს. მარტოა, ტკბება ცხოვრებით და ფიქრობს, რომ ყველანაირი სიბრძნე (ამბობენ, უზარმაზარ სიბრძნეს ფლობსო) სასარგებლო და კეთილი საქმეების კეთებაში იმალება.

როცა ქმარს გავუმხილე, მთაში მივდივარ-მეთქი, არ მოეწონა. იცოდა, ვინ იყო ჩემი მეგობარი. წარსულში ჩიტებზე ნადირობისა და ქალების შებმის მეტი არაფერი

გაუკეთებიაო, - მითხრა. მაგრამ მე სწორედ მასთან საუბარი მჭირდებოდა. ასეთ კრიზისულ წუთებში სხვა ვერავინ დამეხმარებოდა. მე და ჩემმა ქმარმა ვიჩხუბეთ, ვიკამათეთ, მაგრამ, მიუხედავად დაძაბული სიტუაციისა, მაინც გავემგზავრე. მეგობარი აეროპორტში დამხვდა. საღამოს წყნარად ვისაუბრეთ, ვივახშმეთ, ცოტა დავლიეთ, ცოტა კიდევ ვილაპარაკეთ და მე დასაძინებლად წავედი. მეორე დღეს მთელი რაიონი ფეხით მოვიარეთ და მან აეროპორტში მიმაცილა.

ჩემმა ქმარმა შინ მისვლისთანავე დამაყარა შეკითხვები:

- აბა, მარტო იყო?

- კი.

- საცოლე ჰყავს?

- არა.

- დალიეთ?

- დავლიეთ.

- რატომ გაურბიხარ ამ თემაზე საუბარს?

- როგორ გავურბივარ, ჩვენ ხომ ვსაუბრობთ?!

- ესე იგი, მთაში მიკარგულ სახლში მარტონი იყავით? რა რომანტიკულია. ხომ ასეა?

- კი.

- და თქვენ მხოლოდ საუბრობდით, არა?

- კი.

- გგონია, დაგიჯერებ?

- რატომ არ დამიჯერებ?

- იმიტომ, რომ ეგ ყველაფერი ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება. კაცი და ქალი, თუ ერთად არიან, თუ სვამენ, თუ ინტიმურ რაღაცეებზე საუბრობენ - ყოველთვის, ყო-ველ-თვის ლოგინით ამთავრებენ!

ქმარს ვეთანხმები. ადამიანურ ბუნებას, მართლაც, ეწინააღმდეგება. ალბათ, მსგავს ისტორიას არც მე დავიჯერებდი, მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის სიმართლეა. ქმრისთვის არაფერი მომიტყუებია, თუმცა მას შემდეგ ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ალბათ, ოდესმე ყველაფერი დალაგდება, ოდესმე ტკივილი გაივლის, მაგრამ მხოლოდ იმ ადამიანური ბუნების გამო, რომ თურმე კაცი და ქალი, რომლებსაც

ერთმანეთთან ყოფნა ძალიან სიამოვნებთ, როგორც კი საშუალება ეძლევათ, ლოგინში ერთად აღმოჩნდებიან, ნამდვილად არ ღირს, ერთმანეთს ტკივილი მივაყენოთ.

დარბაზი აპლოდისმენტებით ინგრევა. სიგარეტებს მოუკიდეს. ბოთლები და ჭიქები აახმაურეს...

- ეს რას ნიშნავს? - ჩურჩულით მეკითხება მარი, - წყვილების კოლექტიური თერაპიაა?

- „შეკრების“ ნაწილია, აქ არავინ ამბობს, ვინ კარგადაა და ვინ - ცუდად, ვის უხარია და ვის სტკივა. აქ მხოლოდ ამბებს ყვებიან.

- ასე სახალხოდ? ყოველგვრი მოკრძალების გარეშე? ამ ნასვამი და მწეველი ხალხის წინ?

- აბა რა! ასე ნაკლებად სერიოზულია და თუ ნაკლებად სერიოზულია, უფრო ადვილიცაა. რატომაც არა!

- ადვილი? ამდენი უცნობი ადამიანის გარემოცვაში? ხომ შეიძლება, ამ ქალის ისტორია ხვალ მის ქმარს უამბონ.

ვიღაცა ისევ იწყებს საუბარს და ვეღარ ვასწრებ, ვუპასუხო, რომ ქმრისათვის თქმასა და ართქმას მნიშვნელობა არა აქვს: აქ ყველა ერთადერთი მიზნით მოდის - ეს სიყვარულის ნიღბით მოსიარულე უსიყვარულობაზე საუბარია.

- მე ამ ქალის ქმარი ვარ, - ისტორიის მოყოლა ახლა იმ სენიორმა დაიწყო, რომელიც, სულ ცოტა, ოცი წლით უფროსი მაინც იქნებოდა ქერა და ლამაზ მანდილოსანზე, - რაც მან გიამბოთ, სრული სიმართლეა, მაგრამ არის რაღაც, რაც ჩემმა ცოლმა არ იცის. ძალა არ მეყო, ვერ ავუხსენი. არა უშავს. ახლა საჯაროდ ვეტყვი.

იმ დღეს, როდესაც მთაში გაემგზავრა, მთელ ღამეს ვერ დავიძინე. ვცადე, დაწვრილებით წარმომედგინა, რა ხდებოდა და თითქოს ცხადად დავინახე: ჩემი ცოლი კარზე აკაკუნებს, სახლში თბილა, ბუხარი გიზგიზებს, იხდის პალტოს, იხდის ჯემპრს, თხელი პერანგის ქვეშ ლიფიც არ აცვია. ის კაცი კი შეჰყურებს და ნათლად ხედავს მისი მკერდის კონტურებს.

ქალი მზერას უყურადღებოდ ტოვებს. შამპანურის მოსატანად სამზარეულოში გავალო, - ამბობს. ვიწრო, ტანზე მოტმასნილი ჯინსი აცვია, მშვიდად მიაბიჯებს და მშვენივრად ხვდება, როგორ ათვალიერებს კაცი თავიდან ფეხებამდე. ბრუნდება. შამპანურს სვამენ, ინტიმურ თემებზე საუბრობენ. ასეთი საუბრები „ერთიანობის“ გრძნობას ამძაფრებს.

თემა, რომელმაც ქალი მასთან ჩამოიყვანა, ამოწურულია. მობილური ტელეფონი რეკავს. მე ვარ. მინდა, გავიგო, როგორ არის. ქალი ყურმილს იღებს, მეგობრის გასაგონად ტელეფონს ხმას უწევს, მასთან მიდის და თავითავმიდებულები ერთად

მისმენენ. ცოტა დაძაბული ვესაუბრები, ვიცი, ჩხუბს ახლა აზრი აღარ აქვს, ჯობია, თავი მოვაჩვენო, ვითომ სულაც არ ვღელავ. რა მოხდა, თუკი ჩემმა ცოლმა დროის გატარება მთაში მოისურვა?! ხვალ ისევ ჩემთან, პარიზში დაბრუნდება. ისევ მოუვლის შვილებს, ხელახლა დაიწყებს დიასახლისობას და ასე შემდეგ...

ყურმილს ვკიდებ. დარწმუნებული ვარ: იმ კაცმა ყველაფერი მოისმინა და ახლა ისინი, წეღან სხვადასხვა სავარძელში რომ ისხდნენ და შამპანურს წრუპავდნენ, ახლოს, ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან.

ამ წუთიდან მთაში მომხდარ ამბავზე აღარ ვფიქრობ. ვდგები, შვილების ოთახთან მივდივარ, ისევ ფანჯარასთან ვბრუნდები და პარიზს გავყურებ. და იცით, რას ვხვდები? ვხვდები, რომ საკუთარმა წარმოსახვამ აღმაგზნო. გესმით? წარმოსახვამ, თითქოს ჩემი ცოლი სხვა კაცს კოცნიდა და მის საწოლში ნებივრობდა, ჩემზე ასე იმოქმედა.

საშინლად ავნერვიულდი. ცუდად გავხდი. ვერ ვაპატიე ჩემს თავს. მეორე დღეს ჩემს ორ მეგობარს ვესაუბრე. არა! ამბავი არ მომიყოლია, ისე ვკითხე, თქვენს ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ აღგზნებულხართ, როცა ნათლად ხედავთ, რომ რომელიმე დღესასწაულზე ან წვეულებაზე სხვა კაცის თვალები თქვენი ცოლის დეკოლტეს დაჟინებით ათვალიერებს-მეთქი. ორივე მეგობარმა პასუხს თავი აარიდა. იმიტომ აარიდა, რომ ეს ტაბუდადებული თემაა. მაგრამ, სხვათა შორის, მაინც აღნიშნეს: კარგია, როცა შენი ცოლი სხვისთვისაც სასურველიაო, - ეს იყო და ეს. ამის იქით აღარ წასულან. მას შემდეგ ვფიქრობ: ნუთუ ყველა კაცის გულის სიღრმეში დამალული საიდუმლო ფანტაზია ეს არის-მეთქი? არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს ცოლს ცხოვრება ჯოჯოხეთად ვუქციე. საკუთარ გრძნობებში ვერ ვერკვეოდი და რადგან ვერ ვერკვეოდი, ყველაფერში მას ვადანაშაულებდი - არ უნდა დაერღვია ის, რაც ჩემს პირად ცხოვრებას წონასწორობას უნარჩუნებდა!

სენიორი გაჩუმდა. ღრმად ამოისუნთქა და დაჯდა.

დარბაზში ამჯერად უფრო მეტი სიგარეტი ინთება, მაგრამ აპლოდისმენტების ხმა არ ისმის. თითქოს ახლახან ნაამბობი ამბავი აქაც ტაბუდადებულ თემად დარჩა.

სანამ მორიგი ისტორიის მოსაყოლად ხელი ჰაერში მქონდა აწეული, საკუთარ თავს ვკითხე, იმ კაცს თუ ეთანხმები-მეთქი. ვეთანხმებოდი. ესთერი ხშირად წარმომიდგენია ბრძოლის ველზე მყოფ ჯარისკაცებთან ერთად, მაგრამ არც მისთვის და არც საკუთარი თავისათვის არაფერი გამიმხელია.

მიხაილმა დარბაზს გადახედა, ჩემს აწეულ ხელს თვალი შეავლო და თავის დაკვრით მანიშნა, დაიწყეო. გარშემო მიმოვიხედე, ყურადღებას არავინ მაქცევდა, ყველა ჯერ კიდევ ცოლის სხვა მამაკაცთან წარმოდგენით აღგზნებული კაცის ისტორიაზე ფიქრობდა. უყურადღებობამ საუბრის დაწყება უფრო გამიადვილა.

- წინასწარ გიხდით ბოდიშს, შესაძლებელია, წინა გამომსვლელებთან შედარებით, მთლად პირდაპირი ვერ მოგეჩვენოთ, მაგრამ სათქმელი ნამდვილად მაქვს.

დღეს მე მატარებლის სადგურზე გახლდით. თურმე, მანძილი, რომელიც ორ რელსს ერთმანეთს აშორებს, 143,5 სანტიმეტრი, თითქმის 4 ნაბიჯი და 8,5 დუიმია. აბსურდულად არ გეჩვენებათ? ჩემს საცოლეს ვთხოვე, მიზეზი მოეძებნა და აი, ისიც: თავიდან, როცა მატარებლის პირველი ვაგონები ააწყვეს, ისეთივე იარაღი გამოიყენეს, როგორსაც ძველ დროში ურიკების შესაქმნელად იყენებდნენ.

ურიკის ბორბლები რატომღა იყო ამ მანძილით დაშორებული? იმიტომ, რომ უძველესი ოთხთვალაც სწორედ ასე დაამზადეს. ურიკის ბორბლები მხოლოდ ასე ბრუნავდა.

ვინ გადაწყვიტა, რომ ოთხთვალა ამ ზომით გაკეთებულიყო?

პასუხს შორეულ წარსულში მივყავართ.

ვინ გადაწყვიტა და, რომაელებმა. მათ შექმნეს პირველი დიდი ეტლები. რატომ? ეტლს ცხენები მოაგორებდნენ. ერთმანეთის გვერდით მყოფი ორი ცხენი 143,5 სანტიმეტრს იკავებდა.

ასე რომ, მოდერნიზებული, სწრაფი მატარებლების რელსებს შორის მანძილი რომაელებმა გადაწყვიტეს. მოგვიანებით, როცა რკინიგზის ასაშენებლად ემიგრანტები ამერიკაში ჩავიდნენ, არც უკითხავთ: იქნებ ზომის შეცვლა უკეთესი იყოსო. ძველი მოდელი გაიხსენეს და მორჩა. მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ სცადეს, დადგენილი წესებისათვის გადაეხვიათ. ეს მაშინ იყო, როცა ამერიკელმა ინჟინრებმა დიდი ზომის ტანკების შექმნა გადაწყვიტეს, მაგრამ პრობლემამ მაშინვე იჩინა თავი: უტაში დამზადებული ტანკები ფლორიდის სპეციალურ ცენტრამდე მატარებლით უნდა წაეღოთ, მაგრამ დიდი ზომის გამო გვირაბში ვერ გაეტია. ამიტომ წესი წესად დარჩა, რომაელების მიერ გადაწყვეტილ იდეალურ ზომებს დაემთხვა და რელსებს შორის მანძილიც საბოლოოდ განისაზღვრა...

ამოვისუნთქე და ცოტა ხნით გავჩუმდი. დარბაზში მსხდომთაგან ზოგიერთს ოდნავადაც არ აინტერესებდა ჩემი რელსები და ერთმანეთთან საუბარს განაგრძობდა, ზოგიერთი კი, მარისა და მიხაილის ჩათვლით, დიდი ყურადღებით მისმენდა.

- თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ შეუძლებელია, სულ მცირე რამ მაინც ჰქონდეს საერთო რელსების ზომასა და ქორწინებას, მაგრამ ცდებით. საერთო ბევრია. ახლა ამ დარბაზში, აუცილებლად გამოჩნდება ვინმე, ვინც იტყვის: ქორწინებისას ორი ადამიანი ერთი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს, რელსებივით ერთმანეთის მხარდამხარ იარონ და ქორწინების უკვე არსებულ „მოდელს“ დაემორჩილონო. წესები კი გვეუბნება: იცხოვრეთ ჭკვიანურად, იფიქრეთ შვილებსა და მომავალზე. უკვე გითხარით: წესი წესია, ვეღარ შეიცვლება. რელსებივითაა: ვალდებულია,

ერთნაირი ზომა შეინარჩუნოს ყველგან - გზის დასაწყისში, შუაგულსა და ბოლოში. სიყვარულს ცვლილებების უფლებას არ აძლევენ. აუცილებელია, ერთად ყოფნის პირველი წლების ენთუზიაზმის სიმტკიცით, ძლიერებითა და დატვირთვით იცხოვრონ ბოლომდე. იმ შემთხვევაში, თუ 143,5 სანტიმეტრიან დისტანციას დაიცავენ, სიყვარულის გადასარჩენად ჩავლილ მატარებელს ნამდვილად ექნება მომავალი.

ცოლქმრული ჩარჩოები მხოლოდ შვილებზე არ ვრცელდება. მოსიყვარულე წყვილებმა მეზობლებზეც უნდა იფიქრონ. თავი მოაჩვენონ, თითქოს უზომოდ ბედნიერები არიან. კვირაობით პიცა მიირთვან, ტელევიზორს ერთად უყურონ, საზოგადოებას მუდმივად დაეხმარონ და გარშემომყოფები არ დაივიწყონ. ისე, ვერც კი მიხვდები, რომ პრობლემები აქვთ. როგორც წესი, განზე არ იხედებიან, მაგრამ თუ ერთ-ერთ მათგანს თვალი შემთხვევით სხვისკენ გაექცა, ქორწინებას აუცილებლად განქორწინებით, კრიზისითა და დეპრესიით დაასრულებენ.

ასეთი „ბედნიერი“ წყვილი ფოტოებზე იღიმება, გადაღებულ კადრებს ყველას დასანახად მისაღებ ოთახში კიდებს, მუშაობს, ბაღში ბალახსაც კი კრეჭს. დროის შესაჩერებლად სპორტს მისდევს. თუ სპორტი არ უშველით, პლასტიკურ ქირურგიაზეც არ ამბობენ უარს. აი, ასეა. არასოდეს ივიწყებენ წესებს, რომლებიც ცხოვრების რომელიღაც მომენტში თავად შეადგინეს და ახლა პატივი უნდა სცენ. ვინ შექმნა ეს წესები? ვინ დააკანონა ცოლქმრული ჩარჩოები? ამ კითხვებმა მნიშვნელობა დაკარგეს, იმიტომ, რომ წესები უკვე შექმნილია, უკვე დადგენილია, მიუხედავად იმისა, მისაღებია თუ არა, ეთანხმებიან თუ არა, მოსწონთ თუ არა!..

დავასრულე, ღრმად ამოვისუნთქე და დავჯექი. გარშემო ზოგი ტაშს უკრავს, ზოგი გულგრილი სახით ზის, მარი გაოცებითა და აღტაცებით შემომყურებს. მე კი ვერ ვხვდები, იქნებ ძალიან შორს შევტოპე?

სცენიდან დაირის ხმა ისმის. მარის ვთხოვ:

- აქ მოიცადე, სანამ სიგარეტის მოსაწევად ქუჩაში გავალ. ახლა სიყვარულის სახელით, ღვთისმშობლის პატივსაცემად იცეკვებენ.

- გარეთ ნუ გახვალ, აქ მოწიე.

- მარტო ყოფნა მირჩევნია.

გაზაფხულის პირველი დღეები იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც ციოდა. სუფთა ჰაერი მჭირდებოდა. ნეტავ რატომ მოვყევი ეს სისულელე, ჩემი ქორწინება ხომ არასოდეს დამსგავსებია ორ თანაბარ და სწორ რელსს - ყოველთვის ერთმანეთის გვერდით, სიმეტრიულად რომ მიიკლაკნება. მე და ესთერს უამრავი დაბრკოლება გადაგვილახავს, ბევრჯერ დავმუქრებივართ ერთმანეთს, - დაგშორდებიო, მაგრამ მაინც ერთად ვიყავით, ერთად ვეწეოდით უღელს... ბოლო ორ წლამდე... ან მანამადე,

სანამ ესთერმა კითხვა არ დასვა: „რატომ ვარ უბედური, როცა ბედნიერებისათვის ყველაფერი მაქვსო“. არ შეიძლება ამგვარი კითხვების დასმა. მათ ხომ ნგრევის ვირუსთან ერთად სხვა უამრავი კითხვაც მოაქვთ თან. კითხვებს რა დალევს: „რა გვანიჭებს ბედნიერებას?“, „ესე იგი, ის, რაც გვაბედნიერებს, ძალიან განსხვავდება იმისაგან, რითიც დღეს ვცხოვრობთ?“ „იქნებ შევიცვალეთ?! თუ ჯერ კიდევ უბედურები ვართ?“ „რატომ?“

თითქოს ახლა მე ვიყავი გაურკვეველ სიტუაციაში: მყავდა საცოლე, მქონდა სამუშაო, რომელსაც დღითი დღე სულ უფრო მეტი წარმატება მოჰქონდა, და ვცდილობდი, მეპოვა ძალა, რომ საგნებისათვის წონასწორობა დამებრუნებინა. რა თქმა უნდა, ჯობდა, არსებულს შევგუებოდი, მიმეღო ის, რასაც ცხოვრება მთავაზობდა, ესთერის კითხვები დამევიწყებინა, აღარ ჩამეხედა ადამიანების თვალებში, ხშირად გამეხსენებინა მარის სიტყვები და მასთან ერთად ახალი ცხოვრება დამეწყო.

მაგრამ არ შემეძლო! არ შემეძლო, რადგან თუ წესებით ვიცხოვრებდი, მონა გავხდებოდი. მონობის აღსაკვეთად კი უზარმაზარი ძალა იყო საჭირო. უფრო მეტიც, თუ ასე მოვიქცეოდი, ესთერის გარდა, დავკარგავდი მარის, სამსახურს, მომავალს, საკუთარი თავის პატივისცემას, ყველაფერს, რაც ოდესმე მითქვამს და დამიწერია.

დარბაზში ვბრუნდები. ხალხი დაშლილა. მიხაილს ტანსაცმლის გამოცვლაც მოუსწრია.

- რაც წეღან აქ მოხდა... - დაიწყო მიხაილმა.

- არ ინერვიულო. წამოდი, სენის სანაპიროზე გავისეირნოთ.

მარი მიმიხვდა. ამაღამ ადრე უნდა დავწვეო, - მითხრა.

- ეიფელის კოშკის მოპირდაპირე ხიდამდე ტაქსით ერთად წავიდეთ, იქიდან შინ ფეხით დავბრუნდები, - ვთხოვე მე.

ვიფიქრე, ბარემ მიხაილსაც ვკითხავ, სად ცხოვრობს-მეთქი, მაგრამ შეიძლებოდა ეფიქრა, ალბათ, შემოწმება უნდა, ესთერი ჩემთან ხომ არ ცხოვრობსო, და გადავიფიქრე.

გზაში მარი მიხაილს ჩააცივდა: „მითხარი, რას ნიშნავს ეს შეკრებებიო“. მიხაილმა ძველებურად უპასუხა: „ეს ერთგვარი გზაა, რომ სიყვარულის ენერგია დავიბრუნოთ.“ მერე მე მომიბრუნდა, მატარებლის რელსების ისტორია ძალიან მომეწონაო, მითხრა.

- ალბათ, სწორედ ასე დაიკარგა სიყვარული: ვითომ ბედნიერებისათვის და მისივე გამარჯვებისათვის დავიწყეთ ზუსტი წესების დამკვიდრება და...

- ეგ როდის იყო? - ჰკითხა მარიმ.

- არ ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ გამქრალი სიყვარულის ენერგიის უკან დაბრუნება ნამდვილად შესაძლებელია. როცა რესტორანში ვცეკვავთ ან როცა ზებუნებრივი ხმა ჩამესმის, ასე მგონია, თავად სიყვარული მესაუბრება.

მარიმ არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს „ზებუნებრივი ხმა“, მაგრამ ტაქსი უკვე ხიდს უახლოვდებოდა და აღარაფერი უკითხავს. მანქანა გავაჩერეთ და მე და მიხაილმა პარიზის ღამის სიცივე ღრმად შევისუნთქეთ.

- იმ დღეს პიცერიაში, ალბათ, ძალიან შეგაშინე. ეპილეფსიის დროს ყველაზე სახიფათოა ენის გადაყლაპვა და დახრჩობა. რესტორნის მეპატრონე გამოცდილი ჩანდა. ეტყობა, ადრეც ჰქონდა მსგავსი შემთხვევები. ისე, ეპილეფსია არც ისე იშვიათი დაავადებაა. თუმცა, რაც შემეხება მე, დიაგნოზი მცდარია. ბნედიანი არა ვარ. ენერგიასთან კონტაქტის დროს მემართება ასე...

რა სისულელეა! რა თქმა უნდა, ბნედიანია! მაგრამ არ ღირს ამის მტკიცება. ნორმალურად უნდა მოვიქცე, სიტუაცია ბოლომდე ვაკონტროლო. თან ცოტა გაკვირვებული ვარ - ასე იოლად როგორ დამთანხმდა შეხვედრაზე!

- მჭირდები. მჭირდება, რომ სიყვარულის მნიშვნელობაზე დაწერო რამე, - მეუბნება მოულოდნელად.

- სიყვარულის მნიშვნელობა ყველამ იცის. ისედაც ყველაფერი სიყვარულზე იწერება.

- მაშინ, თხოვნას დავაზუსტებ: მინდა ახალ აღორძინებაზე, დაწერო.

- ვერ გავიგე. რას ნიშნავს ახალი აღორძინება?

- მე-15, მე-16-ე საუკუნეში იტალიაში ამოფრქვეულ მოძრაობას ჰგავს: როცა დიდმა გენიოსებმა - ერაზმმა, ლეონარდო და ვინჩიმ, მიგელ ანხელმა - ბოლო მოუღეს დროის კონკრეტულ საზღვრებს, კონკრეტული ეპოქის მორჩილებას და თვალი წარსულს მიაპყრეს. ახლა ჩვენი ჯერია: მაშინდელივით, ჩვენც მაგიურ ენას, ალქიმიას, დედა ღმერთის იდეას უნდა დავუბრუნდეთ. თავისუფლად უნდა ვაკეთოთ ის, რისიც გვჯერა, და არა ის, რასაც ეკლესია და მთავრობა ითხოვს. XV-XVI საუკუნეების ფლორენციის მსგავსად, ისევ აღმოვაჩინოთ, რომ საკუთარ წარსულში იმალება მომავლის პასუხი. წეღანდელი შენი ნაამბობი გაიხსენე: რატომ ვემორჩილებით წესებს, რომელთა მნიშვნელობაც არ გვესმის? ხალხი შენს წიგნებს კითხულობს. ამიტომ გთხოვ, იქნებ რამე დაგეწერა?

- ჩემი ნაწერებით არასოდეს ვვაჭრობ, - ვუპასუხე და გამახსენდა, რომ საკუთარი თავის პატივისცემა არ უნდა დამეკარგა: თუ ეს თემა საინტერესოდ მომეჩვენა, თუ ჩემი სული მიიღებს მას, თუ გემი, სახელად „სიტყვა“, მსგავს კუნძულამდე მიმიყვანს, ალბათ, დავწერ, მაგრამ ამ ყველაფერს რა საერთო აქვს ესთერის გაუჩინარებასთან?

- არ ვაპირებ ჩემი სურვილები თავს მოგახვიო, უბრალოდ, აზრად მომივიდა, რომ დახმარებას შეძლებდი.

- ესთერმა „მადლის ბანკზე“ თუ გიამბო რაიმე?

- ჰო. თუმცა ამ შემთხვევაში ეგ ბანკი არაფერ შუაშია. ახლა ჩემს მისიაზე გესაუბრები. მის შესრულებას მარტო ვერ შევძლებ.

- რა არის თქვენი მისია? რასაც სომხურ რესტორანში აკეთებთ?

- არა. რესტორანი მხოლოდ ნაწილია. სხვათა შორის, პარასკეობითაც იმავეს ვცდილობთ, ოღონდ - მათხოვრებთან. სამშაბათობით კი მომთაბარე ხალხთან ვმუშაობთ.

მომთაბარე ხალხთან? ვერ გავიგე, რას ამბობს, მაგრამ არ ვაწყვეტინებ. ამ ბიჭს, ახლა რომ მესაუბრება, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ მიხაილთან საერთო არაფერი აქვს, არც პიცერიაში მოსაუბრე მამაც ყმაწვილთან და, მით უმეტეს, არც ავტოგრაფების საღამოზე გამოჩენილ მშიშარა, გაუბედავ ლაწირაკთან.

ჩემ გვერდით ჩვეულებრივი ადამიანი დგას. მეგობარი, რომელთანაც საღამოობით ზოგად თუ საჭირბოროტო საკითხებზე ხშირად ვსაუბრობ ხოლმე.

- მე მხოლოდ იმას ვწერ, რაც მართლა აწუხებს ჩემს სულს, - დავიჟინე რატომღაც.

- პარასკევს მათხოვრებთან შესახვედრად მივდივარ. თუ გინდა, წამომყევი.

- ვნახოთ, მოვიფიქრებ.

ლუვრს ვუახლოვდებოდით. მიხაილი შეჩერდა, მდინარის ჯებირს დაეყრდნო და შუქურების მახლობლად მცურავ გემებს გადახედა. სინათლემ თვალი მოგვჭრა.

- შეხედე, რას აკეთებენ, - დუმილს ვარღვევ იმიტომ, რომ მეშინია, სიჩუმემ არ დაღალოს და შინ არ წავიდეს. - მხოლოდ იმას ხედავენ, რასაც შუქი სწვდება. მერე შინ დაბრუნდებიან და იტყვიან, პარიზს ვიცნობთო; ხვალ მონა ლიზას მოჰკრავენ თვალს და თავს მოიწონებენ, ლუვრი ვნახეთო. სინამდვილეში არც პარიზს იცნობენ და არც ლუვრი უნახავთ. მხოლოდ გემით დასეირნობენ, ერთადერთ კვადრატს მისჩერებიან და, სინათლით განათებული სივრცის გარდა, ვერაფერს ხედავენ. ახლახან მივხვდი. პორნოგრაფია და სექსი ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც რომელიმე ქალაქის შორიდან დანახვა და მისი ძირფესვიანად დათვალიერება, ბარებში სიარული, ტურისტული გიდების გარეშე ხეტიალი და საკუთარი თავის აღმოსაჩენად უცხო ქალაქში დაკარგვა. შენ რას იტყვი?

- აღფრთოვანებული ვარ შენი თვითკონტროლის ნიჭით. სენის გემზე საუბრობ და შესაფერის მომენტს ელოდები. ერთი სული გაქვს, როდის დასვამ კითხვას. დამშვიდდი და გულახდილად მკითხე, რაც გინდა.

მის ხმაში აგრესიის ნატამალიც არ იგრძნობოდა. მექანიკურად დავემორჩილე:

- სად არის ესთერი?

- ფიზიკურად - ძალიან შორს, ცენტრალურ აზიაში. სულიერად - ძალიან ახლოს: დღედაღამ მისი ღიმილი და ენთუზიაზმით სავსე სიტყვები მესმის. მან ჩამომიყვანა 21 წლის ღარიბი ახალგაზრდა, რომელსაც სოფელში ჭკუასუსტად თვლიდნენ, ავადმყოფობასა და აშკარად ეშმაკთან წილნაყარ ჯადოქრობას მაბრალებდნენ... ქალაქში კი სამუშაოს მოსაძებნად ჩამოსული უბრალო გლეხი ვეგონე ყველას. ჩემს ამბავს სხვა დროს მოგიყვები, ახლა ჯობია, გიამბო, როგორ გავიცანი ესთერი. მოკლედ, მე ინგლისური ვიცოდი და ესთერის თარჯიმნად დავიწყე მუშაობა. იმ დროს რომელიღაც ქვეყნის საზღვართან ვიდექით. ესთერს საზღვრის გადაკვეთა სურდა, მაგრამ ამერიკელებს უამრავი საჯარისო ნაწილი ჩაეყენებინათ, ავღანეთთან საომრად ემზადებოდნენ. ვიზის მიღება, ფაქტიურად, შეუძლებელი გახდა. ერთადერთი, რაც შევძელით, არალეგალურად საზღვრის გადაკვეთა იყო. იმ ერთი კვირის განმავლობაში, რომელიც ერთად გავატარეთ, მივხვდი, რომ მას ჩემი ესმოდა და მე მარტო არ ვიყავი. მაშინ ვკითხე, სახლიდან ასე შორს რას აკეთებ-მეთქი. ჯერ რაღაცას მიედ-მოედო, მაგრამ მერე მიამბო: შენთვისაც უთქვამს თურმე: ადგილს ვეძებ, სადაც ბედნიერება იმალებაო. მე ჩემს მისიაზე ვესაუბრე: მინდა, სიყვარულის ენერგია ისევ დედამიწაზე გავავრცელო-მეთქი. მოკლედ, აღმოჩნდა, რომ ორივეს ერთი და იგივე მიზანი გვამოძრავებდა. ესთერი მეორე დღესვე წავიდა საფრანგეთის საელჩოში ჩემი ვიზის ასაღებად, ვითომ ყაზახური ენის თარჯიმანი ვიყავი. მართლია, ყაზახეთში დღესაც ყველა რუსულად ლაპარაკობს, მაგრამ მაშინ საელჩოში ამან ნამდვილად გაჭრა. მერე აქ ჩამოვედი. საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ესთერს ყოველთვის ვნახულობდი. ორჯერ ყაზახეთშიც ერთად წავედით. ტენგრის კულტურა და მომთაბარე ხალხის ცხოვრება აინტერესებდა. ეგონა, რომ მათ ყველა შეკითხვაზე ჰქონდათ პასუხი.

მინდოდა, მეკითხა, ტენგრი რა არის-მეთქი, მაგრამ აღარ ვკითხე. მიხაილი საუბარს აგრძელებდა, მე კი მის თვალებში საოცრად ნაცნობ ნოსტალგიას ვკითხულობდი - ისეთს, ესთერზე ფიქრისას რომ მიჩნდებოდა ხოლმე.

- „საქმის“ კეთება საფრანგეთში გავაგრძლეთ. სხვათა შორის, კვირაში ერთხელ შეკრების იდეა ესთერს ეკუთვნოდა. „ადამიანურ ურთიერთობებში ყველაზე მნიშვნელოვანი საუბარია. ამ ხალხმა არც საუბარი იცის და არც მოსმენა. დადიან თეატრსა და კინოში, უყურებენ ტელევიზორს, უსმენენ რადიოს, კითხულობენ წიგნებს, მაგრამ არ საუბრობენ. თუ სამყაროს შეცვლა გვინდა, იმ ეპოქაში მოგვიწევს დაბრუნება, სადაც კოცონის გარშემო შეკრებილებს ისტორიების მოყოლა შეეძლოთო“, - ასე ფიქრობდა.

გამახსენდა, ესთერი ხშირად ამბობდა: „ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ბარში, მაგიდასთან ან პარკებსა და ქუჩებში საუბრისას მიმიღიაო“.

- შეკრება რომ ხუთშაბათობით გამართულიყო, მე მოვიფიქრე, პარიზის ქუჩებში დროდადრო ხეტიალი კი - მან. სულ იმას ამბობდა, ერთადერთი, ვინც ცხოვრებისგან კმაყოფილებასაც ვერ იღებს, მათხოვარია, რადგან ის მხოლოდ სევდას იცნობს, სიხარული არასოდეს განუცდიაო. წასაკითხად შენი წიგნები მომცა. მივხვდი, რომ გაუცნობიერებლად, მაგრამ შენც ჩვენსავით ფიქრობდი, თუმცა ჩვენ სამიდან მხოლოდ მე ჩამესმოდა „ზებუნებრივი ხმა“. თანდათან, როცა ხალხი უკვე ხშირად სტუმრობდა „შეკრებას“, დავიჯერე, რომ ჩემი მისიის შესრულება შესაძლებელი იყო - აუცილებლად დავეხმარებოდი სიყვარულის ენერგიას, თუმცა ამისათვის წარსულში დაბრუნება მომიწევდა; იქ, საიდანაც ოდესღაც გაუჩინარდა თუ გაფრინდა ეს სიყვარული.

- რატომ მიმატოვა ესთერმა?

თემა ნამდვილად არ უნდა შემეცვალა - მიხაილი გაღიზიანდა.

- სიყვარულის გამო. დღეს ორი რელსის მაგალითი მოიყვანე. დაგავიწყდა? ისიც შენსავით არ ემორჩილება წესებს, შენ გვერდით გაწოლილი რელსი არ არის. იმედი მაქვს, ხვდები, რომ მასაც ენატრები.

- რა ვქნა?

- რა უნდა ქნა? თუ მოძებნა გინდა, გეტყვი, სად არის, თუმცა „ხმა“ მეუბნება, რომ ჯერ არ დამდგარა ამის დრო. სიყვარულის ენერგიას წინ ვერავინ აღუდგება. მე მისი მჯერა. ის გვმართავს მეც, შენც და ესთერსაც.

- როდის დადგება ეგ დრო?

- შეიძლება - ხვალ; შეიძლება - 1 წლის შემდეგ; შეიძლება, სულ არ დადგეს. ამ შემთხვევაშიც კი პატივი უნდა ვცეთ „ხმის“ გადაწყვეტილებას. ხმა ენერგიაა, მხოლოდ მას შეუძლია, შეახვედროს ის ადამიანები, ვინც ამისთვის უკვე მზად არიან. მიუხედავად ამისა, ვცდილობთ, ყოველთვის ვმართოთ სიტუაცია და არასოდეს გავიგონოთ მარტივი ფრაზა, „წადი!“. არადა, ვინც ხმას არ ემორჩილება, ვერასოდეს მიაღწევს სასურველ მიზანს.

- მთელი სიცოცხლე ზაჰირის აჩრდილთან ცხოვრებას „წადის“ მოსმენა მირჩევნია. აკვიატებული იდეის ნაცვლად, ესთერი რეალური ქალი გახდებოდა, რომელიც დღეს განსხვავებულად ფიქრობს და განსხვავებულად ცხოვრობს.

- ზაჰირის ნაცვლად კი, უდიდესი დანაკარგის შეგრძნება დაგეუფლებოდა. ამქვეყნად ენერგიის აღმოჩენას ერთი წყვილი მაინც თუ შეძლებს, დარწმუნებული ვარ, სხვა წყვილებსაც დაეხმარებიან.

- მაშინებ. მე ის მიყვარს. შენ იცი, რომ მიყვარს! თან მეუბნები, მასაც უყვარხარო. არ ვიცი, რას ნიშნავს „მზად ყოფნა“, არ შემიძლია, სხვისი კარნახით ვიცხოვრო. თუნდაც ის სხვა - ესთერი იყოს.

- როგორც მასთან საუბრისას შევიტყვე, რაღაც მომენტში თავი დაგიკარგავს. სამყაროს შენ გარშემო დაუწყია ბრუნვა. მხოლოდ და მხოლოდ შენ გარშემო.

- ტყუილია. მას საკმარისი თავისუფლება ჰქონდა, რომ საკუთარი გზა თავად მოეძებნა. ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადაწყვიტა ომის კორესპონდენტობა. ადამიანური უბედურების მიზეზის ძებნა მოინდომა. უამრავჯერ ვუთხარი, შეუძლებელია-მეთქი, მაგრამ, როგორც ჩანს, მას უნდოდა, გვერდით მიდევნებული რელსი ვყოფილიყავი, სულელური დისტანციის დამცველი რელსი. რატომ? რადგან რომაელებმა ასე გადაწყვიტეს?

- პირიქით.

მიხაილი ჯებირს მოსცილდა და გზა განაგრძო. უკან მივყევი.

- შენ თუ გჯერა, რომ ხმები მესმის?

- მართალი გითხრა, არ ვიცი. მაგრამ რადგან აქ ვართ, მოდი, ცოტას ვიცუებ.

- ყველა ფიქრობს, რომ ეპილეფსიის შეტევები მაქვს. მეც უფლებას ვაძლევ, ასე იფიქრონ. უფრო მარტივია. მაგრამ ფაქტია, ხმები ბავშვობიდან ჩამესმის. იმ დღიდან, რაც პირველად გამომეცხადა ღვთისმშობელი?

- ვინ?

- მერე მოგიყვები.

- როცა რამეს გეკითხები, იმეორებ „მერე მოგიყვები, მერე მოგიყვებიო...“

- ახლაც რაღაც ჩამესმის. ცოტა შეშინებული და შეშფოთებული ჩანხარ. მაშინ, პიცერიაში, როცა ცხელი ქარის ქროლა ვიგძენი და სინათლე დავინახე, ვიცოდი, რომ მალე ენერგიასთან კავშირს დავამყარებდი. იმ ენერგიასთან, რომლიც იქ მხოლოდ ჩვენ ორის დასახმარებლად მოვიდა. ჩემი ნათქვამი ეპილეფსიით დაავადებული ბიჭის ნაბოდვარი რომ არ გეგონოს, რომელიც ცნობილი მწერლის გრძნობებს საკუთარი მიზნებისთვის იყენებს, ხვალვე მოგიტან იმ ქვეყნის რუკას, სადაც ესთერი ცხოვრობს. წადი და მოძებნე. მაგრამ ხმა! ხმა სულ სხვა რამეს მეუბნება.

- შეგიძლია, მითხრა, რას გეუბნება ეგ ხმა?

fb.com/groups/elib

- ცოტა ხანში გიამბობ, ჯერ ხმას უნდა მოვუსმინო. ჯერჯერობით ვერ ვხვდები, რას ამბობს.

- შემპირდი, რომ ხვალ მისამართს და რუკას მომცემ.

- გპირდები. სიყვარულის ღვთაებრივი სახელით გპირდები. შენ რა უნდა გეჩვენებინა?

მოოქრულ ქანდაკებაზე ვანიშნე: ცხენზე ახალგაზრდა გოგონა იყო ამხედრებული.

- ეს უნდა მეჩვენებინა. მასაც ხმები ესმოდა. სანამ ხალხი ყურს უგდებდა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ დაეჭვება რომ დაიწყეს, გამარჯვების ქარმა მხარი იცვალა. ორლეანელი ქალწული - ჟანა დ’არკი, ასწლიანი ომის გმირი, რომელიც 17 წლის ასაკში საჯარისო ნაწილის მხედართმთავრად დანიშნეს იმიტომ, რომ... ხმები ესმოდა. ხმები კარნახობდნენ ინგლისელების გასანადგურებელ საუკეთესო სტრატეგიებს. ორ წელიწადში კოცონზე დაწვა მიუსაჯეს. ბრალი ჯადოქრობაში დასდეს. ერთ-ერთ ჩემს წიგნში 1431 წლის 24 თებერვლით დათარიღებული დაკითხვის ოქმის ნაწილიც გამოვიყენე:

დაკითხვას ჟან ბოპერი აწარმოებდა. კითხვაზე, ხმები მართლა თუ გესმისო, გოგონამ უპასუხა:

„გუშინ და დღეს სამჯერ გავიგონე. დილით, მწუხრის ლოცვისას, და „ავე მარიას“ გალობისას...“

კითხვაზე, ამ ოთახში თუ ჩაგესმისო ზებუნებრივი ხმა, უპასუხა: „ზუსტად არ ვიცი. ოთახში არა, მაგრამ ციხესიმაგრეში ნამდვილად ისმისო“. დილით, როცა სწორედ იმ ხმამ გამოაღვიძა, ჰკითხა მას: როგორ მოვიქცეო. ხმამ უპასუხა: საწოლიდან ადექი და შენს შესაპყრობად გამოწვდილ ხელებს შეეგებეო.

და მაშინ ჟანა დ’არკმა უთხრა ეპისკოპოსს (რომელიც დაკითხვას აწარმოებდა):

„თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩემი მსაჯული ხართ. ყურადღებით მოეკიდეთ თქვენს ყოველ ნაბიჯს, რადგან მე ღვთის წარმოგზავნილი ვარ. თქვენ საფრთხე გემუქრებათ. ხმამ მეფისთვის სათქმელი სიტყვები გადმომცა. თქვენთან არ ვისაუბრებ. ეს ხმა, რომელსაც დიდი ხანია ვისმენ, ღვთისაგან მოდის და მე მის წინაშე ამხედრება უფრო მგვრის შიშს, ვიდრე თქვენი სასჯელი...“

- ახლა არ მითხრა...

- რომ ჟანა დ’არკის რეინკარნაცია ხარ? არა მგონია. ის გოგონა ცხრამეტი წლისა მოკვდა. შენ კი 25-ისა ხარ. ის საფრანგეთის ჯარს მართავდა, შენ - როგორც შენი ნაამბობიდან მივხვდი, - საკუთარი ცხოვრების მართვაც არ შეგიძლია.

ისევ სენის სანაპიროს მოაჯირზე ჩამოვსხედით.

- მე ნიშნებისა მჯერა, ბედისწერისაც მჯერა. მჯერა იმ ადამიანებისა, რომლებიც ყოველდღე გადაწყვეტილებების მისაღებად საუკეთესო საშუალებებს ეძებენ. მჯერა, რომ ბედმა მიმუხთლა, როცა საყვარელი ქალი დავკარგე. ახლა ერთადერთი, რაც მჭირდება, ყველაფრის მოწესრიგება და ჯაჭვის ბოლო რგოლია. ასე რომ, მე რუკას ვითხოვ. მასთან უნდა წავიდე.

მიხაილმა ისე შემომხედა, მომეჩვენა, რომ რესტორანში მომხდარი ამბავი მალე განმეორდებოდა. შუაღამისას, თითქმის უკაცრიელ ადგილას, ეპილეფსიის შეტევა რომ წარმოვიდგინე, ძარღვებში სისხლი გამეყინა.

- „გამოცხადებამ“ ძალა მომანიჭა. ეს ძალა თითქმის ხილულია, ნათელი... შემიძლია, ვიგრძნო, მაგრამ მართვა არ ძალმიძს.

- ასეთი საუბრებისთვის ცოტა გვიანია. დავიღალე, ალბათ, შენც. მოდი, მომეცი რუკა და მითხარი, სად ვეძებო.

- ხმა... ხვალ საღამოს მოგცემ... სად მოგიტანო?

სახლის მისამართი მივეცი. გამიკვირდა. ნუთუ არ იცოდა, სად ვცხოვრობდით მე და ესთერი?!

- გგონია, შენს ცოლთან ვიწექი?

- არასოდეს მიკითხავს. რა ჩემი საქმეა...

- მაგრამ პიცერიაში ხომ მკითხე! გინდოდა, გცოდნოდა.

დამავიწყდა. რა თქმა უნდა, ჩემი საქმე იყო, მაგრამ ახლა არ მაინტერესებდა.

მოულოდნელად მიხაილს თვალები აემღვრა. ჯიბე ყოველი შემთხვევისათვის მოვიქექე - შეტევის დროს რით დამეჭირა მისი ენა. ჯერჯერობით მშვიდად იყო, როგორც ჩანს, სიტუაციას აკონტროლებდა.

- სწორედ ახლა ვუსმენ ხმას. ხვალ აუცილებლად მოგიტან რუკას, ცნობებსა და ბილეთებს. დარწმუნებული ვარ, ესთერი მოუთმენლად გელის. თუ თქვენ ორნი მაინც, მხოლოდ ორნი, ბედნიერად იცხოვრებთ, სამყაროც ბედნიერი იქნება. მაგრამ ასე მე ვფიქრობ. ხმა ამბობს, რომ ხვალ ვერ შევძლებთ შეხვედრას.

- რატომ? მხოლოდ ერთი ვახშამი მაქვს დაგეგმილი. ამერიკელ მსახიობს ვხვდები. შეხვედრას ვერ გადავუდებ. მერე შენ დაგელოდები.

- მაგრამ ხმა ამბობს...

- დახმარებას გიკრძალავს?

- არა მგონია. იცი? იმ დღეს, შენი ავტოგრაფების საღამოზეც ხმამ მომიყვანა. მას შემდეგ მეტ-ნაკლებად ვიცოდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები; თანაც „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ წავიკითხე.

შიშისაგან კინაღამ მოვკვდი. საუბრის თემა იცვლებოდა...

- მოკლედ, ხვალ 2 საათის შემდეგ შინ ვიქნები.

- მაგრამ ჯერ დრო არ დამდგარა...

- ხომ შემპირდი.

- კარგი. როგორც გინდა.

ხელი გამომიწოდა და მითხრა, ხვალ საღამოს სახლში გამოგივლიო.

- თუმცა ხმა მეუბნება, რომ შესაფერისი დრო ჯერ არ დამდგარა, - გამიმეორა ისევ. იმ ღამით ეს მისი ბოლო სიტყვები იყო.

მე კი, სანამ შინ ვბრუნდებოდი, ერთადერთი ხმა, რომელიც ჩამესმოდა, ესთერის ხმა იყო... და თანდათან მახსენდებოდა საუბარი, რომელიც ჩვენს ქორწინებას ეხებოდა:

- 15 წლისა ვიყავი, როცა სექსის შესახებ პირველად შევიტყვე და კინაღამ გავგიჟდი. ეს ცოდვა იყო. დიდხანს ვერ მივხვდი, რატომ იყო ცოდვა, რატომ მიიჩნევენ სექსს აკრძალულ ხილად ყველა რელიგიაში, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, პრიმიტიული კულტურის ხალხებშიც კი.

- საოცარ თემას შეეხე. რატომ არის აკრძალული? არც მე ვიცი.

- გინდა გითხრა? - საკვების გამო.

- საკვების? საჭმლის გამო?!

- ათასობით წლის წინ, როცა ხალხი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, თავისუფალი სიყვარული დასაშვები იყო. უამრავი ბავშვი იბადებოდა და რაც უფრო მრავალრიცხოვანი ხდებოდა ტომი, მით უფრო მეტად ემუქრებოდათ გაქრობის საშიშროება. ებრძოდნენ ერთმანეთს, ხოცავდნენ ბავშვებს, ცოლებს, სუსტ არსებებს - ყველას, ვინც იკვებებოდა. ისინი საჭმლისათვის იბრძოდნენ. გადარჩნენ ძლიერები, მაგრამ მხოლოდ მამაკაცები, რომელნიც, ბუნებრივია, ქალების გარეშე ვერასოდეს მოახერხებდნენ მომავლის შექმნას. მაშინ გამოჩნდა ერთი ჭკვიანი, რომელმაც მოინდომა, მეზობელი ტომის ბედისწერა საკუთარი ხალხისათვის აერიდებინა, და პატარა ისტორია გამოიგონა: ღმერთები ბევრ ქალთან დაწოლას კრძალავენო, - გამოაცხადა საჯაროდ, - მაგრამ ერთი ან, მაქსიმუმ, ორი ქალი დასაშვებიაო. და მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მამაკაცი იმპოტენტი გამოდგა, ზოგი ქალი - უნაყოფო და, ამის გამო შვილები არ უჩნდებოდათ, წყვილები ერთმანეთს მაინც ვერ შორდებოდნენ.

ეს ამბავი ყველამ დაიჯერა. იმიტომ, რომ კაცი, რომელმაც ხალხს ეს ამბავი აცნობა, ღმერთების სახელით საუბრობდა. ალბათ, განსხვავებული ბუნების ადამიანი იყო, შეიძლება, მახინჯიც კი, ან რაიმე დაავადება სჭირდა, რაც დანარჩენებისაგან გამოარჩევდა. პირველი ლიდერები ხომ სწორედ ასე გაჩნდნენ. ცოტა ხანში ტომი უფრო გაძლიერდა. სარჩოს მომპოვებელი ძლიერი მამაკაცების რიცხვმა იმატა, უნაყოფო ქალები წარსულს ჩაბარდა და, ბავშვებთან ერთად, მომავალი მონადირეებისა და მშობლების რიცხვიც თანდათან გაიზარდა. იცი, ყველაზე მეტად რა ხიბლავს ქალს ქორწინებაში?

- სექსი.

- ცდები! საჭმლის კეთება და იმის ყურება, როგორ მიირთმევს მისი ქმარი საჭმელს. ეს ქალის გამარჯვების წუთებია. იგი ხომ მთელი დღის განმავლობაში ვახშამზე ფიქრობს! ამის მიზეზი ალბათ შორეულ წარსულში უნდა ვეძებოთ, როცა შიმშილი შთამომავლობას განადგურებით ემუქრებოდა და საკვები გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

- არ ნანობ, რომ შვილები არ გყავს?

- არა.

- არ გგონია, რომ შვილები ჩვენს ურთიერთობას შეცვლიდა?

- არ ვიცი... ჩვენს მეგობრებს შეხედე: გგონია, შვილები თუ ჰყავთ, უფრო ბედნიერები არიან? ვერ გაიგებ. შვილებთან ერთად იქნებ ბედნიერებიც არიან, მაგრამ ბავშვები არც აუმჯობესებენ და არც აუარესებენ ცოლ-ქმრის ურთიერთობას. მშობლებს მთელი ცხოვრება სჯერათ, რომ ერთმანეთის გაკონტროლების უფლება ქორწინებისას მიიღეს; სჯერათ, რომ დაპირება - „საყვარელო, ჩვენ ყოველთვის ბედნიერები ვიქნებით“, - აუცილებლად უნდა შეინარჩუნონ. ყოველდღიური უბედურების ფასად, მაგრამ უნდა შეინარჩუნონ.

- ესთერ, ომი ცუდად მოქმედებს შენზე. სულ სხვა რეალობას გაჩვენებს. ჩვენ ასე არ ვცხოვრობთ. მეც ვიცი, რომ, ადრე თუ გვიან, მოვკვდები. ამიტომაა ყოველი დღე ჩემთვის სასწაული. მაგრამ ამის გამო ვალდებული არა ვარ, ვიფიქრო ბედნიერებაზე, სიყვარულზე, სექსზე, საჭმელზე ან ქორწინებაზე.

- შენ გგონია, ამას ომი მაფიქრებინებს? არა! ვიცი, რომ, უბრალოდ, ვარსებობ, მორჩა და გათავდა. როცა ვგრძნობ, რომ შეიძლება, ნებისმიერ წუთს ბრმა ტყვია მომხვდეს, ვფიქრობ: „რა კარგია! ვკვდები და სრულებით არ ვღელავ, რა მოუვა ჩემს შვილს“. მაგრამ იმასაც ვფიქრობ, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემგან არაფერი დარჩება. მე ვერაფერს დავუტოვებ სამყაროს.

- რა ხდება ჩვენს თავს? ხანდახან მგონია, რაღაცის თქმა გინდა, მაგრამ ბოლომდე არ ამბობ.

- ჰო! რაღაცა ნამდვილად ხდება. თითქოს ჩვენც გვაქვს ვალდებულება - ერთად ვიყოთ ბედნიერები. შენ ფიქრობ, რომ მე უნდა მიმადლოდე იმას, რაც დღეს ხარ; მე ვფიქრობ, რომ ბოლომდე უნდა შევიფერო შენნაირი კაცის ცოლობა.

- გეთანხმები. მე მიხარია, რომ მყავს ცოლი, რომელიც ძალიან მიყვარს, თუმცა ყოველთვის არ მესმის შენი. ასეთ დროს ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე: „რა მჭირს?“

- კარგია, რომ ხვდები. არაფერი არ გჭირს. ეგ შეკითხვა მეც დამისვამს ჩემი თავისათვის. ჩვენ ამ გზით გამოვხატავთ სიყვარულს. თუ ეს პრობლემას ქმნის, მაშინ ამ პრობლემით მოგვიწევს ბედნიერი ცხოვრება. კარგი იქნებოდა, მუდმივი ბრძოლა გვქონოდა. ბრძოლა გვაცოცხლებს, გვამოქმედებს, წინააღმდეგობების გადალახვის უნარს გვინერგავს. მაგრამ ჩვენ არ ვიბრძვით. უბედურებაც ესაა. სამაგიეროდ, მშვიდად მივაბიჯებთ იქით, სადაც ყველაფერი მოწესრიგებულია; სადაც სიყვარული არ ქმნის პრობლემებსა და წინააღმდეგობებს. აი, ეს არის ჩვენი მარტივი გადაწყვეტილება.

- მერე, რა არის მაგაში ცუდი?

- ყველაფერი. ვგრძნობ, რომ სიყვარულის ენერგიამ - „ვნებამ“, - ჩემი სულისა და ხორცის მიტოვება გადაწყვიტა.

- შეუძლებელია. რაღაც ყოველთვის რჩება.

- ჰოო? ყველა ქორწინება ასე მთავრდება: ვნებით, რომელიც რაღაც „მომწიფებულ“ ურთიერთობაში გადაიზრდება ხოლმე. მჭირდები, მენატრები, ხანდახან ვეჭვიანობ კიდეც. ვფიქრობ, რას მიირთმევ ვახშმად, თუმცა ზოგჯერ შენ ყურადღებასაც არ მაქცევ... სიხარული მაკლია.

- რატომ? როცა მიემგზავრები, ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდები. წარმოვიდგენ, რაზე ვისაუბრებთ შენი დაბრუნების შემდეგ, მინდა, შენი ხმა გავიგონო, გირეკავ; ისე მინდა შენთან, რომ ხმაც მშველის. მე შემიძლია, დაგარწმუნო, რომ ისევ მიყვარხარ.

- როცა სადმე ვმოგზაურობ, მეც ასე მემართება, მაგრამ რომ ჩამოვდივარ.... ვკამათობთ, სისულელეებზე ვჩხუბობთ, ერთმანეთის შეცვლას ვცდილობთ, რეალური სახის დანახვას... ისეთ უაზრობებზე მსაყვედურობ, რასაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა მეც ასევე ვიქცევი. ხანდახან გულის სიღრმეში ჩვენთვის ვფიქრობთ: რა კარგი ყოფილა თვისუფლება, როცა არავის მიმართ ვალდებულებას არ გრძნობ.

- მართალი ხარ, არადა, სასურველ ქალთან ერთად ვცხოვრობ... უკვე დავიბენი.

- მეც. ყოველთვის მინდოდა, ჩემ გვერდით შენ ყოფილიყავი.

- გგონია რამის შეცვლას შევძლებთ?

- მალე სულ უფრო ცოტა მამაკაცი დაინტერესდება ჩემით. დავბერდები და იძულებული გავხდები, ვიფიქრო: „ჯობია, აღარაფერი შევცვალო, ყველაფერი ძველებურად დავტოვო“. დღეს მე დარწმუნებული ვარ, რომ დარჩენილი ცხოვრების მართვა ჯერ კიდევ შემიძლია. ყოველთვის, როცა ომში მივდივარ, უდიდეს სიყვარულს ვპოულობ; სიყვარულს, რომელიც კაცისმკვლელ სიყვარულზე გაცილებით მეტია. აი, ასეთ დროს კი ნამდვილად მჯერა, რომ ბევრი რამის შეცვლა შემიძლია.

- მთელი ცხოვრება ომში უნდა იყო?

- აბა, რას მირჩევ, აქ, შენ გვერდით სიმშვიდეს ამოფარებულმა ვიცხოვრო? ვერ ხედავ, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთი ჯერ კიდევ გვიყვარს, ოჯახი თავზე გვენგრევა?

- ახლა, სწორედ ამ წუთებში, მსოფლიოში მცხოვრები მილიონობით ადამიანი განიცდის ჩვენსავით, მაგრამ ყველა თავისებურად უმკლავდება, ყველა ვაჟკაცურად უძლებს, დეპრესიას ებრძვიან. უძლებენ ორ, სამ, ხანდახან - ოთხ კრიზისსაც... და მორჩა: საბოლოოდ ისევ სიმშვიდესა და სიყვარულში ცხოვრობენ.

- ხომ იცი, რომ ასე არ ხდება. იცი, თორემ სხვაგვარად ვერასოდეს დაწერდი წიგნებს...

გადავწყვიტე, ამერიკელ მსახიობთან ერთად რობერტოს პიცერიაში მესადილა. აუცილებლობა მოითხოვდა, პიცერიაში რაც შეიძლება სწრაფად გამოვჩენილიყავი, რომ ხალხს ჩემი და მიხაილის შეხვედრა საბოლოოდ დაევიწყებინა.

ვიდრე სახლიდან გავიდოდი, ჩემი მოსამსახურე ქალი და ამ სახლის შვეიცარი გავაფრთხილე, რომ თუ შემთხვევით დროზე არ დავბრუნდებოდი ან ჩემს მოსვლამდე მოვიდოდა მონღოლურნაკვთებიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჩემთვის რაღაც უნდა გადმოეცა, აუცილებლად თავაზიანად მიეღოთ, მოსაცდელ დარბაზში შეეყვანათ, მისი ნებისმიერი სურვილი შეესრულებინათ და კარგად გამასპინძლებოდნენ.

და თუ ის ბიჭი ვერ დამელოდებოდა, ერთ-ერთი მათგანისათვის აუცილებლად (რამდენიმეჯერ გავუმეორე - ა-უ-ცილებლად) დაეტოვებინა ჩემთვის განკუთვნილი კონვერტი.

სახლიდან გამოვედი, ტაქსიში ჩავჯექი და მძღოლს ვთხოვე, სენ-ჟერმენის ბულვარისა და სენ პერის ქუჩის კუთხეში გამიჩერე-მეთქი. ცრიდა, მაგრამ სულ რაღაც ოცდაათი მეტრი მქონდა პიცერიამდე ფეხით გასავლელი, სადაც ალბათ, მელოდა რობერტოს დახვეწილი საუბარი და თავშეკავებული, მოკრძალებული ღიმილი. ტროტუარზე, სწორედ ჩემი მიმართულებით, ბავშვიანი ახალგაზრდა ლამაზი ქალი მოაბიჯებდა. ტროტუარი ისეთი ვიწრო იყო, ორი ადამიანი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა, ამიტომაც ბორდიურიდან სამანქანო ნაწილზე ჩამოვედი და ქალს გზა დავუთმე.

და სწორედ მაშინ, სულ რაღაც ერთ პატარა კადრში, ცხოვრება თავდაყირა ამოტრიალდა: მიწა ცად იქცა, ცა - მიწად. მოულოდნელად, ქუჩის კუთხეში აღმართული შენობის ზოგიერთ, შედარებით წვრილმან დეტალს მივაპყარი მზერა. ვინ იცის, რამდენჯერ გამივლია ამ ქუჩაზე, მაგრამ არასოდეს ამიხედავს მაღლა... მახსოვს გაკვირვების შეგრძნება... მახსოვს, როგორ ქროდა ძლიერი ქარი ჩემს ყურებში და სადღაც, იქვე, ძაღლი ყმუოდა... მერე კი... მერე აღარაფერი მახსოვს. ყველაფერი სიბნელემ მოიცვა.

თითქოს უსწრაფესად მივექანებოდი შავი უფსკრულისაკენ, რომლის ბოლოშიც პაწაწინა სინათლე კიაფობდა. სანამ სინათლემდე მივაღწევდი, ვიღაცამ უჩინარი, ძლიერი ხელი ქეჩოში წამავლო და გვერდით მომისროლა. თვალი რომ გავახილე, გარშემო მხოლოდ წივილ-კივილი ისმოდა. ესეც რამდენიმე წამში უკვალოდ გაქრა და პირში სისხლის გემო ვიგრძენი. წვიმით დანამულმა ასფალტმა ყნოსვა გამიღიზიანა და მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ავარიაში მოვყევი. თითქოს საღი გონება მქონდა, თან თითქოს არ მქონდა... ცნობიერი და არაცნობიერი ერთმანეთში აირია, განძრევა ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. ჩემ გვერდით, მიწაზე, მეორე ადამიანიც ეგდო - თითქოს მის სუნსაც ვგრძნობდი - იაფფასიანი სუნამოს სუნს და, ალბათ, ამიტომ გავიფიქრე, რომ სწორედ ის ქალი იყო, რომელსაც გზა დავუთმე.

ვიღაც მომიახლოვდა. სცადა, წამოვეყენებინე. მაგრამ მოულოდნელად, ხმამაღლა დავიღრიალე: „ხელი არ მახლოთ!“ მივხვდი, განძრევა არ შეიძლებოდა... არ მახსოვს, სად წავიკითხე, ვინმემ მითხრა თუ სადმე მოვისმინე, მაგრამ ვიცოდი, თუ კისრის მალა გატეხილი მქონდა, ნებისმიერ მკვეთრ, არასწორ მოძრაობას სამუდამოდ პარალიზებაც შეეძლო.

ვცდილობდი, გონება არ დამეკარგა... მეგონა, თავის ტკივილი აღარასოდეს გამივლიდა... სხეული ოდნავ მაინც შევარხიე. შიგნით, ღრმად, ყველაფერი მტკიოდა და საშინლად მეძინებოდა... ისევ ვითხოვე, ხელი არ მახლოთ-მეთქი და პოლიციის სირენის ხმაც გაისმა.

ახლა ძილიც შეიძლებოდა... ძალა არ შემწევდა სიცოცხლის გადასარჩენად - ვეღარაფერს შევცვლიდი. მხოლოდ ექიმების, ექთნების, ბედისწერისა და ღმერთის იმედიღა მქონდა. ყურთან ბავშვის ხმა ჩამესმა. სახელი მითხრა, მაგრამ დამახსოვრება ვერ შევძელი. დამამშვიდა, ნუ გეშინია, არ მოკვდებიო. როგორ მინდოდა, დამეჯერებინა, მეთხოვა: აქ დარჩი, მარტო არ დამტოვო, გვერდით იყავი-მეთქი, მაგრამ მოულოდნელად გაუჩინარდა. ვიღაცამ კისერზე რაღაც მომახვია, სახეზე ნიღაბი მომაწება და მე ისევ ღრმა ძილით ჩამეძინა, მაგრამ ამჯერად აღარაფერი დამსიზმრებია...

ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ირგვლივ მხოლოდ სიჩუმე და სრული წყვდიადი სუფევდა. მოულოდნელად ვიგრძენი, რომ ყველაფერი ბრუნავდა, ტრიალებდა და რატომღაც ვიფიქრე, ჩემს კუბოს სადღაც მიათრევდნენ. ცოცხლად დამმარხავენ-

მეთქი, - გავიფიქრე და შევეცადე, კედლებზე დამებრახუნებინა, მაგრამ ვერც ერთი კუნთი ვერ დავიმორჩილე. მეგონა, დაუსრულებლად გაიწელა დრო. მეგონა, ვიღაც წინ მექაჩებოდა და არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. სწორედ იმ დროს, როცა შერჩენილი უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ჩაკეტილი სივრციდან გამაყრუებელი ხმა გაისმა. სმენა დამიბრუნდა - თითქოს ყვირილმა გადამარჩინა. ჩემს ფეხებთან მაშინვე განათდა - ალბათ, აღმოაჩინეს, რომ არ მოვმკვდარვარ!

სინათლემ, წმინდა სინათლემ, რომელიც ყველაზე საშინელი ეშაფოტისგან - დახრჩობისაგან - მიხსნიდა, თანდათან სხეული გამინათა. როგორც იქნა, მომაშორეს კუბოს თავსახური. ოფლად ვიღვრებოდი, აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მაგრამ მაინც შვებით ამოვისუნთქე. შეცდომას მიხვდნენ! რა ბედნიერებაა ამქვეყნად დაბრუნება!

სინათლემ თვალებამდე მოაღწია: ვიღაცის ნაზი ხელი შეეხო ჩემს ხელს და ანგელოზისსახიანმა შუბლიდან ოფლი მომწმინდა.

- არ ინერვიულოთ, - თქვა ქერათმიანმა, თეთრკაბიანმა ანგელოზმა, - ანგელოზი არა ვარ, თქვენ არ მომკვდარხართ და კუბოში კი არა, მაგნიტური რეზონანსის აპარატში წევხართ. ეს დაზიანებული ადგილების პოვნაში დაგვეხმარება. საშიში აღარაფერია, მაგრამ დაკვირვებისათვის აქ დარჩენა მოგიწევთ.

- მოტეხილობა მაქვს?

- არა. მცირე დაჟეჟილობაა. სარკეს არ მოგიტანთ, თორემ შეშინდებით. არა უშავს. რამდენიმე დღეში გაგივლით.

წამოდგომა ვცადე. ანგელოზმა უფლება არ მომცა. თავში ისეთი ძლიერი ტკივილი ვიგრძენი, სიმწრისგან დავიღრიალე.

- ავარიაში მოყევით. ტკივილი ბუნებრივია. ასე არ არის?

- მატყუებენ, - ძლივს ამოვილუღლუღე, - უკვე დიდი ვარ, ბევრი რამ გადავიტანე. პანიკის გარეშე შემიძლია, მოვისმინო ნებისმიერი რამ. სადაცაა, თავი ნამსხვრევად მექცევა...

იქვე ორი ექთანი გაჩნდა და როცა საკაცეზე დამაწვინეს, მივხვდი, რომ კისერზე უცნაური ორთოპედიული აპარატი მეკეთა.

- გითხოვიათ, არ გამანძრიოთო, - მითხრა ანგელოზმა, - დიდებული გადაწყვეტილებაა: რაღაც დროის მანძილზე ეს საყელო უნდა ატაროთ... შემთხვევითობისაგან არავინ არის დაზღვეული. მალე ყველაფერი წარსულს ჩაბარდება. საბედნიეროდ, მხოლოდ შიში დაგრჩებათ და მეტი არაფერი.

- რაღაც დროის მანძილზე?.. აქ ვერ დავრჩები.

არავინ მიპასუხა. მარი რენტგენის ოთახის გარეთ ღიმილით მელოდა. როგორც ჩანს, ექიმებმა უკვე აცნობეს, რომ საშიში არაფერია. ხელი ფრთხილად გადამისვა თავზე და შეეცადა, ჩემი სახის დანახვით გამოწვეული შიში დაემალა.

საავადმყოფოს დერეფანში პატარა „კორტეჟი“ მიმაცილებდა - მარი, ორი ექთანი, რომლებიც საკაცეს მიაგორებდნენ და თეთრკაბიანი ანგელოზი. თავი მისკდებოდა.

- ექთანო, თავი...

- ექთანი არა ვარ. ექიმი ვარ. თქვენი პირადი ექიმიც მალე მოვა. რაც შეეხება თავს, არ ინერვიულოთ. დამცავი მექანიზმის საშუალებით ავარიის დროს ორგანიზმი თვითონვე ხურავს სისხლის სარქველებს, რომ გაჟონვა არ მოხდეს. როცა იგრძნობს, რომ საფრთხე არ ემუქრება, ხსნის. სისხლი ისევ იწყებს მოძრაობას. სწორედ ამიტომ გტკივათ. თუ გნებავთ, დასაძინებელ წამალს მოგცემთ.

უარი ვუთხარი. და მოულოდნელად, თითქოს სულის ბნელი კუნჭულიდან ამოიფრქვაო, წინადღეს მოსმენილი ფრაზა გამახსენდა: „ხმა მეუბნება, რომ ჯერ შესაფერისი დრო არ დამდგარა!“

არა! შეუძლებელია! როგორ უნდა სცოდნოდა ავარიის ამბავი: შეუძლებელია, რომ ღმერთს, რომელიც ვალდებულია, მიხედოს და უპატრონოს ამ დანგრეულ, მტვრიან პლანეტას, ზაჰირთან შეხვედრაში ხელი შეეშალა. არა! იმ ბიჭს მომავლის წინასწარმეტყველების უნარი არ ჰქონდა და თუ რეალურად ესმოდა ხმა, რომელიც მომავალს კარნახობდა, მაშინ ყველაფერი იმაზე მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე აქამდე წარმომედგინა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო: მარის ღიმილი, სულ უფრო მეტად აუტანელი ტკივილი და ყველაზე საშინელი ეჭვი - შესაძლებლობა, რომ მას ხმები ესმოდა...

- ექიმო! გადავიფიქრე. ძილი მინდა. ტკივილს ვერ ვუძლებ.

ექიმმა ჩემს საკაცესთან მდგომ ექთანს რაღაც უთხრა. ექთანი წავიდა და დერეფანი გავლილი არ გვქონდა, როცა უკან დაბრუნდა.

მკლავზე ჩხვლეტა ვიგრძენი და მაშინვე ჩამეძინა.

გაღვიძებისთანავე მოვისურვე, ზუსტად გამეგო, რა შემემთხვა, ტროტუარზე მიმავალი ქალი გადარჩა თუ არა ან რა დაემართა ბავშვს. მარიმ მითხრა, უნდა დაისვენოო, მაგრამ ჩემი მეგობარი და პირადი ექიმი დოქტორი ლუი უკვე მოსულიყო და საშიშროება, რომ ამბის მოყოლისას რამე დამემართებოდა, აღარ არსებობდა.

თურმე მოტოციკლეტი დამეჯახა, მიწაზე დაგდებული მეორე სხეული მძღოლისა ყოფილა. ისიც ამავე საავადმყოფოში ამავე დიაგნოზით მოუყვანიათ: მსუბუქი დაჟეჟილობა. პოლიციის გამოძიების მიხედვით, ავარიის დროს, რომელმაც ლამის მოტოციკლისტის სიცოცხლეც იმსხვერპლა, თურმე ქუჩაზე გადავდიოდი.

როგორც ჩანს, დამნაშავე მე ვიყავი, მაგრამ მძღოლს პოლიციისათვის არ მიუმართავს. მარის მოუნახულებია, ცოტა უსაუბრიათ და გაირკვა, რომ ბიჭი ემიგრანტი იყო, არალეგალურად მუშაობდა და, შესაბამისად, პოლიციასაც უფრთხოდა. 24 საათში საავადმყოფოდან გაეწერა. ბუნებრივია, თავზე ჩაფხუტი ეფარა, რამაც ტვინის დაზიანების რისკი მკვეთრად შეამცირა.

- 24 საათში გაეწერა? შენ გინდა, თქვა, რომ დღეზე მეტია, აქ ვწევარ?

- სამი დღეა. მაგნიტური რეზონანსის შემდეგ ექიმმა დამიძახა და შენივე სიმშვიდისათვის აქ დარჩენა მთხოვა. მეტისმეტად გაღიზიანებული, დაძაბული, დასუსტებული ჩანდი, ამიტომ დავთანხმდი.

- მერე? ახლა რა მოხდება?

- ორ დღეს კიდევ დარჩები. სამ კვირას კისრიდან მაგ აპარატს ვერ მოიხსნი, თუმცა კრიტიკულმა 24 საათმა უკვე გაიარა, მაგრამ სხეულმა, შესაძლოა, „კარგად მოქცევაზე“ უარი თქვას. მოკლედ, ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემა გადასაჭრელი იქნება, მაგრამ წინასწარ აღელვება არ ღირს. ამაზე მხოლოდ უშუალოდ გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას ვიფიქროთ.

- ესე იგი, ჯერ კიდევ მემუქრება სიკვდილი?

- უნდა გესმოდეს - ჩვენ ყველას არათუ გვემუქრება სიკვდილი, არამედ, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოვკვდებით.

- მე მინდოდა, მეკითხა, ამ ავარიის გამო თუ მოვკვდები-მეთქი.

დოქტორი ლუი ცოტა ხნით გაჩუმდა.

- შესაძლებელია. დასაშვებია, რომ შედედებული სისხლი, რომლის ლოკალიზება აპარატითაც ვერ მოხერხდა, ნებისმიერ წუთს განთავისუფლდეს და ემბოლია გამოიწვიოს. ასევე მოსალოდნელია, რომ უჯრედი გადაგვარდეს და კიბოს ჩამოყალიბება დაიწყოს.

- რა საჭიროა ამგვარი საუბარი... - უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა მარიმ.

- ხუთი წელია ვმეგობრობთ. მან მკითხა, მე ვუპასუხე. ახლა კი ბოდიშს გიხდით, კონსულტაციაში უნდა დავბრუნდე... ისე, მედიცინაზე მცდარი შეხედულება გაქვთ. ყველა ერთნაირად ფიქრობთ. თუ, მაგალითად, ბავშვი ხუთი ვაშლის საყიდლად გაუშვით და შინ მხოლოდ ორი მოიტანა, რატომღაც ყველას გგონიათ, რომ დანარჩენი სამი უთუოდ გზაში შეჭამა. სინამდვილეში, სხვა შესაძლებლობებიც არსებობს: იქნებ შეჭამა კიდეც, მაგრამ ხომ შეიძლება, მოჰპარეს, ან ხუთი ვაშლის საყიდლად ფული არ ეყო, ან გზაში დაკარგა, ანდა ვინმე მშიერი შეხვდა და ვაშლები მას გაუნაწილა. ხომ გესმით? ჩემთვის ყველაფერი დასაშვებია და განსაზღვრული.

- ეპილეფსიაზე რას მეტყვი?

მარი მაშინვე მიხვდა, მიხაილს ვგულისხმობდი, და სახეზე, თავისი ტემპერამენტის წყალობით, მაშინვე უკმაყოფილება აღებეჭდა. წასასვლელი ვარ, გადაღებებზე ვიგვიანებო, - მოიმიზეზა.

დოქტორი ლუიც მზად იყო წასასვლელად. ნივთები უკვე წამოეკრიფა, მაგრამ საპასუხოდ წამით შეჩერდა.

- საქმე ეხება ადამიანის ტვინის განსაზღვრულ მონაკვეთში აღმოცენებულ ელექტროიმპულსების სიჭარბეს, რომელიც მეტ-ნაკლებად სერიოზულ სპაზმურ შეტევებს იწვევს. ეს დაავადება ბოლომდე არ არის შესწავლილი. ამბობენ, შეტევა მხოლოდ ძლიერი დაძაბულობის, სტრესის ფონზე ვითარდებაო. ნუ იღელვებ, თუმცა ავადმყოფობის პირველი სიმპტომები შეიძლება ნებისმიერ ასაკში განვითარდეს, ავარიის შემთხვევაშიც კი.

- შეგიძლია, ამიხსნა, რა სიმპტომებით ხასიათდება?

- მე სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ თუ გინდა, ცნობებს მოვიძიებ.

- ძალიან დამავალებ. ერთი შეკითხვაც, ოღონდ ნუ იფიქრებ, თითქოს ავარიამ ტვინი დამიზიანა. შესაძლებელია, რომ ეპილეფსიით დაავადებულებს ხმები ესმოდეთ და მომავლის წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდეთ?

- ვინმემ გითხრა, რომ ავარიაში მოყვებოდი?

- არა! ასე არ უთქვამს, მაგრამ მე ასე გავიგე.

- მაპატიე. მეტს ვერ შევყოვნდები. მარის მე წავიყვან. რაც შეეხება ეპილეფსიას, შევეცდები, მეტი ინფორმაცია მოვიპოვო.

ის ორი დღე, როცა მარი შორს იყო, ავარიის შემდეგ გაჩენილი შიშის მიუხედავად, ზაჰირი თანდათან იკავებდა კუთვნილ სივრცეს. ვიცოდი, თუ მიხაილმა სიტყვა შეასრულა, შინ რუკა და ესთერის მისამართი დამხვდება. მაგრამ ახლა მეშინოდა, იქნებ მიხაილი ხმასთან დაკავშირებით სიმართლეს ამბობდა?

ვცადე, ავარიის დეტალები დაწვრილებით გამეხსენებინა:

ტროტუარიდან გადავუხვიე, გარშემო მექნიკურად მიმოვიხედე, დავინახე, მანქანა მიახლოვდებოდა. ქუჩაზე გადასვლას მაინც მოვასწრებდი, მაგრამ მხედველობის არიდან მოტოციკლეტი გამომრჩა, რომელიც მანქანის გადასწრებას ცდილობდა. მე მოტოციკლეტი დამეჯახა.

საერთოდ, ნიშნებისა მჯერა. სანტიაგოს გზის შემდეგ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა: ის, რისი სწავლაც გვინდა, ყოველთვის ჩვენ თვალწინაა, საკმარისია, ყურადღებით მიმოიხედო, და აღმოაჩენ, საით მიჰყავხარ ღმერთს და სწორ გზასაც

აღარ ასცდები. სანტიაგოს გზის მერე იდუმალების დაფასებაც ვისწავლე. როგორც აინშტაინი ამბობდა, შემთხვევით არაფერი ხდება, ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია და ყველაფერს თავისი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება, ჩვენთვის ეს „მნიშვნელობა“ მთელი ცხოვრების მანძილზე დაფარული იყოს, მაგრამ ღმერთისაგან დაკისრებულ ნამდვილ მისიას ყოველთვის ზუსტად ამოვიცნობთ ხოლმე.

თუ ასე მოხდა, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ თუ არა - ჯობია, არჩეული მიმართულება სწრაფად შეცვალო.

ასეა! თუ სწორ გზაზე დგახარ, თუ ნიშნებს ყურადღებით უსმენ, ღვთაებრივი ძალა ნებისმიერი მცდარი ნაბიჯისაგან დაგიფარავს.

იქნებ სწორედ ეს ნიშანი იყო ჩემი ავარია? იქნებ იმ საღამოს სენის სანაპიროზე სწორედ ეს იგრძნო მიხაილმა?

პასუხი არსებობს - „კი, ნამდვილად ნიშანი იყო“.

ალბათ, სწორედ ამიტომ, უკვე ბედს შევეგუე, უმაღლეს ძალას მივენდე და თანდათან მივხვდი, როგორ ქრებოდა ჩემი ცნობიერებიდან ყოვლისშემძლე ზაჰირი. თანაც ვიცოდი, რომ საკმარისი იყო, შინ მიხაილის მიერ დატოვებული კონვერტი გამეხსნა, მისამართი გამეგო და მერე... მერე ესთერის კარზე ზარის დარეკვაღა მრჩებოდა.

მაგრამ ახლა ნიშნები საპირისპიროს ამტკიცებდნენ - თურმე, ჯერ ამის დრო არ დამდგარა! თუ ესთერი ისეთი მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, როგორც მე წარმომედგინა, თუ (როგორც იმ ბიჭმა მითხრა) მასაც ისევ ვუყვარდი, მაშინ სიტუაციის დაძაბვა და წარსულში დაშვებული შეცდომების გამეორება არ ღირდა.

მაგრამ როგორ გავქცეოდი გამეორებას?

იქნებ ჩემი თავი უკეთ შემეცნო; გამეგო, რა შეიცვალა ჩემში, რამ გააჩინა უფსკრული მშვიდობიან გზაზე.

და ეს საკმარისი იქნებოდა?

არა. ესთერიც საკუთარი თავივით ხელახლა უნდა გამეცნო და გამეგო, ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე რა ცვლილებები მოხდა მასში.

და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საკმარისია?

არა!

მესამე კითხვაც არის - რატომ დაგვაკავშირა ბედისწერამ ერთმანეთს?

საავადმყოფოში თავსაყრელი დრო მქონდა ჩემს ცხოვრებაზე დაფიქრებისა და გაანალიზებისათვის.

რატომღაც ყოველთვის ერთდროულად ვეძებდი უსაფრთხოებასა და თავგადასავალს, თუმცა ვიცოდი, მათ საერთო არაფერი ჰქონდათ. ესთერის სიყვარულში ღრმად დარწმუნებული, საოცარი სისწრაფით ვიცვლიდი ქალებს, - მათი მოხიბვლა და ფლირტი ყველაზე საინტერესოდ მეჩვენებოდა.

იქნებ ესთერისადმი სიყვარული მოჩვენებითი იყო? რაღაც დროის მანძილზე, ალბათ იყო, მაგრამ ყოველთვის? შეუძლებელია! მაშინ რატომღა ვცდილობდი, არასოდეს დაეყენებინა ეჭვქვეშ ჩემი გრძნობები?

მახსოვს, რამოდენიმე წლის წინ ვიღაცამ მკითხა, რა აკავშირებთ ერთმანეთთან იმ ქალებს, ვისთანაც რომანი გაქვსო?

პასუხი უმარტივესი იყო: - მე! - და როგორც კი ამას მივხვდი, თითქოს ცხადად დავინახე დრო, რომელიც „შესაფერისი“ ქალის ძებნას შევალიე. იცვლებოდნენ ქალები, მაგრამ არ ვიცვლებოდი მე - სრულებითაც არ მაღელვებდა ცოლქმრული თანაცხოვრება. უამრავი საყვარელი მყავდა, მაგრამ ჯიუტად იმ „ერთს“ ვეძებდი... და ხან მე „ვაკონტროლებდი“ მათ, ხან ისინი „მაკონტროლებდნენ“ მე.

ასე გრძელდებოდა დაუსრულებლივ... სანამ ერთ მშვენიერ დღეს ესთერი არ გამოჩნდა და ჩემი ცხოვრება მთლიანად არ შეცვალა.

ესთერის გახსენებამ სული სინაზით ამივსო. თითქოს სადღაც გაქრა მისი პოვნის ჟინი. თითქოს აღარც მისი ჩუმად წასვლა მაღელვებდა. „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ ჩემი ქორწინების ნამდვილ ტრაქტატად იქცა, რომელიც ყველაზე მეტად სწორედ მე მჭირდებოდა, რომ საბოლოოდ მივმხვდარიყავი - მე სიყვარული შემეძლო! შემეძლო მონატრება... ესთერი სიტყვებზე მეტს იმსახურებდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთად ყოფნის დროს ეს სიტყვებიც არ მითქვამს მისთვის.

ყოველთვის უნდა იცოდე, როდის ჩაიქნიო ხელი; როდის დაასრულო რაღაც პერიოდი; როდის მიიხურო კარი... თუმცა მნიშვნელობა არა აქვს, რას დაარქმევ „დასასრულს“. მთავარია, ერთ მშვენიერ დღეს ცხოვრების უკვე დამთავრებული ეპიზოდები წარსულში დატოვო. დიდი დრო დამჭირდა, მაგრამ მაინც გავაცნობიერე - არ შემეძლო უკან დაბრუნება. გავაცნობიერე და საგნებსაც პირველადი სახელი დაუბრუნდათ: ის ორი წელი, რომელიც დაუსრულებელ ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა, ნამდვილ მნიშვნელობას ახლა იძენდა.

ეს მნიშვნელობა კი ჩემს ქორწინებაზე შორს მიდიოდა - ნებისმიერი ქალი და მამაკაცი ერთმანეთთან ძლიერი ენერგიით არიან დაკავშირებული. ზოგიერთი ამ ენერგიას სიყვარულს არქმევს, მაგრამ, სინამდვილეში, ენერგია სამყაროს საშენი მასალაა, ჩვენგან უმართავი, თვითონ გვმართავს და თავის თავში სრულყოფილად იტევს ცხოვრების არსს. როგორც კი მის მიმართვას შევეცდებით, ქვეყანა თავზე დაგვემხობა და დავრჩებით ასე: გაოგნებულები, დამარცხებულები, მოტყუებულები. იმიტომ რომ, ის თავისუფალია, უკიდეგანო და ველური!

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო კარგავდა ზაჰირი ძალას და მე კი უფრო მეტად ვუღრმავდებოდი საკუთარ თავს. წინ დიდი სამუშაო მელოდა, რაც ჩემგან დუმილს, განსჯასა და ნებისყოფას მოითხოვდა. ავარია დამეხმარა, რომ მივმხვდარიყავი: არ შეიძლება, ძალით მოიპოვო ის, რისი დროც ჯერ არ დამდგარა.

დოქტორმა ლუიმ მითხრა: ასეთი ტრავმის შემდეგ სიკვდილისგან დაზღვეული არა ხარ... სიკვდილი ნებისმიერ დროს შეიძლება, მოვიდესო. მართლა ასე რომ მოხდეს?10 წუთში ჩემმა გულმა ფეთქვა რომ შეწყვიტოს?

ოთახში ექთანი შემოვიდა. ვახშამი მომიტანა. თავი წამოვწიე და ვკითხე:

- საკუთარ დაკრძალვაზე თუ გიფიქრიათ?

- ნუ ღელავთ, უკეთ გამოიყურებით, გადარჩებით.

- არ ვღელავ. ვიცი, რომ გადავრჩები, ხმამ მითხრა ასე.

ხმა სხვათა შორის ვახსენე, ექთნის აყოლიება მინდოდა. უნდობლად შემომხედა, ალბათ, ფიქრობდა, გამოკვლევა კიდევ უნდა ჩავუტაროთ და გადავამოწმოთ, ტვინი ჯანსაღია თუ არაო.

- ვიცი, რომ გადავრჩები, - გავუმეორე ისევ, - ან ერთ დღეს, ან ოცდაათ-ორმოც წელს კიდევ ვიცოცხლებ, რა ვიცი... მაგრამ თქვენი მეცნიერული მიღწევების მიუხედავად, ოდესმე მაინც წავალ ამქვეყნიდან და საკუთარი საფლავი მექნება. ახლა ამაზე ვფიქრობდი. თქვენ არასოდეს გიფიქრიათ?

- არასოდეს, არც მიფიქრია და არც ვაპირებ. თანაც ყველაზე მეტად სწორედ ეს მაშინებს. ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, ყველაფერი დამთავრდება.

- გინდა თუ არა, ეთანხმები თუ არა, აპირებ თუ არა... რეალობაა და ამას ვერავინ გაექცევა. რა იქნება, ცოტა ხანს რომ ვისაუბროთ?

- არა! სხვა პაციენტები მყავს სანახავი! - საჭმელი მაგიდაზე დატოვა და პალატიდან ისე სწრაფად გავიდა, თითქოს ჩემგან კი არა, ჩემი სიტყვებისაგან ცდილობდა გაქცევას.

ხდება ხოლმე. თუ ექთანს საუბარი არ სურს, მარტოც იოლას გავალ. ბავშვობაში ნასწავლი ლექსი მახსენდება:

„როცა სიკვდილი დარეკავს კარზე,

შემეშინდება,

ან გავიღიმებ და ამას ვეტყვი:

დღე კარგი იყო...

დაე, დაღამდეს!

ნახე, მინდორი მოხნულია,

სახლი - აშენებული,

სუფრა - გაშლილი

და ყველაფერი თავის ადგილზე...“

მინდა, დავიჯერო, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდება... ნეტავ როგორი იქნება ჩემი საფლავის ეპიტაფია? მე და ესთერმა ანდერძი უკვე შევადგინეთ, კრემაციას ვაპირებდით: ჩემს ფერფლს სანტიაგოს გზასთან, სებრეიროში მიმოფანტავდა ქარი, მისი ფერფლი კი ზღვაში განიბნეოდა...

ასე რომ, ეპიტაფიის სულელური ქვა აღარ დამჭირდებოდა, მაგრამ... იქნებ მაინც შემერჩია რამე? თუნდაც ეს:

„მოკვდა მაშინ, როცა ცოცხალი იყო!“

უაზრობაა! მაგრამ მე მართლა ვიცნობდი ისეთ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლეშივე მკვდრები იყვნენ; მკვდრები მუშაობდნენ, ჭამდნენ და საპატიო სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ. ავტომატურად მოქმედებდნენ. ვერ ტკბებოდნენ ჯადოსნური წუთებით, ახალ დღეს რომ მოაქვს. ცხოვრების სასწაულებზე არასოდეს ფიქრობდნენ და ვერ ხვდებოდნენ, რომ მომდევნო წამი, შესაძლოა, ცხოვრების უკანასკნელი წამიც ყოფილიყო.

როგორ ამეხსნა ეს ექთნისათვის?

სამაგიეროდ, როცა თეფშის წასაღებად მეორე ექთანი შემოვიდა, მაშინვე საუბარი დაიწყო. ალბათ, რომელიმე ექიმმა ჩემი გონებრივი მონაცემების შემოწმება სთხოვა. მეკითხებოდა, რომელი წელია ახლა, რა ჰქვია აშშ-ს პრეზიდენტს... ასეთ შეკითხვებს გონებრივად შეზღუდულ ადამიანებს უსვამენ.

ყველაფერი კი იმ მარტივ შეკითხვას მოჰყვა, რომლის პასუხიც მთელ კაცობრიობას სჭირდება - „გიფიქრიათ საკუთარ დაკრძალვაზე?“, „იცით, რომ, ადრე თუ გვიან, თქვენც მოკვდებით?“

იმ ღამეს ღიმილით ჩამეძინა. ზაჰირი აღარსად ჩანდა, ესთერი ბრუნდებოდა... და დღეს, ჩემი უკანასკნელი დღეც რომ ყოფილიყო (ჩემი დამსხვრეული იმედების, საყვარელი ცოლის გაუჩინარების, იმ უსამართლობების, რაც განმიცდია და რაც სხვებისთვისაც განმიცდევინებია, ამ ყველაფრის მიუხედავად), უკანასკნელ წუთს შემეძლო, დარწმუნებით მეთქვა:

„დღე კარგი იყო... დაე, დაღამდეს!“

ორ დღეში შინ ვიყავი. მარი სადილს ამზადებდა, მე დაგროვილ კორესპონდენციას ნაჩქარევად გადავხედე და შიდა ტელეფონმაც დარეკა. შვეიცარი იყო: წინა კვირას რომ წერილს ელოდით, თქვენი საწერი მაგიდის ქვედა თაროზეაო, - მითხრა.

მადლობა გადავუხადე, მაგრამ კონვერტის გასახსნელად სულაც არ ავჩქარებულვარ. არადა, სულ მეგონა, როგორც კი შინ დავბრუნდები, მაშინვე კონვერტს ვეცემი-მეთქი.

სადილის დროს მარის ვკითხე, გადაღებების საქმე როგორ მიდის-მეთქი. არა უშავსო, მაგრამ შენ რა გეგმები გაქვს, რას აპირებო, - დაინტერესდა. ჩემი ორთოპედიული საყელოთი სახლიდან გასვლა ჯერ კიდევ არ შემეძლო. დამამშვიდა: რამდენ ხანსაც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დავრჩები შენთან, თუ, რა თქმა უნდა, შენც გენდომებაო.

- კორეის ტელევიზიისათვის პატარა პრეზენტაცია მაქვს გასაკეთებელი. შემიძლია გადავდო, თუ შენც გინდა ჩემთან ყოფნა...

- მინდა. გამიხარდება, თუ გვერდით მეყოლები.

სახეზე ღიმილი გადაეფინა. მაშინვე ტელეფონი აიღო და აგენტს დაურეკა, გეგმები შეიცვალაო. გავიგონე, ეუბნებოდა: არ თქვა, რომ ავად ვარ, ცუდად მაქვს დაცდილი, როცა ვიტყუები, მართლა ავად ვხდებიო. უბრალოდ, თქვი, რომ ჩემს საყვარელ ადამიანს ვჭირდებიო.

სასწრაფო საქმეები ბლომად დაგროვილიყო: გადადებული ინტერვიუები, მიწვევები (რომლებზეც თავაზიანი მადლობა უნდა გადამეხადა), სასიამოვნო ბარათები, ტექსტები, წინასიტყვაობები, რეკომენდაციები და ავადმყოფობისას მიღებული ყვავილების თაიგულები. მარი ამჯერად უკვე ჩემს აგენტს ესაუბრებოდა და ცდილობდა, უპასუხოდ და უყურადღებოდ არც ერთი ბარათი არ დაეტოვებინა. საღამოობით შინ ვვახშმობდით, საინტერესო, ზოგჯერ ბანალურ თემებზეც ჩვეულებრივად, სხვა ნორმალური წყვილებივით ვსაუბრობდით.

მაშინაც ვახშმის დრო იყო. ერთი-ორი ჭიქა ღვინო დავლიეთ, როცა მითხრა, ავარიის შემდეგ ძალიან შეიცვალეო.

- თითქოს სიკვდილთან სიახლოვემ ცხოვრებისაკენ შემოგაბრუნა.

- ყველას ასე ემართება. პირველი არა ვარ.

- მაგრამ, თუ ნებას მომცემ, ბოლომდე გეტყვი სათქმელს. არც შენთან კამათი მინდა და არც ეჭვიანი ქალის როლის თამაში... რაც სახლში დაბრუნდი, ესთერზე არ გისაუბრია. „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ რომ დაასრულე, მაშინაც ასე იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ცოტა ხანს გაგრძელდა.

- გინდა, თქვა, რომ ავარიამ ჩემს ტვინში ცვლილებები გამოიწვია?

ჩემს ტონში აგრესიის ნატამალიც არ იგრძნობოდა, მაგრამ მარიმ თემა მაინც შეცვალა და მიამბო, როგორ შეეშინდა, როცა მონაკოდან კანში ვერტმფრენით მიფრინავდა. ღამით, საშინელი ორთოპედიული საყელოს გადამკიდეს, მარისთან დაწოლა გამიჭირდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთმანეთის მიმართ ასეთი სიახლოვე არასოდეს განგვიცდია.

საწერ მაგიდაზე დახვავებული ფურცლების გიგანტური მთა ოთხ დღეში დაპატარავდა.

მაგიდაზე ერთადერთი მოზრდილი ზომის კონვერტიღა დარჩა - გარეკანზე ფაქიზად ჰქონდა მიწერილი ჩემი სახელი და მისამართი.

მარიმ შემომთავაზა, ამასაც გავხსნიო, მაგრამ უარი ვუთხარი, - მოიცდის-მეთქი.

არაფერი უკითხავს - ალბათ, იფიქრა, საბანკო ანგარიში, კონფიდენციალური წერილი ან შეყვარებული მკითხველი ქალის ბარათი იქნებაო. მეც არაფერი მითქვამს. კონვერტი ავიღე და თაროზე, წიგნებს შორის დავმალე. მეშინოდა, თუ ყოველთვის თვალებში შემეჩხირებოდა, შეიძლება ზაჰირი ისევ დაბრუნებულიყო.

არა! ესთერის სიყვარული არ გამნელებია, უბრალოდ, საავადმყოფოში გატარებულმა დღეებმა ჩვენს საუბრებზე უფრო საინტერესო რამ გამახსენა: ეს იყო დუმილის წუთები - დრო, როცა მისი აღტაცებული, თავგადასავლის მაძიებელი თვალები სიჩუმეში შემომცქეროდნენ და მე ვხედავდი ქმრის წარმატებებით გაამაყებულ ქალს, საინტერესო ჟურნალისტს და ცოლს, რომელსაც ეჩვენებოდა, რომ ჩემს ცხოვრებაში მისი ადგილი აღარ იყო.

ეს სევდიანი მზერა ომში წასვლამდე შევამჩნიე, მერე და მერე, ბრძოლის ველიდან დაბრუნებულს, ძველებური შუქი უბრუნდებოდა თვალებში, მაგრამ ცოტა ხანში კვლავ უსაზღვრო სევდით ებინდებოდა მზერა.

იმ საღამოსაც მასზე ვფიქრობდი, როცა ტელეფონმა დარეკა და მარიმ დამიძახა:

- ის ბიჭია. - და ყურმილი მომაწოდა.

მიხაილის ხმა ვიცანი. მითანაგრძნო, ძალიან ვწუხვარ ავარიის გამოო, მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდა: წერილი თუ მიიღეო.

- ჰო, მივიღე.

- რას აპირებ? მიდიხარ?

მარი იქვე იდგა. საუბარს ისმენდა და გადავწყვიტე, რომ პასუხის გაცემა არ ღირდა.

- ამაზე პირისპირ ვისაუბროთ.

- არაფერს გთხოვ, მაგრამ შენ დახმარებას შემპირდი. არ დაგავიწყდეს.

- დაპირებებს ვასრულებ. დათქმულ დროს შევხვდებით.

მობილური ტელეფონის ნომერი მომცა და დამემშვიდობა.

მარის შევხედე - თავს ვეღარ იკავებდა.

- ესე იგი, ყველაფერი ძველებურად გრძელდება...

- პირიქით! ყველაფერი შეიცვალა.

ნათლად უნდა ამეხსნა, რომ ესთერის ნახვის სურვილი ჯერ კიდევ მქონდა და უკვე ვიცოდი, სად იყო; რომ შემეძლო, ამწუთასვე წავსულიყავი მატარებლით, ტაქსით, თვითმფრინავით, ნებისმიერი ტრანსპორტით, ოღონდ მის გვერდით ვყოფილიყავი, მაგრამ ამ ყველაფრის გამხელა ნიშნავდა, რომ დამეკარგა ქალი, რომელიც ახლა ჩემ გვერდით იყო, მხარში მედგა და ყველაფრით მიმტკიცებდა, რომ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მე ვიყავი.

რა თქმა უნდა - მხოლოდ ერთი გაბედული ნაბიჯი საკმარისი იქნებოდა. სინდისი მქენჯნიდა, მაგრამ ცხოვრება ასეთი იყო - ვერაფერს გავაწყობდი. არ შემეძლო ამეხსნა, რომ, ესთერთან ერთად, მარიც მიყვარდა.

დუმილი ვარჩიე. ყოველთვის მჯეროდა ნიშნებისა და როცა ჩემი ცოლის გვერდით გატარებული სიჩუმის წუთები მახსენდებოდა, ვხვდებოდი: ხმებით თუ ხმების გარეშე, ახსნით თუ აუხსნელად, მიზეზით თუ უმიზეზოდ, მასთან შეხვედრის დრო ჯერ არ დამდგარიყო. საუბარზე მეტად, დუმილზე უნდა მეფიქრა, რომელიც თავისუფლებას მაზიარებდა იმისთვის, რომ შემეცნო სამყარო, სადაც ჩვენი ერთად ყოფნა ულამაზესი განცდა იყო, და მეპოვა ის დრო, როცა ეს განცდა ცუდად ყოფნაში გადაიზარდა.

მარი ჩემ გვერდით იდგა და შეფარვით მათვალიერებდა. როგორ შეიძლებოდა, უპასუხისმგებლოდ მოვქცეოდი ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყველაფერს აკეთებდა. საშინელ დღეში ვიყავი, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი, - განცდის გადმოსაცემად ვერაფრით ვერ მოვძებნე სწორი ფორმა.

- მარი, დავუშვათ, პატარა ხანძრის ჩასაქრობად ორი მეხანძრე ტყეში მიდის. უკან დაბრუნებისას, ტყის პირას პატარა ნაკადულთან ჩერდებიან. მეხანძრეთაგან ერთ-ერთს სახე გამურული აქვს, მეორე კი სუფთაა. აბა, თუ მიხვდები, რომელი დაიბანს ნაკადულში პირს?

- სულელური შეკითხვაა - რა თქმა უნდა, ვინც გამურულია.

- ცდები. სუფთასახიანი. ჭუჭყიანს შეხედავს, მურს შეამჩნევს და იფიქრებს, მეც ნამდვილად ჭუჭყიანი ვარო, და პირს ის დაიბანს.

- რა გინდა, მაგით მითხრა?

- ის, რომ საავადმყოფოში გატარებული დროის განმავლობაში მივხვდი: ქალებში ყოველთვის საკუთარ თავს ვეძებდი. მათ სუფთა, ლამაზ სახეებს შევცქეროდი და მეგონა, მეც ასეთი ვიყავი. ისინი კი მე მიცქეროდნენ და, როგორი ჭკვიანები ან თავდაჯერებულებიც უნდა ყოფილიყვნენ, ჩემი გამურული სახის დანახვისას, ეგონათ, თვითონაც მურიანები იყვნენ! გემუდარები, ეცადე, რომ შენც იგივე არ დაგემართოს, მარი!

მინდოდა, დამემატებინა, ესთერსაც ასე დაემართა, მე კი ვერაფერს მივხვდი, სანამ მის მზერაში ცვლილებები არ შევამჩნიე-მეთქი. მე მისგან ყოველთვის ვიღებდი სინათლეს, ენერგიას, რაც ბედნიერებას მანიჭებდა, წინ სვლის ძალას მაძლევდა... ის კი შემომცქეროდა და თავი მახინჯი, ჭუჭყიანი ეგონა, რადგან ერთად გატარებული წლების შემდეგ, მაშინ, როცა თავისივე ხელით შემიქმნა კარიერა, მასთან ურთიერთობამ მეორე პლანზე გადაინაცვლა.

აი, ამიტომ, სანამ ისევ შევხვდებოდი, ჩემი სახე მის სახესავით უნდა გაწმენდილიყო. ესთერის პოვნამდე ჯერ საკუთარი თავი უნდა მეპოვა.

არიადნეს ძაფი

- ვიბადები ერთ პატარა სოფელში, რომელიც შედარებით მოზრდილი სოფლიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. იმ სოფელში სკოლა და სოფლის პოეტის სახლ-მუზეუმია. მამაჩემი სამოცდაათს იყო მიღწეული, დედა - ოცდახუთს. ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა მამა ხალიჩებით ვაჭრობდა და რუსეთიდან იმ სოფელში ჩავიდა. დედაჩემის გამო ყველაფერი მიატოვა. ცოლი შვილად უფრო შეეფერებოდა, მაგრამ მამაჩემს დედასავით ექცეოდა. მამას ჩვიდმეტი წლიდან უძილობა ტანჯავდა, დედა დაძინებაში ეხმარებოდა. უძილო ღამეები მაშინ დაეწყო, როცა სტალინგრადთან გერმანელების წინააღმდეგ ყველაზე ხანგრძლივ და სისხლიან ბრძოლაში საომრად გაგზავნეს. სამი ათასი ადამიანისაგან შემდგარი ბატალიონიდან მხოლოდ სამი გადარჩენილა...

„მიკვირს, ვიბადები კი არა, უნდა ეთქვა „დავიბადე ერთ პატარა სოფელში“. ნეტავ წარსულ დროში რატომ არ ყვება?“

- მამაჩემი უკვე სტალინგრადშია: ახალგაზრდაა, საუკეთესო მეგობართან ერთად პატრულირებიდან ბრუნდება. მოულოდნელად გამართული ორმხრივი ცეცხლით შეშფოთებულები არიან. ბომბისაგან გათხრილ ორმოს აფარებენ თავს. ორ დღეს მშივრები, გაყინულები, ჭუჭყსა და თოვლში ჩაფლულები ცდილობენ გადარჩენას. იქვე, მახლობელი შენობიდან ღამღამობით რუსული საუბარი ესმით, მაგრამ სანგრიდან ამოსვლას ვერ ახერხებენ. გარშემო გამუდმებით ისვრიან, ჰაერი სისხლის

სუნით იჟღინთება, დაჭრილები დღედაღამ საშველად უხმობენ... ორ დღეში ტყვიების ზუზუნი შეწყდა. ირგვლივ სამარისებული სიჩუმეა. მამაჩემის მეგობარი ფიქრობს, რომ გერმანელებმა უკან დაიხიეს და, სანგრიდან ამოდის. მამაჩემი ფეხებზე ებღაუჭება და მთელი ძალით ღრიალებს: - დაიხარე!!! გვიანია: ტყვიამ მეგობარს თავის ქალა გაუხვრიტა.

მომდევნო ორ დღეს მამა მეგობრის გვამთან ერთად სანგარში მარტო რჩება. ერთადერთ სიტყვას იმეორებს: „დაიხარე!!!“ ბოლოს და ბოლოს რუსები პოულობენ და თავშესაფარში მიჰყავთ. მხოლოდ მცირეოდენი სანოვაგე და სიგარები აქვთ. თამბაქოს ფოთლებს ჭამენ, ერთ კვირაში მკვდარი მეგობრების ხორცის მოხარშვაზე გადადიან. როგორც იქნა, მესამე ბატალიონი გზას ათავისუფლებს. გადარჩენილები გამოჰყავთ, ჭრილობებს უხორცებენ და სტალინგრადის გადასარჩენად კვლავ წინა ხაზზე ბრუნდებიან - ქალაქი არ უნდა დაეცეს! ეს რუსეთის მომავალია!

ოთხი თვე გადის გააფთრებული ბრძოლების, კანიბალიზმის, სიცივისაგან მოყინული კიდურების ამპუტირების შემდეგ - როგორც იქნა, გერმანელები ნებდებიან - ეს ჰიტლერისა და მისი მესამე რაიხის დასასრულია...

მამაჩემი ფეხით ბრუნდება მშობლიურ სოფელში, რომელიც სტალინგრადიდან თითქმის 1000 კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ სიმშვიდეს ვერც იქ პოულობს... ვერ იძინებს, ყოველღამე მკვდარი მეგობარი ესიზმრება.

ომი ორ წელიწადს კიდევ გრძელდება. მამას ორდენით აჯილდოებენ, თუმცა სამსახურს ვერსად შოულობს. გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ყველა დღესასწაულს ესწრება. შინ დაბრუნებულს ხმელა პური ენატრება. სტალინგრადის ერთ-ერთ გმირად აღიარებენ, თავი კი ძლივს გააქვს, რადგან გასამრჯელოდ გროშებს აძლევენ. ბოლოს ხალიჩების გაყიდვას სთავაზობენ. უძილობის გამო მთელ ღამეს დაეხეტება, კონტრაბანდისტებს გაიცნობს, ნდობის მოპოვებას ახერხებს და ფულიც ნელ-ნელა უჩნდება.

კომუნისტურ მთავრობას მისი საქმიანობა შეუმჩნეველი არ რჩება, კრიმინალებთან გარიგებაში ადანაშაულებენ და, „გმირის“ სახელის მიუხედავად, როგორც „ხალხის მოღალატეს“, ციმბირში ათი წლით ასახლებენ. იქიდან მოხუცებული ბრუნდება, თუმცა ხალიჩების მეტი ამქვეყანაზე აღარაფერი აქვს. ძველი კონტაქტების აღდგენას ცდილობს. ვიღაცა ისევ ნდობით ეკიდება და ხალიჩების პატარა პარტიას სთავაზობს გასაყიდად, მაგრამ ხალიჩები არავის სჭირდება: რთული დროა. იძულებულია, სოფლიდან შორს წავიდეს. გზაში თავი მათხოვრობით გააქვს... ასე წვალებით ჩააღწია ყაზახეთამდე.

მოხუცებულია. მარტოდმარტოა. მაგრამ თავის სარჩენად უნდა იმუშაოს. მთელ დღეს პატარ-პატარა სამუშაოებს ასრულებს, ღამით კი, თუ დაძინება მოახერხა, თავისივე ღრიალი აღვიძებს: „დაიხარე!!!“

საოცარია, მაგრამ იმ მძიმე დღეების, უძილობის, შიმშილის, წარუმატებლობების, მოწევის მიუხედავადაც კი, მაინც რკინის ჯანმრთელობა აქვს.

ერთ პატარა სოფელში ახალგაზრდა ქალს ხვდება. ქალი მშობლებთან ერთად ცხოვრობს. თავისი რელიგიური მრწამსისადმი მორჩილების გამო (რომლისთვისაც სტუმართმოყვარეობა წმინდათა წმინდაა), მამაჩემი სახლში მიჰყავს. სასტუმრო ოთახში ლოგინს უშლიან, მაგრამ ცოტა ხანში მასპინძლებს მისი ხმამაღალი ყვირილი აღვიძებთ: „დაიხარე!“ ის ახალგაზრდა ქალი გაურკვეველ ფრაზას ბუტბუტებს, მამაჩემს უახლოვდება, თავზე ხელს ადებს და იმ საშინელი ამბის შემდეგ მამა პირველად იძინებს მშვიდად.

მეორე დღეს გოგონა ბავშვობაში ნანახ სიზმარს ყვება: თურმე, მისი მომავალი შვილის მამა უცნობი მოხუცი მამაკაცი გახდებოდა. წლების განმავლობაში ელოდა და უამრავ მთხოვნელს იმედგაცრუებულს აბრუნებდა უკან. მშობლები წუხდნენ, ჩვენს ერთადერთ შვილს „შინაბერა“ და საზოგადოებისაგან „ხელნაკრავი“ რატომ უნდა დაუძახონო. დედა მამაჩემს პირდაპირ ეკითხება, - ჩემზე თუ დაქორწინდებიო. მამას უკვირს: ამას როგორ მეუბნები, შვილიშვილად შემეფერებიო. მზის ჩასვლისას სასტუმრო ოთახში წამოწოლილ მამას გოგონა სთხოვს, შუბლზე ხელის შეხების უფლება მისცეს - უცნაურია! მამას იმ ღამესაც მშვიდად სძინავს.

დილით ქორწინებაზე საუბარი კვლავ განახლდა, ამჯერად გოგონას მშობლების თანდასწრებით, რომლებიც უკვე ყველაფერზე თანახმანი არიან. რაც უნდა იყოს, შვილის შინაბერობისა აღარ შერცხვებათ. სწრაფად თხზავენ საოცარ ამბავს: მოხუცი კაცი შორიდან ჩამოვიდა და ხალიჩების უზარმაზარი ბიზნესის წყალობით გამდიდრდა. მერე ფუფუნებაში ცხოვრებითა და კომფორტით დაიღალა და თავგადასავლის საძებნელად ხეტიალი გადაწყვიტა.

მეზობლები აღფრთოვანებას ვერ მალავენ, საბანკო ანგარიშებზე, უზარმაზარ მზითევსა და ბედზე ფიქრობენ, რომელმაც გოგონას ისე გაუღიმა, რომ ბოლოს და ბოლოს იპოვა კაცი, ვინც ქვეყნის დასალიერს წაიყვანდა. მამაჩემი გაოგნებული და გაკვირვებული ისმენდა ამ ყველაფერს და უეცრად მიხვდა: ამდენი წლის მარტოობის, მოგზაურობის, ტანჯვის, უოჯახობის შემდეგ ცხოვრებაში პირველად შეიძლებოდა საკუთარი კერა ჰქონოდა... ამიტომაც გოგონას თანხმდება, თვითონაც მონაწილეობს ტყუილში და მუსლიმანური ტრადიციით დედაჩემზე ქორწინდება.

დედა ორ თვეში დაფეხმძიმდა.

მამამ შვიდ წელიწადს კიდევ იცოცხლა. კარგად ეძინა, მინდორში მუშაობდა, ნადირობდა, სოფლის მცხოვრებლებთან ქონების საკუთრებაზე, მიწებზე საუბრობდა და დედაჩემი ცხოვრების ერთადერთ ნათელ წერტილად მიაჩნდა. დიდხანს მეგონა, რომ მდიდარი კაცის შვილი ვიყავი, მაგრამ ერთ ღამეს, ბუხრის პირას, მამამ თავისი

თავგადასავალი მიამბო, ქორწინების მიზეზიც გამიმხილა და ყველაფრის საიდუმლოდ შენახვა მთხოვა. მითხრა, რომ მალე მოკვდებოდა.

მამა, მართლაც, გარდაიცვალა ოთხ თვეში. სული დედაჩემის მკლავებში დალია - თითქოს არანაირი ტრაგედია არ გადაუტანიაო, ისე გაღიმებული წავიდა ამქვეყნიდან.

მამა ბედნიერი მოკვდა.

მიხაილი თავის ამბავს გაზაფხულის ერთ ცივ ღამეს გვიყვება. ღამე მართლაც ცივია, მაგრამ სტალინგრადისას ვერ შეედრება. ტემპერატურა იქ მინუს 35 გრადუსზე ნაკლებია. მათხოვრებთან ერთად კოცონის გარშემო ვსხედვართ და ვითომ ვთბებით. მიხაილს დაპირება შევუსრულე და მასთან ერთად წასვლაზე დავთანხმდი. ჩემთან დატოვებულ კონვერტზე ამ ხნის განმავლობაში არაფერი უკითხავს. თითქოს იცოდა (შეიძლება, ხმამ უკარნახა), რომ, ადრე თუ გვიან, ყურადღებას მივაქცევდი ნიშნებს, არ ვიჩქარებდი და ზაჰირის ძალისაგან თავდასახსნელად, დროს წინ არ გავუსწრებდი. როცა მთხოვა, ერთმანეთს პარიზის ყველაზე საშიშ გარეუბანში შევხვდეთო, ცოტა შევშინდი. წესით, უნდა მეთქვა, უამრავი საქმე მაქვს-მეთქი; ანდა გადამერწმუნებინა - უკეთესია, სადმე ბარში შევხვდეთ და მშვიდად განვიხილოთ მნიშვნელოვანი საკითხები-მეთქი. მართალია, პიცერიაში მომხდარი ამბის მერე მისი ეპილეფსიური შეტევებისა ძალიან მეშინოდა, მაგრამ უკვე ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი მსგავს შემთხვევაში. და მაინც... კომფორტი მერჩია. აქ თავდასაცავი მცირეოდენი საშუალებაც არ მქონდა. ჯერ კიდევ ორთოპედიული საყელოთი დავდიოდი, ასე რომ, რისკის ფაქტორი დიდი იყო.

მიხაილმა დაიჟინა - ჩემთვის მნიშვნელოვანია, თუ მათხოვრებთან შეხვედრაზე წამომყვები, ისინი შენი ცოლისა და ჩემი ცხოვრების ნაწილები არიანო.

საავადმყოფოში მიღებული გადაწყვეტილებაც შემახსენა: რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოასწორო დაშვებული შეცდომები და ცხოვრება შეიცვალოო.

- მაინც რა უნდა ვქნა, როგორ შევცვალო ცხოვრება?

- არჩევანის საშუალება გაქვს. შეგიძლია, სახიფათო ადგილებს ესტუმრო და გარიყული ხალხი გაიცნო.

მიხაილი მოულოდნელად ბერძენი გმირის, თეზევსის, ისტორიას მიამბობს: თეზევსი საშინელი ურჩხულის მოსაკლავად ლაბირინთში შედის. არიადნეს თეზევსი უყვარს და უკან დასაბრუნებლად უზარმაზარ ძაფის გორგალს ატანს. გორგალი ნელ-ნელა იშლება და ლაბირინთიდან გამოსვლა შესაძლებელი ხდება.

ახლა მათხოვრებთან ვიჯექი, ვისმენდი ამ ამბავს და ვხვდებოდი, რომ დიდი ხანია, მსგავსი გრძნობა არ გამჩენია - თითქოს ხელახლა ვაგემოვნებდი რაღაც იდუმალი თავგადასავლების გემოს... ვინ იცის, იქნებ არიადნეს ძაფი ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობ

ლაბირინთში მელოდა... თანდათან მიახლოვდებოდა და მიჩნდებოდა რწმენა, რომ ჩემი ცხოვრების შესაცვლელად აუცილებლად უნდა მომეკრიბა უზარმაზარი ძალა.

მიხაილი თხრობას განაგრძობდა. ისეთი ყურადღებით უსმენდნენ, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი. ასეა! საუკეთესო თავყრილობა ყოველთვის ელეგანტურ მაგიდებთან და ჩამთბარ რესტორნებში არ იმართება.

- მეზობელი სოფლის სკოლაში ყოველდღე ერთი საათის სავალზე დავდივარ და ყოველდღე ვხედავ წყლის საძებნელად გამოფენილ ქალებს; თვალუწვდენელ სტეპებს; მწკრივად მიმავალი რუსი ბადრაგი ჯარისკაცების გრძელ რიგს; მეასედ დათვლილ მთებს, რომელთა მიღმაც, როგორც ვიღაც უცნობმა მიამბო, უზარმაზარი ქვეყანა, ჩინეთი მდებარეობს.

სოფელი პატარაა: ადგილობრივი პოეტის სახელობის სკოლა, მეჩეთი და სამი თუ ოთხი ქუჩა. გვასწავლიან, რომ არსებობს საერთო, იდეალური ოცნება: ჩვენ კომუნიზმის გამარჯვებისათვის და კაცობრიობის ყველა სულიერი არსების თანასწორობისათვის ვიბრძვით. არ მჯერა ამ ოცნებისა, რადგან ამ პატარა საშინელ ადგილზეც კი უამრავ განსხვავებასა თუ პარადოქსს ვეჯახები: კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, ე.წ. იდეალური თანასწორობის დროსაც კი, ჩვეულებრივ ხალხზე მეტი უპირატესობით სარგებლობდნენ - დროგამოშვებით დიდ ქალაქს - ალმა-ათას - სტუმრობდნენ და ეგზოტიკური საკვებით სავსე ჩანთებით, შვილებისათვის განკუთვნილი საჩუქრებითა და ძვირფასი ტანსაცმლით ბრუნდებოდნენ შინ.

ერთ საღამოს, როცა სკოლიდან ვბრუნდები, ძლიერი ქარის ქროლას ვგრძნობ, გარშემო კაშკაშა სინათლეს ვხედავ და გონებას ვკარგავ. როცა ცნობიერება მიბრუნდება, მიწაზე ვზივარ და თავზე ქათქათა ტანისამოსში გამოწყობილი, ცისფერი ლენტით დამშვენებული პატარა გოგონა დამფარფატებს... გოგონა მიღიმის და უსიტყვოდ უჩინარდება.

შინ სირბილით მივდივარ. დედას ხელსაქმეს ვაწყვეტინებ და ყველაფერს ვუყვები. დედა შეშინებული შემომცქერის და მეხვეწება, რომ ეს ამბავი სამუდამოდ დავივიწყო. თან ცდილობს, ამიხსნას (სწორედ ისე, როგორც რვა წლის ბავშვს უხსნიან ხოლმე მშობლები რაღაც ძალიან რთულ და უცნაურ ამბავს), რომ ეს უბრალო ჰალუცინაციაა. ვჭირვეულობ, ის ბავშვი ნამდვილად ვნახე, მისი აღწერაც შემიძლია, სულაც არ შემშინებია და მხოლოდ იმიტომ ვირბინე გულამოვარდნილმა, რომ შენთვის მალე მომეყოლა ეს ამბავი-მეთქი.

მეორე დღეს ვცდილობ, ის გოგონა მოვძებნო, მაგრამ ამაოდ. ერთ კვირას არაფერი ხდება და იძულებული ვარ, დედას დავუჯერო: ალბათ, მართლა ჩამეძინა და ყველაფერი დამესიზმრა-მეთქი.

მაგრამ ერთხელ, სისხამ დილით, სკოლაში მიმავალი ისევ ვხედავ თეთრი შუქით გარემოცულ, ჰაერში მოფარფატე გოგონას. ამჯერად არც დავცემულვარ და წინასწარ არც სინათლე შემინიშნავს...

ორიოდე წუთს ერთმანეთს თვალმოუშორებლად შევყურებთ - გოგონა იღიმება, მეც ვუღიმი. სახელს ვეკითხები, მაგრამ დუმს. სკოლაში ბავშვებს ვეკითხები, ჰაერში მოფარფატე გოგონა თუ გინახავთ ოდესმე-მეთქი. ყველა დამცინის.

გაკვეთილის დროს დირექტორთან მიბარებენ. დირექტორი მკაცრად მიხსნის, რომ გონებრივი პრობლემები მაქვს: მოჩვენებები არ არსებობენ. მთელი სამყარო რეალურია და საკუთარი თვალით ნანახს არ სცილდება... რაც შეეხება რელიგიას, მხოლოდ ხალხის მოსატყუებლადაა მოგონილი.

- მაშინ სოფლის მეჩეთზე რას იტყვით?

- მეჩეთი მოხუცი ხალხის ცრურწმენის შედეგია, ასეთ ადგილებს მხოლოდ ისინი თუ სტუმრობენ დროგამოშვებით, მაგრამ მოხუცები ხომ უსაქმური, უვიცი და ღონეგამოცლილი ადამიანები არიან. მათ არ ჰყოფნით ძალა სოციალისტური მსოფლიოს ასაშენებლად, - მეუბნება და მემუქრება: - თუ ერთხელ კიდევ ილაპარაკებ მოჩვენებებზე, სკოლიდან გაგრიცხავ!

მეტი რა გზა მაქვს: ვთხოვ, დედას ნურაფერს ეტყვით-მეთქი...

კარგიო, მპირდება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავჩუმდები, თუ ახლავე შენს კლასელებს დააჯერებ, რომ ყველაფერი შენ მოიგონეო.

დირექტორი თავის სიტყვას ასრულებს, მე - ჩემსას. მეგობრებისა და კლასელებისათვის მაინც სულერთია - ყურადღებას არ მაქცევენ. აზრადაც არ მოსდით, რომ მთხოვონ, ის ადგილი გვაჩვენე, სადაც გოგონა ნახეო.

იმ დღის შემდეგ მთელი თვის განმავლობაში გოგონა ისევ მეცხადება. ხან გონებას ვკარგავ, ხან არა. არ ვსაუბრობთ. უბრალოდ, რაღაც დროის მანძილზე ერთმანეთს შევყურებთ.

ერთ საღამოს, როგორც იქნა, ძალას ვიკრებ და დედას ვუმხელ: გოგონა ისევ მეცხადება-მეთქი.

ჩემდა გასაკვირად, დედა არ ჩხუბობს. ხვალ შენთან ერთად წამოვალო, - მეუბნება. მეორე დღეს ერთად მივდივართ. დედა გოგონას ვერ ხედავს და მე მთხოვს, მამაზე ვკითხო რამე. თხოვნას მექანიკურად ვუსრულებ და პირველად ვისმენ „ხმას“. გოგონა ტუჩებს არ ამოძრავებს, მაგრამ მე მისი მესმის: ამბობს, რომ მამა კარგად არის, ჩვენზე იქიდანაც ზრუნავს და დედამიწაზე გადატანილი განსაცდელის სანაცვლოდ, ახლა ბედნიერია. მთხოვს, დედას ღუმელი გავახსენო. დედა ტირის, მამას ყველაზე მეტად

ღუმელთან ჯდომა უყვარდაო. გოგონა იღიმება. მეორედ, როცა აქ მოხვალ, ქსოვილის პატარა ნახევი მოიტანე, სურვილი ჩაიფიქრე და აი, ამ ბუჩქს შეაბიო, - მეუბნება.

გამოცხადება მთელ წელიწადს გრძელდება. დედა გოგონას თხოვნას რამდენიმე საიმედო მეგობარს უმხელს, მეგობრები ახლობლებს უყვებიან და მალე ის ბუჩქი უამრავი სხვადასხვა ფერის ქსოვილის ნახევებით ჭრელდება.

ყველაფერი საიდუმლოდ ხდება: ქალები თავიანთი გაუჩინარებული, საყვარელი ადამიანების შესახებ ითხოვენ პასუხს, მე კი მათ ხმის ნაკარნახევი რჩევებით ვამშვიდებ. მოკლედ, იდუმალი შუამავალი ვხდები. უმეტეს შემთხვევაში ყველა კარგად გრძნობს თავს, მაგრამ ერთი-ორჯერ გოგონა ითხოვს, რომ მზის ამოსვლისას ხალხი უახლოეს შემაღლებულ ბორცვზე ავიდეს და გაუჩინარებული ადამიანების სულიდან წამოსული უსიტყვო ნათქვამი მოისმინოს...

მოგვიანებით მიამბობენ: ხანდახან ტრანსში ვვარდები, მიწაზე ვეცემი, უაზრო ფრაზებს გავიძახი და მომხდარს ვერაფრით ვიხსენებ, თუმცა ყოველთვის ვგრძნობ, როდის შეიძლება, გონება დავკარგო: ასეთ დროს ცხელი ქარი მიბერავს და გარშემო სინათლის წრეები დაფარფატებს.

ჩვენი მშვიდობიანი თავშეყრები დიდხანს არ გრძელდება. ერთხელ, როცა გოგონასათვის კითხვების დასასმელად ხალხი ისევ იკრიბება, მოულოდნელად გამოჩენილი მილიციელთა რაზმი ყველას აკავებს. ქალები პროტესტს აცხადებენ, ყვირიან, მაგრამ ალყის გარღვევას ვერ ვახერხებთ. მე დაცვის თანხლებით დირექტორთან მიმათრევენ, რომელიც მოწყალედ მიხსნის, რომ ცრურწმენის დამკვიდრებისა და აჯანყების მოწყობისათვის სკოლიდან გარიცხული ვარ.

შინ მარტო ვბრუნდები. ნაჭრებშემოხვეული ბუჩქი ამოუძირკვავთ და ნახევები მიწაზე დაუყრიათ. სასოწარკვეთილი ვარ. ის დღეები ხომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები იყო, ახლა კი...

ნაბიჯს ვეღარ ვდგამ, ვტირი. გოგონა ამჯერადაც მეცხადება, მამშვიდებს, ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო, ეს ბუჩქიც უნდა გაენადგურებინათ, მაგრამ ამ წუთიდან სულ შენთან ვიქნები, გვერდიდან არ მოგშორდები და გიკარნახებ, როგორ უნდა მოიქცეო.

- სახელი არასოდეს უთქვამს? - დუმილს არღვევს ერთ-ერთი მათხოვარი.

- არასოდეს. თანაც, რა მნიშვნელობა აქვს, უსახელოდაც მშვენივრად ვსაუბრობთ ხოლმე.

- შეუძლია, რომ ჩვენს გარდაცვლილებზეც გვითხრას რამე?

- არა! გარდაცვლილებზე მხოლოდ ბავშვობაში ვლაპარაკობდით, ახლა სხვა მისია მაქვს. თხრობა ხომ არ განვაგრძო?

- აბა რა! - ვეუბნები მე, - მაგრამ მანამადე რაღაცას დავამატებ: გეცოდინება, საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არის ერთი ადგილი - ლურდესს ეძახიან. სწორედ იქ, ერთ მწყემს ქალსაც შენსავით ეცხადებოდა პატარა გოგონა.

- ცდები, - მაწყვეტინებს რკინისფეხიანი, დაჩაჩანაკებული მათხოვარი, - იმ მწყემსს, სხვათა შორის, ბერნადეტი ერქვა და მას ბავშვი კი არა, ღვთისმშობელი გამოეცხადა.

- მე გამოცხადებებსა და მოჩვენებებზე წიგნი დავწერე, ამიტომ იძულებული გავხდი, ყველაფერი ყურადღებით შემესწავლა. მე-19 საუკუნით დათარიღებულ ჩანაწერებს ძირფესვიანად გავეცანი. ბერნადეტი ღვთისმშობელს არსად ახსენებს - ყველგან პატარა გოგონაზე საუბრობს: მე გოგონა ვნახე და არა ღვთისმშობელიო. თუმცა ეკლესიამ ეს ამბავი სათავისოდ გამოიყენა: ღვთისმშობლის გამოცხადებად ჩათვალა და ხალხს სიმართლე დაავიწყა. ასეა! ბევრჯერ გამეორებულ ტყუილს ხალხი ხშირად იჯერებს. მიხაილისა და მწყემსის ამბებს შორის ერთადერთი განსხვავებაა: ბერნადეტი ირწმუნებოდა, რომ გოგონამ მას სახელი გაუმხილა.

- მერედა, რა ერქვა? - მკითხა მიხაილმა.

- „მე უბიწო ჩანასახი ვარ“, - უთქვამს ბავშვს. დამეთანხმებით, ალბათ, მისი სახელი არაფრით არ ჰგავს მარიას, იზაბელს, ბეატრისს, - თითქოს რაღაც მოვლენა ან ხდომილება იყოს... ეს სახელი არაა, მაგრამ თუ თარგმნას შევეცდებით, ალბათ, ასე გამოვა: - „მე სექსის გარეშე ჩავისახე“. ახლა კი, მიხაილ, შენი ამბავი განაგრძე!

- ერთი წუთით! სანამ თხრობას განაგრძობს, შეიძლება, გკითხოთ? - მეკითხება დაახლოებით, ჩემი ასაკის მათხოვარი, - წელან თქვით, წიგნი დავწერეო. სათაურს ხომ ვერ გვეტყვით?

- ბევრი წიგნი მაქვს დაწერილი, - ვუთხარი და ერთ-ერთის სათაური დავუსახელე.

- ესე იგი, თქვენ იმ ჟურნალისტის ქმარი ბრძანდებით?

- ჰო, როგორც ჩანს, ესთერის მეუღლე ხარ, - გაკვირვებული მიყურებს მწვანესომბრეროიანი, ჭუჭყიანი, მეწამულ პალტოში გამოწყობილი მათხოვარი.

არ ვიცი, რა ვუპასუხო.

- სად არის, რატომ არ დაბრუნდა? - მეკითხება ვიღაცა, - იმედია, ცოცხალია და არ მომკვდარა. ისეთ საშიშ ადგილებში მოგზაურობდა! რამდენჯერ ვუთხარი, ასე არ შეიძლება, გეყოფა-მეთქი. აი, ნახე, რა მომცა!

მათხოვარი ხელისგულს მიშლის და მე სისხლით დალაქავებულ ქსოვილის ნახევს ვხედავ: მოკლული ჯარისკაცის პერანგის ნაწილია.

- არა! არ მომკვდარა! - ენას ძლივს ვაბრუნებ, - მაგრამ მიკვირს, აქ რამ მოიყვანა!

- გიკვირს?ვითომ რატომ? რადგან ერთმანეთისაგან განვსხვავდებით?

- ვერ გამიგეთ. თქვენს განკითხვასა და განსჯას არ ვაპირებ. მიკვირს, მაგრამ მიხარია კიდეც.

არაყი და ღამის სუსხი სასურველ შედეგს აღწევს.

- ირონიული ხარ! ცინიკოსი! - მეუბნება შედარებით კუნთმაგარი, გრძელთმიანი და გრძელწვერა კაცი. - წაეთრიე აქედან. გგონია, ასეთ საშინელ „საზოგადოებაში ჯერ არ მოხვედრილხარ“, არა?

სასმელი ძალას მმატებს.

- მაინც ვინ გგონიათ თქვენი თავი? როგორ ცხოვრობთ? რატომ აირჩიეთ ეს გზა? ჯანმრთელები ხართ, მუშაობა შეგიძლიათ, მაგრამ არაფერსაც არ აკეთებთ! აბა რა! ასე ცხოვრება იოლია!

- იცი, ვინ ვართ? ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც განზე დარჩენა ამჯობინა! გესმის? შორს იმ თქვენი სამყაროდან, რომელიც ნაწილ-ნაწილ გეფშვნებათ თავზე; შორს ხალხისაგან, რომელიც მუდმივად რაღაცის დაკარგვის შიშით ცხოვრობს და ქუჩაში ისე დადის, თითქოს ყველაფერი კარგად იყოს. თავს იტყუებენ, თორემ, სინამდვილეში ყველაფერი ცუდადაა! ძალიან ცუდად, გაიგე? განა შენ არ მათხოვრობ? მათხოვრობ, აბა რა! ხომ ითხოვ მოწყალებას შენი უფროსისაგან! ხომ აცოდებ თავს შენი ბინის მფლობელს! შენც მათხოვრობ!

- ნუთუ არ გრცხვენია, როცა შენს ცხოვრებას უაზროდ ფლანგავ? - მეკითხება მწვანესომბრეროიანი ქალი.

- ვინ გითხრა, რომ უაზროდ ვფლანგავ? რაც მინდა, იმას ვაკეთებ.

- მაინც, რა გინდა?! - მაწყვეტინებს კუნთმაგარი კაცი. - სამყაროს მწვერვალების დაპყრობა? ვინ გითხრა, რომ მწვერვალი ვაკეს სჯობია? შენ გგონია, ჩვენ არ ვიცით ცხოვრება? აი, შენს ცოლს კი ესმოდა, კარგად კი არა - შე-სა-ნიშ-ნა-ვად ესმოდა, რა გვინდოდა ამ ცხოვრებისაგან. შენ არ გესმის! იცი, რა გვინდა? მშვიდობა გვინდა. მშვიდობა, თავისუფალი დრო. არ გვჭირდება მოდა! - აქ ყველა საკუთარ დიზაინს ქმნის. როცა გვინდა, ვსვამთ. სადაც გვიღამდება, იქ გვითენდება. აქ მონობას გმობენ! და ჩვენ ამით ვამაყობთ, თუმცა თქვენ, იმ დამსხვრეული საზოგადოების ნარჩენები, რატომღაც ფიქრობთ, რომ თანაგრძნობასა და სიბრალულს ვიმსახურებთ!

ყველაფერი აირ-დაირია. აგრესიული შემახილები ერთმანეთში აიზილა. მიხაილი მათ დამშვიდებას ცდილობს.

- ბოლოს და ბოლოს, მომისმენთ თუ დავიშალოთ?

- გვაკრიტიკებს! ხომ გესმის, როგორ ლაპარაკობს! ჩვენს გასასამართლებლად მოვიდა! გეგონება, ღმერთი იყოს, - რკინისფეხიანი კაცი ემოციებს ვერ მალავს.

კბილებს აკრაჭუნებენ. იღრინებიან, ვიღაც მხარზე ხელს მიტყაპუნებს - მე სიგარას ვთავაზობ და მიხარია, რომ არყის ბოთლი მე მაქვს.

აღელვება და აგრესია თანდათან კლებულობს. მე კი ისევ გაკვირვებული და გაოცებული ვრჩები - ესთერი ამ ხალხს იცნობს. როგორც ჩანს, ეს ხალხიც იცნობს, თანაც ჩემზე უკეთესად, რადგან სისხლით დალაქავებული ქსოვილის ნაგლეჯი მათთვის უჩუქებია და არა ჩემთვის.

მიხაილი დაშოშმინებულ მათხოვრებს ძლივსშესამჩნევად უღიმის და თხრობას განაგრძობს:

- ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა სკოლიდან გამომაგდეს. ჩვენი ქვეყნისა და რელიგიის გათვალისწინებით, იძულებული გავხდი, მწყემსად მემუშავა. პირველ კვირასვე ცხვარი მიკვდება. ასე რომ, მალე სოფელში ხმას მიყრიან: შორიდან ჩამოსული იმ კაცის შვილი, ცოლს რომ სიმდიდრე აღუთქვა და ბოლოს ცარიელზე დატოვა, ნამდვილად დაწყევლილი და დათარსულიაო. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტები ხალხს არწმუნებდნენ, რელიგია მხოლოდ უსასოო, დაბეჩავებული ხალხისათვის ცრუ იმედების ჩასასახავად გამოიგონესო, სტეპების ძველი რწმენა და ტრადიცია მაინც შენარჩუნდა და თაობიდან თაობას ხელუხლებლად გადაეცემოდა.

ნაჭრებშებმული ბუჩქის განადგურების შემდეგ პატარა გოგონა აღარ მეცხადება, თუმცა მისი ხმა ისევ ჩამესმის. ვთხოვ, ცხვრების მწყემსვაში დამეხმაროს. მამშვიდებს: მოთმინებით გაუძელი, რთული დრო გელის, მაგრამ ოცდაორი წლისა რომ გახდები, შორი ქვეყნიდან ჩამოვა ქალი, რომელიც ქვეყანას გაჩვენებსო. ისიც დაამატა, რომ გარკვეული მისია დამეკისრებოდა: დედამიწისათვის სიყვარულის ნამდვილი სახე უნდა დამებრუნებინა და ადამიანთა დაცარიელებული სულებისათვის სიყვარული მესწავლებინა.

ცხვრების პატრონს სულ უფრი ხშირად ესმის ჭორები ჩემი დათარსულობის შესახებ. სხვათა შორის, შეთხზული ჭორებით სწორედ ის ადამიანები ცდილობენ ჩემი ცხოვრების დანგრევას, რომლებსაც პატარა გოგონა მთელ წელიწადს დაუზარებლად ეხმარებოდა.

ბუნებრივია, პატრონს ჭორების გადამოწმება სურს. მეზობელ სოფელში განთავსებულ კომუნისტური პარტიის ცენტრში მიდის, სადაც უხსნიან, რომ მე და დედა უკვე დიდი ხანია, „ხალხის მტრები“ ვართ. პატრონი იმ დღესვე სამუშაოდან მათავისუფლებს, მაგრამ იმ დროისათვის დედა უკვე რაიონული ცენტრის ქარხანაში მქარგავად მუშაობს. იქ არავინ იცის, რომ ჩვენ „ხალხისა და მუშათა კლასის მტრებს“ გვეძახიან. ერთადერთი, რასაც ფაბრიკის ხელმძღვანელები ითხოვენ, დილიდან საღამომდე თავაუღებელი შრომაა - ქარგვა, ქარგვა და ქარგვა!

თავისუფალი დრო თავზე საყრელად მაქვს. ხან მთელ დღეს მონადირეებთან ერთად დავეხეტები სტეპებში (ჩემი ამბავი მათაც იციან, მაგრამ, „დაწყევლილის“ ნაცვლად,

„მაგიური ძალის“ მქონედ მიმიჩნევენ. ფიქრობენ, რომ ჩემი თანდასწრებით მელიებს ყოველთვის იოლად პოულობენ); ხან პოეტის მუზეუმში ვარ, ვათვალიერებ ნივთებს, ვკითხულობ, ყურადღებით ვუსმენ ჩამოსულ დამთვალიერებლებს, რომლებიც ხშირად მართავენ იმპროვიზებულ პოეზიის საღამოებს. ხანდახან ისევ მიბერავს მწველი, ცხელი ქარი; ისევ ვხედავ სინათლის წრეებს და გონდაკარგული ვფართხალებ იატაკზე. ასეთ დროს „ხმა“ ჩემთანაა. კონკრეტულ ამბებს წინასწარ მატყობინებს, მაფრთხილებს: მალე გვალვა იქნება; ცხოველებს ჭირი შეეყრებათ; სოფელში ვაჭრები ჩამოვლენ და ასე შემდეგ. შეშინებული ვარ. კრინტს არავისთან ვძრავ. მხოლოდ დედას ვუყვები, ის კი სულ უფრო მეტად იძაბება და ღელავს.

ერთ მშვენიერ დღეს დედას რაიონში ჩამოსულ ექიმთან საკონსულტაციოდ მივყავარ. ექიმი ყურადღებით უსმენს დედას, რაღაცას იწერს, რაღაც იარაღით გაფართოებულ თვალებში მაცქერდება, გულისცემას უსმენს, მერე მუხლზე პატარა ჩაქუჩს მიკაკუნებს და დიაგნოზს სვამს - ეპილეფსიაა, მაგრამ საშიში არაფერია - ასაკის მატებასთან ერთად, შეტევების რიცხვი შემცირდება.

თავს ვუქნევ. ვიცი, რომ არანაირი ავადმყოფობა არ მჭირს, მაგრამ მირჩევნია, დედაჩემის სიმშვიდისათვის დავეთანხმო.

მუზეუმის დირექტორი მალე სწავლისადმი დაუცხრომელ სურვილს მამჩნევს, ვებრალები და სკოლის მასწავლებლებს კერძო გაკვეთილების ჩატარებას სთხოვს. ასე ვსწავლობ გეოგრაფიას, ლიტერატურას და ჩემი მომავლისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საგანს - ინგლისურ ენას. ერთ საღამოს ხმა ისევ ჩამესმის. მთხოვს, რომ მუზეუმის დირექტორს ვაცნობო: მალე მნიშვნელოვან თანამდებობას დაიკავებს. თხოვნას ვასრულებ, მაგრამ დირექტორს არ სჯერა: მორიდებულად მიღიმის და თავდაჯერებული მეუბნება: მცირეოდენი შანსიც არ არსებობს, რადგან კომუნისტური პარტიის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, თანაც, მე მუსლიმანი ვარო.

უკვე თხუთმეტი წელი შემისრულდა. დირექტორთან საუბრიდან ორი თვის შემდეგ რაიონში წარმოუდგენელი რამ ხდება: კომუნისტური პარტიის მუშაკები, ადრე ყოყლოჩინა მამლებივით თავაწეულები რომ დააბიჯებდნენ, რატომღაც თავაზიანები გახდნენ. მალე მეც სკოლაში დაბრუნებას მთხოვენ. რუსი ჯარისკაცებით სავსე მატარებლები კი საზღვრისაკენ მიდიან.

ერთ საღამოს, გარდაცვლილი პოეტის საწერ მაგიდასთან რომ ვმეცადინეობ, მუზეუმის დირექტორი ოთახში აქოშინებული შემორბის. შეშინებული და დაბნეული შემომყურებს:

- კომუნისტური რეჟიმი დაუჯერებელი სისწრაფით ღაფავს სულს, არსებობას წყვეტს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცა. ალმა-ათიდან მოწოდებული ინფორმაცია ახალი მთავრობის შექმნას იუწყება. მე კი,

სოფლის უბრალო მუზეუმის დირექტორი, პროვინციის მმართველად ვარ წარდგენილი.

იმის ნაცვლად, რომ სიხარულით გადამხვეოდა, შეკითხვებს მაყრის: საიდან, როგორ გავიგე, რომ ასეთი რამ მოხდებოდა; ვინ მითხრა? იქნებ საუბარს მოვკარი ყური? პარტიის წევრი არ არის, უშიშროებიდან გამუდმებით უთვალთვალებენ. ჯაშუში ხომ არ ვარ? იქნებ მათ მითხრეს? ან ყველაზე უარესი - ეშმაკის მოციქული ხომ არა ვარ?

ვამშვიდებ: თქვენ ხომ იცით ჩემი ამბავი, პატარა გოგონა მეცხადება. შეტევები, გულისწასვლა, ხმა, - აი რა მაძლევს უფლებას, რომ სხვებისთვის დაფარული ამბები წინასწარ შევიტყო-მეთქი.

- არა! - მის თვალებში უნდობლობას ვკითხულობ, - შენ ავად ხარ. ამქვეყნად ერთადერთი წინასწარმეტყველი არსებობდა - მუჰამედი - და ყველაფერი, რაც მან თქვა, გაცხადდა. მიუხედავად ამისა, ეშმაკს არ სძინავს, ყველანაირ ხაფანგს იყენებს. მომავლის განჭვრეტის უნარსაც ჩუქნის ზოგიერთებს, რომ ხალხს ჭეშმარიტი რწმენა შეურყიოს და უნებისყოფოები მოატყუოს. სამუშაო მხოლოდ იმის გამო მოგეცი, რომ ჩვენი რჯული გვთხოვს, ქველმოქმედები და კაცთმოყვარეები ვიყოთ, მაგრამ ახლა ვნანობ: ან მე ვიყავი საიდუმლო სამსახურის ბრმა იარაღი, ან შენ ხარ ეშმაკის მოციქული, - როგორც იქნა, დირექტორმა ამოისუნთქა და მუზეუმიდან გამომაგდო.

იოლი ცხოვრება არც მანამდე მქონია, მაგრამ ახლა უკვე აუტანელი გახდა. საქსოვი ფაბრიკა, სადაც დედა მუშაობდა, კომუნისტურ მთავრობას ეკუთვნოდა. რეჟიმის დამხობის შემდეგ ახალი მფლობელების ხელში გადავიდა. ახალ მმართველებს განსხვავებული იდეები ჰქონდათ, პროექტების განახლებას აპირებდნენ. შესაბამისად, ძველი თანამშრომლები (მათ შორის, დედაჩემიც) გაათავისუფლეს. ორ თვეში უკვე აღარ ვიცოდით, რა გვეჭამა. ერთადერთი გამოსავალი იმ სოფლიდან წასვლა იყო, სადაც მთელი ცხოვრება გავატარეთ. ასეც მოვიქეცით. გუდა-ნაბადი ავიკარით და სამუშაოს საძებნელად სოფლიდან წამოვედით. ბებიამ და პაპამ ჩვენთან ერთად წამოსვლა არ მოინდომეს. მშობლიური ადგილის დატოვებას შიმშილით სიკვდილი გვირჩევნიაო, - გვითხრეს და მე და დედამ მარტოებმა მივაშურეთ ალმა-ათას.

ჩემი პირველი დიდი ქალაქი ის იყო. მანამდე პატარა სოფლებს არასოდეს გავცილებივარ. პირველ შთაბეჭდილებას ჩემზე მანქანები, უზარმაზარი შენობები, განათებული აბრები, ესკალატორები და ლიფტები ახდენს. დედა მაღაზიაში იწყებს მუშაობას, მე - ბენზინგასამართ სადგურში - მექანიკოსის დამხმარედ. ხელფასის დიდ ნაწილს ბებია-პაპას ვუგზავნით, მაგრამ თავის გასატანი თანხა გვრჩება - თანაც, იმდენი რამეა სანახავი: კინო, ატრაქციონის პარკი, ფეხბურთის მატჩი. ამ ქალაქში ბედნიერი ვარ.

ალმა-ათაში გადმოსვლის შემდეგ შეტევებთან ერთად გაუჩინარდა პატარა გოგონას ხატება და „ხმა“. მიხარია - რვა წლის ასაკიდან თან მდევს უჩინარი მეგობრის აჩრდილი, რომელიც ახლა აღარც კი მენატრება. მომწონს ალმა-ათა - აქ გადარჩენისათვის ვიბრძვი და თუ ჭკვიანურად მოვიქცევი, აუცილებლად მივაღწევ რამეს, აუცილებლად გავხდები გავლენიანი ადამიანი.

კვირა ღამეა. ჩვენი ბინის ერთადერთ სარკმელთან ვზივარ და მოუასფალტებელ, ჭუჭყიან ქუჩას გავცქერი. ვნერვიულობ, რადგან წინადღეს გარაჟში შეყვანისას შესაკეთებლად დატოვებული მანქანის ცხვირი მივაჭყლიტე. სამსახურიდან დათხოვნისა ისე შემეშინდა, მთელ დღეს ლუკმა ვერ გავღეჭე. ახლაც - ვზივარ ფანჯარასთან და ძალიან ვნერვიულობ.

მოულოდნელად ისევ ვგრძნობ ცხელი ქარის ქროლას და ვხედავ სინათლეს. მეტი არაფერი მახსოვს. გამოფხიზლებულს დედამ მიამბო: იატაკზე დავცემულვარ და უცნაურ ენაზე დამიწყია საუბარი. ტრანსი, როგორც ჩანს, ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა. ერთადერთი, რაც მახსოვს, ხმაა, რომელიც ჩემს მისიას მახსენებს. ვიღვიძებ, მაგრამ მის არსებობას მაინც ვგრძნობ და, მიუხედავად იმისა, რომ ვერავის ვხედავ, მასთან საუბარი შემიძლია.

მშობლიური სოფლის გამოცვლის შემდეგ ჩემი სამყაროც შეიცვალა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, ხმას ვეკითხები: „მაინც რას ნიშნავს ჩემი მისია?“ ხმა მეუბნება, რომ ჩემი მისია დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების სიყვერულის ენერგიით გამოკვებაა. ვერაფერს ვხვდები. ახლა ერთადერთი სადარდებელი მაქვს: შეჭყლეტილი მანქანა და პატრონის რეაქცია. არ ინერვიულო, სიმართლე თქვი და გაგიგებენო, - მეუბნება ხმა.

ხუთი წელია, ბენზინგასამართ სადგურში ვმუშაობ. მყავს მეგობრები, პირველი საცოლე... სექსი და ქუჩის ჩხუბი უკვე ჩვეულებრივი ამბავია და ვცხოვრობ ასე - ჩემი ასაკის ყველა ნორმალურ ახალგაზრდასავით. შეტევები გრძელდება. მეგობრებს ჯერ უკვირთ, მაგრამ როცა იძულებული ვხდები, გამოვიგონო, რომ შეტევა „ზებუნებრივი ძალის შედეგია“, პატივისცემით მეპყრობიან. თან დახმარებას მთხოვენ, მანდობენ სასიყვარულო თუ ოჯახური ურთიერთობების პრობლემებს. ხმას არაფერს ვეკითხები - ჩემი სოფლის ბუჩქმა გამოცდილება შემძინა, თუმცა სულიერი ტრავმაც დამიტოვა... რატომღაც მგონია, რომ როცა ვინმეს დახმარების ხელს ვუწვდით, ერთადერთი, რასაც ვიმკით, უმადურობაა.

ვცრუობ, ვითომ მე „საიდუმლო საზოგადოების“ წევრი ვარ. რეპრესიების დასრულების შემდეგ ალმა-ათაში რელიგიური მისტიციზმი და ეზოთერიზმი მოდაში შემოდის. „ზებუნებრივ ძალებზე“ უამრავი წიგნი იბეჭდება, ჩინეთიდან და ინდოეთიდან ჩამოდიან გურუები. უამრავი ინდივიდუალური სწავლების კურსი იხსნება... კურსებზე მეც დავდივარ. ვსტუმრობ ხან ერთ, ხან მეორე „საზოგადოებას“ და ვხვდები, რომ ვერაფერსაც ვერ ვსწავლობ, არავის ვენდობი, მე მხოლოდ ჩემი

„ხმის“ მჯერა, მხოლოდ ის არის ნამდვილი! მაგრამ ახლა მეტისმეტად დაკავებული ვარ, მის მოსასმენად დრო არ მრჩება.

ასე გრძელდება მანამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ოთხბორბლიანი სატვირთო ფურგონის მფლობელი ქალი ჩემს სამუშაო გარაჟთან არ ჩერდება და ავზის საწვავით შევსებას არ მთხოვს. აქცენტითა და დამტვრეული რუსულით საუბრობს. მე ინგლისურად ვპასუხობ. ვგრძნობ, შვებით ამოისუნთქა. მეკითხება, რომელიმე თარჯიმანს თუ იცნობ, ვინც ქვეყნის შიგნით მოგზაურობაში დამეხმარებაო.

მოულოდნელად პატარა გოგონას ხატება მთელ სივრცეს იკავებს და ვხვდები, რომ ეს არის ის ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება ველოდი. ჩემი ხსნაა, ჩემი გამოსავალი, და მე არ შემიძლია ამ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება.

- მე ვიქნები თქვენი თარჯიმანი, რა თქმა უნდა, თუ ნებას დამრთავთ, - ვეუბნები.

- შენ ხომ მუშაობ, თანაც მე გამოცდილი ადამიანი მჭირდება, ვისაც სამოგზაუროდ თავისუფალი დრო აქვსო, - მეუბნება.

- სტეპის გზებსა და მთებს ხელისგულივით ვიცნობ, ეს სამუშაო კი დროებითია. გემუდარებით, მომეცით შანსი. ნება დამრთეთ...

ჩემდა გასაოცრად, ქალი შეხვედრას ქალაქის ყველაზე მდიდრულ სასტუმროში მინიშნავს.

ერთმანეთს სასტუმროს მისაღებში ვხვდებით. ენის ცოდნას მიმოწმებს და ტყვიასავით მაყრის შეკითხვებს შუა აზიის გეოგრაფიასთან დაკავშირებით. აინტერესებს, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ ან კონკრეტულად საით ვაპირებ წასვლას. ვცდილობ, დაკისრებული როლი ზედმიწევნით კარგად შევასრულო, მაგრამ მისი ნდობის მოპოვება მიჭირს.

როცა ვაცნობერებ, რომ რამდენიმე საათის წინ გაცნობილი ქალი თავდავდავიწყებით მიყვარს, გაოცებისაგან ლამისაა გავგიჟდე. სურვილს გულში ვიკლავ და რჩევისათვის ხმას მივმართავ: უჩინარ ბავშვს დახმარებას ვთხოვ. ვპირდები, თუ ამ სამუშაოს მივიღებ, ჩემს მისიას აუცილებლად განვახორციელებ, ოღონდ გონება გამინათე-მეთქი. მახსენდება, ერთხელ სწორედ ხმამ მითხრა, რომ ჩამოვიდოდა უცნობი ქალი და აქედან შორს წამიყვანდა. ჩამოვიდა კიდეც და პატარა გოგონა გვერდიდან არ მომცილებია, როცა ეს ქალი ავზის შესავსებად ჩემს გარაჟთან შეჩერდა. ასე რომ, უნდა დამეხმაროს. ახალი სამუშაო ჰაერივით მჭირდება.

როგორც ჩანს, დაკითხვის შემდეგ ნდობის მოპოვება შევძელი: ქალი წინასწარ მაფრთხილებს, რომ მისი სურვილი კანონსაწინააღმდეგო და არალეგალურია. მიხსნის, რომ ჟურნალისტია და მეზობელ ქვეყანაში განლაგებულ ამერიკულ ბაზებზე რეპორტაჟს ამზადებს, მაგრამ ვიზას არ აძლევენ. იძულებულია, საზღვარი ფეხით, არალეგალურად გადაკვეთოს - ნაცნობებმა რუკა მისცეს, აჩვენეს მესაზღვრეების

გარეშე დარჩენილი დაუცველი ადგილები. რუკას არ მაძლევს. „ალმა-ათადან რომ გავალთ, მხოლოდ მაშინ მოგცემ და თუ ჩემი ყველა პირობა გაკმაყოფილებს, ორ დღეში დილის 11 საათზე სასტუმროში მოდიო.“

ერთკვირიანი ხელფასის გარდა, არაფერს მპირდება, თუმცა არ იცის, რომ ძველ სამსახურში დედისა და პაპის დასახმარებლად საკმარის თანხას მიხდიან, ჩემს უფროსს კი ჩემი სჯერა და მენდობა, მიუხედავად იმისა, რომ სამი თუ ოთხი სპაზმისა და „ეპილეფსიური შეტევის“ მოწმე გახდა და, როგორც თვითონ ამბობს, „იდუმალ სამყაროსთან ჩემი კონტაქტი საკუთარი თვალით იხილა“.

სანამ დამემშვიდობება, ქალი სახელს მიმხელს - მას ესთერი ჰქვია. მაფრთხილებს, თუ პოლიციასთან ჩემს დასმენას გადაწყვეტ, დაკავება და დეპორტირება არ ამცდებაო. მერე კი, სხვათა შორის, ამატებს: ცხოვრებაში არსებობს წუთი, როცა ინტუიციას ბრმად უნდა ენდო, ახლა მეც სწორედ ასე ვიქცევიო, - მეუბნება და მიღიმის. ვამშვიდებ, ნუ ინერვიულებთ, ჩემგან საფრთხე არ გემუქრებათ-მეთქი, და ვგრძნობ, რომ გოგონას ხმა სადღაც ძალიან ახლოს ისმის, მაგრამ დუმილს ვამჯობინებ. ესთერს არაფერს ვეუბნები.

შინ ვბრუნდები. დედას ვუმხელ, რომ თარჯიმნის სამუშაო ვიშოვე, ხელფასიც მეტი მექნება, მაგრამ იძულებული ვარ, რაღაც დროის განმავლობაში ქვეყნიდან წავიდე. დედა არ ღელავს - თითქოს ყველაფერი დიდი ხნის მანძილზე იგეგმებოდა და ჩვენ, უბრალოდ, მხოლოდ შესაფერის წუთს ველოდით.

ცუდად მძინავს. ჩვეულებრივზე ადრე ვდგები და ბენზინგასამართ სადგურში მივდივარ. ბოდიშს ვიხდი და უფროსს ახალი სამუშაოს შესახებ ვუყვები. ყურადღებით მისმენს, მაგრამ საუბრის დასასრულს თავის აზრს მანდობს: ადრე თუ გვიან სხვებიც აღმოაჩენენ, რომ ავადმყოფი ვარ! სარისკოა! დაუფიქრებლად არ უნდა მივიღო გადაწყვეტილება. უბრალოდ, არ შეიძლება, რაღაც „საეჭვოს“ „საიმედო“ ვანაცვალო, მაგრამ ყველაფერი ჩემი ნებაა, როგორც მინდა, ისე უნდა მოვიქცე. - ეს კაციც მშვიდადაა - დედაჩემივით იქცევა - უამრავი პრობლემის მიუხედავად, თანახმაა. უცნაურია! თითქოს ჩემი თანმდევი ხმა ყველას იმორჩილებს, ვინც ცხოვრების დაწყებაში, პირველი ნაბიჯების გადადგმასა და „სულის მოთქმაში“ დამეხმარა.

დილით სასტუმროში მივდივარ. ესთერი მელოდება. ვუხსნი, რომ თუ დაგვიჭერენ, მას მხოლოდ დეპორტაცია ემუქრება, მე კი - ხანგრძლივი პატიმრობა.

- ასე რომ, თუ რისკზე მიდგა საქმე, მე უფრო ვრისკავ, და თქვენ იძულებული ხართ, მენდოთ-მეთქი, - ვეუბნები.

შედარებით მშვიდადაა.

ორ დღეს შეუსვენებლად მივდივართ. საზღვრის მეორე მხარეს თანამოაზრეები ელოდებიან. ესთერი მარტოს მტოვებს, სადღაც ქრება და ცოტა ხანში ბრუნდება. იმედგაცრუებული და ყურებჩამოყრილია: ომი, სადაცაა, დაიწყება, ყველა გზა დაკეტილია, მესაზღვრეები ყველაფერს აკონტროლებენ. გზას თუ გავაგრძელებთ, შესაძლებელია, შპიონაჟის ბრალდებით დაგვაკავონო.

იძულებულები ვართ, უკან დავიხიოთ. აქამდე თავდაჯერებული ესთერი ახლა სევდიანი და შეწუხებულია. ვცდილობ, გავართო და გავამხიარულო. ვფიქრობ, რომ ორმოცდარვა საათში ყველაფერი დამთავრდება. მექანიკურად ჩემი სოფლის პოეტის ლექსების კითხვას ვიწყებ. ერთადერთი მიზანი მაქვს: ხმას უნდა დავუჯერო და ნებისმიერი რამ გავაკეთო, ოღონდ ეს ქალი ისევე მოულოდნელად არ გაუჩინარდეს, როგორც გამოჩნდა. იქნებ მეთქვა, რომ უკვე დიდი ხანია, მას ველოდები, რომ ჩემთვის ძალიან ძვირფასია?

იმ ღამით, ზურგჩანთები კლდის ქიმზე რომ მიმოვყარეთ, ვცდილობ, ესთერის ხელი ჩემს ხელში მოვიქციო. თავს ნაზად ითავისუფლებს. ამბობს, გათხოვილი ვარო. ვიცი, რომ მცდარი ნაბიჯი გადავდგი, დაუფიქრებლად მოვიქეცი, მაგრამ დასაკარგი აღარაფერი მაქვს. მინდა, ბოლომდე გულახდილი ვიყო და მას ბავშვობისდროინდელ ხილვებზე, სიყვარულის გავრცელების მისიასა და ექიმის დიაგნოზზე - ანუ, ჩემს „ვითომ ეპილეფსიაზე“ ვუამბობ.

ჩემდა გასაკვირად, ესთერს მშვენივრად ესმის ჩემი. და ახლა ის იწყებს საუბარს. ამბობს, რომ ჰყავს ქმარი, რომელიც ძალიან უყვარს; ქმარსაც უყვარს, მაგრამ ქორწინებიდან რამდენიმე წელიწადში მათ შორის რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი დაიკარგა. ახლა ურჩევნია, მარტომ, მისგან შორს იცხოვროს, ვიდრე საკუთარი თვალით უყუროს, როგორ ინგრევა და ქრება მისი ქორწინება. ცხოვრებას არ ემდურის - თითქოს ყველაფერი აქვს, მაგრამ მაინც უბედურია. თუმცა, იყო დრო, როცა ეს უბედურება არ არსებობდა ან ვერ გრძნობდა. ფიქრობს, რომ ვეღარასოდეს დააღწევს თავს დეპრესიის კლანჭებს, და შიშისაგან წინასწარ კვდება.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი მიეტოვებინა და თავგადასავლის, გაფანტული სიყვარულის ნატეხების საძებნელად, ფიქრისგან თავდასაღწევად შორს წასულიყო. რაც უფრო მეტს ეძებდა, მით უფრო მეტს კარგავდა და თავს საშინლად მარტო გრძნობდა. ფიქრობდა, რომ საბოლოოდ ასცდა სწორ მიმართულებას. შეძენილი გამოცდილება ახლა უმტკიცებდა, რომ შეცდომა იყო ყველაფრის მიტოვება და უკეთესი იქნებოდა, თუ ყოველდღიურ, ძველ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა.

- თუ გინდა, ვცადოთ და სხვა გზა მოვძებნოთ. ალმა-ათაში კონტრაბანდისტებს ვიცნობ, დაგვეხმარებიან. - ვცდილობ, ესთერს დაკარგული ენერგია დავუბრუნო, მაგრამ მას გზის გაგრძელების სურვილი აღარა აქვს.

ამ დროს ხმა ისევ ჩამესმის და მთხოვს ესთერი დავლოცო. ბოლომდე ვერც კი ვაცნობიერებ, რა უნდა გავაკეთო, მაგრამ ვდგები, ზურგჩანთას ვხსნი, თითებს სადილის მოსამზადებლად წამოღებულ ზეთის ჭურჭელში ვისველებ და ესთერს ხელს შუბლზე ვადებ. ჩუმად ვლოცულობ, მერე ვთხოვ, ძებნა განაგრძოს, რადგან ამას ყველა ჩვენგანისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ხმისგან ნაკარნახევ სიტყვებს ვუმეორებ. ვარწმუნებ, რომ ერთი ადამიანის ცვლილებაც კი მთელი კაცობრიობის ცვლილებას ნიშნავს. ესთერი გულში მიკრავს... ვგრძნობ, როგორ ლოცავს დედამიწა და ჩვენ ერთმანეთს გადახვეულები თითქმის საათის განმავლობაში დაკარგულ ძალას ვიკრებთ.

ბოლოს ვეკითხები - თუ გჯერა, რომ ხმა ნამდვილად მესმის-მეთქი. თან - კი, თან - არაო, - მერე მეუბნება:

- მჯერა, რომ ყველა ადამიანი ფლობს იდუმალ ძალას, რომელსაც არასოდეს იყენებს, მაგრამ, ამავე დროს, ვფიქრობ, რომ ეპილეფსიური შეტევების წყალობით, შენ შეძელი ამ ძალის აღმოჩენა. თუ გინდა, შევამოწმოთ. ალმა-ათას ჩრდილოეთით ერთი მომთაბარე ცხოვრობს. ამბობენ, მაგიურ ძალას ფლობსო. გამომყევი, მის ნახვასა და ინტერვიუს ჩაწერას ვაპირებ.

როცა მომთაბარის სახელი გამიმხილა, გამახსენდა, მის შვილიშვილს ვიცნობდი. ეს კი საქმეს გაგვიადვილებდა.

ალმა-ათაში ვბრუნდებით. გზად მხოლოდ აუცილებელი ნივთების საყიდლად და ბენზინის ავზის შესავსებად ვჩერდებით. საბჭოთა დროს შექმნილი ხელოვნური ტბის მახლობლად მდებარე პატარა სოფლის მიმართულებით მივდივართ. მომთაბარის სახლთან ხალხის რიგია. მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე ასისტენტს ვუთხარი, მისი შვილიშვილის მეგობარი ვარ-მეთქი, რიგში ჩადგომამ ჩვენც მოგვიწია. ამ კაცს ხომ ყველა წმინდანად თვლიდა.

ბოლოს და ბოლოს ყურადღებას გვაქცევენ.

მაშინ, როცა იმ ინტერვიუს ვთარგმნიდი, და ახლა, როცა უკვე უამრავჯერ წავიკითხე დაბეჭდილი რეპორტაჟი, ჩემთვის ბევრი დაფარული რამ ცხადი გახდა.

ესთერი მოხუცებულის დანახვისთანავე, თითქოს ყოველი წამის დაკარგვისა ეშინიაო, პირდაპირ საქმეზე გადადის.

- რატომ არის ხალხი ასეთი სევდიანი? - ეკითხება ესთერი და მომთაბარეს თვალებში შეჰყურებს.

- მარტივი მიზეზის გამო - საკუთარ ისტორიაზე მიჯაჭვულები ცხოვრობენ. რატომღაც ფიქრობენ, რომ ცხოვრების მიზანი წინასწარდამუშავებული გეგმის შესრულებაა. არავინ კითხულობს, არავის აინტერესებს, იქნებ ის გეგმა მათთვის კი არა, სხვებისათვის შეიქმნა. აგროვებენ გამოცდილებას, მოგონებებს, ნივთებს, იდეებს,

რომლებიც იმაზე მძიმეა, ვიდრე თავად შეუძლიათ ზიდონ... აგროვებენ, აგროვებენ და, საბოლოოდ, საკუთარ ოცნებებს ივიწყებენ, - უხსნის მოხუცი.

- უამრავი ადამიანი მეუბნება, რომ ბედნიერი ვარ. ჰგონიათ, ვიცი, რა მინდა ცხოვრებისაგან. ეს მათ ჰგონიათ, თორემ, სინამდვილეში, არაფერიც არ ვიცი.

- იცი! როგორ არ იცი! შენ იცნობ ხალხს, რომელიც ცხოვრებას თითქოს გამართლებას უძებნის, როცა ამბობს: „ვერ შევძელი ჩემი ყველაზე დიდი ოცნებებისა და სურვილების განხორციელება...“ ესე იგი, იციან, რაზე ოცნებობენ და რისი სურვილი აქვთ. „რეალური ცხოვრება“ კი უბრალო ისტორიაა, რომელიც ვიღაცამ სამყაროს პატივსაცემად შექმნა და ქცევის წესები დააკანონა.

- უარესიც მომისმენია: „კმაყოფილი ვარ, რადგან ცხოვრება საყვარელ ადამიანს შევწირეო“. ხალხი ასე ფიქრობს.

- თქვენ? როგორ გგონიათ, ჩვენთვის საყვარელი ადამიანები მსხვერპლს მოითხოვენ? ან უხარიათ, როცა ჩვენს ტანჯვას შეჰყურებენ? ნუთუ ფიქრობთ, რომ სიყვარული სევდის ძირია ან - ტკივილის წყარო?

- გულახდილად თუ ვიტყვი, მართლაც, ასე ვფიქრობ.

- მაშინ აღარ უნდა იფიქროთ.

- თუ დავივიწყებ ისტორიას, რომელიც ბავშვობაში მიამბეს; თუ დავივიწყებ წესებს, რომელიც სამყაროს გაჩენის დღიდან შექმნეს, მე ხომ ყველაზე მნიშვნელოვანსაც დავივიწყებ - იმას, რასაც ამდენი წლის მანძილზე მასწავლიდა ცხოვრება. მაშ რატომღა ვიწვალე ამდენი? რა საჭირო იყო ცოდნა, გამოცდილება, კარიერისათვის, ქმრისთვის, სიყვარულისთვის ბრძოლა?!

- დაგროვილმა ცოდნამ და გამოცდილებამ შესაძლოა, კარგი დიასახლისობა გასწავლოს. გასწავლოს, რამდენი დახარჯო, რამდენი იშოვო, როგორ ჩაიცვა ზამთარში; რომელი ავტობუსი ან მატარებელი მიდის შენთვის სასურველი მიმართულებით; რომელ სადგურზე მიხვიდე ან რომელზე ჩამოხვიდე... თუმცა, გაიხსენეთ, ძველმა შეყვარებულებმა უკეთესად სიყვარული თუ გასწავლეს?

- მათ მასწავლეს, რა მინდა, ან რატომ მინდა.

- ეგ არ არის პასუხი. გიმეორებ: ძველი დროის შეყვარებულებმა უკეთესად სიყვარული გასწავლეს? გასწავლეს, როგორ გიყვარდეს შენი ქმარი?

- პირიქით. ქმარი რომ მთელი არსებით მყვარებოდა, იძულებული გავხდი, ძველი შეყვარებულებისაგან დატოვებული ჭრილობები სამუდამოდ დამევიწყებინა. ამის მოსმენა გსურდათ?

- სიყვარულის ჭეშმარიტმა, სუფთა ენერგიამ რომ ბოლომდე შემოაღწიოს სულში, უკან უნდა დაბრუნდე, თითქოს ისევ ჩვილი ხარ და ახლახან დაიბადე. რატომ არის ხალხი უბედური? იმიტომ, რომ დღემდე ამ ენერგიის დატყვევებას, საკუთარ წესებსა და ჩარჩოებში მოქცევას ცდილობს, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია... პირადი ისტორიის დავიწყება სუფთა, წმინდა არხის შენარჩუნებას, ენერგიისათვის სასურველი სივრცის, თავისუფლების მინიჭებას ნიშნავს. დაივიწყეთ ძველი წესები - მიეცით სიყვარულის ენერგიას უფლება, რომ გმართოთ!

- თქვენი სიტყვები რომანტიკულად ჟღერს, მაგრამ შესრულება ძნელია. ენერგიას ხანდახან უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს: თუნდაც - შვილები, სოციალური მდგომარეობა, კომპრომისები...

- და გარკვეული დროის შემდეგ კი - იმედგაცრუება, შიში, მარტოობა, დაუმორჩილებელი გრძნობების დამორჩილება... ასეა? იცით, სტეპის ტრადიციის მიხედვით, რომელსაც ჩვენ „ტენგრის“ ვეძახით, სისხლსავსე ცხოვრებისათვის აუცილებელია მუდმივი მოძრაობა, განვითარება. დღეები აღარ დაემგვანება ერთმანეთს. ქალაქში ჩასული მომთაბარე ხალხი ხშირად ფიქრობს: საცოდავები, აქ როგორ ცხოვრობენ, მათთვის ხომ ყელაფერი სულერთიაო. თავის მხრივ, ალბათ, ქალაქელებს მომთაბარეები ებრალებათ, საწყლები, ერთი პაწაწინა ადგილიც კი არა აქვთ, რომ მშვიდად იცხოვრონო.

ადრე მომთაბარეებს წარსული არ ჰქონდათ, აწმყოთი ცხოვრობდნენ და სწორედ ამის გამო იყვნენ ბედნიერები... მაგრამ კომუნისტურმა მთავრობამ აიძულა, მოგზაურობა შეეწყვიტათ და კოლექტივში გაერთიანებულიყვნენ. მას შემდეგ დაიწყეს ფიქრი ისტორიაზე, რასაც საზოგადოება დიდხანს ჩასჩიჩინებდათ, ანუ დაიწყეს ფიქრი წარსულზე. დღეს კი სილაღის ძალა უკვე დაკარგული აქვთ.

- მთელ ცხოვრებას მოგზაურობაში ხომ არ გაატარებდნენ?

- ფიზიკურად მოგზაურობაა შეუძლებელი, მაგრამ სულით მოგზაურობას რა უშლის ხელს? წადით შორს, მოშორდით მაგ თქვენს პირად ამბებს და სხვებისაგან ნაკარნახევი ცხოვრება დაივიწყეთ.

- როგორ დავივიწყოთ ძველი ამბები, მათ ხომ მთელი ცხოვრება გვიყვებოდნენ?

- ხმამაღლა მოყევით! ყველა წვრილმანი, ყველა მარცხი და გამარჯვება გაიხსენეთ. ჯერ ერთხელ, მერე - მეორედ, მესამედ, სანამ მნიშვნელობას არ დაკარგავს. შუა თხრობაში წარსულს დაემშვიდობებით და თვითონ ნახავთ, თქვენ წინ ახალი სამყარო, იდუმალი სივრცე გადაიშლება.

- სულ ეს არის?

- ერთი მცირე დეტალი აკლია. როცა დაბინძურებული სივრცე დაიცლება, სიცარიელის გრძნობის თავიდან ასაცილებლად, მისი შევსება სწრაფადვე უნდა მოხდეს.

- როგორ?

- სხვადასხვა ახალი ისტორიით; გამოცდილებით, რომელიც ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასე ჩვენც უკეთესობისაკენ შევიცვლებით და სიყვარულიც გაიზრდება. როცა სიყვარული იზრდება, ჩვენც მასთან ერთად ვიზრდებით.

- ხომ შეიძლება, ასე მნიშვნელოვანი რაღაცეებიც დავკარგოთ?

- არასოდეს! ყველაფერი მნიშვნელოვანი ყოველთვის ჩვენთან რჩება. რაც მიდის და ქრება, სიყვარულის ენერგიის მმართველი ყალბი ძალაა, ის, რაც მხოლოდ ჩვენ გვგონია, რომ მნიშვნელოვანია, თორემ სინამდვილეში უსარგებლოა. ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ. თქვენი დრო ამოიწურა. სხვებსაც უნდა მოვუსმინო.

მოხუცის ნება მტკიცეა, გადარწმუნება - შეუძლებელი.

- მაგრამ შეგიძლიათ, კიდევ მობრძანდეთ, მე აქ დაგხვდებით და უფრო მეტს გასწავლით.

დავბრუნდებიო, - შეჰპირდა ესთერი და ალმა-ათაში ერთ კვირას კიდევ დარჩა. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს უამრავჯერ ვუამბეთ ჩვენი თავგადასავალი და მივხვდით, რომ მოხუცი მართალი იყო. რაღაც ძალიან დიდი ტკივილი მიდიოდა ჩვენგან, გვამსუბუქებდა, თუმცა ჯერჯერობით ბედნიერება არსად ჩანდა.

მოხუცმა გვირჩია, ცარიელი სივრცე სწრაფადვე შეავსეთო. გამგზავრებამდე ესთერი მთავაზობს: საფრანგეთში წამოდი, რომ „დავიწყების პროცესი ერთად განვაგრძოთო“; გამზიარებელი არავინ ჰყავს, ქმართან საუბარი არ შეუძლია, თანამშრომლებს ვერ ენდობა, ამიტომ სჭირდება ვინმე უცხო, შორეული მეგობარი; ის, ვინც დღევანდელ დღემდე მისი პირადი ცხოვრების ნაწილი არ ყოფილა.

- წამოსვლა ძალიან მინდა, - ვეუბნები და მხოლოდ ახლა მახსენდება დაკისრებული მისია. - მაგრამ მე ხომ ფრანგული არ ვიცი, ჩემი სამუშაო გამოცდილება კი ბენზინგასამართი სადგურითა და ცხვრების მწყემსვით შემოიფარგლება.

აეროპორტში მთხოვს, მის დაბრუნებამდე ფრანგული ვისწავლო. ვეკითხები, რატომ მთავაზობ საფრანგეთში მოგზაურობას-მეთქი. ესთერი იმავეს მიმეორებს და აღიარებს, რომ მარტოობისა ძალიან ეშინია.

- საკუთარი ისტორიის დავიწყების შემდეგ, ცარიელი სივრცე დამრჩება, მეშინია, ყველაფერი ბუმერანგივით უკან არ დამიბრუნდეს და ვეღარასოდეს გავთავისუფლდე. შენ ბილეთებსა და ვიზაზე არ იდარდო. მე ვიზრუნებ, - მეუბნება და მიდის.

პასპორტების საკონტროლო პუნქტთან მისული ღიმილით შემომცქერის და თითქმის ჩურჩულებს:

- მეც დიდხანს გელოდი, თუმცა აქამდე ვერ ვაცნობიერებდი, და ერთად გატარებული დღეები, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ყველაზე ბედნიერი დღეები იყო.

ღამღამობით სტრიპტიზ-კლუბის მცველად ვმუშაობ, დღისით ფრანგულს ვსწავლობ. შეტევების სიხშირე მცირდება და გოგონას აჩრდილიც ქრება. დედას ვეუბნები, რომ ესთერმა სამოგზაუროდ მიმიწვია. ეღიმება - როდემდე უნდა იყო ასეთი გულუბრყვილო, ეგ ქალი აღარასოდეს გამოჩნდებაო, მაგრამ დედა შეცდა: ერთი წლის შემდეგ ესთერი ალმა-ათაში დაბრუნდა.

იმ დროისათვის ომი უკვე დაწყებულია. ვიღაცას საფრანგეთში ამერიკულ საიდუმლო ბაზებზე სტატია გამოუქვეყნებია, მაგრამ მომთაბარე მოხუცისგან აღებულ ინტერვიუს ისეთი წარმატება ხვდა წილად, რომ მკითხველებს ესთერისთვის ახალი რეპორტაჟი უთხოვიათ: სურდათ, გაეგოთ, სად გაუჩინარდა მომთაბარე ხალხი.

- ასეც რომ არ იყოს, იმდენი ხანია, არავისთვის არაფერი მომიყოლია, მგონი, ხელახლა ვვარდები დეპრესიაში, ჰოდა, მეც ჩამოვედი, - მეუბნება ესთერი.

ვცდილობ, დავეხმარო. ტენგრის ტრადიციის მიმდევარ, ჯერ კიდევ მოხეტიალე ტომის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ „ჯადოქრებს“ ვიცნობ. ფრანგულად გაჭირვებით ვლაპარაკობ. ვახშმობისას ესთერი საკონსულოში წარსადგენ დოკუმენტებს მაძლევს: უნდა შევავსო.

მალე ვიზას იღებს, ბილეთებს ყიდულობს და საფრანგეთში ჩამოვდივართ. ისევ ვცდილობთ ძველი, დაღეჭილი ისტორიებისაგან თავის გამოცარიელებას და მალე უკვე ორივენი ვხვდებით, რომ თვალწინ იდუმალი სიხარული, დახვეწილი ინტუიცია, ახალი სივრცე გვეშლება. თითქოს ძალა გვემატება, თითქოს მეტს ვრისკავთ. ხანდახან ერთი შეხედვით მცდარ, გაურკვეველ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, მაგრამ არ გვეშინია. დღეები დაძაბული გახდა, თუმცა ჩვენ კიდევ დიდი გზა გვქონდა გასავლელი.

- სად უნდა ვიმუშაო? - ვკითხე ესთერს, როცა პარიზში ჩამოვედი. მას ყველაფერი მოეგვარებინა: რომელიღაცა პატარა ბარის მფლობელი დაურწმუნებია, კვირაში ერთხელ ბარი დამითმოს...

- ვუთხარი, რომ ყაზახეთში ეგზოტიკური სპექტაკლების დადგმის ტრადიცია არსებობს, რომლის დროსაც ხალხი საკუთარი ცხოვრების შესახებ ყვება და რომ შენ ამ ტრადიციას თამაშის ფორმით განახორციელებ.

დასაწყისში ძალიან გვიჭირს - ამგვარ თამაშებში მონაწილეობის მსურველი ცოტაა, მაგრამ ჭიქა ღვინის შემდეგ ხალხს ხალისი ემატება. ჩვენი ამბავი ქუჩიდან ქუჩას,

უბნიდან უბანს ედება. ადამიანებს, მოგეხსენებათ, ყოველთვის სიახლეების წყურვილი ტანჯავდა, ბარის ვიტრინაში გამოკრული ხელით ნაწერი აფიშა კი იტყობინება: „მოდი, გვიამბე ძველი ისტორია და აღმოაჩინე ახალი“.

ასე თუ ისე, ბარი ნელ-ნელა ივსება.

ერთ საღამოს ხმა ისევ ბრუნდება: მეც მის თხოვნას ვასრულებ და მითებისა და ლეგენდების მოყოლის ნაცვლად, მისი ენით ვიწყებ საუბარს. ასეთ დროს დარბაზში ხალხი ტირის, ერთ-ერთი მათგანი კი, იქ მსხდომთა გასაკვირად, თავისი ქორწინების ინტიმური დეტალების შესახებ გულახდილ საუბარს იწყებს.

მომდევნო კვირასაც იგივე მეორდება - ხმა მესაუბრება, მთხოვს, რომ ხალხმა მხოლოდ უსიყვარულობაზე ისაუბროს. ჰაერი ისეთი ენერგიით არის გაჟღენთილი, რომ ფრანგების თავშეკავებული ხასიათის მიუხედავად, პირად საკითხებზე მსჯელობა არ წყდება.

თანდათან შეტევების კონტროლსაც ვახერხებ: თუკი სცენაზე ქარის ქროლას ვგრძნობ და სინათლეს ვხედავ, მაშინვე ტრანსში ვვარდები და გარშემომყოფნი ვერაფერს ამჩნევენ. ეპილეფსიის შეტევები კი მხოლოდ ძლიერი ნერვიული დაძაბულობის ფონზე მემართება.

მალე პატარა ჯგუფს ვქმნი: ჩემი ასაკის სამი ახალგაზრდა (ამ ახალგაზრდებს მოგზაურობის გარდა, სხვა საქმე არა აქვთ, ისინი ქვეყნის დასავლეთიდან ჩამოსული მომთაბარეები არიან) და ორი ყაზახი მუსიკოსი (სადღაც ყური მოუკრავთ, თქვენს თანამემამულეს ბარში გამოსვლებით დიდი წარმატებისათვის მიუღწევიაო, და რადგან სამუშაო ვერსად იშოვეს, სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად მე მომაკითხეს). ჩვენს შეკრებაში უკვე დასარტყამ ინსტრუმენტებს ვრთავთ... გადის დრო. ხალხის სიმრავლის გამო, ბარის დარბაზი არასაკმარისი ხდება. იძულებულნი ვართ, იმ რესტორანში გადავიდეთ, სადაც ახლა ვიკრიბებით ხოლმე. თუმცა, ესეც არ კმარა, რადგან, როცა ხალხი ისტორიების მოყოლას იწყებს, გამბედაობა ემატებათ, მათზე გადმოსული ენერგიის წყალობით ცეკვავენ, რადიკალურად იცვლებიან, თითქოს სევდა სადღაც ქრება, თავგადასავლის ძალა ბრუნდება, სიყვარული კი, რომელსაც წარსულში მკვეთრი ცვლილებებისაგან იცავდნენ, თანდათან ძლიერდება.

მიზანი ნაწილობრივ მიღწეულია. შეკრების მონაწილეები მეგობრებს უამბობენ, მეგობრები - ნაცნობებს, და დამსწრეთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. ესთერი კვლავ მოგზაურობს, წერს სტატიებს. როცა პარიზში ბრუნდება, შეკრებებს ესწრება. ერთ საღამოს მორიგი მოგზაურობიდან ჩამოსული მეუბნება, რომ მხოლოდ რესტორნის შეკრებები არ კმარა. რესტორანში მოსვლა იმ ხალხს შეუძლია, ვისაც ფულის გადახდის საშუალება აქვს. მათ გარდა კი უამრავი ადამიანი არსებობს, თუნდაც - ახალგაზრდები.

- მერედა, სად არიან ეს ახალგაზრდები? - ვეკითხები გაკვირვებული.

- სად არიან და, მათხოვრებივით ან სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის გმირებივით გამოწყობილან, ყველაფერი მიუტოვებიათ, დადიან, მთელ ქვეყანაზე მოგზაურობენ. პირადი ისტორიები არა აქვთ. რა იქნება, რომ გავერთიანდეთ, ერთმანეთისაგან ვისწავლოთ ბედნიერება. განა შენც ასე არ გიპოვე? - მეუბნება ესთერი და ახალ გეგმას მთავაზობს.

აი, ასე მოვედი აქამდე... ეს არის ჩემი ცხოვრება. არასოდეს არავის უკითხავს, ვინ ვარ, რას ვაკეთებ, საიდან მოვედი. არავინ დაინტერესებულა და იმიტომ, მაგრამ დღეს, ჩემი თანმხლები მწერლის გამო, გადავწყვიტე, თქვენთვის ჩემი პირადი ისტორია მომეთხრო.

- შენ ხომ შენს წარსულზე საუბრობ, მიუხედავად იმისა,რომ მოხუცმა მომთაბარემ...

- რას ნიშნავს მომთაბარე? - მეწამულისფერპალტოიან, მწვანესომბრეროიან ქალს დაწყებული საუბარი შეაწყვეტინეს (სხვათა შორის, სომბრერო და პალტო ერთმანეთს არ უხდება).

- ჩვენნაირი ხალხია, - პასუხობს ქალი და აშკარად ამაყობს, რომ „მომთაბარის“ მნიშვნელობა იცის, - თავისუფალი ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ იმ ტვირთით ცხოვრობენ, რისი ზიდვაც შეუძლიათ.

- მთლად ასეც არ არის, ვერ დაგეთანხმებით. ისინი ღარიბები არ არიან, - ვუსწორებ ქალს.

- შენ რა იცი, რა არის სიღარიბე? - პირდაპირ თვალებში მომაშტერდა მაღალი, აგრესიული მამაკაცი, რომელსაც წეღანდელთან შედარებით, სისხლში ახლა უფრო მეტი არაყი უდუღს. - გგონია, სიღარიბე უფულობას ნიშნავს? გგონია, საცოდავი, უბადრუკი არსებები ვართ? რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ შენნაირ მდიდარ მწერლებს, დანაშაულის გრძნობით შეპყრობილ წყვილებს - ტურისტებს, პარიზი ჭუჭყიანი ქალაქი რომ ჰგონიათ - იდეალისტ ახალგაზრდებს, მსოფლიოს გადასარჩენად რომ დებენ თავს, მოწყალებას ვთხოვთ? მე კი არა, შენ ხარ ღარიბი - დროს აკონტროლებ, არ გაქვს უფლება, ის აკეთო, რაც ყველაზე მეტად გინდა; იძულებული ხარ, ვიღაცეების გამოგონილი წესები დაიცვა... წესები, რომლებიც ბოლომდე არც კი გესმის.

მიხაილი საუბარს აწყვეტინებს და მწვანესომბრეროიან ქალს ღიმილით ეკითხება:

- მაინც რისი თქმა გსურდათ წეღან?

- მინდოდა, მეკითხა, რატომ გვიამბეთ თქვენი თავგადასავალი, თუ მოხუცმა მომთაბარემ მისი დავიწყება გირჩიათ.

- ეს ჩემი თავგადასავალი აღარ არის და იმიტომ. ყოველთვის, როცა განვლილ დღეებზე ვსაუბრობ, ვგრძნობ, რომ წარსულის ეპიზოდები უცხო ხდება. აწმყოში

მხოლოდ ხმა, წარმოსახვა და ჩემი მისიის შესრულება რჩება. გადატანილი სიძნელეები აღარ მაწუხებს. ვფიქრობ, რომ სწორედ მათი დახმარებით მოვედი აქამდე, და მივხვდი, ვინ ვარ, რას წარმოვადგენ. თითქოს მეომარი ვარ, წლების განმავლობაში ფიზიკურ მომზადებასა და სწავლებას რომ გადიოდა, მაგრამ ახლა სწავლების დეტალები კი არა, მხოლოდ ის ახსოვს, რა დროს და როგორ შეუტიოს მტერს.

- შენ და ის ჟურნალისტი რატომ მოდიოდით ჩვენს სანახავად?

- საზრდოს მისაღებად. როგორც მომთაბარემ გვითხრა, სამყარო, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ისტორიაა, რომელიც ვიღაცამ გვიამბო, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ისტორია... მე პატარა გოგონას ხატებასთან ერთად ვცხოვრობდი და რაღაც მომენტში მისი დანახვაც შევძელი. ესთერმა შემაგნებინა, რომ მარტო არ ვიყავი, და პირად ისტორიაზე მნიშვნელოვანი იყო ღვთისგან მომადლებული ნიჭი, ძალა და საკუთარი ცნობიერების მიღმა, გაცილებით შორს წასვლის შესაძლებლობა. თავიდან გამიჭირდა, მაგრამ ამ ქალმა სწორედ რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები გამაცნო: ერთი მათგანი ფიქრისა და გონების საშუალებით დანა-ჩანგალს ამოძრავებდა, მეორე კი გამოხარშული ლანცეტებით უანესთეზიოდ ქირურგიულ ოპერაციებს ისეთი ოსტატობით აკეთებდა, რომ ოპერაციის შემდეგ პაციენტი პირდაპირ შინ ბრუნდებოდა. მე მარტო არ ვარ, მაგრამ უცნობი პოტენციალის განვითარება და მოკავშირეები ჯერ კიდევ მჭირდება. მოკლედ, თქვენნაირი ხალხი მჭირდება. ხალხი, რომელსაც პირადი ისტორიები არ გააჩნია, - მიხაილმა საუბარი დაასრულა. პასუხი ამომწურავი ჩანდა.

საკუთარი წარსულისაგან გასათავისუფლებლად ახლა ჩემი ისტორიის მოყოლის ჯერი იყო, მაგრამ ხვალ დილით ადრე უნდა ავმდგარიყავი და ექიმთან ამ უცნაური ორთოპედიული საყელოს მოსახსნელად წავსულიყავი.

- თუ გინდა, შინ მიგიყვან, - შევთავაზე მიხაილს.

- არ მინდა, ცოტას გავივლი. ესთერის ნოსტალგია შემომაწვა.

მათხოვრების „საზოგადოება“ მივატოვეთ და ტაქსის გასაჩერებლად პროსპექტს მივაშურეთ.

- მე მგონი, ის ქალი მართალია: - თუ ისტორიას ჰყვები, ესე იგი, მისგან თავისუფლდები.

- ისედაც თავისუფალი ვარ, მაგრამ შენ უნდა გესმოდეს, რომ თხრობის პროცესში იმალება საიდუმლო - ზოგიერთი ისტორია თითქოს შუაგულში წყდება. წარსულის ნაცვლად, თითქოს აწმყოში ვითარდება და სანამ ეპილოგს წერტილი არ დაესმება, წინ წასვლა შეუძლებელია. ასეა, თუ მოთხრობის პირველი თავი არ დაასრულე,

მეორეს ვერ წაიკითხავ. ხომ გესმის? შეწყვეტილი ისტორიები აუცილებლად უნდა დამთავრდეს.

გონებაში ინტერნეტში ამოკითხული ტექსტი მიტივტივებს (ტექსტის ავტორობას მე მომაწერდნენ, თუმცა მსგავსი რამ არასოდეს დამიწერია):

„...სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ გარკვეული ეპიზოდები განდევნო, გაუშვა, გათავისუფლდე! ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ გახსნილი კარტებით არასოდეს თამაშობენ. ცხოვრება ასეთია: ან იგებ, ან აგებ. წაგებულს კი უკან არ აბრუნებენ; შენს ძალას არ აღიარებენ, შენს თვისებებს არავინ აღმოაჩენს და არც სიყვარულის ნიჭს დაგიფასებენ არასოდეს - სიამაყის, უუნარობის ან ამპარტავნების გამო კი არა, მარტივი მიზეზის გამო: ცხოვრებაში მათი ადგილი არ არის. ცხოვრებაში არ არის ადგილი, თუ თავად არ მოძებნე. დრო კი გადის... და სანამ ჯერ კიდევ შეგიძლია, მიხურე კარი, სხვა დისკი ჩართე, დაასუფთავე სახლი, გადაწმინდე მტვერი, შეეგუე იმას, ვინც ხარ, და გადაიქეცი იმად, ვინც გინდა, რომ იყო. „

ახლა მიხაილთან კამათი არ ღირს, ჯობია, ყველაფერში დავეთანხმო.

- შეწყვეტილი ისტორიები რას ნიშნავს? - ვეკითხები.

- ესთერი ახლა შორს არის. გადამწყვეტ მომენტში ვერ შეძლო, უბედურებისაგან თავი დაეღწია და სიხარულისათვის უკან დაბრუნების ნება მიეცა. იცი, რატომ? იმიტომ, რომ მისი ისტორია, მილიონობით ადამიანის ისტორიის მსგავსად, სიყვარულის ენერგიას ემორჩილება და მარტო განვითარება არ შეუძლია. ამიტომ ორი გზა რჩება: ან საბოლოოდ შეწყვიტოს სიყვარული, ან დაელოდოს, როდის დაიბრუნებს მას საყვარელი ადამიანი...

უიღბლო ქორწინებებში, როცა ორიდან ერთ-ერთი ნაბიჯს ვეღარ დგამს, მეორეც მხარს უბამს და ჩერდება. სანამ ეს ორნი ერთ ადგილას გაშეშებულნი დგანან, გარშემო ჩნდება საყვარლები, საქველმოქმედო საზოგადოებები, შვილების მოვლა-პატრონობის მოვალეობა, იძულებითი სამსახური და ასე შემდეგ. განა უფრო ადვილი არ იქნებოდა, რომ დამსხდარიყვნენ და გულწრფელად ესაუბრათ ყველაფერზე, დაბრკოლებებს ჯიუტად აღდგომოდნენ წინ და ეთქვათ: „ჩვენ არ დავიხოცებით მოწყენილობისაგან, არ დავემორჩილებით სევდას, წინააღმდეგობებს, შიშს; წინ ვივლით ერთად და სიყვარულით.“

- შენ ამბობ, რომ ესთერს ჩემ გამო არ შეუძლია სევდისაგან თავის დაღწევა?

- არა! არა მგონია. ადამიანმა სხვა ადამიანი არასოდეს არაფერში არ უნდა დაადანაშაულოს. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ესთერმა ან შენს სიყვარულს უნდა დაანებოს თავი, ან დამალვის ნაცვლად შენკენ უნდა გამოეშუროს. სხვაგვარად ისტორია არ დასრულდება.

- განა ასე არ იქცევა?

- ჰო, უკვე ასე იქცევა, მაგრამ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მხოლოდ მაშინ ვნახავდი, როცა ხმა გვიკარნახებდა.

- ძლივს! ახლა ორთოპედიული საყელო სამუდამოდ გაქრება შენი ცხოვრებიდან და ვიმედოვნებ, აღარასოდეს დაბრუნდება უკან. ეცადე, მკვეთრად არ იმოძრაო. კუნთები ხელახლა უნდა მიეჩვიოს „ცხოვრებას“. ჰო, მართლა, ის წინასწარმეტყველი გოგონა როგორ არის?

- ვინ გოგონა? რა წინასწარმეტყველი?

- საავადმყოფოში ხომ მითხარი, ხმა ჩაესმა, თითქოს რაღაც შემემთხვეოდაო.

- ის გოგონა არ არის. საავადმყოფოში კი შემპირდი, ეპილეფსიის შესახებ ინფორმაციას მოვიპოვებო.

- ასეც მოვიქეცი. სპეციალისტი ვნახე და ვკითხე, მსგავსი შემთხვევები თუ გქონიათ-მეთქი. მისმა პასუხმა ცოტა გამაკვირვა, მაგრამ მანამდე მინდა, გაგახსენო, რომ მედიცინასაც აქვს თავისი საიდუმლოებები. გახსოვს, ბავშვზე რომ გიამბე, ხუთი ვაშლის მაგიერ შინ ორი ვაშლით რომ დაბრუნდა?

- მახსოვს: შეიძლება, დაკარგა; შეიძლება, გააჩუქა ან უფრო ძვირი ღირდა და ფული არ ეყო. ასეა? ნუ ღელავ. ვიცი, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს. სანამ შენი ნაცნობი ექიმის ამბავს მიამბობ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: როგორ გგონია, ჟანა დ’არკიც ეპილეფსიით იყო დაავადებული?

- სხვათა შორის ჩემმა კოლეგამაც ახსენა საუბარში. ჟანა დ’არკს 13 წლის ასაკიდან ესმოდა ხმები. მაშინდელი გამოძიების თანახმად, ჯერ სინათლეს ხედავდა. ეს ავადმყოფობის შეტევის პირველი ნიშანია. ნევროლოგიის დოქტორი, ლიდია ბაინი ამტკიცებს, რომ ჟანა დ’არკს ე.წ. მუსიკოგენური ეპილეფსია ჰქონდა და ზარების ხმაც ამიტომ ესმოდა. შენს ნაცნობ ბიჭს შენი თანდასწრებით თუ მოსვლია შეტევა?

- კი.

- იქნებ იმ დროს მუსიკას უსმენდით?

- არ მახსოვს. მელოდიას მაინც ვერ გავიგონებდით: დანა-ჩანგლის ხმაური და გარშემომყოფთა საუბარი ამის საშუალებას არ მოგვცემდა.

- დაძაბული იყო?

- კი, ძალიან.

- დაძაბულობასაც შეუძლია შეტევის გამოწვევა. ცნობებმა ეპილეფსიის შესახებ უძველესი დროიდან მოაღწია. მესოპოტამიიდან შემორჩენილია უმნიშვნელოვანესი ტექსტები, სადაც მოთხრობილია სპაზმების გამომწვევი ავადმყოფობის შესახებ, რომელსაც „ბნედას“ ეძახდნენ. ჩვენი წინაპრები ფიქრობდნენ, რომ „ბნედა“ ეშმაკების

ნამოქმედარი იყო. ჯერ კიდევ ბერძენმა ჰიპოკრატემ ივარაუდა, რომ ეპილეპტიკური სპაზმები ტვინის დისფუნქციით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ეპილეფსიით დაავადებული ადამიანები დღესაც ცრურწმენის მსხვერპლნი ხდებიან.

- იმ ბიჭს რომ შეტევა მოუვიდა, თავზარი დამეცა.

- ამ შემთხვევით მეც დავინტერესდი და კოლეგას ვთხოვე, ძიება გაეგრძელებინა. მისი თქმით, მეცნიერები ფიქრობენ, რომ ცნობილ ადამიანებს, რომელთაც მსგავსი სახის შეტევები ჰქონდათ, ეპილეფსიამ ვერაფერი ავნო. ზოგიერთმა ხალხის დაარწმუნებაც კი შეძლო, რომ მათი შეტევები „მისტიკური ძალებით“ იყო გამოწვეული.

- ცნობილმა ადამიანებმა? ვის გულისხმობ?

- ნაპოლეონს, მაკედონელს, დანტეს... სრული სია არ შემიდგენია. სხვათა შორის, ჩემს კოლეგას იმ ბიჭის პროფესია აინტერესებს, ჰო მართლა, რა ჰქვია?

- არ იცნობ. ჩემს სანახავად მოდის ხოლმე, მაგრამ მაშინვე უკან ბრუნდება. იქნებ ახსნა განაგრძო?

- მეცნიერები, რომლებიც ბიბლიას შეისაწავლიან, აცხადებენ, რომ პავლე მოციქულიც ამით იყო დაავადებული. ამ განცხადების საფუძველს მისი ცხოვრების ერთი ნაწილის, კერძოდ კი, დამასკოს გზის შესწავლა აძლევთ. ამ გზაზე პავლე მოციქულს სინათლე დაუნახავს. რამდენიმე დღე-ღამეს საჭმელს ვერ ეკარებოდა, ჭამისა და მხედველობის უნარი დაქვეითებული ჰქონდა. სამედიცინო ლიტერატურაში ამ პროცესს „დროებით ეპილეფსიას“ უწოდებენ.

- არა მგონია, ეკლესია მედიცინას ეთანხმებოდეს.

- დათანხმებით, არც მე ვეთანხმები, მაგრამ სპეციალური ლიტერატურა ამას ამბობს. ასევე არსებობენ ბნედიანები, რომლებიც თვითგანადგურებისაკენ ისწრაფვიან. მაგალითად, ვან გოგი. ის ამგვარ შეტევებს „შინაგან ქარიშხალს“უწოდებდა. ვან გოგის გარდა, ლუის ქეროლზედაც ეჭვობენ, რომ „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ თავისი ავადმყოფობით მიღებული გამოცდილებით შექმნა. წიგნის დასაწყისში, როცა ალისა შავ ხვრელში ძვრება, ბნედიანების უმრავლესობისათვის ნაცნობი განცდაა. საოცრებათა ქვეყანაში მოგზაურობისას ალისა დაფრინავს: სხეული უმსუბუქდება, წონას კარგავს - ეს უკვე მსგავსი შეტევების მეორე ნიშანია.

- გამოდის, რომ ეპილეფსიით დაავადებულებს ხელოვნებისაკენ ჰქონიათ მიდრეკილება.

- ვერ გეტყვი... როგორც მსახიობები გადიან გარკვეულ გზას პოპულარობამდე, ეს თემაც თანდათან აღწევს საზოგადოებამდე. ლიტერატურა სავსეა ეპილეფსიის დიაგნოზდასმული მწერლებით: მოლიერი, ალან პო, ფლობერი. დოსტოევსკის ცხრა წლის ასაკში ჰქონია პირველი შეტევა. თურმე ამბობდა: ასეთ დროს უდიდესი

სიმშვიდის განცდა მეუფლება, მაგრამ დეპრესიაში ვვარდებიო. შენ კი, გემუდარები, ნუ ჩაიდებ თავში, თითქოს ავარიის შემდეგ შენც ამ ავადმყოფობის მსხვერპლი გახდები. ისტორიას გადავხედე. მოტოციკლეტთან შეჯახებით გამოწვეული ეპილეფსიის შემთხვევა არსად არ დაფიქსირებულა.

- ხომ გითხარი, ეს მე არ მეხება. ჩემი ნაცნობის გამო ვარ დაინტერესებული.

- ის წინასწარმეტყველი ბიჭი ნამდვილად არსებობს თუ შენ გამოიგონე? იქნებ გგონია, რომ ტროტუარიდან ჩამოსვლისას გონება დაკარგე და შეტევა დაგემართა?

- არა. ავადმყოფობის სიმპტომების ხსენებაც არ მინდა. ყოველთვის, როცა სამედიცინო წიგნებს ვკითხულობ, მგონია, შიგ აღწერილი დაავადებები მე მჭირს.

- ერთ რამეს გეტყვი. ცუდად არ გამიგო. ვფიქრობ, რომ ავარიამ უზარმაზარი სიკეთე მოგიტანა. დაწყნარებული ჩანხარ, ნაკლებად აღელვებული. ასეა! სიკვდილთან სიახლოვე უკეთესად ცხოვრებაში გვეხმარება. სწორედ ასე მითხრა შენმა ცოლმაც, როცა სისხლით დალაქავებული ქსოვილის ნაგლეჯი მომცა. ამ ნაჭერს სულ თან დავატარებ, თუმცა, როგორც ექიმს, ყოველდღე ცოცხალმკვდარ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა.

- არ აგიხსნა, რატომ მოგცა ეს ნაჭერი?

- ჩემი პროფესიული საქმიანობის შესახებ მაღალფარდოვანი სიტყვებით მესაუბრა: მითხრა, რომ მე შემიძლია, ინტუიციას ტექნიკა დავუკავშირო, სიყვარულს კი - დისციპლინა. მიამბო, როგორ სთხოვა სიკვდილის წინ ერთმა ჯარისკაცმა, მისი პერანგი დაეხია და იმ ადამიანებისათვის გაენაწილებინა, რომლებიც ცდილობენ, სამყარო ისეთი დაინახონ, როგორიც სინამდვილეშია. ალბათ, შენი წიგნების გამო, ასეთი ნაგლეჯი შენც გექნება.

- არა, ჩემთვის არ მოუცია.

- და იცი, რატომ?

- ვიცი, ან, უკეთესად რომ ვთქვა, ვცდილობ, ახლა გავიგო.

- რადგან ექიმის გარდა მეგობარიც ვარ, ნება მომეცი, ერთი რამ გითხრა: თუ ეპილეფსიით დაავადებული ბიჭი ამბობს, რომ მომავლის განჭვრეტა შეუძლია, მაშინ მას მედიცინისა არაფერი გაეგება.

ზაგრები, ხორვატია

დილის 6:30 საათი

მე და მარი გაყინულ შადრევანთან ვდგავართ. გაზაფხულმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ჯერ არ გამოჩენილიყო, ასე რომ, ზამთრიდან პირდაპირ ზაფხულზე გადავალთ. შადრევნის შუაგულში წყლის გაყინული სვეტია ამოზრდილი.

მთელი საღამო ინტერვიუებში გავატარე. უკვე აუტანელია ჩემს ახალ წიგნზე საუბარი. როგორც ყოველთვის, ჟურნალისტების შეკითხვები ერთმანეთს ჰგავს: თქვენმა ცოლმა თუ წაიკითხა წიგნი? (ვპასუხობ, რომ არ ვიცი); ხომ არ გგონიათ, რომ კრიტიკა უსამართლოა? (როგორ?); „დრო ჭრისა და დრო კერვისამ“ თქვენი მკითხველები ხომ არ გააოგნა - ეს წიგნი ხომ თქვენს პირად ცხოვრებას ეხება? (მწერალს მხოლოდ საკუთარ ცხოვრებაზე წერა შეუძლია); ფილმის სცენარისათვის თუ ვაპირებ წიგნის ადაპტირებას? (მეათასეჯერ ვიმეორებ, რომ ფილმი მკითხველის თავში იქმნება და რომ აგენტს ავუკრძალე ჩემი წიგნების ეკრანიზაციის უფლების გაყიდვა); რას ვფიქრობ სიყვარულზე, რატომ ვწერ სიყვარულზე, რა არის საჭირო, რომ ბედნიერი იყო სიყვარულში... სიყვარულზე, სიყვარულით...

ინტერვიუს შემდეგ გამომცემლებთან ვახშამი ამგვარი რიტუალების შემადგენელი ნაწილია. სუფრას, რა თქმა უნდა, ადგილობრივი მნიშვნელოვანი პერსონები ესწრებიან, რომლებიც ჩანგლის პირთან მიტანას არ მაცლიან და იმავე შეკითხვებს ტყვიასავით მაყრიან: „საიდან მოდის ჩემი შთაგონება?“

მშია, მაგრამ ახლა სასიამოვნო, ცნობილი ადამიანის როლი უნდა ვითამაშო: ვისაუბრო, მოვყვე საინტერესო ისტორიებს და კარგი შთაბეჭდილების შექმნა შევძლო. მე ვიცი, რომ გამომცემელი ერთგვარი გმირია: მან არასოდეს იცის, წიგნი წარმატებას მოუტანს თუ არა. ხომ შეეძლო, ბანანი ანდა საპონი გაეყიდა: შედეგს ადვილად ივარაუდებდა. ნივთებს არ გააჩნიათ სიცარიელე ანდა განვითარებული „ეგო-ები“; არც არასოდეს წუწუნებენ; არც „ცუდი ქმნილებები“ ჰქვიათ და არც ამა თუ იმ წიგნების მაღაზიაში გამოფენილი „კარგი ქმნილებების“ სახელს ისაკუთრებენ.

ვახშამს, ჩვეულებრივ, გასეირნება მოსდევს - ისტორიული ადგილები, ძეგლები, მოდური კაფეები. თან გიდიც გვახლავს - ის ხომ აბსოლუტურად ყველაფერს იცნობს, თავი უამრავი ინფორმაციით აქვს გამოტენილი, მე კი იძულებული ვარ, დიდი ყურადღებით შევაცქერდე თვალებში და შიგადაშიგ ერთი-ორი შეკითხვაც დავუსვა - ვითომ დიდად მაინტერესებდეს. ვიცნობ თითქმის ყველა ქალაქის ძეგლს, მუზეუმსა და საინტერესო ადგილს (ჩემი სამუშაოსთვის მჭირდება), მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ. მრჩება მხოლოდ რაღაც ეპიზოდები, მკითხველებთან შეხვედრის წვრილმანები, ბარები, შემთხვევით შემოვლილი ქუჩები, კუთხის მოსახვევები და... მოულოდნელად რაღაც უჩვეულო, შესანიშნავი რამ მახსენდება.

კარგი იქნებოდა, დამეწერა სასტუმროების მისამართებითა და რუკებით აღჭურვილი „მეგზური“: ხალხს საშუალება ექნებოდა, მისამართები თუ ვიზიტის ადგილები თავად აერჩიათ, თვითონ ეპოვათ სასურველი რესტორნები, ძეგლები, რომლებიც

არასოდეს მოგვითხრობენ ისტორიას და არც „სავალდებულო ვიზიტების“ გეგმებში შედიან.

ზაგრებში ადრეც ვყოფილვარ და ჩემთვის ეს შადრევანი, რომელიც არც ერთ ადგილობრივ ტურისტულ „მეგზურში“ არ არის აღნიშნული, ნებისმიერ ძეგლზე უფრო მნიშვნელოვანია; მაშინ შემთხვევით წავაწყდი. ძალიან ლამაზია და ჩემი ცხოვრების ერთ ეპიზოდს უკავშირდება: დიდი ხნის წინ, როცა მე, თავგადასავლების მაძიებელი ახალგაზრდა, ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში დავეხეტებოდი, სწორედ ამ ადგილას ჩამოვჯექი. თან ხორვატი მხატვარი მახლდა, რომელიც ჩემთან ერთად მოგზაურობდა. მე თურქეთისაკენ მივდიოდი, ის შინ ბრუნდებოდა. სწორედ ამ ადგილას დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ღვინოს ვწრუპავდით და ერთად განვლილ დღეებს ვიხსენებდით - ყველაფერს, რაც გზაში შეგვემთხვა: ვსაუბრობდით რელიგიაზე, მუსიკაზე, ქალებზე, სასტუმროების ფასებზე, ნარკოტიკებზე, - ყველაფერზე - სიყვარულის გარდა, რადგან ამ თემაზე საუბრის გარეშეც შეიძლება სიყვარული...

ჩემი მეგობარი მხატვრის გამგზავრების შემდეგ აქაური ახალგაზრდა ქალი გავიცანი. სამი დღის განმავლობაში ერთად ვიყავით და სიყვარულის თითოეული წუთით ვტკბებოდით.

ორივემ ვიცოდით, რომ ჩვენი შეხვედრები ცოტა ხანს გაგრძელდებოდა. სწორედ ამ ქალმა გამაცნო თავისი ხალხის სული და მას შემდეგ აღარასოდეს დამვიწყებია არც ის, არც ეს შადრევანი და არც ჩემს მეგობართან განშორება.

ამიტომ ინტერვიუების, ავტოგრაფების, ვახშმის, ისტორიული ძეგლებისა და ადგილების დათვალიერების შემდეგ გამომცემლები შევაწუხე, ჩემს ნაცნობ შადრევანთან წამიყვანეთ-მეთქი. სად, რომელ შადრევანთანო - გაუკვირდათ. ისიც კი არ იცოდნენ, რომ ზაგრებში უამრავი შადრევანია. მთელი საათის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მივაგენი. ერთი ბოთლი ღვინო ვითხოვე, მერე ყველას დავემშვიდობე და მარისთან ერთად ქვის ბორდიურზე ჩამოვჯექი. ვისხედით ჩუმად, ხელიხელგადახვეულები, ვსვამდით და მზის ამოსვლას ველოდებოდით.

- დღითიდღე უფრო მეტად კმაყოფილი ხდები, - მარის ჩემს მხარზე უდევს თავი და ჩუმად ლაპარაკობს.

- იმიტომ, რომ ვცდილობ, დავივიწყო, ვინ ვარ. ჩემი ისტორია ტვირთად აღარ მაწევს.

მერე მომთაბარესთან მიხაილისა და ესთერის საუბრის შესახებ ვუყვები.

- მსახიობებსაც, დაახლოებით, იგივე ემართებათ. ყოველი ახალი როლის შესრულებისას, საკუთარი თავის მიტოვება და პერსონაჟში გადასახლება გვიწევს. სამწუხაროდ, ბოლო ყოველთვის ერთია: ვიბნევით, ვირევით და ნერვოზს ვიკიდებთ.

ასეა, შენ გგონია, საკუთარი ისტორიის გვერდზე გადადება ანდა დავიწყება კარგი აზრია?

- ხომ მითხარი, უკეთესი გახდიო.

- უბრალოდ, ნაკლებად ეგოისტი ხარ. გამიხარდა, ამ შადრევნის გამო მთელი ქალაქი რომ ააფორიაქე - გიჟებივით დაგდევდნენ უკან, მაგრამ შენი მოქმედება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მომთაბარის აზრს. ეს შადრევანი ხომ შენი წარსულის ნაწილია?

- არა, ეს სიმბოლოა. ეს შადრევანი ტვირთად არ მაწევს, მასზე არ ვფიქრობ, მეგობრებისათვის ფოტოებს არ ვიღებ, იმ მხატვრისა და სამდღიანი შეყვარებულის ნოსტალგიას არ განვიცდი. უბრალოდ, მეორედ აქ მოსვლა მიხარია, მაგრამ რომ არ მოვსულიყავი, ამით არაფერი შეიცვლებოდა ჩემს ცხოვრებაში.

- მესმის.

- მიხარია.

- ცოტა დავსევდიანდი... თითქოს წასვლას აპირებ. პირველივე შეხვედრიდან ზუსტად ვიცოდი, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა მიჭირს: ძნელია, მით უმეტეს, რომ უკვე შეგეჩვიე...

- ეგ არის ჩვენი პრობლემა - შეჩვევა!

- მაგრამ ადამიანურია.

- სწორედ შეჩვევის გამო გადაიქცა ჩემი ცოლი ზაჰირად. ავარიის დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ მასთან ვიქნებოდი ბედნიერი, არა იმიტომ, რომ ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ მეგონა, მხოლოდ მას ესმოდა ჩემი: ჩემი გადახრები, სიხარული, მსოფლმხედველობა. თითქოს მადლობას ვუხდიდი იმისათვის, რაც ჩემთვის გააკეთა; თითქოს ისიც მადლიერი იყო, რაც მე გავაკეთე. მოკლედ, შეჩვეული იყო, რომ მე მისი თვალებით შევყურებდი სამყაროს... გახსოვს მეხანძრეების ისტორია, ერთ-ერთ მათგანს ჭუჭყიანი სახე რომ ჰქონდა?

მარიმ თავი ასწია, შევამჩნიე, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

- აი, ასეთი იყო სამყარო ჩემთვის, - გავაგრძელე მე, - ანუ ეს იყო სამყარო, რომელიც ესთერის სილამაზეს ასხივებდა. ეს არის სიყვარული? თუ ვინმეზე დამოკიდებულებაა, იგივე შეჩვევა?

- არ ვიცი. მე მგონი, სიყვარული და ერთმანეთზე დამოკიდებულება ყოველთვის ერთად „დადიან“.

- შეიძლება. თუმცა დავუშვათ, რომ „დრო ჭრისა და დრო კერვისას“ შექმნის ნაცვლად, რომელიც, მართლაც, შორს მყოფი ქალისათვის გასაგზავნ ბარათს ჰგავს, სხვა სახის არგუმენტი ამერჩია: მაგალითად, ასეთი:

„ცოლ-ქმარი უკვე ათი წელია, ერთად არიან. თავიდან სექსი ყოველდღე ჰქონდათ, ახლა - კვირაში ერთხელ, ან ისიც არა, მაგრამ ეს ფაქტი, ყველაფრის მიუხედავად, უმნიშვნელო ხდება, რადგანაც ისინი ერთად არიან ჭირსა და ლხინში, ერთმანეთის მხარდაჭერას, მეგობრობას გრძნობენ. კაცი მოიწყენს ხოლმე, როცა იძულებული ხდება, მარტო ისადილოს, რადგან მისი ცოლი სამსახურში შეყოვნდა. ქალიც დასევდიანდება ხოლმე, როცა ქმარი მოგზაურობს, მაგრამ ხვდება - ასეთი პროფესია აქვს და რა ქნას! გრძნობენ, რომ რაღაც იკარგება, თუმცა დიდები არიან, სიმწიფის ასაკს, რა ხანია, გადააბიჯეს, იციან, რომ მათ ცხოვრებაში მთავარია სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნება, თუნდაც შვილების გამო. სულ უფრო მეტად ეჯაჭვებიან სამსახურს, ბავშვებს და სულ უფრო ნაკლებს ფიქრობენ საკუთარ ქორწინებაზე, რომელიც, ერთი შეხედვით, გადასარევად მიდის, არ არსებობს ვინმე მესამე - ანუ საყვარელი.

ჰო, ამჩნევენ, რომ ყველაფერი ცუდადაა. ყველაფერი კი არა, „რაღაც“ ვერ არის რიგზე, მაგრამ პრობლემების ამოძირკვა არ შეუძლიათ. დროის გარკვეულ მონაკვეთში სულ უფრო მეტად დამოკიდებულები ხდებიან ერთმანეთზე, ცხოვრების უმეტეს ნაწილს ერთად ატარებენ. ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი საქმე გამონახონ, იკითხონ, ქსოვონ, ტელევიზორს უყურონ, მეგობრებთან იარონ, მაგრამ საუბარი მხოლოდ ვახშმის დროს, ანდა ვახშმის შემდეგ თუ შეუძლიათ. კაცი მსუბუქად ბრაზობს, ქალი, როგორც სჩვევია, დუმს. ერთმა ყოველთვის იცის, რომ მეორე მისგან ძალიან შორს არის, მაგრამ ვერ გაუგია, რატომ. ბოლოს და ბოლოს, დასკვნაც გამოაქვთ: ქორწინებაა ასეთი, აღარაფერი შეიცვლება! ამიტომ მეგობრებთან საუბარსაც ერიდებიან, იმ უბედნიერესი წყვილის როლს თამაშობენ, რომლებიც სულ ერთად არიან და ინტერესებიც საერთო აქვთ. მერე კი ერთი საყვარელი აქ გაჩნდება, მეორე - იქ. სერიოზული არაფერია, საყვარლები ჰყავთ - სულ ესაა. ყველაზე მნიშვნელოვანი, აუცილებელი, განმსაზღვრელი მათი ქცევაა და თავის მოჩვენება, თითქოს არაფერი ხდება... მაგრამ უკვე გვიანია! მეტისმეტად გვიანი - აღარაფერი შეიცვლება.“

- ვიცი ეს ისტორია. არასოდეს განმიცდია, მაგრამ ვიცი და მგონია, იმისთვის ვცხოვრობთ, რომ ამგვარი სიტუაციების ატანა ვისწავლოთ.

მე პალტოს ვიხდი და შადრევნის ჯებირზე ავდივარ. რას აპირებო, - მეკითხება მარი.

- ამოფრქვეული წყლის სვეტამდე უნდა ავიდე.

- რა სიგიჟეა. უკვე გაზაფხულია, ყინულის საფარი ძალიან თხელია, ჩატყდება.

- უნდა ავიდე!

ფეხით წყლის გაყინულ ზედაპირს ვეხები. ცოტა ინძრევა, მაგრამ არ ტყდება.

წეღან, სანამ მზის ამოსვლას შევყურებდი, ღმერთთან „თამაში“ გადავწყვიტე. ჩავიფიქრე: თუ შევძლებ, იმ სვეტამდე მივიდე და უკან ისე დავბრუნდე, რომ ყინული არ ჩამემტვრეს, ესე იგი, სწორ გზაზე ვდგავარ და ღვთის ხელი, მისი მფარველობა ყოველთვის მექნება, სადაც უნდა წავიდე-მეთქი.

- წყალში ჩავარდები, - ეშინია მარის.

- მერე? დიდი-დიდი, გავიყინო, მაგრამ სასტუმრო აქვეა, დიდხანს ტანჯვა არ მომიწევს.

ყინულს მეორე ფეხით ვეხები: ზედაპირზე ვდგავარ, ყინული ჯეგირს შორდება, წყალი ნელ-ნელა გროვდება, მაგრამ ყინული არ ტყდება, მანძილი სვეტამდე ორი მეტრი თუ იქნება. ერთადერთი, რაც მემუქრება, ცივი წყლის შხაპია. თუმცა ამაზე არ ვფიქრობ, პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგი, ახლა ბოლომდე უნდა მივიდე.

სვეტამდე მივდივარ, ვეხები. მოულოდნელად, თითქოს რაღაც აფეთქდაო, ისეთი ხმა ისმის. ყინული ჯერ კიდევ მთელია. რატომღაც ძალიან მინდა, გავიქცე, თუმცა შინაგანი ხმა მეუბნება, თუ გავიქცევი, ნაბიჯები დამიმძიმდება და წყალში ჩავვარდები. უკან წყნარად უნდა დავბრუნდე, ძალიან ნელა.

მზე თანდათან აცხუნებს. თვალთ მიბნელდება, ძლივსღა ვარჩევ მარის სილუეტს და შენობებისა და ხეების კონტურებს. ყინულის საფარი სულ უფრო მეტად მოძრაობს, კიდეებთან უკვე წყალიც გამოჩნდა, მაგრამ მე მჯერა, ძალიან მჯერა, რომ უკან დავბრუნდები... დავბრუნდები, რადგან ჩემთან არის ეს დღე და ჩემი არჩევანი; ამ წყლის გაყინულ წახნაგებსაც ვცნობ და ვიცი, როგორ ვიბრძოლო; როგორ ვთხოვო დახმარება, რომ არ წამაქციოს და ბოლომდე გამიძლოს. თითქოს ტრანსში შევდივარ, ეიფორია მეუფლება - თითქოს ისევ ბავშვი ვარ და აკრძალული თამაშით ვერთობი, შეცდომების გამო ვმარცხდები, მაგრამ ეს ყველაფერი უზარმაზარ სიხარულს მანიჭებს - რა ბედნიერებაა! ჩემი სულელური თამაში, რომელიც ძალიან ჰგავს ბავშვობის ხუმრობას: „თუ ამას“ შევძლებ, „ეს“ მოხდებაო, - შინაგანი სამყაროს გარეშე, უნებურად გამოწვეული ნიშნები აღარაა, პირიქით, ახლა ინსტინქტია, შესაძლებლობა, რომ დავივიწყო ძველი, ვიღაცეების მიერ შექმნილი წესები, და ახალი შევქმნა.

ბნედიანს ჰგონია, რომ ხმები ესმის. ვგრძნობ, რომ მიხაილთან შეხვედრით ბედნიერი ვარ.

ჩემი ცოლის ძებნაში მას გადავაწყდი და მივხვდი, რომ საკუთარი თავის ფერმკრთალ აჩრდილად ვიქეცი. ესთერი? ის ისევ მნიშვნელოვანია ჩემთვის? მე მგონი, კი. მისმა სიყვარულმა შემიცვალა ცხოვრება მაშინ და მისი სიყვარული მცვლის ახლაც. ჩემი ისტორია უკვე მოძველდა, დამძიმდა, ტარება შეუძლებელია და თანდათან ისეთი

„სერიოზული“ გახდა, იძულებული ვიყავი, ღმერთთან პირობა დამედო და შადრევნის გაყინულ ზედაპირზე გამევლო. დავიწყებული მქონდა, რომ სანტიაგოს გზის გავლა ყოველთვის აუცილებელია, უსარგებლო ბარგი შეიძლება, გადააგდო და თან მხოლოდ აუცილებელი, შენი ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ნივთები წაიღო. სიყვარულის ენერგიას თავისუფლად მოძრაობის ნება უნდა მისცე, ანუ გარედან - შიგნით, შიგნიდან - გარეთ... ყველგან ატარო, ყველაფერში ეძებო, ყველას ასწავლო.

ხმა, რომელიც სვეტთან მისულს ჩამესმა, ყინულის მტვრევის ხმაა. თუმცა, არ მეშინია, დარწმუნებული ვარ, უკან დავბრუნდები, რადგან ახლა მსუბუქი ვარ, უმსუბუქესი. ახლა ნება რომ მომცენ, ღრუბლებში ავფრინდებოდი და ისევ დედამიწაზე დავეშვებოდი; ამპარტავნობის წონა აღარ მამძიმებს, აღარც წინ სავალი გზებისა და მოყოლილი ისტორიების სიმძიმე მაწევს მხრებზე, - უბრალოდ, დინება ვარ, რომელსაც მზის სხივები სხეულს უსერავს და სულს უნათებს. ვხვდები, ჯერ კიდევ ბევრი რამაა დაფარული და ბურუსით მოცული, მაგრამ ყველაფერი თანდათან დაიწმინდება, გასუფთავდება და სიმტკიცესა და სიმამაცეს შემძენს.

კიდევ ერთი ნაბიჯი...

და მახსენდება საწერ მაგიდაზე დატოვებული კონვერტი; დავბრუნდები თუ არა, გავხსნი. ყინულზე სიარულს, მირჩევნია, პირდაპირ ესთერთან წავიდე. ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მინდა, ჩემ გვერდით იყოს (ის თავისუფალია და თავად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება); ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღედაღამ ზაჰირი მელანდება; არ ნიშნავს იმას, რომ წარსულს მივეჩვიე და უკან დაბრუნების სურვილით ვიწვი. ჩემი სიყვარული აღარ ჰგავს ავადმყოფობას.

კიდევ ერთი ნაბიჯი...

კიდევ ერთი ბზარი, მაგრამ ნაპირი უკვე ახლოსაა.

დავბრუნდები შინ, გავხსნი კონვერტს და მის მოსაძებნად გავეშურები, რადგანაც, როგორც ბნედიანი წინასწარმეტყველი, სომხური რესტორნის გურუ მიხაილი ამბობს, ეს ისტორია უნდა დამთავრდეს. მერე კი, როცა ყველაფერი მოყოლილი და „გადაღეჭილი“ იქნება; როცა ძველი ადგილები, ცხოვრება, მოლეული დღეები, მოგონებად ქცეული შორეული ნაბიჯები გაქრება, სულში მხოლოდ წმინდა სიყვარული დამრჩება; წმინდა და უბრალო სიყვარული.

აღარ ვიგრძნობ, რომ „ვალდებული ვარ“; აღარ ვიფიქრებ, რომ ესთერი მხოლოდ ჩემი საუკეთესო მსმენელია, რადგანაც იცნობს ჩემს ყველა ნაკლს, ღირსებას; იცის, რომ ძილის წინ ორცხობილას მივირთმევ, გამოღვიძებული კი საერთაშორისო ახალ ამბებს ვისმენ; რომ ყოველ დილით დამღლელ გზას გავდივარ; რომ მშვილდ-ისრის სროლის შესახებ დაწერილ წიგნებს ვკითხულობ; იცის კომპიუტერის ეკრანის წინ

გატარებულ დღეები; იცის, როგორ ვბრაზდები, როცა მოსამსახურე ქალი მეასეჯერ მეუბნება, რომ სადილი მზადაა და სუფრა გაშლილია...

ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდება. დარჩება სიყვარული, რომელიც შეაზანზარებს ცაზე ვარსკვლავებს, მიწაზე - ყვავილებს, ადამიანებს, ჭრიჭინებს და ყველას, ყველას აიძულებს, იარონ ყინულის ზედაპირზე; აივსონ სიხარულით, შიშითა და უზარმაზარი გრძნობით.

ერთიც...

და ქვის ჯებირს ვეხები, ხელით ვეყრდნობი და მაგრად ვებღაუჭები. მარი მეხმარება, ჯებირზე ამოვდივარ და ვჯდები.

- ვამაყობ შენით... - ამბობს მარი, - მე, ალბათ, ვერასოდეს შევძლებდი...

- ერთ მშვენიერ დღეს შენც შეძლებ. ადრე მეც ასე მეგონა, ერთი შეხედვით, ბავშვური, უპასუხისმგებლო, უსარგებლო, აზრს მოკლებული საქციელია, მაგრამ თითქოს ხელახლა დავიბადე, თითქოს უამრავი რამ მაქვს გასარისკი.

- ეტყობა, დილის სინათლე შენზე კარგად მოქმედებს, ისე ლაპარაკობ, ვინმეს ბრძენი ეგონები.

- ბრძენი ხალხი არასოდეს ჩაიდენს იმას, რაც ახლა მე გავაკეთე. ეს შენც იცი...

ერთი გაზეთისათვის, რომელსაც „მადლის ბანკში“ ჩემს ანგარიშზე კრედიტი ეკუთვნის, სერიოზული ტექსტი მაქვს დასაწერი. ასობით, ათასობით იდეა მომდის თავში, მაგრამ გასარკვევია, რომელი მათგანი იმსახურებს ჩემს ძალისხმევას, კონცენტრაციას, სისხლს.

მგონია, რომ ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი, ახლა კი თითქოს მეხსიერება დავკარგე, დამავიწყდა, ვინა ვარ!

ფანჯარასთან მივდივარ, ქუჩას გავყურებ. ვცდილობ, ვირწმუნო, რომ ჩემი საქმის პროფესიონალი ვარ. დასამტკიცებელი არაფერი მაქვს, შემიძლია, სადმე მთაში მიკარგულ სახლში განვმარტოვდე და დარჩენილი ცხოვრება მშვიდად, კითხვაში გავატარო; ვიმოგზაურო, ვისაუბრო საჭმელსა და ამინდზე. ვთქვი და გავიმეორებ, რომ თითქმის არც ერთ მწერალს მსგავსი წარმატებისათვის არ მიუღწევია: ჩემი ნაწარმოებები ხომ თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. მაშ, რატომღა ვღელავ რაღაც გაზეთის პაწაწინა სტატიისათვის, როგორი მნიშვნელოვანიც უნდა იყოს?

რატომ და, „მადლის ბანკის“ გამო. თუ ასეა, უნდა დავწერო კიდეც, მაგრამ რა ვუთხრა ადამიანებს? იმ ადამიანებს, რომლებიც იძულებულნი არიან, დაივიწყონ უკვე ნაამბობი ისტორიები და ცოტა მეტი გარისკონ?

fb.com/groups/ellib

ალბათ, ნებისმიერი მიპასუხებდა: „მე თავისუფალი ვარ და რაც მინდა, იმას ვაკეთებ“. როგორ უნდა მისცენ სიყვარულის ენერგიას თავისუფლად მოძრაობის საშუალება? ვინმეს ამაზეც მზად ექნება პასუხი - „მე მიყვარს, თანაც - სულ უფრო მეტად“; თითქოს სიყვარულის გაზომვა შეიძლებოდეს, როგორც მანძილი რელსებს შორის, ან თითქოს ნამცხვრის გამოსაცხობად საჭირო საფუარი იყოს. ნეტავ, როგორ უნდა გაზომონ სიყვარული?

საწერ მაგიდასთან ვბრუნდები. მიხაილის მოტანილი კონვერტი, რა ხანია, მაგიდაზე გახსნილი დევს, უკვე ვიცი, სად არის ესთერი, და მალე იმასაც გავიგებ, როგორ მივიდე მასთან. მიხაილს ვურეკავ... შადრევნის ამბავს ვუყვები. გახარებულია. მერე ვეკითხები:

- შეიძლება, ვახშამზე დაგპატიჟო?

- დღეს არა, მომავალ კვირას. თუ გინდა, ჩემს მეგობრებთან ერთად, თვითონ დაგპატიჟებ.

- მომავალ კვირას შეერთებულ შტატებში შეხვედრა მაქვს დაგეგმილი.

- რა გვეჩქარება, - მამშვიდებს, - ორი კვირის შემდეგ იყოს. ალბათ „ხმა“ გაიგონე. მან გაგატარა ყინულზე?

- არანაირი ხმა არ გამიგონია.

- მაშ ასე რატომ მოიქეცი?

- იმიტომ, რომ ვიგრძენი, საჭირო იყო.

- ძალიანაც კარგი. ისე, ეგეც ხმის მოსმენის თავისებური მანერაა.

- თითქოს სანაძლეო დავდე: თუ ყინულზე გავივლიდი, ესე იგი, ყველაფრისთვის მზად ვიყავი. ასეცაა. უკვე მჯერა, რომ მზად ვარ.

- როგორც ჩანს, ხმას საჭირო ნიშანი მოუცია.

- იმ ხმამ შენ თუ გითხრა რამე?

- არა, მაგრამ აღარ გჭირდება: მაშინ, სენის სანაპიროზე სეირნობისას როცა გითხარი, ხმა მეუბნება, რომ ჯერ დრო არ დამდგარა-მეთქი, მივხვდი, რომ ის თვითონ გაცნობებდა, როდის დადგებოდა ეს დრო.

- ხომ გითხარი, არანაირი ხმა არ გამიგონია!

- შენ გგონია ასე. ყველას ასე ჰგონია. წარმოსახვა კი ყოველთვის მეუბნება, რომ ხმები ნებისმიერ ადამიანს ჩაესმის. სწორედ ისინი ქმნიან რწმენას, ცოდნას და გაგებას, როდის ვდგავართ ამა თუ იმ მინიშნების წინ. გესმის?

კამათი არ მინდა. ერთადერთი, რაც ახლა მჭირდება, ტექნიკური დეტალებია: სად ვიქირაო მანქანა; რა დრო დასჭირდება მოგზაურობას; როგორ გავიგო, ზუსტად სად ცხოვრობს ესთერი; მე მხოლოდ რუკა მაქვს და არაზუსტი მონაცემების ნუსხა: რომელიღაც მდინარის გადაკვეთის შემდეგ უნდა მოვძებნო რაღაც ქარხნის აბრა, გავუხვიო მარჯვნივ და ა.შ.

იქნებ მიხაილი იცნობს ვინმეს, ვინც დამეხმარება. მომავალი შეხვედრისათვის მიხაილი ჩასაცმელს მირჩევს:

- მთელი „ტომი“ პარიზში ხეტიალს ვაპირებთ და რაც შეიძლება, მოკრძალებული სამოსი ჩაიცვიო.

„ტომში“ ვინ შედის-მეთქი, ვიკითხე

- ის ხალხი, ვინც ჩემთან ერთად მუშაობს რესტორანში, - მეუბნება და დეტალებს არ აკონკრეტებს.

- თუ გინდა, ამერიკიდან რამეს ჩამოგიტან.

- კუჭის მომატებული მჟავიანობის სამკურნალო წამალი წამომიღე, - მეუბნება.

მე მგონია, წამლების გარდა, უამრავი საინტერესო რამაა ამქვეყნად, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, მიხაილის დანაბარებს მაინც ვინიშნავ.

სტატია?

ვბრუნდები მაგიდასთან, ვფიქრობ, რაზე დავწერო; დავყურებ გახსნილ კონვერტს და ვხვდები, რომ მითითებულ მისამართს ოდნავადაც არ გავუკვირვებივარ; უფრო მეტიც: თითქოს მიხაილთან შეხვედრების შემდეგ ამას ველოდი კიდეც.

რა თქმა უნდა, ესთერი სტეპებშია, შუა აზიის ერთ-ერთ სოფელში, უფრო კონკრეტულად კი - ყაზახეთში.

არსად მეჩქარება, ჩემს თავგადასავალს დაწვრილებით ვიხსენებ, მერე კი მარის ვუამბობ. ისიც ცდილობს, თავისი მიამბოს და ამ მოყოლისას გაოცებული ვრჩები: აშკარაა, უფრო მეტად თავდაჯერებული და ხალისიანი გახდა. არ ვიცი, ესთერთან შეხვედრა რაში მჭირდება, მისმა სიყვარულმა ხომ უკვე გამინათა ცხოვრება, მასწავლა ახალი განცდები; - მეტი რა უნდა ქნას? მიხაილი მახსენდება - როგორ თქვა? - „ისტორია უნდა დასრულდესო“. სწორედ ამ დასასრულისთვის მივიწევ წინ. აუცილებლად მივაგნებ იმ წამს, როდესაც ჩემს ქორწინებაში აფეთქების ხმა გაისმა და ჩვენი საერთო ყინული გაიბზარა, მერე კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე გავაგრძელეთ ცივ წყალში სიარული და ნაჭუჭში გამომწყვდეულებივით ვაწყდებოდით კედლებს! სანამ ესთერს ვნახავ, აუცილებლად ვიპოვი იმ გაწყვეტილ წამს, რომ ბოლოს და ბოლოს, წრე შეიკრას და საბოლოოდ გადაწყდეს რამე.

სტატია! რა ხდება? ნუთუ ესთერი ისევ ზაჰირად გადაიქცა და სიმშვიდეს ვერასოდეს ვეღირსები?

არა! მსგავსი არაფერი ხდება: როცა რაღაც სასწრაფო საქმე მაქვს გასაკეთებელი, რაც შემოქმედებით ენერგიას მოითხოვს ჩემგან, ისტერიკამდე მივდივარ; მუშაობის პროცესის ასეთი სტილი მიყალიბდება: უარს ვამბობ წერაზე და როგორც კი „საბოლოოდ“ წამოვდგები სკამიდან, მაშინვე იხაზება ტექსტის კონტურები. სხვაგვარად მოქცევა ბევრჯერ ვცადე, მინდოდა, ყველაფერი დროულად და დროზე ადრეც გამეკეთებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი „მუზა“ მხოლოდ არეულ ფიქრებში, დიდი წნეხის ქვეშ მუშაობს. არ შემიძლია, უყურადღებოდ მოვექცე „მადლის ბანკს“. რა არის სამი გვერდი? წარმოიდგინე: მხოლოდ სამი გვერდი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემებზე! გამომცემლები ფიქრობენ, რომ ის, ვინც „დრო ჭრისა და დრო კერვისა“ დაწერა, ადამიანური სულის ამ ნაწილს კარგად უნდა იცნობდეს.

ინტერნეტის აღდგენას ვცდილობ. არ მუშაობს იმ დღის შემდეგ, ხაზი რომ გავწყვიტე. უამრავი ხელოსანი მოვიყვანე, მაგრამ ვერაფერი ვუშველე. კომპიუტერს ათასგვარ საოცრებებს მიაწერენ. რას უჩივითო, - მეკითხებოდნენ და ნახევარი საათის განმავლობაში მარწმუნებდნენ, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, და მე უბრალოდ, „თავს სასაცილოდ ვიგდებდი“, როცა დახმარებას ვითხოვდი. 2-3 საათი გადიოდა და „გაკეთებული კომპიუტერი“ ისევ ფუჭდებოდა, აღარც ხაზი იყო და აღარც კლავიატურა მუშაობდა...

ექვსი თვე მიილია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაძაბულობის შემდეგ შევეგუე იმ აზრს, რომ კომპიუტერული ტექნოლოგია ჩემზე ათასჯერ უფრო ძლიერია: როცა უნდა, მუშაობს, როცა უნდა, არ მუშაობს. ასეთ დროს ჯობია, გაზეთი წაიკითხო, გაისეირნო. სატელეფონო ხაზების გამოცვლას დაელოდო, კავშირის აღდგენა სცადო და მერე თუ ისევ მოინდომებ, კომპიუტერსაც მიხედო. თითქოს მე მისი პატრონი და მფლობელი არ ვარ - მას საკუთარი ცხოვრება აქვს.

რამდენჯერმე ისევ ვცადე კონცენტრაცია, მაგრამ ვიცი, რომ „მცდელობები“ გვერდით უნდა გადავდო. მსოფლიოს ყველაზე დიდ ბიბლიოთეკას - ინტერნეტს - ჩემთვის ყველა კარი დახურული აქვს. რა იქნება ახლა, თუ გაზეთებს წავიკითხავ და შვებით ამოვისუნთქავ? დღეს მიღებულ ახალ კორესპონდენციას ვათვალიერებ და ერთ უცნაურ ჩანაწერს ვპოულობ - მწერალი ქალის ინტერვიუა; მას სულ ახლახან დაუსრულებია ნაწარმოები - აბა, თუ მიხვდებით რაზე? - სიყ-ვა-რულ-ზე.

ეს თემა უკვე ყელში ამომივიდა...

ჟურნალისტი კითხვას სვამს:

- ნუთუ ადამიანური ბედნიერების მისაღწევად მხოლოდ საყვარელი ადამიანის პოვნაა საჭირო?

აი, რას პასუხობს მწერალი:

„იდეა, რომლის მიხედვითაც, სიყვარულს ბედნიერების მოტანა შეუძლია, მე-17 საუკუნის ბოლოს გაჩნდა. მას შემდეგ ხალხს სჯერა, რომ სიყვარული მუდმივია, ხოლო ქორწინება - მისი განხორციელების საუკეთესო შანსი. ადრე სიყვარულის მარადიულობისა ნაკლებად სჯეროდათ. „რომეო და ჯულიეტას“ ბედნიერებასთან საერთო არაფერი აქვს, ეს ტრაგედიაა... თანდათან სულ უფრო მყარად იკიდებდა ფეხს მოსაზრება, რომ ადამიანს ქორწინებით პირადი ბედნიერების მიღწევა შეუძლია, მაგრამ ასევე იზრდებოდა ქორწინებით იმედგაცრუებულთა და უკმაყოფილოთა რიცხვიც.“

გაბედული მოსაზრებაა - ვერაფერს იტყვი! თუმცა ჩემი სტატიისთვის არ გამოდგება. არ გამოდგება იმიტომ, რომ აბსოლუტურად ვიზიარებ მას.

თაროზე ვეძებ ისეთ წიგნს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ქალებთან და მამაკაცებთან, და ვპოულობ: „ჩრდილოეთ მექსიკის პრაქტიკული მაგია“. ახლა ძალიან მჭირდება დასვენება, თავის გამოფერთხვა, ეპიზოდების განდევნა. სხვაგვარად წერას ვერ შევძლებ.

წიგნს აჩქარებით ვფურცლავ და მოულოდნელად ვკითხულობ იმას, რაც ჩემს გაოცებას იწვევს:

„ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის შეიძლება დადგეს კრიტიკული მომენტი, მოხდეს ისეთი რაღაც, რაც ჩვენს წინსვლას დააბრკოლებს: რაიმე ტრავმა, მწარე, აუტანელი შემთხვევა, სასიყვარულო იმედგაცრუება, ზოგჯერ გამარჯვებაც კი, რომლის მნიშვნელობაც ჩვენთვის გაუგებარია და რომლის შემდეგაც ყოველთვის თავზარდამცემი შიში გვიპყრობს და ადგილიდან ფეხს ვეღარ ვიცვლით... ქურუმმა ან მაგმა აუცილებლად უნდა დაძლიოს ამგვარი კრიზისი - გადახედოს საკუთარ ცხოვრებას და აღმოაჩინოს, როდის დაუდგა კრიტიკული მომენტი.“

კრიტიკული მომენტი! ეს სიტყვა ძალიან უხდება ჩემს საყვარელ სპორტის სახეობას - მშვილდოსნობას. ჩემი მწვრთნელი ამბობს, რომ ერთი და იმავე სროლის გამეორება შეუძლებელია; სროლას ვერ ისწავლი, თუ მხოლოდ მიზანზე ფიქრობ; მთავარია, ისროლო ასჯერ, ათასჯერ, სანამ მიზანში მორტყმაზე ფიქრი აზრს არ დაკარგავს და თავად ისრად, მშვილდად და სამიზნედ არ გადაიქცევი. ასეთ დროს „მისი ენერგია“ (ჩემი მწვრთნელი არასოდეს ახსენებს სიტყვა „ღმერთს“) აკონტროლებს ჩვენს თითოეულ მოძრაობას და ისარსაც ჩვენი სურვილის შესაბამისად კი არა, მხოლოდ მაშინ ვისვრით, როცა „ის“ ჩაგვჩურჩულებს, რომ დადგა ამის დრო.

ჰო! კრიტიკული მომენტი. თითქოს ჩემი ისტორიის მეორე მხარე გადამეშალა თვალწინ! რა კარგი იქნებოდა, რომ მარი ჩემ გვერდით იყოს! მინდა, ჩემს თავზე, ბავშვობაზე ვესაუბრო. მჭირდება იმის აღიარება, რომ პატარაობისას ყოველთვის ყველას ვურტყამდი და ვცემდი, რადგან კლასში ყველაზე უფროსი ვიყავი. ერთ

დღესაც ჩემმა ბიძაშვილმა მაგრად მცემა და დღესაც მეამაყება, რომ სწორედ მას შემდეგ დავიფიცე, რომ ჩხუბში აღარასოდეს გავიმარჯვებდი, მეტიც, ყოველგვარი ფიზიკური დაპირისპირება უარვყავი, თუმცა ამის გამო ხშირად საცოლისა და მეგობრების წინაშე დიდი სირცხვილი მიჭამია.

კრიტიკული მომენტი! - ორი წლის განმავლობაში ვცდილობდი, გიტარაზე დაკვრა მესწავლა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ზღვარს არ მივუახლოვდი, რომლის გადაბიჯებაც ვეღარ შევძელი; აღმოვაჩინე, რომ სხვები გაცილებით ადრე ითვისებდნენ მასალას, მე კი არაფერი გამომდის...

სირცხვილს არც კი შევუშინდი, ისე გამოვაცხადე, რომ გიტარის სწავლა არ მაინტერესებდა! ბილიარდის, ფეხბურთის, ველორბოლის შესწავლის დროსაც იგივე განმეორდა: ზედაპირულად ყველაფერს ვითვისებდი, მაგრამ როგორც კი საქმე სიღრმეებზე მიდგებოდა, წინ წასვლას ვეღარ ვბედავდი.

რატომ?

იმიტომ, რომ ისტორია, რომელიც ჩვენ გვიამბეს, ამბობს: ცხოვრებაში ერთხელ მაინც უკლებლივ ყველასთვის დგება კრიტიკული მომენტი. მახსენდება, როგორ ვამბობდი უარს მწერლობაზე და როგორ არ დამეთანხმა ესთერი. ის უბრალო აბზაცი, წეღან რომ წავიკითხე, სწორედ პირადი ისტორიის დავიწყებას გულისხმობდა, გვირჩევდა, ინსტინქტს ენდეთ, რომელიც სირთულეების დაძლევაში დაგეხმარებათო. სწორედ ასე იქცეოდნენ მექსიკელი ქურუმები; ასე ლოცულობდნენ შუა აზიის სტეპების მომთაბარე ტომები.

„ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვის შეიძლება დადგეს კრიტიკული მომენტი, მოხდეს ისეთი რაღაც, რაც ჩვენს წინსვლას დააბრკოლებს...“

ეს ალბათ, კარგად მიესადაგებოდა ქორწინებებს - განსაკუთრებით ჩემი და ესთერის ურთიერთობას.

ახლა უკვე შემეძლო სტატიის დაწერა. კომპიუტერს მივუჯექი, ნახევარ საათში „გამოვაცხვე“ და შედეგით კმაყოფილი დავრჩი. სტატიას დიალოგის ფორმა მივეცი, თითქოს მე გამოვიგონე, სინამდვილეში ეს ყველაფერი ამსტერდამის ერთ-ერთი სასტუმროს ოთახში მოხდა. ეს ის დღე იყო, როცა დაძაბული გრაფიკის, ჩვეულებრივი ვახშმის, ტურისტული ატრაქციონების მონახულებისა და უამრავი „რაღაცეების“ დათვალიერების შემდეგ, სასტუმროში დავბრუნდი.

სტატიაში პერსონაჟების სახელები და მოქმედების ადგილი მთლიანად შევცვალე. რეალურ ცხოვრებაში ასე იყო: ღამისპერანგიანი ესთერი ფანჯარასთან იდგა და სინგელის არხს გაჰყურებდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწყვეტილი ომში კორესპონდენტად წასვლა, თვალები ჯერ კიდევ სიხარულით უციმციმებდა, სამსახურზე გიჟდებოდა და, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ჩემთან ერთად

მოგზაურობდა. ასე რომ, მისთვის ცხოვრება ჯერ კიდევ თავგადასავალს ჰგავდა. მე კი ამ დროს ლოგინში ვიწექი, ჩუმად, ხმის ამოუღებლად მივშტერებოდი ერთ წერტილს და ჩემი გონება ესთერისაგან შორს დაქროდა, უფრო ზუსტად, მომავალ ოფიციალურ შეხვედრაზე ფიქრობდა.

- იცი, გასულ კვირას პოლიციის საგამომძიებლო ჯგუფის წარმომადგენლისგან ინტერვიუ ჩავწერე. მიამბო, როგორ იღებს პოლიცია საჭირო ინფორმაცას. დაკითხვას ყოველთვის მრისხანე პოლიციელი იწყებს, რომელიც კანონით იმუქრება, ყვირის და მაგიდაზე მუშტს აბრახუნებს. ბუნებრივია, პატიმარი თავზარდაცემული ზის, შეძრწუნებულია და შეშინებული. მოულოდნელად კარი იღება და „ცუდს“ „კარგი“ პოლიციელი ცვლის, „ცუდს“ საყვედურობს, ოთახიდან აგდებს, თვითონ კი პატიმარს სიგარეტს სთავაზობს, თითქოს ეჭვმიტანილს თანაუგრძნობს და, ამგვარად, საჭირო ინფორმაციას დაუბრკოლებლად იღებს.

- ვიცოდი!

- კიდევ ერთი რამ მიამბო, რამაც თავზარი დამცა: თურმე 1971 წელს აშშ-ში სტენფორდის უნივერსიტეტის საგამომძიებლო ჯგუფმა სტუდენტებისთვის „დაპატიმრების გარკვეული მოდელის“ დემონსტრირება გადაწყვიტა. ფიქრობდნენ, ამით უკეთესად წარმოაჩენდნენ გამოძიების ფსიქოლოგიურ მხარეს. მოკლედ, ნებაყოფლობით შეარჩიეს 24 სტუდენტი და ჯგუფი ორ ნაწილად დაყვეს: „მცველებად“ და „დამნაშავეებად“.

ერთ კვირაში ექსპერიმენტი შეწყდა: მიზეზი? „მცველები“ - ღირსებით შემკული, კარგი ოჯახების შვილები, განათლებული გოგო-ბიჭები, - ნამდვილ მონსტრებად გადაიქცნენ. წამების შაბლონურ ხერხებსა და „დამნაშავეებთან“ სექსუალურ, ძალადობრივ აქტებს ისე მიეჩვივნენ, თითქოს ყველაფერი ასეც უნდა ყოფილიყო. „მცველებმაც“ და „დამნაშავეებმაც“, რომლებიც ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ, იმდენად დიდი სულიერი ტრავმა მიიღეს, რომ დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდნენ. მას შემდეგ ექსპერიმენტის გამეორება აღარავის მოსვლია აზრად.

- საიტერესოა!

- რას ნიშნავს „საინტერესოა“? უმნიშვნელოვანეს საკითხზე გელაპარაკები: ადამიანის უნარზე, ჩაიდინოს რაიმე ცუდი, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა. მე ჩემს სამსახურზე გელაპარაკები, იმაზე, რაც ამ სამუშაომ მასწავლა.

- სწორედ ეგ არის საინტერესო. გამაგებინე, რამ გაგაბრაზა?

- გამაბრაზა? როგორ შეიძლება, გავბრაზდე ადამიანზე, რომელიც ჩემს ნათქვამს ყურადღებასაც არ აქცევს? როგორ შეიძლება, ავიშალო ნერვები ადამიანზე, რომელიც სულ პატარა სტიმულსაც არ მაძლევს, ყოველთვის წევს და ცარიელ სივრცეს მისჩერებია?! როგორ შეიძლება...

- მოიცა, შენ რა, დალიე?

- პასუხს თავს არიდებ, არა? მთელი საღამო შენ გვერდით გავატარე და ისიც არ იცი, დავლიე თუ არა! მხოლოდ მაშინ დამელაპარაკე, როცა დაგჭირდა.

- ვერ ხვდები? მთელი დილა ვმუშაობდი! დავიღალე! რატომ არ წვები? დავიძინოთ და ხვალ ვილაპარაკოთ!

- რატომ არ ვწვები? მთელი ეს კვირა, თვეები, სრული ორი წელიწადი რას ვაკეთებდი? მე საუბარს ვცდილობ, შენ კი თურმე დაღლილი ხარ, უნდა დავიძინოთ და ხვალ ვილაპარაკოთ! ხვალ სხვა საქმე გამოგიჩნდება, სხვა სამუშაო, ვახშამი! ხვალ - ისევ დავიძინოთ და ზეგ ვილაპარაკოთ! ბოლო წლები ასე გავატარეთ: ყოველ წამს ველოდი, ძალა მომეკრიბა და შენ ისევ ჩემ გვერდით მყოლოდი. უკვე დავიღალე! აღარაფერს აღარ ვითხოვ, უკვე დავიჯერე, რომ სამყარო, სადაც აუცილებლობის შემთხვევაში თავშესაფარს მოვძებნიდი, არც ისეთი განსხვავებული სამყაროა, რომ ჩემი, დამოუკიდებელი ცხოვრება მქონდეს. არც ისეთი ახლობელი და ხელშესახებია, რომ შენი სამყაროს შევსებისა და გათავისების უფლება მომცეს!

- რა გინდა, გავაკეთო? სამუშაო მივატოვო? მივატოვო ყველაფერი, რასაც ძლივს, ტანჯვით მივაღწიეთ, და კარიბის კუნძულებზე სამოგზაუროდ წავიდეთ? ვერ ხვდები, რომ მე მომწონს ჩემი საქმე და პაწაწინა სურვილიც არა მაქვს, რამე შევცვალო!

- შენს წიგნებში სიყვარულის მნიშვნელობაზე საუბრობ, თავგადასავლის აუცილებლობაზე - საკუთარი ოცნებებისთვის ბრძოლის სიხარულზე... ახლა კი იცი, ვინ დგას ჩემ წინ?! ის, ვინც არც კი კითხულობს, რასაც წერს... ის, ვინც სიყვარულს - საქმეში, თავგადასავალს - უმნიშვნელო რისკში, სიხარულს - ვალდებულებაში ურევს... სად გაქრა ადამიანი, ვისზეც გავთხოვდი? ადამიანი, ვინც ყურადღებით მისმენდა და უსმენდა ჩემს მაჯისცემას?!

- ის ქალი სადღა გაქრა, ვისზეც მე დავქორწინდი?

- ის, ვინც სულ შენთან იყო, მხარში გედგა და გეალერსებოდა? მისი სხეული აქ არის, საყვარელო, ამსტერდამში, სინგელის არხს უყურებს და ასე იქნება ყოველთვის; ის მთელი ცხოვრება შენთან დარჩება, მაგრამ სული... ამ ქალის სული ახლა ოთახის კარის ზღურბლზე დგას და ლამისაა, სამუდამოდ გაიქცეს!

- მაინც რატომ?

- რატომ და, დაწყევლილი ფრაზის „ხვალ ვილაპარაკოთ“, ამ ფრაზის გამო, გასაგებია? თუ არ არის გასაგები, მაშინ იმ ქალზე იფიქრე, რომელიც ერთ დროს სიცოცხლით სავსე, იდეებით თავგამოჭედილი, სიხარულითა და სურვილით ავსებული, ახლა უბრალო, მოსაწყენ დიასახლისად იქცა!

- სასაცილოა!

- ძალიან კარგი. სასაცილოა, აბა რა! სისულელეა უმნიშვნელო რაღაცეებზე საუბარი. განსაკუთრებით მაშინ, თუ ვფიქრობთ, რომ ყველაფერს მივაღწიეთ - წარმატებას, ფულს... თუ შემთხვევითი საყვარლებივით არ ვიქცევით და არასოდეს გვქონია ეჭვიანობის შემოტევები. ბოლოს და ბოლოს, იმდენი მშიერი ბავშვია ამ ქვეყანაზე, იმდენი ომია, ავადმყოფობა, გრიგალი, ცუნამი... ყოველ წამს ხდება ტრაგედიები. ჰო! შენ მართალი ხარ, მე რა მაქვს საწუწუნო?

- იქნებ უკვე დროა, შვილი გვყავდეს?

- ყველა ნორმალური წყვილი, ვისაც ვიცნობ, პრობლემას ასე გადაჭრიდა: შვილი. შვილს გააჩენდა! შენ, რომელიც მილიმეტრობით ზომავ საკუთარ თავისუფლებას; შენ, რომელიც ფიქრობდი, ჯერ ამისი დრო არ არისო, მზად არ ვართო... აზრი შეიცვალე?

- ალბათ. მე მგონი, დროა.

- მაშინ, თუ ჩემი აზრი ოდნავ მაინც გაინტერესებს, ასეთი უდროო დრო ჯერ არ ყოფილა! მე არ მინდა შენგან შვილი მყავდეს; მე იმ კაცისგან მინდა შვილი, რომელსაც ვიცნობდი; რომელიც ოცნებობდა; რომელიც ჩემ გვერდით იყო! თუ ერთ მშვენიერ დღეს დაფეხმძიმებას გადავწყვეტ, შვილს იმ კაცისგან გავაჩენ, რომელსაც ჩემი ესმის, ჩემთანაა, მიგებს და, რაც მთავარია, ნამდვილად ჩემთან სურს ყოფნა!

- ახლა კი დავრწმუნდი, ეტყობა დალიე! გპირდები, ხვალ ვილაპარაკებთ, ოღონდ ახლა დაწექი. მოდი, ძვირფასო, ისედაც დავიღალე!

- ჰოდა, მაშინ ხვალ ვილაპარაკოთ. და თუ ახლა კარის ზღურბლზე შეყოვნებული სული უკანმოუხედავად გაიქცევა, ჩვენი ცხოვრების წონასწორობა მაინც არ დაირღვევა! რას იტყვი?

- ახლა არ გაიქცევა.

- კარგად იცნობდი ჩემს სულს, მაგრამ წლებია, მასთან არ გისაუბრია. წარმოდგენაც არ გაქვს, როგორ შეიცვალა, როგორი მუხლმოდრეკილი და იმედ-და-კარ-გული გევედრება, მოუსმინო... თუმცა, ეს ისეთივე ბანალური, უმნიშვნელო თემაა, როგორიც ის ამერიკული უნივერსიტეტის ექსპერიმენტები.

- შენი სული თუ შეიცვალა, შენ როგორღა ხარ იგივე?

- იმიტომ, რომ მეშინია და ვერ ვბედავ; იმიტომ, რომ მჯერა, ხვალ ვილაპარაკებთ, ყველაზე მეტად კი იმიტომ, რომ არ შემიძლია, ვუყურო, როგორ ინგრევა ის, რაც ერთად ავაშენეთ. თუმცა, ერთი რამ მაინც დამრჩა, ყველაზე საშინელი რამ - ალბათ, უბრალოდ, შეგეჩვიე!

- ყველაფერში მე მადანაშაულებ.

- მართალი ხარ! გიყურებ, მგონია შენ ხარ, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ თავს ვხედავ. ამ საღამოს მთელი ჩემი არსებითა და რწმენით ვილოცებ; აუცილებლად ვილოცებ და ღმერთს შევთხოვ, არ მომცეს უფლება, რომ სიცოცხლის დარჩენილი დღეები ასე გავატარო!

აპლოდისმენტები. თეატრი გადაჭედილია.

მალე დავიწყებ მომქანცველ ლაყბობას - კონფერენციას.

წამყვანი ამბობს, რომ ჩემი წარდგენა საჭირო არ არის. რა სისულელეა! თუ არ წარმადგინა, მაშ აქ რისთვისაა?! დარბაზში ხომ უამრავი ადამიანია, რომლებიც მეგობრებმა მოიყვანეს და არც იციან, ვინ ვარ. კომენტარისა თუ წინასიტყვაობის მიუხედავად, წამყვანი მსმენელებს ჩემს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს აწვდის; ჩემს ღირსებებზე, პრემიებსა და მილიონობით გაყიდულ წიგნზე საუბრობს... მერე მადლობას მოახსენებს საღამოს ორგანიზატორებს, მესალმება და სიტყვას მე გადმომცემს.

მეც მადლობას ვიხდი. ვამბობ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელი უკვე ვთქვი ჩემს წიგნებში, მაგრამ ახლა მინდა მოვყვე, მის შესახებ, რაც ფრაზებსა და აბზაცებს მიღმა იმალება. ყველაფერი ძალიან მარტივია. ადამიანური ბუნების თავისებურებაა - ილაპარაკოს მხოლოდ თავის საუკეთესო თვისებებზე: ჩვენ ხომ ყოველთვის ვეძებთ სიყვარულს, გამართლებას, იმედებს... ამიტომაც ჩემი წიგნები გამყოფი ბილიკი იქნება მთებსა და ღრუბლებს, კუნძულსა და ოკეანეს შორის; იქნება სინათლე და ყველაფერს საკუთარ ადგილს მიუჩენს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ხილული ზედაპირის ქვეშაა დაფარული რაღაც „შეუცნობელი“, ბურუსით მოცული, იდუმალი...

ვსაუბრობ ნაწარმოების შექმნისას წარმოქმნილ სირთულეებზე. თითქოს ახლა, როცა ისევ გადავიკითხე უკვე დაბეჭდილი წიგნი, მივხვდი, რომ ქმნილება, შესაძლოა, გაცილებით უფრო კეთილშობილური რამ იყოს, ვიდრე მისი შემქმნელი.

იმასაც ვამბობ, რომ არაფერია სტატიების კითხვასა და საკუთარ პერსონაჟებზე მოსაუბრე მწერლების კონფერენციებზე მოსაწყენი. მე ასე მგონია: იმას, რაც უკვე დაწერილია, ან თვითონვე შეუძლია ახსნას საკუთარი თავი, ან მისი წაკითხვა არ ღირს. როდესაც მწერალი საზოგადოებაში ჩნდება, ნაწარმოების ახსნა კი არა, შინგანი სამყაროს ჩვენება უნდა შეძლოს.

- ამიტომაც შევეცდები, ჩემს ინტიმურ, პირად საკითხებზე გესაუბროთ. ინტერვიუების მისაცემად ჟენევაში ცოტა ხნის წინ ჩამოვედი. ჩემი მეგობრის მიერ გამართული ვახშმის გადადების შემდეგ ქალაქში გასეირნება გადავწყვიტე. განსაკუთრებული, სასიამოვნო ღამე იყო. ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო,

ბარებსა და რესტორნებში კი სიცოცხლე დუღდა. რაღაც უჩვეულო სიმშვიდე სუფევდა, ყველაფერში წესრიგი და სილამაზე იგრძნობოდა და მოულოდნელად...

...მოულოდნელად მივხვდი, რომ მარტოდმარტო ვიყავი... ბუნებრივია, ადრეც ბევრჯერ დავრჩენილვარ მარტო და ისიც ბუნებრივია, რომ მშფოთვარე დღეების ბოლოს, ქუჩებში ხეტიალზე უკეთესი არაფერია ამქვეყნად..... თანაც, როცა არავისთვის არაფერი გაქვს სათქმელი თუ ასახსნელი. მიდი! იხეტიალე ძველი, თვალებზე ჩამოფხატული ქუდით და დატკბი ბუნების მშვენიერებით...

მაგრამ ის გრძნობა, მე რომ შემაძრწუნა, დამთრგუნველი მარტოობის შეგრძნება იყო - მტანჯველი, სევდიანი და აუტანელი. გვერდით არავინ მყავდა, რომ მისთვისაც მეწილადებინა ეს ქალაქი, ეს გასეირნება; არავინ მყავდა, რომ შთაბეჭდილებები მაინც გამეზიარებინა.

სასწრაფოდ მოვძებნე მობილური ტელეფონი. ამ ქალაქში მცხოვრები მეგობრების ნომრები ზეპირად მახსოვდა, მაგრამ ახლა გვიანი იყო, ვერავის შევაწუხებდი. ვიფიქრე, რომელიმე ბარში შევალ, დავლევ-მეთქი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, ვინმე მიცნობდა და თავის მაგიდასთანაც მიმიპატიჟებდა. არა! ცდუნებისათვის უნდა გამეძლო... ამ წუთით ბოლომდე მეცხოვრა და შემეგნო: არაფერია იმაზე უარესი, როცა გრძნობ, რომ არავის აღელვებს შენი არსებობა; არავის აინტერესებს შენი შეხედულება ცხოვრებაზე; რომ სამყარო უშენოდაც მშვენივრად გააგრძელებს სიარულს და შენი არარსებობა ოდნავადაც არ შეაკრთობს.

შესაძლებელია, სწორედ იმ წუთს მილიონობით ადამიანი დარწმუნებული იყო თავის უმწეობაში, უსარგებლობასა და აუტანლობაში. სულერთია - თუნდაც მდიდარი, სასიამოვნო და მომხიბვლელი არსებები იყვნენ, ისინი ხომ მარტოობას გრძნობდნენ გუშინაც, დღესაც, შეიძლება - ხვალაც... ამქვეყნად მართლაც უამრავი სტუდენტია, ვისაც გვერდით არავინ ჰყავს. არავინ ჰყავს, რომ მასთან ერთად ისეირნოს.

ასეთ დროს უმრავლესობა ტელევიზორს მისჩერებია - თითქოს ეს იყოს გამოსავალი. ვაჭრები, იგივე საქმიანი მამაკაცები, რომელიღაც სასტუმროს რომელიღაც ნომერში ჩაკეტილები ფიქრობენ, რომ მათი საქმიანობა მნიშვნელოვანია, ქალები კი - მთელი საღამო ბარში წასასვლელად მზადებას, თავის მოწესრიგებასა და თმის დავარცხნას რომ შეალიეს, ვერავის პოულობენ, ვინც უბრალოდ, იმას მაინც აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ მომხიბვლელობა და მიმზიდველობა. კაცებს საუბრის წამოწყება უნდათ, ქალები კი მათთან ურთიერთობას გაურბიან, რადგან ეშინიათ, ვიღაც არ მიხვდეს, რომ ისინი მარტოხელა დედები არიან, ანდა ქარაფშუტები, რომლებიც ვერასოდეს ახერხებენ საკუთარი აზრის გამოხატვას, რაკი დილიდან საღამომდე პურის ფულისათვის მუშაობენ და ახალი ამბების მოსასმენად დრო არ რჩებათ...

ქალები სარკეში ჩახედვისას თავს ირწმუნებენ, მახინჯები ვართო. ფიქრობენ, სილამაზე ყველაზე მთავარია და სხვა გზას არ იტოვებენ: დღედაღამ იმ ჟურნალებს ფურცლავენ, სადაც ლამაზი, მდიდარი და ცნობილი ქალების ფოტოებია დაბეჭდილი. ნავახშმევს უამრავ ცოლ-ქმარს ხანდახან ძველებურად საუბრის სურვილი უჩნდება, მაგრამ თითქოს სხვა საზრუნავიც არსებობს, სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები... მათი საუბარი კი ხვალამდე მოიცდის!

უბედურება ის არის, რომ ის „ხვალ“ არასდროს დგება.

ამას წინათ ერთ მეგობართან ვისადილე, რომელიც ქმარს ცოტა ხნის წინ გაშორდა. ის ქალი მეუბნებოდა: „ახლა სრული თავისუფლება მაქვს, თავისუფლება, რომელზეც ვოცნებობდი“. სისულელეა! ტყუილია! არავის არ სჭირდება ასეთი თავისუფლება. ჩვენ ყველას სიმშვიდე გვინდა, გვერდით გვჭირდება ადამიანი, რომელიც ჟენევის სილამაზით ჩვენთან ერთად დატკბება; ვისაც წიგნებზე, სტატიებზე, ფილმებზე შეეკამათები... ან... ან სულაც სენდვიჩს გაუყოფ იმიტომ, რომ ორი სენდვიჩის საყიდელი ფული არა გაქვს. მერწმუნეთ, ნახევრის შეჭმა ჯობია მთლიანის ჭამას. ფეხბურთის საინტერესო მატჩის გამო შინ სწრაფად დაბრუნების სურვილით შეპყრობილი ქმრისგან გულისგატეხა, იმედგაცრუება, უყურადღებობა... მოკლედ ყველაფერი სჯობს, ყვე-ლა-ფე-რი - ჟენევაში მარტოდმარტო ხეტიალს, როცა ქალაქიც და ქვეყნიერებაზე გამეფებული სიმშვიდეც მთლიანად, გაუნაწილებლად, მარტო შენია.

დამერწმუნეთ ყველაფერი სჯობს, ათასჯერ გავიმეორებ, ყველაფერი სჯობს! მარტო ყოფნას შიმშილიც სჯობს. იმიტომ, რომ, როცა მარტო ხარ, - და მე ახლა საკუთარი ნებით არჩეულ მარტოობას კი არა, იძულებით მარტოობას ვგულისხმობ! - თითქოს კაცობრიობის ნაწილი აღარ ხარ. არავინ არა ხარ!

მდინარის გაღმა მშვენიერი სასტუმრო მელოდა მყუდრო საძინებლით, ყურადღებიანი მსახურებით, თუმცა თავს მაინც ცუდად ვგრძნობდი, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მიღწეული წარმატებების გამო კმაყოფილი უნდა ვყოფილიყავი.

უკან დაბრუნებისას ჩემსავით მარტო მოხეტიალე ადამიანებს შევეფეთე და შევამჩნიე, რომ ზოგი თავდაჯერებული იყო - თითქოს თავს ირწმუნებდა, რომ იმ საღამოს მარტოობა საკუთარი ნებით აირჩია; ზოგს კი თავი ჩაექინდრა - თითქოს რცხვენოდა უსაშველო სევდისა და მარტოობისა.

ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ ახლახანს ამსტერდამის სასტუმრო გამახსენდა; გამახსენდა ქალი, რომელიც გვერდით მყავდა; რომელიც მელაპარაკებოდა, თავის ამბავს მიამბობდა. ამ ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიასტე ამბობს „ჭრისა და კერვის დროაო“, სწორედ ჭრის დრო გვიტოვებს ხოლმე ყველაზე ღრმა ჭრილობებს.

საუბრის დასასრულს კი უბრალოდ გეტყვით: ჟენევაში მარტო სეირნობა საშინელი და აუტანელია; მაგრამ მარტოობაზე უფრო აუტანელი ის არის, როცა გვერდით გყავს ადამიანი, რომელსაც რატომღაც ჰგონია, რომ შენთვის აღარაფერს ნიშნავს!..

სანამ აპლოდისმენტები იქუხებდა, დარბაზში აუტანელი და მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

პარიზის ერთ-ერთ უბადრუკ უბანს მივაშურე. ამბობდნენ, ქალაქის ყველაზე საინტერესო კულტურული ცხოვრება ამ უბანში დუღსო. დიდი დრო დამჭირდა, სანამ გავარკვევდი, რომ ეს ჩამოძონძილი ადამიანები ხუთშაბათობით სომხურ რესტორანში გამომსვლელი თეთრკაბიანი ახალგაზრდები იყვნენ.

- რაში ჭირდებათ ეს ძონძმანძები? რომელიმე ფილმის გავლენაა?

- ძონძმანძები არ არის. შენ რომ მიღებებზე დადიხარ, ტანსაცმელს არ იცვლი? ან გოლფის სათამაშოდ პიჯაკითა და ჰალსტუხით დადიხარ? - მიპასუხა მიხაილმა.

- მაშინ, სხვანაირად გკითხავ: რატომ გადაწყვიტეს უსაქმური, მოხეტიალე ახალგაზრდების მოდის იმიტაცია?

- იმიტომ, რომ ახლა უსაქმური და მოხეტიალე ახალგაზრდები ვართ. უფრო კონკრეტულად - ორი უსაქმური ახალგაზრდა და ორიც - უფროსი.

- კარგი, ახლა ასე შეგეკითხები: ასეთი ჩაცმულები აქ რას აკეთებთ?

- იქ, რესტორანში, ჩვენ სხეულს ვკვებავთ და ენერგიაზე იმ ადამიანებს ვესაუბრებით, რომლებსაც რაღაც ჯერ კიდევ აქვთ დასაკარგი. მათხოვრებთან ურთიერთობისას კი სულს ვკვებავთ და ვესაუბრებით იმათ, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვთ. ახლა კი ჩვენი მისიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს მივადექით: უხილავი მოძრაობის წევრებს ვხვდებით, რომლებიც სამყაროს ცვლიან; ადამიანებს, რომლებიც ისე ცხოვრობენ, თითქოს ეს მათი უკანასკნელი დღე იყოს, და მოხუცებს, ვისთვისაც ყოველი დღე „პირველს“ ნიშნავს.

ისეთ რამეზე საუბრობდა, რაც უკვე ვიცოდი, თუმცა კი ცოდნა თანდათან მიღრმავდებოდა: ჭუჭყიან, მაგრამ თითქოს უცნაურ შემოქმედებით ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდებიდან ზოგს ჯარისკაცის უნიფორმა ეცვა, ზოგს კი - რაღაც სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის ფილმის გმირის კოსტიუმი. ყველა პირსინგს ატარებდა, ყველას უცნაური ვარცხნილობა ჰქონდა.

ხშირად დამინახავს, ასეთ „ჯგუფს“ ყოველთვის თან ახლავს გერმანული ნაგაზი. ერთხელ მეგობარს ვკითხე, სულ თან რატომ დაგყავთ-მეთქი. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს მისი ახსნა, მაგრამ მითხრა: თურმე პოლიცია ძაღლის პატრონს არასდროს არ აკავებს. მიზეზი მარტივია - არ იცის, დაკავების შემდეგ სად წაიყვანოს ძაღლი.

როგორც მაშინ, მათხოვრებთან ყოფნისას, ერთი ბოთლი არაყი სათითაოდ ჩამოატარეს და მაშინვე გავიფიქრე, იქნებ სასმელის სიყვარული მიხაილის წარმოშობას უკავშირდება-მეთქი. ერთი ყლუპი მეც მოვსვი და ცოტა შემეშინდა: რას იტყვიან, აქ რომ ვინმემ დამინახოს-მეთქი. მერე ვივარაუდე, შეიძლება თქვან, „ახალი წიგნის სიუჟეტს იგონებსო“. გულზე მომეშვა, ცოტა ამოვისუნთქე.

- უკვე მზად ვარ. ესთერთან წასვლას ვაპირებ. ზუსტი ინფორმაცია მჭირდება. იქაურობას არ ვიცნობ.

- შენთან ერთად მოვდივარ.

- რა?

ეს უკვე ჩემს გეგმებში არ შედიოდა. ჩემთვის ეს მოგზაურობა დაკარგულის დაბრუნებას ნიშნავდა; აზიის სტეპებში ისტორიის დასრულებას ნიშნავდა და ინტიმურ, პირად ცხოვრებაში მოწმეები არ მჭირდებოდა.

- თუ, რა თქმა უნდა, ბილეთს მიყიდი. ყაზახეთში წამოსვლა მინდა, ჩემი მიწა მენატრება.

- აქ რა, საქმე აღარა გაქვს? ხუთშაბათობით რესტორანში წარმოდგენებს აღარ გამართავ?

- შენ ისევ „წარმოდგენებს“ ეძახი? ხომ გითხარი, ეს „შეკრებაა“, რომელიც დაკარგულის აღდგენაში, საუბრის ტრადიციის გამოცოცხლებაში გვეხმარება. ისე, შენ ნუ ღელავ, ანასტასია, - ცხვირზე პერსინგიან გოგონას მიმართა: - შენი ნიჭი უკვე ვითარდება. შეგიძლია, რესტორანში ჩემი აქ არყოფნის დროს ჩემი ადგილი დაიკავო.

- ეჭვი მეპარება, - თქვა ალმამ, დაირას რომ უკრავდა და შეკრების „უკანასკნელ“ ისტორიას ყვებოდა ხოლმე.

- მართალია, - დაამოწმა ტყავისტანსაცმლიანმა ბიჭმა, რომელსაც რკინის მოსართავებით, გულსაბნევებითა და საპარსი დანისმაგვარი სამკაულებით შეემკო თავი, - მიხაილი უფრო ახალგაზრდაა, ლამაზია და ენერგიასთანაც მეტი კავშირი აქვს.

- არა! არც ისე ცნობილია, არც ისე მდიდარი და არც მეტი კავშირები აქვს, - შეედავა ანასტასია, - ჩემი ქალური თვალთახედვით, ყველაფერი თანაბარია, ორივეს ერთნაირი შესაძლებლობები გვაქვს.

ყველამ გაიცინა, არყის ბოთლმა მეორედ ჩამოიარა და მე ერთადერთი ვიყავი, ვინც მისი „მადლი“ ვერ შენიშნა. თუმცა, შიგნით ისე მიხაროდა რაღაც, საკუთარი თავი მაოცებდა: დიდი ხანია პარიზის ქუჩაში ბორდიურზე აღარ ვმჯდარვარ.

- სხვათა შორის, „ტომი“ გაცილებით დიდია, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ, მისი წევრები ყველგან არიან.

- დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო შორს წავლენ და უამრავ საინტერესო ბილიკს მოივლიან. „ტომები“ საფრანგეთისა თუ ევროპის ქალაქებში მოგზაურობენ, შინ დაბრუნების, სამუშაოს მოძებნის, დაქორწინების ეშინიათ და მთელი არსებით იბრძვიან, რომ ამას თავი დააღწიონ. არიან მდიდრებიც და ღარიბებიც, მაგრამ ფულს მათთვის მნიშვნელობა არა აქვს. ყველგან განსხვავდებიან, ალბათ ამიტომაც საზოგადოება მათ ყურადღებასაც არ აქცევს - უბრალოდ, ეშინიათ მათი და იმიტომ.

- რატომ არიან ასეთი აგრესიულები?

- საჭიროა. ნგრევის ვნება შემოქმედებითი ვნებაა. თუ აგრესიულები არ იქნებიან, ქალაქის მაღაზიები მალე გაივსება ძონძებით, გამომცემლობები კი გამოსცემენ ჟურნალებს, რომლებშიც ახალი, „მსოფლიოს რევოლუციური თვისებების აღმომფხვრელი“ მოძრაობის შესახებ დაწერენ. მოეწყობა სპეციალური გადაცემები; სოციოლოგები ტესტებს შეადგენენ; ფსიქოლოგები ოჯახებს ამ ტომის წევრების შესახებ მოუთხრობენ და მერე ყველაფერი აზრს დაკარგავს. ამიტომ რაც უფრო ნაკლები ეცოდინებათ ჩვენ შესახებ, უკეთესია. ჩვენი თავდასხმა, სინამდვილეში თავდაცვაა.

- არ მაინტერესებს, აქ მხოლოდ საჭირო ინფორმაციის მისაღებად მოვედი, სულ ესაა. შენს კომპანიაში ღამის გატარება რეალურად დამეხმარებოდა, რომ პირადი საწუხარი დამევიწყა, მაგრამ სამოგზაუროდ მარტო მინდა წასვლა. თუ არ დამეხმარები, ჩემი „მადლის ბანკი“ კრედიტის გაცემას შეგიწყვეტს და სხვა რამეებზეც იზრუნებს. საკმაოდ ბევრს ვიცნობ, ხვალ საღამოსაც მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს დაგეგმილი, მერე კი ორ კვირას თავისუფალი ვიქნები. ასე, რომ ორ დღეში მივემგზავრები.

მიხაილი შეზარხოშებული ჩანდა.

- შენი ნებაა. რუკა გაქვს, სოფლის სახელწოდება იცი, ესთერის მიგნება არ გაგიჭირდება. თანაც, ჩემი აზრით, „მადლის ბანკი“ ალმა-ათაში ჩასასვლელად ყველაფერს იღონებს, თუმცა, არა მგონია მერეც გამოგადგეს, სტეპების კანონი სხვაა - არაფერს ემორჩილება. ისე, სხვათა შორის მეც მაქვს გახსნილი ანგარიში შენს „მადლის ბანკში“ და მგონი, გადახდის დრო მოვიდა, თან დედაც მომენატრა.

მართალი იყო - გადახდის დრო მოვიდა!

- მუშაობა უნდა დავიწყოთ, - საუბარი ალმას ქმარმა გაგვაწყვეტინა.

- რატომ მოდიხარ ჩემთან ერთად, მიხაილ? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ დედა გენატრება?

მიხაილმა პასუხი არ გამცა, ხანშიშესული სენიორი უკვე კონგაზე უკრავდა, ალმა დაირას აჟღარუნებდა, დანარჩენები კი გამვლელებს მოწყალებას სთხოვდნენ. რა უნდოდა, რატომ მოდიოდა? როგორ უნდა გამოვიყენო სტეპებში „მადლის ბანკი“, როცა იქ არავის ვიცნობ? როგორ მივიღებ ყაზახეთის ვიზას? გაქირავების სააგენტოდან მანქანას ვინ გამომატანს? რამე ხომ არ გამომრჩა? თუ ყველა კითხვა დავსვი?

შინ არ წავედი. ისევ ჩუმად დავჯექი და, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, „ჯგუფის“ მუშაობას თვალი მივადევნე. ახლა კამათის დრო არ იყო. სამუშაო მქონდა და შინ მელოდებოდნენ. რატომ არ ვემშვიდობები? აქ რა ჯანდაბას ვაკეთებ? მაგრამ თავს თავისუფლად ვგრძნობდი, სული ახალი თავგადასავლებით მევსებოდა და ისე ვიქცეოდი, როგორც დიდი ხნის წინ... კრიტიკულ მომენტს თავს ვაღწევ...

არაყი გათავდა, ახლა რომი ჩამოატარეს. რომი არ მიყვარს, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა - ყველაფერს უნდა შევგუებოდი. ის ორი მუსიკოსი ისევ კონგასა და დაირას აჟღარუნებდა. თუ რომელიმე გაბედული გამვლელი მიახლოებას გაბედავდა, ერთ-ერთი გოგონა მყისვე ხელს უწვდიდა და ხურდა ფულს სთხოვდა. შეშინებული მგზავრი უკანმოუხედავად გარბოდა, მაგრამ მაინც ესმოდა: „მადლობა, ბედნიერ საღამოს გისურვებთ“. ერთი კაცი მიხვდა, რომ მადლობა დაუმსახურებლად გადაუხადეს, უკან დაბრუნდა და რამდენიმე მონეტა გაიმეტა.

ათი წუთის განმავლობაში ამ სცენის სრულუფლებიანი მონაწილე ვიყავი, თუმცა ჩემთვის სიტყვაც არავის უთქვამს. წამოვდექი, მახლობელ ბარში შევედი, ორი ბოთლი არაყი ვიყიდე, დავბრუნდი და რომის ბოთლი კანალიზაციის არხში გადავუძახე. როგორც ჩანს, ანასტასია ჩემი საქციელით აღფრთოვანდა, ამით ვისარგებლე და საუბრის გაბმა ვცადე:

- თუ შეგიძლიათ ამიხსენით, პირსინგს რატომ ატარებთ?

- თქვენ რატომ ატარებთ ძვირფასეულობას, მაღალყელიან ფეხსაცმელს და ზამთარ-ზაფხულ დეკოლტიან კაბებს?

- ეს პასუხი არ არის.

- პირსინგს იმიტომ ვატარებთ, რომ რომის ახალი დამპყრობელი ბარბაროსები ვართ. ჩვენ უნიფორმები არა გვაქვს, რაღაცით ხომ უნდა გამოვირჩეოდეთ!

ისე ლაპარაკობდა, თითქოს ძველ, ისტორიულ დროში ცხოვრობდა, მაგრამ იმ ხალხისთვის, ამ წუთებში შინ რომ მიიჩქაროდნენ, ისინი მხოლოდ ღამის გასათევი ადგილის გარეშე დარჩენილი უსაქმურების ჯგუფს წარმოადგენდენ. პარიზის ქუჩები ასეთი ხალხის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა, ტურისტები შეწუხებული

ჰყავდათ, უკვე სიგიჟის ზღვართან მისული მშობლები კი მათ დამორჩილებას ვერ ახერხებდნენ.

ასეთი დღეები მეც გადამიტანია. მაშინ ჰიპების მოძრაობა საკუთარი ძალების დემონსტრირებას ცდილობდა: როკის მეგაკონცერტები, გრძელი თმა, ფერადი ტანსაცმელი, ვიკინგების სიმბოლოები... და „სიყვარულის და მშვიდობის“ ნიშანი: V, გაფშეკილი საჩვენებელი და შუათითი, დიდი ხანია, როგორც მიხაილმა თქვა, კონსუმერიზმის მსხვერპლი გახდა.

ვიღაც კაცი მარტოდმარტო მისეირნობდა ქუჩაში: ტყავისსამოსიანი და სამკაულებით შემკული ბიჭი გაწვდილი ხელით წინ გადაუდგა, მოწყალება სთხოვა. კაცი, იმის ნაცვლად რომ ნაბიჯი აეჩქარებინა და ძლივსგასაგონად წასჩურჩულა: „ხურდა არ მაქვსო“, შეჩერდა, დაჟინებით შემოგვაცქერდა და ხმამაღლა თქვა:

- ყოველ დილით, დაახლოებით, 100000 ევროს ვალით ვიღვიძებ. რას იზამ! ჩემი სახლისა და ცოლის ხარჯების დაფარვა ძნელი ყოფილა! თქვენზე უარეს მდგომარეობაში ვარ. არ შეგიძლიათ, ერთი მონეტა მაინც გამოიმეტოთ, იქნებ 5 ცენტით მაინც შევამცირო ჩემი ვალები?

ლუკრეციამ - მიხაილს საცოლედ რომ მიაჩნდა, - ორმოცდაათევროიანი კუპიურა ჯიბიდან ამოიღო და კაცს მიაწოდა.

- ხიზილალა იყიდე, ასეთ აუტანელ ყოფაში ცოტა სიხარული არ გაწყენდა.

ისე უბრალოდ უთხრა, თითქოს მისი საქციელი ამქვეყნად ყველაზე ნორმალური და ჩვეულებრივი რამ ყოფილიყოს. ორმოცდაათი ევრო! იტალიელ გოგონას ჯიბეში ორმოცდაათევროიანი კუპიურა ედო და ქუჩაში მათხოვრობდა!

- გვეყოფა აქ ჯდომა, საკმარისია, - წამოდგა ტყავისტანსაცმლიანი ბიჭი.

- სად მივდივართ? - იკითხა მიხაილმა.

- დანარჩენები მოვძებნოთ, აბა - ჩრდილოეთი თუ სამხრეთი?

ანასტასიამ - დასავლეთიო, - თქვა და გადაწყდა. ალბათ, ამ ყველაფრის შემდეგ, ეს გოგო, მიხაილის სიტყვებით, საკუთარ ნიჭს აღვიძებდა და ძალაუფლებას საკუთარ თავზე იღებდა!

სენ-ჟაკის კოშკის წინ ჩავიარეთ. უკვე მრავალი საუკუნეა, ამ ადგილზე სანტიაგო დე კომპოსტელაში წამსვლელი პილიგრიმები იკრიბებიან. „ახალი ბარბაროსების „ შეხვედრის ადგილი - ნოტრდამის ტაძარიც - უკან ჩამოვიტოვეთ. არაყი დიდი ხანია, გაგვითავდა. ორი ბოთლის საყიდლად ისევ მე წავედი, თითქოს დანარჩენები ჩემზე უფროსები იყვნენ და არ ეკადრებოდათ. მადლობა არავის გადაუხდია, - იფიქრეს, ჩვეულებრივი ამბავიაო.

შევამჩნიე, რომ ცოტა მთვრალი ვიყავი - ახლად მოსული გოგონებიდან ერთ-ერთი საინტერესოდაც კი მომეჩვენა. ხმამაღლა საუბრობდნენ, ქაღალდების გრაგნილს ერთმანეთს უსიტყვოდ უბარტყუნებდნენ, ფეხებს სანაგვე ყუთებსა და პოლიეთილენის ჩანთაში გახვეულ უცნაურ რკინის საგნებს ურტყამდნენ და ყურისწამღებად ხმაურობდნენ.

სენაზე გადავედით და მოულოდნელად ქუჩაში გაბმული თოკის პირისპირ აღმოვჩნდით. ასეთ თოკებს შენობების ასაშენებლად შემოსაზღვრული ადგილების აღსანიშნავად იყენებენ. თოკი ტროტუარზე ასვლაში ხელს გვიშლიდა. იძულებულები ვიყავით, სამანქანო გზაზე ჩამოვსულიყავით, ხუთი მეტრი მაინც გაგვევლო და ტროტუარზე მერე დავბრუნებულიყავით.

- ნახე, ჯერ კიდევ აქ არის, - თქვა ორიოდე წუთის წინ გამოჩენილმა ბიჭმა.

- რა არის აქ? - ვკითხე.

- ვინ არის ეს ტიპი?

- ჩვენი მეგობარია, - უპასუხა ლუკრეციამ, - შეიძლება, მეგობარზე მეტიც. დარწმუნებული ვარ, მისი წიგნები წაგიკითხავს.

ახლადმოსულმა მიცნო, თუმცა არც გაკვირვება გამოუხატავს და არც აღფრთოვანება. პირიქით - ცოტა ფულს ხომ ვერ მომცემო, - მომახალა მაშინვე.

უარი ვუთხარი.

- თუ გინდა, გაიგო, რატომაა ეს თოკი გაბმული, ერთი მონეტა მომეცი. ყველაზე კარგად შენ მოგეხსენება: ამ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს. ინფორმაცია კი ყველაზე ძვირია.

ჯგუფიდან ჩემს დასაცავად კაციშვილს ხმა არ ამოუღია, არც ერთი არ მომშველებია. იძულებული გავხდი, ინფორმაციისათვის ფული გადამეხადა.

- წეღან რომ ვთქვი, „ჯერ კიდევ აქ არის-მეთქი“, თოკი ვიგულისხმე. ჩვენ გავაბით. კარგად თუ დააკვირდები, ამ ადგილას შენობის მსგავსიც არაფერია, მხოლოდ თეთრი და წითელი ფერის სულელური პლასტმასის ნივთები ყრია, რომლებიც ასეთსავე სულელურ ტროტუარზე მოსიარულეებს გზას უღობავს. ამდენი ხნის განმავლობაში არავის არ უკითხავს: რატომაა გაბმული, ვინ გააბა ან რატომ გააბა თოკი. დაინახავენ, უსიტყვოდ ჩავლენ სამანქანო გზაზე და, ავარიის დიდი რისკის მიუხედავად, 5 მეტრს გაივლიან და ცოტა მოშორებით, აი, იქ ისევ ტროტუარზე ბრუნდებიან. ჰო, მართლა, სადღაც წავიკითხე: თქვენც ავარიაში მოყოლილხართ, მართალია?

- სხვათა შორის, მეც სამანქანო გზაზე ჩავედი და იმიტომ.

- არ ინერვიულო: როცა ხალხი ასე იქცევა, უკეთესიცაა. იძულებულია, ყურადღება მეტად გაამახვილოს: სწორედ ამის გამო გავაბით ეს თოკი. იმისათვის, რომ თვალები ფართოდ გაახილონ და დაინახონ, რა ხდება გარშემო.

- სულაც არა, - ეს ის გოგონაა, რომელიც მიმზიდველი მომეჩვენა წეღან, - გეყოფა ხუმრობა და ხალხის გაქილიკება. ისინი ხომ გაუცნობიერებლად გემორჩილებიან. ამას კი აზრი არა აქვს. აქ ავარიები არ ხდება, თქვენ ნუ გეშინიათ, - მომიბრუნდა მე.

ხალხი თანდათან შემოგვემატა. ახლა ჯგუფში თერთმეტი ადამიანი ვიყავით და ორიც გერმანული ნაგაზი. მოწყალებას აღარ ითხოვდნენ, რადგან გამვლელები „ველურების ბანდასთან“ მიახლოებას ვეღარ ბედავდნენ. ჯგუფის წევრები მათი შეშინებული სახეების ცქერით აშკარად ერთობოდნენ.

სასმელი ისევ გათავდა. რატომღაც ყველამ მე შემომხედა, თითქოს ვალდებული ვიყავი, მათი დათრობისათვის მე მეზრუნა. მთხოვეს, ერთი ბოთლი კიდევ იყიდეო. მივხვდი, ახლა მხოლოდ სასმელი თუ მიშველიდა და უფლებას მომცემდა, მათთან ერთად ხეტიალი გამეგრძელებინა. მოკლედ, არაყი ჩემი პასპორტი იყო. მაღაზიის ძებნა დავიწყე.

იმ საინტერესო, მიმზიდველმა გოგონამ, რომელიც ასაკით შვილად უფრო შემეფერებოდა, ჩემი დაჟინებული მზერა შეამჩნია და საუბარი გამიბა. ვიცოდი, დიალოგი მხოლოდ ჩემს გამოსაწვევად სჭირდებოდა, მაგრამ მაინც ავყევი. საკუთარ ცხოვრებაზე სიტყვაც არ დასცდენია. დაკითხვა მე მომიწყო:

- აბა, თუ იცი, რამდენი კატა და რამდენი სვეტია გამოსახული ათდოლარიანი კუპიურის მეორე მხარეს?

- კატა და სვეტი?

- არც კი იცი. ფულს არ აფასებ. თუ სინათლეზე გახედავ, შეამჩნევ, რომ უკანა მხარეს ოთხი კატა და თერთმეტი სვეტია გამოსახული.

ოთხი კატა და თერთმეტი სვეტი? საკუთარ თავს მაშინვე შევპირდი, როგორც კი ათდოლარიანი ხელში ჩამივარდება, გადავამოწმებ-მეთქი.

- შენ ის მითხარი, ესენი ნარკოტიკებს თუ იყენებენ?

- ესენი? ზოგიერთები - კი, მაგრამ, ძირითადად, მაინც ალკოჰოლს ვეტანებით. ნარკოტიკები ჩვენი სტილი არ არის, შენს თაობას უფრო მოსწონს. ხომ ასეა? აი, დედაჩემი, მაგალითად, მაშინაც კაიფობს, როცა ოჯახურ სადილს ამზადებს, ან იძულებით ალაგებს სახლს, ან როცა ჩემ გამო ღელავს... ასეა, როგორც კი მამას სამსახურის საქმეები ცუდად წაუვა, დედა საშინლად იტანჯება. წარმოგიდგენია? იტანჯება ჩემთვისაც, ჩემი და-ძმებისთვის, მამაჩემისთვის...ყველაფრისათვის

იტანჯება. უამრავი ენერგია დახარჯა, რომ თავი მოეტყუებინა, ბედნიერი ვარო. აღარ შემეძლო, ვერ გავუძელი, ავდექი და სახლიდან წამოვედი. ასე მირჩევნია.

ეს უკვე პირად ისტორიას ჰგავდა.

- შენი ცოლივით, - საუბარში ქერა, წარბზე პირსინგიანი ბიჭი ჩაგვერთო, - შენი ცოლიც ხომ წავიდა? არ იცი, რატომ წავიდა? ისიც ბედნიერად გაჩვენებდა ხოლმე თავს?

აქაც ესთერი! ნუთუ ამათაც დაუტოვა სისხლიანი ქსოვილის ნაჭერი?

- იტანჯებოდა, აბა რა! - გაეცინა ლუკრეციას, - მაგრამ, როგორც ვიცი, ახლა კარგად არის. ისე, გაბედულებაც ამას ჰქვია!

- აქ რას აკეთებდა ჩემი ცოლი?

- სიყვარულის შესახებ უცნაური აზრებით ჰქონდა თავი გამოტენილი და სულ მონღოლთან ერთად დადიოდა. ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვცდილობთ, გავიგოთ, რაზე ფიქრობდა. შეკითხვებს სვამდა, თავის ამბებს გვიყვებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ გაჩუმდა: კრინტი აღარ დაუძრავს. მხოლოდ ის გაგვიმხილა, წუწუნით დავიღალეო. ვურჩიეთ, ყველაფერი მიეტოვებინა და ჩვენთან ერთად ეხეტიალა (მაშინ აფრიკის ჩრდილოეთით ვაპირებდით გამგზავრებას). მადლობა გადაგვიხადა, გვითხრა, სულ სხვა გეგმები მაქვს, სრულიად სხვა მხარეს ვაპირებ წასვლასო.

- ამის ახალი წიგნი თუ წაიკითხე? - ანასტასიამ ჩემზე ანიშნა ლუკრეციას.

- მითხრეს, რომანტიკულიაო, არ მაინტერესებს. ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, ამ დაწყევლილ სასმელს როდის ვიყიდით?

ხალხი ისე გვითმობდა გზას, თითქოს სოფლის დამწიოკებელი სამურაები, დასავლეთიდან ჩამოსული თაღლითები ან რომის დასაპყრობად შეიარაღებული ბარბაროსები ვიყავით... თუმცა, ჯგუფის მხრიდან არანაირი მუქარა არ შეიმჩნეოდა. მათ აგრესიას მხოლოდ ტანსაცმელი, პირსინგი, ხმამაღალი საუბარი და განსხვავებული იერი თუ ამჟღავნებდა. როგორც იქნა, სასმელების მაღაზის მივაღწიეთ: ჩემი აღელვებისა და გულისტკივილის მიუხედავად, მაღაზიაში ყველანი ერთად შემოცვივდნენ და თაროების გადმოყრა დაიწყეს.

მართლაც, ვინ იყვნენ? ვის ვიცნობდი? მხოლოდ მიხაილს, თუმცა, რაც მან საკუთარ წარსულზე მიამბო, ცოტა მაეჭვებდა. იქნებ მომატყუა? იქნებ ქურდები არიან? იქნებ იარაღი აქვთ? მე კი მათთან ერთად დავეხეტები, ამიტომ, შეიძლება, პასუხი ვაგო.

მაღაზიის მოლარე ჭერში ჩამოკიდებულ სარკეს თვალს არ აშორებდა. ეტყობა, ასე უკეთესად აკვირდებოდა ხალხს.

ჯგუფი მაღაზიაში გაიფანტა. ერთმანეთს ეჭყანებოდნენ და დაძაბულობას ამით უფრო ამძაფრებდნენ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. თაროდან სწრაფად ავიღე სამი ბოთლი არაყი და აჩქარებული ნაბიჯით სალაროსაკენ გავემართე. რიგი იდგა.

ქალი, რომელიც თამბაქოს ყიდულობდა, მოულოდნელად მომიბრუნდა: - იცით, ჩემს დროს პარიზში უამრავი მსახიობი და მაწანწალა დახეტიალობდა, მაგრამ საზოგადოებისათვის საშიში ასეთი ბანდები არასოდეს ყოფილა.

- კარგი იქნება, თუ პოლიციას გამოიძახებთ. დარწმუნებული ვარ, რაღაც საშინელება მოხდება, - ჩასჩურჩულა მოლარეს.

მოლარე შიშისაგან თავზარდაცემული იდგა. ხუმრობა ხომ არ იყო! მისი ნაამაგარი, ნასესხები ფულით აშენებული პატარა სამყარო, სადაც დილაობით შვილი, საღამოობით - ცოლი, ღამე კი თავად მუშაობდა, ვიღაც მოხეტიალე ახალგაზრდებმა „დაიპყრეს“. ქალს თავი დაუქნია, - პოლიციაში აუცილებლად დავრეკავო.

მძულს, არ მიყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, მაგრამ სილაჩრე უფრო მეტად მძულს. ყოველთვის, როცა ასეთი სისუსტეების შემოტევას ვგრძნობ, საკუთარი თავი მთელ ერთ კვირას მეზიზღება.

- თქვენ არ ინერვიულოთ... - დავიწყე მე.

გვიანი იყო.

ორი პოლიციელი უკვე კარებში შემოდიოდა. მეპატრონემ უცხოპლანეტელებივით ჩაცმულ ახალგაზრდებზე ანიშნა, რომლებიც ყურადღებას წესრიგის დამცველებსაც არ აქცევდნენ, - ეს უკვე გამოწვევას ნიშნავდა. როგორც ჩანს, სხვა დროსაც ჩაუდენიათ მსგავსი რამ და იცოდნენ, რომ ასეთი სახის ხულიგნობა კანონით არ ისჯება, მაგრამ მაინც ეშინოდათ, თუმცა არ ამჟღავნებდნენ და ხმამაღლა ყვირილს განაგრძობდნენ.

- ცოტა ხნის წინ ერთ მსახიობს მოვუსმინე. ამბობდა: ყველა გამოშტერებულმა და სულელმა ადამიანმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობით უნდა იაროს, გავიგებთ მაინც, ვის ვესაუბრებითო.

- სულელი და თავზეხელაღებული ხალხი საზოგადოებისათვის საშიშია, - უპასუხა ვამპირის ტანსაცმელში გამოწყობილმა ანგელოზისსახიანმა გოგონამ (ეს ის გოგონაა, წეღან ათდოლარიან კუპიურაზე გამოსახულ კატებზე და სვეტებზე რომ მესაუბრებოდა), წელიწადში ერთხელ ცდა უნდა ჩაატარონ, და მძღოლის მართვის მოწმობის მსგავსად, ქუჩაში მოსიარულე ადამიანებისათვის საბუთები დააწესონ.

პოლიციელები, რომლებიც ტომის წარმომადგენლებზე არც თუ დიდად უფროსები ჩანდენენ, ხმას არ იღებდნენ.

- იცი, რა მინდა გავაკეთო? - მიხაილის ხმა იყო, მაგრამ მე მას ვერ ვხედავდი, - თაროს უკან იმალებოდა. - მინდა, ყველა აქ გამოფენილ საქონელს ეტიკეტები შევუცვალო.

ხალხი სულ გადაირევა, სამუდამოდ დაიბნევა: ვერ გაიგებდნენ, როდის ცივი ჭამონ და როდის - ცხელი, როდის - შემწვარი, როდის - მოხარშული. ხომ ასეა? - ინსტრუქცია თუ არ წაიკითხეს, საჭმელსაც ვერ ამზადებენ. ინსტინქტი დაკარგეს! ინსტინქტი!

ვინც აქამდე ლაპარაკობდა, ყველას შესანიშნავი, სუფთა ფრანგული აქცენტი ჰქონდა, მიხაილს კი...

- თქვენი პასპორტი, თუ შეიძლება, - მისკენ გაემართა ერთ-ერთი პოლიციელი.

- ეგ ჩემთან არის.

თვითონაც ვერ მივხვდი, რა ვთქვი. სიტყვები ბუნებრივად ამომივიდა პირიდან, თუმცა, ვიცოდი, სკანდალში საკუთარი ნებით გავეხვიე. პოლიციელმა შემომხედა.

- თქვენთვის არაფერი მიკითხავს, მაგრამ, რადგან ჩაერიეთ, ალბათ, ამათთან ერთად ხართ. პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი წარმოადგინეთ და თავის გასამართლებლად სერიოზული არგუმენტიც მოძებნეთ: - რას აკეთებთ თქვენზე ორჯერ უმცროსი ხალხის გარემოცვაში და რაში გჭირდებათ ეგ სამი ბოთლი არაყი?

შემეძლო, უარი მეთქვა, დოკუმენტები არ წარმედგინა. კანონი არ მავალდებულებდა პასპორტის თან ტარებას, მაგრამ ახლა მიხაილზე ვფიქრობდი. ერთ-ერთი პოლიციელი მის გვერდით იდგა. რა ვიცი, იქნებ არც ჰქონდა საფრანგეთში ყოფნის უფლება? მისი ხილვებისა და ეპილეფსიის გარდა, რა ვიცოდი ამ კაცის შესახებ ? თანაც, დაძაბულ სიტუაციას რომ შეტევა გამოეწვია, მაშინ?

ჯიბე მოვიქექე და მართვის მოწმობა ვიპოვე.

- თქვენ ბრძანდებით?..

- დიახ.

- ასეც ვიფიქრე, თქვენი ყველა წიგნი წაკითხული მაქვს, მაგრამ მწერლობა უფლებას არ გაძლევთ, კანონს აგდებით მოექცეთ.

იმ ფაქტმა, რომ ჩემი მკითხველი იყო, ბოლომდე გამანადგურა. იქვე იდგა თავგადაპარსული, უნიფორმიანი ბიჭი, მისი ტანსაცმელი ძალიან განსხვავდებოდა ტომის წევრების ჩაცმულობისაგან. შეიძლება ოდესმე ისიც ოცნებობდა, ყველასაგან განსხვავებული ყოფილიყო, მაგრამ შეიძლება ძალიან მკაცრი მამა ჰყავდა, რომელიც ამის უფლებას არ აძლევდა, ან იძულებული იყო, ოჯახი ერჩინა.

პოლიციელი მე მიყურებდა.

- კანონს აგდებით არ ვექცევი. სინამდვილეში, აქ არავის დაურღვევია კანონი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მოლარემ და იმ ქალბატონმა, სიგარეტს რომ ყიდულობს, თქვენს გასაგონად ხმამაღლა დაიწუწუნეს, - ვუპასუხე აუღელვებლად.

- მე?! სულაც არ ვწუწუნებ, - თქვა მოლარემ, - მე შემეშინდა, იმიტომ რომ მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თუმცა არაფერი დაუშავებიათ.

- არაყი თქვენთვის იყიდეთ?

თავი დავუქნიე - კი-მეთქი.

პოლიციელები ხედავდნენ, რომ დანარჩენები უკვე გალეშილები იყვნენ, მაგრამ აურზაურის ატეხვა არ მოინდომეს.

- სამყარო ქაოსური მაშინ იქნებოდა, სულელი ხალხი რომ არ არსებობდეს, - ჯაჭვებშებმული, ტყავისტანსაცმლიანი ბიჭის ხმაა, - და თანაც, დღევანდელი უმუშევრობის ნაცვლად, ბლომად სამუშაო იქნებოდა, მაგრამ არავინ იმუშავებდა.

- საკმარისია! გეყოფათ, - ჩემი ხმა მკაცრად, ავტორიტეტულად ჟღერდა, - არც ერთის ხმა არ გავიგონო!

ჩემს გასაკვირად, ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი. გული ლამის საგულედან ამომივარდა, მაგრამ პოლიციელებთან საუბარი ისე გავაგრძელე, თითქოს ამქვეყნად ყველაზე მშვიდი ადამიანი ვყოფილიყავი.

- ხომ იცით, საშიში დამნაშავეები რომ ყოფილიყვნენ, თქვენ არ გამოგიწვევდნენ.

პოლიციელი მოლარეს მიუბრუნდა:

- თუ დაგჭირდეთ, აქვე ვიქნებით, - ქუჩაში გასვლამდე კი მეწყვილეს ისე ხმამაღლა გადაულაპარაკა, რომ მაღაზიაში მისი ხმა აფეთქებასავით გაისმა:

- მომწონს სულელი ხალხი. ამათ ნაცვლად მძარცველები რომ დაგვხვედროდნენ...

მერე ჩვეული ფორმალურობით დამემშვიდობნენ და მაღაზიიდან გავიდნენ.

ერთადერთი აზრი, რაც ქუჩაში გამოსვლის შემდეგ თავში მომივიდა, არყის ბოთლების დამტვრევა იყო. ასეც მოვიქეცი, თუმცა ერთი მაინც გადარჩა და ახლა პირიდან პირში სხარტად გადადიოდა.

დალევის აჩქარებული ტემპით მივხვდი, რომ ჩემზე არანაკლებ შეშინებულები იყვნენ, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, წეღან, როგორც კი საფრთხე იგრძნეს, შეტევაზე გადავიდნენ.

- თავს ცუდად ვგრძნობ, - გადაულაპარაკა მიხაილმა ერთ-ერთ გოგონას, - წავიდეთ.

ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. წავიდეთ ყველა ჩვენ-ჩვენს სახლებში? ყველა თავის ქალაქში? სადმე ხიდის ქვეშ? ჩემთვის არავის უკითხავს, შენც თუ წამოხვალო; არც დარჩენა უთხოვიათ, არც შინ დაბრუნება, ამიტომ თან გავყევი. მიხაილის ნათქვამი, „თავს ცუდად ვგრძნობო“, მოსვენებას არ მაძლევდა. ვხვდებოდი, ამ საღამოს შუა

აზიაში მოგზაურობაზე საუბარი აღარ შედგებოდა. იქნებ დავემშვიდობო?თუ ბოლომდე გავყვე? გავიგებ, რას ნიშნავს „წავედით“.

უცებ მივხვდი, რომ დღეს კარგად გავერთე და ვამპირის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონას მოხიბვლასაც კი ვცდილობდი.

რატომაც არა! წავედით! თან საფრთხის შეგრძნებაც კი აღარ მქონდა..

სანამ ჩემთვის უცნობი ადგილისაკენ მივდიოდით, ჩემს ცხოვრებაზე დავფიქრდი. მე „ტომთან“ ვიყავი; იმ ხალხთან, რომელიც, სიმბოლურად, უძველეს დროში ბრუნდებოდა. იქ, სადაც ადამიანები ჯგუფებად ერთიანდებოდნენ და მცირედითაც კმაყოფილდებოდნენ. ეს იყო მეორე ტომის - „საზოგადოების“ - შუაგულში ამოზრდილი „ტომი“, რომელიც განუწყვეტლივ თავს ესხმოდა იმ მეორეს. რა ვიცოდი მათ შესახებ, გარდა იმისა, რომ პერსინგს ატარებდნენ და უცნაურ ტანსაცმელს იცვამდნენ? რა ღირსებები ჰქონდათ? რას ფიქრობდნენ ცხოვრებაზე? როგორ შოულობდნენ ფულს? ოცნებობდნენ თუ უგზო-უკვლოდ ხეტიალს ამჯობინებდნენ? ეს ყველაფერი ჩემს ხვალინდელ საქმიან ვახშამზე საინტერესოდ მეჩვენებოდა. თანაც, ზუსტად ვიცოდი, რა მოხდებოდა ხვალ, იმ ვახშამზე.

დარწმუნებული ვიყავი, ჩემზე არაყი მოქმედებდა, მაგრამ თავს თავისუფლად ვგრძნობდი, საკუთარ წარსულს ვშორდებოდი და მხოლოდ ინსტინქტი, დღევანდელი დღე, აწმყო მრჩებოდა. სადღაც გაუჩინარებული ზაჰირი კი აღარც მახსოვდა.

ზაჰირი?

ზაჰირი ნამდვილად გაუჩინარდა, მაგრამ ვხვდებოდი, იგი გარკვეული მიზნისკენ მიმავალ დაბრმავებულ კაცზე უფრო მეტს ნიშნავდა ახლა.

მას საერთო არაფერი ჰქონდა არც ბორხესის მოთხრობასთან, კორდოვას მეჩეთის ათასი სვეტიდან ერთ-ერთზე რომ მოგვითხრობდა, და არც მხოლოდ შუა აზიაში მცხოვრები ქალის აჩრდილი იყო, ორი წლის განმავლობაში მუდამ თან რომ მდევდა. ახლა ზაჰირი თაობიდან თაობაზე გადასულ ანარეკლს ჰგავდა, რომელიც უპასუხოდ არაფერს ტოვებდა, მთელ სივრცეს იკავებდა და უფლებას არ მაძლევდა, რომ ძალა მომეკრიბა და რამე შემეცვალა.

ეს ყოვლისშემძლე ზაჰირი თითქოს თითოეულ ადამიანში სახლობს, ბავშვობაშივე ძლიერდება, თავადვე გვკარნახობს წესებს, რომლებსაც ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემთ და ვასრულებთ.

ზაჰირის წესები ყოველ წამს თავს გვახსენებს და ჩვენგან მორჩილებას მოითხოვს:

„საზოგადოებისაგან განსხვავებული ხალხი საშიშია, მართლაც სხვა „ტომს“ ეკუთვნის, ჩვენი მიწების მითვისება უნდათ და არც ცოლების წართმევას თაკილობენ. „

ჩვენ? ჩვენ უნდა დავქორწინდეთ, გვყავდეს შვილები, შევქმნათ ახალი სამყარო.

როცა ვქორწინდებით, მეორე ადამიანის სხეული და სული ჩვენს საკუთრებად იქცევა.

ვაკეთებთ იმას, რაც გვეზიზღება, მაგრამ ორგანიზებული, მოწესრიგებული საზოგადოების ნაწილი გვქვია და თუ ყველა თავის ნებაზე იპარპაშებს, იმას გააკეთებს, რაც უნდა, სამყარო გაჩერდება - პროგრესი შეწყდება.

ძვირფასეულობის ყიდვა აუცილებელია - ასე სხვა ტომისაგან გამოგვარჩევენ. ამ ახალგაზრდებსაც ხომ სწორედ ამისთვის სჭირდებათ პირსინგი.

ვალდებულნი ვართ, კარგად გამოვიყურებოდეთ. ირონიით შევხედოთ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ გრძნობებს არ მალავენ. აბა, რა! „ჩვენს ტომს“ ხომ სენტიმენტალობა საფრთხეს უქმნის!

აუცილებელია, მაქსიმალურად აღვკვეთოთ „არა“, რადგან „კის“ თქმა ყოველთვის ჯობია. სწორედ „კი“ გვაძლევს მტრულ გარემოში გადარჩენის საშუალებას.

ჩვენთვის საკუთარ გრძნობებზე მნიშვნელოვანი ისაა, რასაც სხვები ფიქრობენ.

სკანდალებს არასოდეს მოვაწყობთ - უკეთესია, მოწინააღმდეგე ტომს მივაქციოთ ყურადღება და მათი მარცხით შორიდან დავტკბეთ. ბუნებრივია: განსხვავებულად თუ მოიქცევი, ტომიდან მოგკვეთენ, რადგან სხვების გასვრაც შეგიძლია და ძლივს მოპოვებული მთლიანობის დარღვევაც.

კიდევ რა?! კიდევ აუცილებელია, თავიდან არ ამოგვივარდეს ჩვენი ქოხმახების მოწყობის გეგმა. დავურეკოთ ნაცნობ მხატვარ-დეკორატორს. ის ნამდვილად შეძლებს, გარშემო მყოფ ხალხს დაუმტკიცოს, რომ შესანიშნავი გემოვნება გვაქვს.

დღეში სამჯერ უნდა ვჭამოთ. რა მნიშვნელობა აქვს - გშია თუ არ გშია. თუმცა, როცა სილამაზისათვის მსხვერპლის გაღებაა საჭირო, შიმშილიც აუცილებელია.

ჩაცმულობა? რა თქმა უნდა, როგორც მოდა ბრძანებს, ისე უნდა გამოვეწყოთ; გვინდა, არ გვინდა, უნდა ვიჟიმაოთ; საზღვრების გადაკვეთისათვის ერთმანეთი დავხოცოთ და ვინატროთ, დრო მალე გაილიოს, რომ პენსიაზე გასვლა და მშვიდად ცხოვრება შევძლოთ.

მერე ავირჩიოთ პოლიტიკოსები, ვიწუწუნოთ ცხოვრებაზე, შევიცვალოთ ვარცხნილობა, გავლანძღოთ განსხვავებული ადამიანები, ვიაროთ რელიგიურ რიტუალებზე კვირაობით, შაბათობით, პარასკეობით. მთავარია, ცოდვების გამო

შენდობა ვითხოვოთ, ვიამაყოთ, რომ მართლები ვართ, და უარვყოთ სხვა ტომი, რომელიც, ჩვენგან განსხვავებით, სულ ტყუილად ადიდებს უფალს.

რა თქმა უნდა, ჩვენმა შვილებმაც ჩვენს ნაკვალევზე უნდა იარონ. ბოლოს და ბოლოს, უფროსები ვართ და მათზე უკეთ გვესმის ცხოვრებისა!

ჰო! უნივერსიტეტის დიპლომიც აუცილებელია! თუმცა, იქნებ ვერც ვიშოვოთ ის სამუშაო, რომელიც სხვებისგან (თუნდაც - მშობლებისგან) არჩეულ პროფესიას განგვიმტკიცებს.

ვისწავლოთ ალგებრა, ტრიგონომეტრია, ჰხამურაბის კანონები - ის, რასაც არასოდეს გამოვიყენებთ, მაგრამ რადგან „ვიღაცამ“ გვირჩია, ესე იგი, მნიშვნელოვანია, და სწავლა აუცილებელია!

არასოდეს გავაბრაზოთ მშობლები. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამისთვის მსხვერპლის გაღება დაგვჭირდეს.

მუსიკას დაბალ ხმაზე უნდა ვუსმინოთ, ჩუმად ვილაპარაკოთ, კუთხეში, მალულად ვიტიროთ, რადგანაც ყოვლისშემძლე ზაჰირი ასე გვკარნახობს.

მდიდრულ უბანში ელეგანტური შენობის წინ გავჩერდით. ერთ-ერთმა მათგანმა შესასვლელი კარის სახელურს ხელი ჩამოჰკრა და ყველანი მესამე სართულზე ავედით. წარმოვიდგინე, რომ ნაცნობ ოჯახში მივდიოდით, სადაც მოწესრიგებული შვილის მეგობრებს ყოველთვის სიამოვნებით უმასპინძლდებიან.

როცა ლუკრეციამ კარი გააღო, ყველაფერი სიბნელეში ჩაიძირა. თვალები ქუჩიდან ფანჯარაში შემომავალ მკრთალ სინათლეს შეეჩვია და უზარმაზარი ცარიელი ოთახი დავინახე - ერთადერთი დეკორაცია, რაც ამ ოთახს ამშვენებდა, ბუხარი იყო, რომელსაც, როგორც ჩანდა, უკვე დიდი ხანია, აღარავინ იყენებდა. თითქმის ორი მეტრი სიმაღლის, ამერიკელი ინდიელების მსგავსი ვარცხნილობის მქონე ქერათმიანმა ბიჭმა სამზარეულოდან ანთებული სანთლები შემოიტანა. ყველანი იატაკზე დასხდნენ და მე იმ ღამის განმავლობაში პირველად შევშფოთდი: ყველაფერი საშინელებათა ფილმს ჰგავდა, თითქოს მალე სატანური რიტუალი დაიწყებოდა და მისი მსხვერპლი ის უცხოელი იქნებოდა, რომელიც მთელ დღეს კუდში დაჰყვებოდათ.

მიხაილი ფერმკრთალი ჩანდა, თვალები აქეთ-იქით დაურბოდა. ვერ ახერხებდა, რომელიმე ადგილს წყნარად მიშტერებოდა. ალბათ, ეპილეფსიური შეტევის ზღვარზე იდგა. ნეტავ ამ ადამიანებმა თუ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მსგავს სიტუაციაში? იქნებ წავსულიყავი, რომ ამ ყველაფრის მოწმე არ გავმხდარიყავი?

ალბათ, ეს ყველაზე ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა იმ მწერლის მხრიდან, რომელიც სულიერებაზე წერს და მაგალითს საკუთარი ცხოვრებით იძლევა. ჰო,

მართლაც, ჭკვიანური საქციელი იქნებოდა - ლუკრეციას ავუხსნიდი, რომ შეტევის შემთხვევაში მიხაილისთვის პირში რაიმე საგანი ჩაედო, რომ ენა არ გადაეყლაპა. ცხადია, მას უნდა სცოდნოდა. მაგრამ ჩვენ - ზაჰირის მიმდევრები - შემთხვევითობას გამოვრიცხავთ. ყველაფრის გათვალისწინება და გონებასთან შეთანხმებაა საჭირო.

ავარიამდე, ალბათ, ასეც მოვიქცეოდი: ავდგებოდი და წავიდოდი, თუმცა ახლა ჩემს პირად ცხოვრებას მნიშვნელობა უკვე დაკარგული ჰქონდა და ისევ ლეგენდად, ძიებად, თავგადასავლად, სულის შიგნით და გარეთ მოგზაურობად ქცეულიყო. ვგრძნობდი, რომ საგნები ჩემ გარშემო იცვლებოდნენ, და დიდი სურვილი მქონდა, ცხოვრების ბოლომდე ასე ყოფილიყო (გამახსენდა, იქ, საავადმყოფოში, ძეგლისთვის ეპიტაფია რომ მოვიფიქრე - „მოკვდა, სანამ ცოცხალი იყო“...). წარსულის გამოცდილებები, რომლებიც სწრაფად და იძულებით მოქმედების უფლებას მაძლევდა, თან დამყვებოდა, მაგრამ ნასწავლი, ათასჯერ დაღეჭილი ძველი გაკვეთილებიც მახსენებდა, რომ ბრძოლის შუაგულში მყოფ მებრძოლს არ შეუძლია, განსაზღვროს, რომელი დარტყმა აირიდოს და რომელს დაუხვდეს. მებრძოლი თვალის დახამხამებაში კვდება.

სწორედ ასეთი მეომარი იყო ჩასახლებული ჩემში და ინტუიციითა და ტექნიკით მოქმედებდა. სწორედ ასეთმა მეომარმა გადაწყვიტა, რომ შინ დაბრუნებას აქ დარჩენა და დღევანდელი თავგადასავლისთვის ერთი-ორი შტრიხის მიმატება სჯობდა.

ვღელავდი. გვიანი იყო, მთვრალი და დაქანცული ვიყავი და ვწუხდი, რომ მარის არ ეძინა, მე მელოდა და შეშფოთებული და გაბრაზებული დამხვდებოდა. მიხაილს გვერდით მივუჯექი - სპაზმის შემთხვევაში უფრო სწრაფად შევძლებდი რეაგირებას.

უცებ მივხვდი, რომ ეპილეფსიის შეტევას აკონტროლებდა! თანდათან მშვიდდებოდა, თვალებში კი ისევ სომხური რესტორნის სცენაზე მდგარი თეთრსამოსიანი ახალგაზრდის თვალების ბრწყინვალება უბრუნდებოდა.

- როგორც ყოველთვის. დავიწყოთ, - თქვა მან.

და, მოულოდნელად, აქამდე აგრესიულმა, მთვრალმა, „მეორეხარისხოვანმა“ ხალხმა თვალები დახუჭა და ხელები წინ გაიწვდინა. ის ორი გერმანული ნაგაზიც კი დარბაზის კუთხეში მშვიდად იჯდა და არ ინძრეოდა.

- ო, ღვთისმშობელო, როცა ყურადღებით ვაკვირდები მანქანებს, ვიტრინებს, ხალხს, გვერდით რომ არ იყურება, შენობებს თუ ძეგლებს, ყველაფერში შენს არსებობას ვგრძნობ. არ მოგვაკლო წყალობა და ჰქმენ ისე, რომ კვლავ შევძლოთ შენთან ყოფნა.

ჯგუფმა ერთხმად განაგრძო:

- ო, სენიორა, ჩვენ ყოველთვის ვგრძნობთ შენს არსებობას. დაგვეხმარე, რომ უკან არ დავიხიოთ, არ შევდრკეთ. ჩვენ ხომ ცხოვრების უმძიმეს წუთებშიც კი, სინაზითა და ვაჟკაცობით გიხსენებთ.

მომეჩვენა, რომ ყოველ მათგანს ტანსაცმელზე ერთნაირი სიმბოლო ჰქონდა გამოსახული...

ზოგი სიმბოლო გულსაბნევს ჰგავდა; ზოგი - რკინის სამკაულს; ზოგს კი პირდაპირ ქსოვილზე ამოექარგა ან კალმით მიეხატა.

- ვისურვებდი, ეს ღამე ჩემს მარჯვნივ მჯდომი კაცისთვის მიმეძღვნა, რომელიც გვერდით იმიტომ მომიჯდა, რომ ჩემთვის საფრთხე აერიდებინა, - განაგრძო მიხაილმა.

საიდან უნდა სცოდნოდა?

- კარგი ადამიანია: ახლა მიხვდა, რომ სიყვარული ყოველთვის ცვალებადია და ადამიანებსაც ცვლის. ეს კაცი სულში ჯერ კიდევ პირად ისტორიას დაატარებს, მაგრამ როგორც შეუძლია, ისე ცდილობს მისგან გათავისუფლებას. ამიტომაც დარჩა დღეს ჩვენთან. ეს კაცი იმ ქალის მეუღლეა, რომელსაც ყველანი კარგად იცნობთ და რომელმაც, მეგობრობის ნიშნად, თილისმასავით დაგვიტოვა პატარა რელიკვია.

მიხაილმა ჯიბიდან სისხლით დალაქავებული ქსოვილის ნაჭერი ამოიღო და წინ დაიდო.

- ეს უცნობი ჯარისკაცის პერანგის ნაწილია. სიკვდილის წინ უთხოვია, „დაჭერი ჩემი ტანსაცმელი და გაუნაწილე ადამიანებს, რომელთაც სიკვდილისა სწამთ და სწორედ მის გამო შეუძლიათ, იცხოვრონ ისე, თითქოს დღევანდელი დღე მათი ცხოვრების უკანასკნელი წამია; ვისაც არ ეშინია და ვინც არ ჩერდება; ვინც ერთადერთ ჭეშმარიტებას - სიყვარულს - ეძიებს და ვინც მხოლოდ მის კანონებს ემორჩილება. უთხარი მათ, რომ მე ღმერთი ვიხილე.

ქსოვილის ნაგლეჯს ყველა დიდი მოწიწებით შეჰყურებდა.

- ჩვენ რევოლუციის დროს დავიბადეთ. ენთუზიაზმით აღვსილებმა ახალგაზრდობა და ცხოვრება მას შევწირეთ... მაგრამ უცებ შეგვეშინდა: პირველყოფილი სიხარული არაფრად აგდებს დაღლილობას, მონოტონურობას, ეჭვებს. ჩვენ ვფიქრობთ მეგობრებზე, რომლებმაც უარი თქვეს ოცნებაზე. ვალდებულები ვართ, წინ აღვუდგეთ მარტოობას, ცხოვრების უცნობ მოსახვევებში ჩასაფრებულ გაკვირვებას და ზოგჯერ - დაცემასაც. განსაკუთრებით მაშინ, თუ ახლომახლო ხელის შემშველებელიც არავინ ჩანს და შეიძლება, ერთადერთი კითხვაღა დაგვრჩეს: ნუთუ ეს ყველაფერი ამდენ ძალისხმევად და ტანჯვად ღირს?

მიხაილი ცოტა ხნით გაჩუმდა და ისევ განაგრძო:

- ღირს! როგორ არ ღირს! ჩვენ მაინც ასე უნდა გავაგრძელოთ და გავაგრძელებთ კიდეც, თუნდაც ყოველთვის ასე იყოს ყველაფერი და არაფერი შეიცვალოს. როცა იქნება, ალბათ, სხვებისაგან ნაამბობ ისტორიებსაც დავუბრუნდებით, მაგრამ

მანამადე ჯერ კიდევ გავიხსენებთ ჩვენს ბრძოლას; ყოველთვის მზად ვიქნებით მორიგი შეტევის წამოსაწყებად... მით უმეტეს, მაშინ, თუ ხელსაყრელი შემთხვევა ისევ მოგვეცემა! ამინ!

- ამინ! - გაიმეორეს დანარჩენებმაც.

- ღვთისმშობელთან საუბარი მინდა, - თქვა ამერიკელი ინდიელივით თმაგაკრეჭილმა ქერა ბიჭმა.

- დღეს არა, დაღლილი ვარ.

იმედგაცრუების ზუზუნმა გადაუარა შეკრებილებს: სომხური რესტორნისაგან განსხვავებით, აქ ყველამ იცოდა მიხაილის ისტორია და იმ იდუმალი „ჩვენებებისაც“ სჯეროდათ, რომელიც მას ჰქონდა. მიხაილი წამოდგა და სამზარეულოში წყლის დასალევად გავიდა. თან გავყევი.

ვკითხე, ეს ბინა როგორ იშოვეთ-მეთქი. ამიხსნა, რომ საფრანგეთის კანონი ნებისმიერ მოქალაქეს იმ ბინის გამოყენების ნებას რთავს, რომელსაც თავად პატრონი არ იყენებს. თუნდაც ეს პატრონი „პარაშუტისტი“ იყოს. - ბოლო ფრაზაზე თავადვე გაეღიმა.

მე მარიზე ისევ ვნერვიულობდი, აღელვებისაგან ადგილს ვერ ვპოულობდი. მიხაილმა ხელი ჩამჭიდა:

- დღეს გითხარი, რომ სტეპებში აუცილებლად წახვიდოდი. ერთხელ კიდევ გთხოვ: თუ შეიძლება, მეც წამიყვანე. თუნდაც სულ ცოტა ხნით ჩემს სამშობლოში დაბრუნება მჭირდება. ფული არა მაქვს. ჩემი ხალხი, დედა და მეგობრები მენატრება. შემეძლო, მეთქვა, „ხმა მეუბნება, რომ იქ დაგჭირდები-მეთქი“, მაგრამ მოგატყუებ. ესთერს ჩემი დახმარების გარეშეც მშვენივრად შეხვდები... მე, უბრალოდ, საკუთარი მიწის ენერგია მჭირდება.

- ბილეთის ფულს მოგცემ.

- ვიცი, მაგრამ შენთან ერთად მინდა წამოსვლა. მინდა, სოფლამდე ერთად გავიაროთ ის გზა, რომელიც საყვარელ ქალთან მიგიყვანს. ის ქალი კი ჩემთვისაც მნიშვნელოვანი ადამიანია და ყოველთვის ასე იქნება. მისი გამზედაობით ბევრი რამ ვისწავლე და მინდა, ეს ცოდნა კიდევ უფრო გავაღრმაო. თანაც შენი ცხოვრების ამ პერიოდს შენთან ერთად მეც გავივლი. გპირდები, როგორც კი მასთან მივალთ, მარტო დაგტოვებ.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ვცადე, თემა შემეცვალა, და დარბაზში მყოფ ადამიანებზე ვკითხე, ვინ არიან-მეთქი.

- ხალხი, რომელსაც ეშინია, თქვენს თაობას არ დაემსგავსოს, თაობას, რომელიც სამყაროს შეცვლაზე ოცნებობდა, მაგრამ იძულებული გახდა რეალობას შეგუებოდა.

ძლიერი ადამიანების როლს საკუთარი სისუსტეების დასაფარავად ვთამაშობთ. ჯერ ცოტანი ვართ, ძალიან ცოტანი, მაგრამ იმედი მაქვს, მოგზაურები თანდათან შემოგვემატებიან. ხომ არ შეიძლება, ხალხმა ყოველთვის თავი მოიტყუოს.

„ნუთუ ეს არის ჩემი შეკითხვის პასუხი?“

- მიხაილ, გულახდილად გეუბნები, პირადი ისტორიისაგან განთავისუფლებას მართლა ვცდილობ და თუ ოდესმე შევძლებ, შენთან ერთად აუცილებლად ვიმოგზაურებ. შენ ხომ კარგად იცნობ იმ რეგიონს; იცი მათი წეს-ჩვეულებები და მოსალოდნელი საფრთხის არიდებაც შეგიძლია, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ არიადნეს ძაფის გორგალი მხოლოდ მე, მარტომ უნდა დავშალო და, ბოლოს და ბოლოს, ჩემგანვე შექმნილი ლაბირინთიდან გამოვაღწიო. ჩემი ცხოვრება მართლა შეიცვალა. თითქოს ათი, ოცი წლით გავახალგაზრდავდი, ალბათ, მეყოფა ძალა, რომ ჩემი თავგადასავლის საძებნელად თვითონ გავემგზავრო.

- როდის მიდიხარ?

- როგორც კი ვიზას მივიღებ: ორ-სამ დღეში.

- ღვთისმშობელი არ მიგატოვებს. ხმა მეუბნება, რომ უკვე დროა. ისე, თუ შემთხვევით აზრი შეიცვალე, შემატყობინე.

დასაძინებლად იატაკზე გაშხლართულ ახალგაზრდებს გვერდი ავუარე და გარეთ გამოვედი.

სახლისაკენ მიმავალი ვფიქრობდი, რომ ცხოვრება იმაზე მხიარული იყო, ვიდრე ჩემი ასაკის ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, წარმოედგინა. თურმე არასდროს არ არის გვიან, ახალგაზრდობას დაუბრუნდე. ამ მომენტში ისეთი აღელვებული ვიყავი, მიკვირდა, რომ ქუჩაში გზას არ მითმობდნენ ან შიშისაგან თვალებს არ ხრიდნენ. სულაც არ მინდოდა, ვინმეს ჩემი არსებობა შეემჩნია, მაგრამ ეს ქალაქი ახლა ძალიან ჰგავდა ძველ პარიზს.

მახსენდებოდა რელიგიური მასობრივი დევნა, სისხლიანი რიტუალები, მეფეები, დედოფლები, მუზეუმები, ციხესიმაგრეები, მხატვრები, რომლებიც იტანჯებოდნენ; მწერლები, რომლებიც ლოთობდნენ; ფილოსოფოსები, რომლებიც თვითმკვლელობით ასრულებდნენ სიცოცხლეს; ჯარისკაცები, ქვეყნის დაპყრობა რომ ჰქონდათ მიზნად დასახული; მოღალატეები, ერთი ხელის მოსმით რომ ანადგურებდნენ დინასტიებს; ისტორიები, რომლებიც მაშინ დაივიწყეს, ახლა კი ხელახლა იხსენებდნენ და დაუსრულებლად გვიყვებოდნენ.

დიდი ხნის მერე პირველად მოხდა, რომ შინ მისვლისთანავე კომპიუტერთან არ დავმჯდარვარ და არ შემიმოწმებია, ვინმემ რამე ხომ არ მომწერა და სასწრაფო პასუხი ხომ არ იყო საჭირო, – არა! სასწრაფო არაფერი იყო!

ოთახშიც არ შემიხედავს, რადგან, ალბათ, მარი თავს იმძინარებდა და სინამდვილეში მე მელოდებოდა.

ახალი ამბების მოსასმენად ტელევიზორი არ ჩამირთავს. ბავშვობიდან, რაც თავი მახსოვს, ყველა საინფორმაციო გადაცემა ერთსა და იმავეს იმეორებს: ერთი ქვეყანა მეორეს ემუქრება; ვიღაცამ ვიღაცას უღალატა; ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა; რაღაც სასიყვარულო სკანდალი მოხდა; ისრაელი და პალესტინა ორმოცდაათი წლის განმავლობაში შეთანმხმებამდე ვერ მივიდნენ; სადღაც აფეთქდა ბომბი; ქარიშხალმა ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა...

გამახსენდა, რომ იმ დილით მხოლოდ ჰაიტის აჯანყებაზე ლაპარაკობდნენ.

რას ნიშნავდა ჩემთვის ჰაიტი? მაინც რას შეცვლიდა ჩემი და ჩემი ცოლის ცხოვრებაში, ანდა მიხაილის ტომში? როგორ შემეძლო, ცხოვრების ძვირფასი ხუთი წუთიც კი აჯანყებებსა და პრეზიდენტზე საუბრის მოსასმენად დამეკარგა? თითქოს კაცობრიობის უდიდესი მოვლენა ყოფილიყოს!

ჰმ! ჰაიტის აჯანყება! დავიჯერე! ბოლომდე მოვუსმინე! აბა რა! რეალურად, მართლაც, სულელები იმსახურებენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, რადგან სწორედ ისინი აერთიანებენ მასობრივ სისულელეებს საკუთარ თავში.

ფანჯარა გამოვაღე. ღამის გაყინული ჰაერი შინ შემოიჭრა. ტანთ გავიხადე და ჩემს თავს ვუთხარი: სიცივე აიტანე, სხეულში ტემპერატურის მართვა შეძელი-მეთქი. არაფერზე ვფიქრობდი. მხოლოდ იატაკს ვგრძნობდი შიშველი ფეხებით და თვალებით ეიფელის კოშკს მივშტერებოდი. სმენას ძაღლების ყეფა, სირენებისა და ადამიანების საუბრები, ხმები მიღიზიანებდა, თუმცა კი არაფრის გაგება არ შემეძლო, ვერაფერს ვუსმენდი.

მე „მე“ არ ვიყავი და ეს ძალიან მომწონდა.

- უცნაური ხარ.

- როგორ თუ უცნაური?

- სევდიანი ჩანხარ.

- სევდიანი არა! კმაყოფილი ვარ!

- ხომ ხედავ? შენი ხმის ტონი ყალბად ჟღერს. ჩემ გამო ხარ შეწუხებული, მაგრამ თქმას ვერ ბედავ.

- ვითომ რატომ უნდა ვიყო შეწუხებული?

- იმიტომ, რომ წუხელ ძალიან გვიან დავბრუნდი მთვრალი. არც კი გიკითხავს, სად ვიყავი.

- ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს!

- რატომ არა აქვს მნიშვნელობა! ხომ გითხარი, მიხაილთან მივდივარ-მეთქი?

- მერე, არ იყავი?

- ვიყავი.

- მაშინ, რაღა გკითხო?

- შენი საქმრო რომ შინ გვიან ბრუნდება, შენ კი ამტკიცებ, ეს კაცი მიყვარსო, მეტ-ნაკლებად მაინც ხომ უნდა დაინტერესდე, რა მოხდა?

- რა მოხდა?

- არაფერი. მასთან და მის მეგობრებთან ვიყავი.

- ჰოდა, ძალიან კარგი. მორჩა.

- ასე გგონია?

- აბა რა!

- მე კიდევ მგონია, რომ აღარ გიყვარვარ. არ ეჭვიანობ! დამოუკიდებელი ხარ. ნორმალურია, როცა შინ ღამის ორ საათზე მოვედი?

- შენ ხომ ამბობ, თავისუფალი ადამიანი ვარო.

- ვარ კიდეც.

- მაშინ, ნორმალურია, თუ ორ საათზე მოხვედი და იმას აკეთებ, რაც გინდა. დედაშენი რომ ვყოფილიყავი, ვინერვიულებდი, მაგრამ უკვე დიდი ხარ. ასე არ არის? კაცებმა თავი უნდა დაანებოთ ისე მოქცევას, თითქოს თქვენ გვერდით მყოფი ქალი თქვენი დედა იყოს.

- ასეთი სახის ნერვიულობასა და ღელვაზე არ გელაპარაკები. მე ეჭვიანობას ვგულისხმობდი.

- ეჭვიანობის სცენა რომ მოგიწყო ახლა, საუზმის დროს, კმაყოფილი იქნები?

- სცენა? რას ამბობ! მეზობლები გაიგონებენ.

- მეზობლები სულაც არ მაინტერესებს: სკანდალს იმიტომ არ მოვაწყობ, რომ ოდნავი სურვილიც არ მაქვს. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ზაგრებში ჩვენს საუბარს, შენს აზრებს, მაინც დავეთანხმე. ახლა კი, უბრალოდ, ვცდილობ, მივეჩვიო. თუ შენ ეს გაგაბედნიერებს, მოგაჩვენებ, რომ ვეჭვიანობ და ვბრაზობ.

- ხომ გითხარი, უცნაური ხარ-მეთქი. მე მგონი, შენთვის აღარაფერი აღარა ვარ!

- მე კი მგონია, რომ უკვე დაგავიწყდა: მისაღებ ოთახში ჟურნალისტი გელოდება და შესაძლოა, ჩვენს საუბარს ყურიც კი მოჰკრა.

ჰო! ჟურნალისტი! „ავტოპილოტის“ ჩართვა მომიწევს - ზუსტად ვიცი, რა კითხვებს დამისვამს. ვიცი, როგორ დაიწყებს ინტერვიუს („თქვენს ახალ წიგნზე ვისაუბროთ, რა არის მისი მთავარი მესიჯი“); ვიცი, როგორ ვუპასუხებ („მესიჯების წერის სურვილი რომ მქონოდა, წიგნის ნაცვლად, ერთ წინადადებას დავწერდი და მორჩებოდა“).

ვიცი, რომ მკითხავს: რას ფიქრობთ კრიტიკაზე, რომელიც თქვენს საქმიანობას, მაინცდამაინც, არ სწყალობსო. და კიდევ: ისიც ვიცი, რომ საუბარს ჩვეული ფრაზით დაასრულებს: „ახალ წიგნს თუ წერთ? თქვენი მომავალი გეგმების შესახებ გვიამბეთ“. მე კი აუცილებლად ვუპასუხებ: „ეს საიდუმლოა“.

ინტერვიუ სწორედ ისე დაიწყო, როგორც ველოდი:

- თქვენს ახალ წიგნზე ვისაუბროთ. რა არის მისი მთავარი მესიჯი?

- მესიჯების წერა რომ მდომოდა, წიგნის ნაცვლად, ერთ წინადადებას დავწერდი და მორჩებოდა.

- მაშ, რატომ წერთ?

- იმიტომ, რომ სხვებისთვის ჩემი ემოციების გაზიარება მჭირდება. წერა კი საუკეთესო საშუალებაა.

ეს ფრაზა შედგენილი „ავტოპილოტის“ ნაწილი იყო, მაგრამ ვჩერდები და ვასწორებ:

- თუმცა, ისტორიების სხვა ფორმით მოყოლაც შესაძლებელია.

- სხვა ფორმით მოყოლა? თქვენ გინდათ, თქვათ, რომ „დრო ჭრისა და დრო კერვისას“ ფორმა არ გაკმაყოფილებთ?

- ძალიანაც მაკმაყოფილებს, უბრალოდ, ახლა ჩემმა პასუხმა არ დამაკმაყოფილა. რატომ ვწერ? თუ სიმართლე გაინტერესებთ, გეტყვით: ვწერ იმიტომ, რომ მინდა, ყოველთვის „საყვარელი“ ვიყო.

ჟურნალისტმა პირი დააღო და გაკვირვებულმა შემომხედა: რას გულისხმობთ?

- იმიტომ ვწერ, რომ ახალგაზრდობაში ვერ ვთამაშობდი ფეხბურთს; არ მყავდა მანქანა; არ მქონდა ხელფასი და არც ძლიერი კუნთებით გამოვირჩეოდი.

თავს ძალა დავატანე, რომ საუბარი გამეგრძელებინა. წეღან, მარისთან კამათის დროს, წარსულის პატარა ეპიზოდი გამახსენდა. ახლა მას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ასე რომ, ნამდვილი ისტორიის მოყოლა მისგან განთავისუფლებაში დამეხმარებოდა...

ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე და გავაგრძელე:

- არც მოდური ტანსაცმელი მეცვა, ამიტომ გოგონები ყურადღებას არ მაქცევდნენ. საღამოობით, როცა ჩემი მეგობრები შეყვარებულებთან მიდიოდნენ, მე შინ ვიჯექი და ვიგონებდი სამყაროს, სადაც შემეძლო, ბედნიერი ვყოფილიყავი: ერთგული მეგობრები წიგნები და მწერლები გახდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს პატარა პოემა დავწერე და ჩემს ქუჩაზე მცხოვრებ ერთ-ერთ გოგონას მივუძღვენი. მისმა მეგობარმა ოთახში დამალული ნაგლეჯი იპოვა, მოიპარა და, როცა ერთად ვიყავით, ყველას სათითაოდ აჩვენა. ბევრი იცინეს. სასაცილო იყო, აბა რა! - მე შეყვარებული ვიყავი!

მხოლოდ იმ გოგონას არ გაუღიმია, რომელსაც პოემა ეძღვნებოდა. მეორე საღამოს თეატრში წავედით. იმ გოგონამ ყველაფერი გააკეთა, რომ ჩემ გვერდით დამჯდარიყო. სპექტაკლის დროს ხელი ხელზე მომკიდა და ხელიხელჩაკიდებულები გამოვედით ქუჩაშიც... ასე რომ, მე, რომელსაც ჩემი თავი ყველაზე უგემოვნო, მახინჯი და სუსტი მეგონა, უბნის ყველაზე სასურველ გოგოსთან ერთად აღმოვჩნდი...

გავჩუმდი. თითქოს ცოტა ხნით წარსულში გადავინაცვლე - თითქოს ახლაც ვგრძნობდი იმ გოგონას ხელს ჩემს ხელში და ირგვლივ მაშინდელივით იცვლებოდა ყველაფერი.

- პოემის ბრალი იყო, - გავაგრძელე თხრობა. - პოემამ გამაგებინა, მიმახვედრა, რომ თუ წერას დავიწყებდი, თუ ჩემი სულის უჩინარ სამყაროს წარმოვაჩენდი, რეალურ ცხოვრებაშიც ჩემი მეგობრების გვერდით, თავაწეული დავდგებოდი და უკან აღარასოდეს დავიხევდი. ფიზიკური ძალა, მოდური ტანსაცმელი, მანქანა და სპორტში პირველობა ყოველთვის მექნებოდა.

ჟურნალისტი ცოტა გაკვირვებული შემომცქეროდა, მე კი მასზე უფრო გაკვირვებული ვიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, თავი მოთოკა, გაოცება დამალა და შეკითხვები განაგრძო:

- როგორ გგონიათ. კრიტიკოსები რატომ არ გწყალობენ?

„ავტოპილოტი“ მზად იყო, პასუხი გაეცა: „საკმარისია, ნებისმიერი კლასიკოსი მწერლის ბიოგრაფია წაიკითხოთ - (ცუდად ნუ გამიგებთ, მათ არ ვედრები), - აღმოაჩენთ, რომ კრიტიკა მათდამი ყოველთვის შეუწყნარებელი იყო. მიზეზი მარტივია: კარიტიკოსები მეტისმეტად არასაიმედო ხალხია. კარგად არც იციან, რა ხდება მათ გარშემო. პოლიტიკაზე საუბრისას დემოკრატები არიან, მაგრამ როცა კულტურაზე საუბრობენ - ფაშისტებად იქცევიან ხოლმე. ფიქრობენ, რომ ხალხს მთავრობის სწორედ არჩევა შეუძლია, მაგრამ ფილმების, ლიტერატურის, მუსიკის სფეროში კი მათი არჩევანი ყოველთვის მცდარია“. - ხანტეს კანონზე თუ გსმენიათ რამე?

აი, ისევ! „ავტოპილოტიდან“ ისევ ამოვვარდი, თანაც ვიცოდი, რომ ჟურნალისტი ამ პასუხსაც დაბეჭდავდა.

- არა! არასოდეს მსმენია, – მეუბნება ის.

- თქვენ წარმოიდგინეთ, ცივილიზაციის დასაწყისიდან არსებობს, მაგრამ სანამ ერთმა დანიელმა მწერალმა 1933 წელს ოფიციალურად არ გამოაქვეყნა, საზოგადოებისთვის უცნობი იყო. ხანტეს პატარა ქალაქში ხელისუფლებამ „ათი მცნება“ შექმნა, რომლითაც ხალხს მოქცევის წესებს ასწავლიდნენ. როგორც ჩანს, ის წესები მხოლოდ ხანტეში კი არა, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოქმედებს. მთელი ტექსტის არსის ერთ პატარა ფრაზაში ჩატევას შევეცდები: „თუ უნიჭო და არაფრით გამორჩეული ხარ, პრობლემები არასოდეს შეგექმნება, მაგრამ თუ შეეცდები, რომ განსხვავებული იყო“...

- კარგი იქნება, თუ მაგ კანონებს გავეცნობი, – მაწყვეტინებს ჟურნალისტი, რომელიც აშკარად დაინტერესდა.

- აქ არა მაქვს, მაგრამ შემიძლია, რეზიუმე შემოგთავაზოთ.

კომპიუტერთან მივედი და უკვე გამოცემული, ადაპტირებული ვერსია ამოვბეჭდე:

„შენ ხარ არავინ, არაფერს არ წარმოადგენ. არც გაბედო ფიქრი, რომ ჩვენზე მეტი იცი. შენ უმნიშვნელო ხარ, კარგად ვერაფერს აკეთებ - არ შეგიძლია. შენი სამუშაოც უმნიშვნელოა. ნუ გამოგვიწვევ და ბედნიერად იცხოვრებ. ყოველთვის სერიოზულად აღიქვი ჩვენი ნათქვამი - არასოდეს დასცინო ჩვენს მოსაზრებებს...“

ჟურნალისტმა ქაღალდი ორად გაკეცა და ჩანთაში ჩაიდო.

- მართალი ბრძანდებით. თუ არავინ არა ხარ, თუ შენს სამუშაოს გამოძახილიც არა აქვს, მაშინ ქებასაც იმსახურებ, მაგრამ ვინც ამ გამოწვევას უკუაგდებს, ერთფეროვნებას თაAვს დააღწევს, წარმატებას მიაღწევს, კანონს წინ აღუდგება, – დასჯის ღირსია!!

რა კარგია, რომ თვითონ, დაუხმარებლად მივიდა სწორ დასკვნამდე.

- ეს მხოლოდ კრიტიკოსებს არ ეხებათ. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რამდენი ხალხი ცხოვრობს კანონებით.... – დავასრულე მე.

მიხაილს შუაღამისას დავურეკე მობილურზე.

- ერთად მივდივართ.

გაკვირვება არ გამოუხატავს. მხოლოდ მადლობა გადამიხადა, რომ აზრი შევიცვალე და მისი წაყვანა გადავწყვიტე.

- ორი წლის განმავლობაში ზაჰირი ჩემი ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა. შენთან შეხვედრის მერე ვცადე, კიდევ ერთხელ დავდგომოდი დიდი ხნის წინ დავიწყებულ

გზას, მიტოვებულ ლიანდაგს გავყოლოდი, რელსებს შორის ბალახი რომ ამოზრდია, მაგრამ ფეხით მოსიარულეების გასაძღოლად ჯერ კიდევ შესწევს ძალა. ბოლო სადგურამდე ჯერ არ მიმიღწევია, შუაგზაზე კი ვერ გავჩერდები.

მკითხა, ვიზა თუ აიღეო. ავუხსენი, „მადლის ბანკი“ ჩემს ცხოვრებაში აქტიურად ერევა-მეთქი; ერთი რუსი მეგობარი ყაზახეთის პრესის უზარმაზარი ქსელის დირექტორია. ამ მეგობარმა საცოლეს დაურეკა, საცოლემ - „პარიზის საელჩოს“. დარწმუნებული ვარ, საღამოს ყველაფერი მზად იქნება-მეთქი.

- მერე, როდის მივდივართ?

- ხვალ. შენი ნამდვილი სახელი მითხარი, ბილეთები უნდა შევუკვეთო, მეორე ტელეფონზე სააგენტოს წარმომადგენელი მელოდება.

- კარგი, მაგრამ რაღაც მინდა, გითხრა: რესტორანში ნაამბობი „რელსების“ ისტორია ძალიან მომეწონა. „მიტოვებული ლიანდაგიც“ საკმაოდ საინტერესოდ ჟღერდა, მაგრამ არა მგონია, ჩემი დაპატიჟება ამიტომ გადაგეწყვიტა. ვფიქრობ, ჩემს წაყვანას შენი ნაწარმოების გამო აპირებ. ერთი აბზაცი ზეპირადაც კი მახსოვს - შენი ცოლი ხშირად იმორებდა ხოლმე:

„სინათლის მებრძოლი ბევრს უნდა უმადლოდეს: ბრძოლის დროს მას ანგელოზები დაეხმარნენ, ზეციურმა ძალებმა კი ყველაფერი ისე წარმართა, რომ მას თავისი მიზნისთვის მიეღწია. ამიტომაც, მზის ჩასვლისას მებრძოლი მუხლმოყრილი იხდის მადლობას.

მისი თანამებრძოლები ამბობენ, რა ბედი ჰქონიაო! მაგრამ მისთვის ეს „ბედი“ გარშემო მიმოხედვისა და მეგობრების დანახვის უნარია. რადგან სწორედ მათ გამო, მათი ნათქვამის მადლის გამო, ანგელოზებმა შეისმინეს მისი ვედრება.“

- რასაც ვწერ, ყოველთვის კი არ მავიწყდება, მაგრამ მიხარია, შენც რომ გახსოვს. კარგი, დროებით. ახლა შენს სახელსა და გვარს ჩავაწერინებ ბილეთების სააგენტოს.

ოცი წუთი ველოდი, სანამ ტაქსების სააგენტოში ყურმილს აიღებდნენ. ვიღაცის განრისხებულმა ხმამ მიბრძანა, კიდევ ნახევარ საათს მომეცადა.

მარი კმაყოფილი ჩანს. თავისი მდიდრული, სექსუალური კაბა ძალიან მოსწონს. მის დანახვაზე სომხური რესტორანი და ის უცნობი მამაკაცი გამახსენდა, რომელიც ადგილს ვერ პოულობდა, როცა შეამჩნია, როგორ უყურებდნენ მის ცოლს კაცები. დარწმუნებული ვარ, დღესასწაულზე კაბა ისე მკვეთრად წარმოაჩენს ქალების მკერდის კონტურებს, რომ უცხო მამაკაცები თვალს ვერ მოაშორებენ, ქმრები თუ საქმროები კი კმაყოფილები გაიფიქრებენ: „აი, ასე, თქვენ შორიდან დატკბით, ეს ქალი ჩემთანაა, ჩემია, მე საუკეთესო ვარ, იმიტომ, რომ მივაღწიე იმას, რაზეც არც თქვენ იტყოდით უარს“.

გარიგებებს და კონტრაქტებს ხელს არ მოვაწერ. არც ინტერვიუს თავი მაქვს - მხოლოდ ცერემონიას დავესწრები, დეპოზიტს შევიტან „მადლის ბანკში“, მოსაწყენ ადამიანებთან ერთად ვივახშმებ (რომლებიც აუცილებლად მკითხავენ, საიდან მოდის წერის შთაგონება) და შინ დავბრუნდები. თუმცა, შეიძლება, თვალს წყალიც დავალევინო - იქნებ რომელიმე მეგობრის ლამაზი ცოლი გამოჩნდეს და მთელი ძალისხმევის მოკრება დამჭირდეს, რომ მისკენ თვალი არ გამექცეს... რადგან, თვალი თუ გამექცა, აუცილებლად შეამჩნევს მისი ქმარი, როგორ ვცდილობ მისი ცოლის მოხიბვლას. ახლა კი, სანამ ტაქსის ველოდებით, მოსალოდნელი სასაუბრო თემების ნუსხას შევადგენ:

ა) პირველი, ალბათ, გარეგნობასთან დაკავშირებული კომენტარები იქნება: მაგალითად: „რა ელეგანტური ხარ“, „რა ლამაზი კაბაა“, „შესანიშნავი კანი გაქვს“...

შინ დაბრუნებულები კი აუცილებლად წაიჭორავებენ: „სტუმრებს საშინლად ეცვათ და ავადმყოფური იერიც დაჰკრავდათო“.

ბ) უკანასკნელი მოგზაურობა! „არუბა უნდა ნახო! ვგიჟდები, ფანტასტიკურია!“ „კანკუნში გატარებულ ზაფხულის ღამეზე კარგი არაფერია ამქვეყნად. სვი მარტინი და დაისვენე ზღვის სანაპიროზე“.

სინამდვილეში, გართობა, ალბათ, არც გახსენებიათ. რამდენიმე დღე ჰქონდათ თავისუფალი და რა ექნათ! ფული ხომ უნდა დაეხარჯათ!

გ) ისევ მოგზაურობა, მაგრამ ამჯერად, ისეთ ადგილებში, რომლებსაც თავისუფლად გააკრიტიკებენ: „რიო-დე-ჟანეიროში ვიყავი, ვერ წარმოიდგენ, როგორი ძლევამოსილი ქალაქია - კალკუტის ქუჩების უბედურებამ და სიღატაკემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“.

გულის სიღრმეში კი მხოლოდ ძალაუფლების შეგრძნება უნდათ. მერე ისევ თავიანთი „ვითომ პრივილეგირებულ“, უღიმღამო ცხოვრებას დაუბრუნდებიან, სადაც არც მრისხანებაა და არც უბედურება.

დ) ახალი თერაპიები: „თურმე ხორბლის ექსტრაქტი ერთ კვირაში თმის ხარისხს აუმჯობესებს“. „წარმოიდგინე, ორი დღე აბაზანების მისაღებად ბიარიცში ვიყავი. წყალი ფორებს ხსნის და ტოქსინებს აქრობს“.

ჰმ! მომდევნო კვირას აღმოაჩენენ, რომ ხორბლის ექსტრაქტი თმის გამაჯანსაღებელ არანაირ ფუნქციას არ ფლობს და რომ ნებისმიერი ცხელი წყალი ხსნის ფორებს და ტოქსინებსაც გამოდევნის!

ე) დანარჩენი: „რამდენი ხანია, „ის“ (სულერთია, ვინ) არ მინახავს. ნეტავ რას საქმიანობს. გავიგე (ვიღაც) ქალბატონს თურმე ბინა გაუყიდია - რთულ სიტუაციაში ყოფილა“.

ძირითადად, საუბარი მათ შეეხება, ვინც მოწვეულთა სიაში არ არის, თუმცა დისკუსიის ბოლოს, შესაძლოა, დიდსულოვანი, გულუბრყვილო „კრიტიკოსი“ ქომაგიც გამოჩნდეს, რომელიც იტყვის: („ის ვიღაც“, ასეა თუ ისე, მაინც არაჩვეულებრივი ადამიანიაო“.

ვ) პირად პრობლემებზე წუწუნი: „მინდა, რაიმე სიახლე მოხდეს ჩემს ცხოვრებაში“, „შვილებზე ძალიან ვნერვიულობ, რასაც ისინი უსმენენ, მუსიკა არ არის; რასაც კითხულობენ ხომ, ლიტერატურასთან ახლოსაც ვერ მივა“.

გგონიათ, გულახდილად საუბრობენ? უბრალოდ, სუფრას ცოტაოდენ „გემოს“ მატებენ და ელოდებიან, რომ იქ მსხდომთაგან კიდევ ბევრს აღმოაჩნდება მსგავსი პრობლემები და მარტონი აღარ იქნებიან. მერე შეუძლიათ, კმაყოფილები დაბრუნდნენ შინ.

დღევანდელი საღამოს მსგავს „ინტელექტუალურ“ დღესასწაულებზე ხშირად (მეც) ვკამათობთ ახლო აღმოსავლეთის ომებზე, ისლამის პრობლემებზე, ახალ გამოფენებზე, მოდის „ფილოსოფოსებზე“, ფანტასტიკური ჟანრის წიგნებზე, რომელიც არავის წაუკითხავს; მუსიკაზე, რომელსაც მუსიკას ვერ დაარქმევ; მოსაწყენ ფილმებზე და ასე შემდეგ. პრობლემატურ თემებს რა დალევს. თანაც, სხვა რა გზაა - რამეზე ხომ უნდა ვისაუბროთ?

სანამ ტაქსი მოვა, ჩემს შედგენილ სიას პირად მოსაზრებებს ვურთავ. მარის ტვინს ვუბურღავ: ასეთ ვახშმებს ვერ ვიტან-მეთქი. „რატომ, მიღებების ბოლოს ყოველთვის ნასიამოვნები და მოხიბლული ჩანხარო“, - მეუბნება და მართალიცაა.

ქალაქის ერთ-ერთ ელეგანტურ რესტორანში შევდივართ და ასეთი მოვლენებისათვის წინასწარ დაქირავებული დარბაზისაკენ მივემართებით - დღეს ლიტერატურული პრემიების გადაცემის დღეა. მე კი ერთგვარი ჟიურის ფუნქცია მეკისრება, ალბათ.

დარბაზი სავსეა. ხალხი ფეხზე დგას, საუბრობს, ზოგიერთები მესალმებიან; ზოგი მხოლოდ წამიერად შემავლებს თვალს და გვერდით მდგომთან ჩურჩულს აგრძელებს. პრემიის ორგანიზატორი ჩემკენ მოდის და დამსწრე საზოგადოებასთან, ცოტა არ იყოს, გულისამრევი, არასასიამოვნო ფრაზით წარმადგენს: „მოგეხსენებათ, ვინ არის...“ ზოგი იღიმება და მცნობს; ზოგი ზრდილობიანად იცინის და ვერ მცნობს, მაგრამ თავს მაინც ისე მაჩვენებენ, თითქოს იციან, ვინ ვარ - წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა აღიარონ, რომ სამყარო, სადაც ცხოვრობენ - არ არსებობს და მნიშვნელოვანი მოვლენების მიმდინარეობას ფეხს ვერ უწყობენ.

„ტომთან“ ერთად გატარებული ღამე მახსენდება და გამოცდილებას ერთ შტრიხს ვუმატებ: სულელი ადამიანები ერთ გემში უნდა ჩაყარო და ზღვაში გაუშვა თავიანთი დღესასწაულებით, რომლებსაც თვეების განმავლობაში განუსაზღვრელი რაოდენობით აწყობენ - იქნებ, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ და გაიხსენონ, ვინ ვინ არის. სხვათა შორის, ამგვარ დღესასწაულებზე დამსწრე ადამიანების საკუთარი

კატალოგი მაქვს შედგენილი: მოკლედ, ასეთი ადამიანების ათი მეასედი ე.წ. სოციუმს ეკუთვნის - მათ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება. სახლიდან მხოლოდ „მადლის ბანკის“ გამო გამოდიან. ყურადღებით ეკიდებიან ნებისმიერ წვრილმანს, რაც მათ სავაჭრო საქმიანობას გააუმჯობესებს. იციან, საიდან მიიღონ და სად დააბანდონ კაპიტალი.

ადამიანთა ორი მეასედი „ტალანტებს“ მიეკუთვნება - მათ ბრწყინვალე მომავალი ელით. მრავალი მდინარე გადაუსერავთ და ზუსტად იციან, რომ „მადლის ბანკის“ პოტენციური კლიენტები არიან. მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა, მაგრამ ჯერ კიდევ უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. ყველასთან სასიამოვნო ურთიერთობა აქვთ, რადგან არ იციან, ვის ესაუბრებიან. „სოციუმი“ უფრო გულახდილია, თუმცა მათთვის ნებისმიერი გზა მისაღებია - შეუძლიათ ნებისმიერ ბილიკს გაჰყვნენ.

ეს ხალხი არ დაიკარგება.

სამი მეასედი „ტუპამარებს „მიეკუთვნება - ეს სახელი უძველესი ურუგვაელი მებრძოლების პატივსაცემად ვუწოდე. ასეთი ხალხი ახალ კონტაქტებზე გიჟდება. თითქმის შეაღწიეს კიდეც „ნაღები“ საზოგადოების ნაწილში. ახლა კი არ იციან, იქ უნდა დარჩნენ, თუ იმავე დროს გამართულ სხვა დღესასწაულს მიაშურონ. მოსაწყენი ადამიანები არიან. საკუთარი ნიჭის დემონსტრირება ხიბლავთ, თუმცა საპატიო სტუმრის სტატუსით არსად იწვევენ. როგორც კი გარშემომყოფნი ამოიცნობენ, მათ მიმართ ყურადღება მაშინვე სუსტდება.

და ბოლოს 85%, - რომელსაც „თეფშები“ იმიტომ ვუწოდე, რომ ამ ჭურჭლის გარეშე არც ერთი დღესასწაული თუ მოვლენა არ აღინიშნება. „თეფშები“ ბოლომდე ვერ აცნობიერებენ, რა ხდება, მაგრამ ზუსტად იციან, რომ რაღაც „ხდება“ და მათი დასწრება აუცილებელია. მოწვეულთა სიაში ყოველთვის ხვდებიან, რადგან ნებისმიერი ღონისძიების წარმატება ხალხის რაოდენობაზეა დამოკიდებული. ამ ხალხში თითქმის ყველა ექს რაღაცას წარმოადგენს. აქ არიან: ექსბანკირები, ექსდირექტორები, ცნობილი ქალების ექსქმრები და ძალაუფლების სათავეში მდგომი კაცების ექსცოლები. შესაძლოა, სიაში გრაფებიც აღმოჩნდნენ, ოღონდ იმ სახელმწიფოების გრაფები, სადაც მონარქია გადავარდა. შეიძლება, პრინცები და მარკიზებიც მოპატიჟებულთა რიცხვში იხილოთ. ისინი „ციხესიმაგრეებში“ ცხოვრობენ და დადიან ასე - ერთი წვეულებიდან - მეორეზე, ერთი ვახშმიდან - მეორეზე...

მე კი ახლა ჩემს თავს ვეკითხები: ნუთუ არასოდეს იღლებიან?

მარისთან საუბარში ხელახლა წამოვჭერი ეს თემა. მარი ფიქრობს, რომ არსებობს სამუშაოს ერთგული ხალხი და არსებობს გართობის მოყვარული ხალხი. ორივე

ჯგუფის ხალხი უბედურია: იციან, რომ რაღაცას კარგავენ, მაგრამ არსებულზე უარის თქმა არ შეუძლიათ.

ახლა ლიტერატურისა და კინოს კონგრესის ერთ-ერთ წარმომადგენელს ვესაუბრები. ქერათმიანი, ახლაგაზრდა ლამაზი ქალი გვიახლოვდება და მეუბნება, რომ ძალიან მოსწონს „დრო ჭრისა და დრო კერვისა“. მიხსნის, ბალტიისპირეთის ქვეყნიდან ჩამოვედი, ფილმებში ვმუშაობო. აშკარად „ტუპამარების“ წარმომადგენელია. სანამ ჩემს მისამართს იწერს (რატომ?), ინტერესით ათვალიერებს გარშემომყოფებს (კონგრესის ორგანიზატორებს). მე მგონი, ჯერ კიდევ არსებობს მცირეოდენი შესაძლებლობა, რომ გამოუცდელი „ტალანტების“ რიცხვს მივაკუთვნო, მიუხედავად იმისა, რომ მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

საღამოს ორგანიზატორი ეკითხება, რას ნიშნავს „ფილმებში მუშაობაო“. გოგონა სხაპასხუპით უხსნის: - კრიტიკულ წერილებს ვწერ გაზეთისათვის და წიგნი გამოვეციო (რა წიგნი? რა შუაშია? რაიმე ნაწარმოებია კინოზე? არა! მე მგონი, თავის უინტერესო ცხოვრებაზეა. მოკლედ, არ ვიცი). მეტისმეტად ჩქარობს. მე და გამომცემელს ამ წლის ბოლო მიღებაზე თუ მოგვიწვევთო, - კითხულობს. ორგანიზატორი ამბობს, რომ ჩემი გამომცემელი, რომელიც საკმაოდ გავლენიანი და შრომისმოყვარე ქალია (დავამატებდი, ლამაზიც-მეთქი. ასე ვფიქრობ), ამ საღამოზეც მოწვეული იყო. მერე ახალგაზრდა ქალი საუბარს ისევ ჩემთან აგრძელებს და, როცა სათქმელი აღარაფერია, სხვა სტუმრებისაკენ მიდის.

დღევანდელ სტუმართა უმრავლესობა, - „ტუპამარები“, „ტალანტები“ და „თეფშები“, - სანახევროდ ხელოვან ხალხს მიეკუთვნება. დღეს ხომ ლიტერატურული პრემიების საღამოა!. მათგან მხოლოდ გავლენიან მფარველებს შორის მოქცეული „სოციოები“ გამოირჩევიან. ადამიანები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მშენებლობებთან, მფარველობენ მუზეუმებს, კლასიკური მუსიკის კონცერტებს, პერსპექტიულ მსახიობებს. იმ გაუთავებელი საუბრების შემდეგ, რომელიც ლიტერატურული პრემიის შესაძლო მფლობელს ეხება, ცერემონიალის „მაესტრო“ სცენაზე ადის და ითხოვს, რომ ყველა სტუმარი თავის ადგილზე დაბრძანდეს.

ვსხდებით. წამყვანი უკბილოდ ხუმრობს (ეს რიტუალის ნაწილია, უნდა გავიცინოთ), რომ გამარჯვებულებს პირველი თავი საჭმლის მირთმევამდე დაასახელებს (რა სისულელეა).

მთავარი მაგიდისაკენ მივდივარ. მიხარია, ასე უფრო შორს ვიქნები „თეფშებისაგან“, მაგრამ საინტერესო და ენთუზიაზმით სავსე „ტალანტებთან“ დამეგობრებაში კი ხელი შემეშლება. დღესასწაულის ორგანიზატორსა და მანქანების კომპანიის დირექტორსა და ხელოვნების სფეროში კაპიტალის დაბანდების დიდოსტატს შორის ვჯდები (მიკვირს, ჩვენს მაგიდასთან არც ერთ ქალბატონს გამომწვევი, ღრმად გულამოჭრილი კაბა არ აცვია). ჩვენ გარდა, სუფრას „ამშვენებენ“ პარფიუმერიული ფაბრიკის დირექტორი, არაბი პრინცი (გავლით იყო ქალაქში და ცერემონიის

პრესტიჟის ასამაღლებლად მოიწვიეს), ებრაელი ბანკირი (თურმე მე-14 საუკუნის ხელნაწერების კოლექციას აგროვებს), საღამოს ესწრება კიდევ ერთი ორგანიზატორი, საფრანგეთის კონსული მონაკოში და ვიღაც ქერა ქალიშვილი, რომელიც არ ვიცი, ვინ არის და რას აკეთებს, მაგრამ შემიძლია, ვივარაუდო, რომ ორგანიზატორის საყვარელია.

სტუმრების სახელებს ვერ ვიმახსოვრებ, ამიტომ სათვალეს ხშირად ვიკეთებ და მათ პიჯაკებზე მიმაგრებულ პატარა ბარათებს შეფარვით ვკითხულობ (წეღან რომ წარმოვიდგინე, იმ გემზე ყოფნა არც მე მაწყენდა. ათიოდე წვეულების შემდეგ იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ზეპირად დამემახსოვრებინა მათი სახელები).

პროტოკოლის თანახმად, მარი სხვა მაგიდასთან მიიწვიეს. როგორც ჩანს, ისტორიის რომელიღაც მონაკვეთში ვიღაცას აზრად მოსვლია, ფორმალურ ბანკეტებზე შეყვარებული წყვილები ცალ-ცალკე დაესხათ, რათა ეჭვებისათვის საფუძველი არ გაემყარებინათ და ზედმეტი კითხვები (თანმხლები გათხოვილია, გასათხოვარი თუ გათხოვილი, მაგრამ თავისუფალი) არ გაჩენილიყო.

შეიძლება, იმ ვიღაცამ წინასწარ „განჭვრიტა“ - თუკი შეყვარებულები ერთად დასხდებიან, ერთმანეთთან ჩურჩულს გადაჰყვებიანო. მაგრამ გაუგებარია, რატომ გამოვიდოდით შინიდან, რატომ დავიქირავებდით ტაქსის ან რატომ მოვიდოდით ამ ბანკეტზე, თუ ერთმანეთთან საუბარი გვენდომებოდა?

შესაძლო საუბრების თემატიკიდან ჩემ მიერ შედგენილი სიის ერთ-ერთი პუნქტი - კულტურული ღონისძიებები - აირჩიეს.

„რა შესანიშნავი გამოფენაა!“, „ვიღაცის“ მიმართ გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია“.

ერთი სული მაქვს, კვერცხით შეზავებული ორაგულის ხიზილალა გავსინჯო, მაგრამ ვინ მაცდის! უკვე ყელში ამოსულ კითხვებს უნდა ვუპასუხო.

„რა არის ჩემი ახალი წიგნის საფუძველი?“, „საიდან მოდის შთაგონება“, „ახალ პროექტზე თუ ვმუშაობ?“.

სტუმრები ერუდიციას ამჟღავნებენ, ვითომ შემთხვევით, ცნობილი მწერლის ნაწარმოებიდან ციტატები მოჰყავთ და სხვათა შორის აღნიშნავენ: „ციტატების ავტორი ჩემი უახლოესი მეგობარიაო“. მერე სრულყოფილად აანალიზებენ სახელმწიფოს აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც მათი აზრით, საფრთხეს უქმნის დღევანდელ კულტურას.

- იქნებ რაიმე განსხვავებულ თემაზე გვესაუბრა? - შეკითხვა ჩემდა უნებურად წამომცდა.

ენა ჩაუვარდათ, გაჩუმდნენ. ჩემი საქციელი ცუდი აღზრდის ნიშანია: მე ხომ საუბარი შევაწყვეტინე ამ პატივცემულ საზოგადოებას, მაგრამ, ეტყობა, წუხელ პარიზის ქუჩებში მათხოვარივით ხეტიალმა იმდენად „შეუქცევადი“ ზიანი მომაყენა, რომ ამ ტიპის საუბრების ატანა აღარ შემიძლია.

- ვისაუბროთ... მაგალითად, „კრიზისულ მომენტებზე“ - ცხოვრების იმ წუთებზე, როცა უარს ვამბობთ წინ სიარულზე და მხოლოდ იმას ვჯერდებით, რაც გვაქვს.

მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებენ. გადაწყვეტილებას ვიღებ და თემას ვცვლი.

- ან... შეგვიძლია, ახალი ცხოვრების დაწყებასა და სხვებისაგან ნაამბობი ძველი ისტორიების დავიწყების მნიშვნელობაზე ვისაუბროთ. იქნებ ყოველდღე განსხვავებული საქმეები ვაკეთოთ; რესტორანში გვერდით მჯდომ უცხო ადამიანთან ვისაუბროთ; საავადმყოფოები მოვინახულოთ; შიშველი ფეხებით წყლის გუბეებში ვიტყაპუნოთ; ერთმანეთს მოვუსმინოთ და, კუთხეში მიგდების ნაცვლად, სიყვარულის ენერგიას თავისუფლად ბრუნვის საშუალება მივცეთ. აბა, რას იტყვით?

- სიყვარულის თავისუფლად ბრუნვა მრუშობას არ ნიშნავს?

- არა! სიყვარულის იარაღთან დაბრუნებას ნიშნავს და არა - მის პატრონთან. სწორედ თავისუფალი ბრუნვა შეგვაგნებინებს, ვისთანაც დღეს ვართ, იმ ადამიანთან ყოფნა ნამდვილად გვინდა თუ მხოლოდ იმიტომ ვუნაწილებთ საკუთარ ცხოვრებას, რომ წესები გვაიძულებს.

მონაკოში საფრანგეთის კონსული მთელი თავისი სინაზითა და კეკლუცობით მიხსნის: ყველა აქ მყოფს საკმარისი უფლებები და თავისუფლება აქვს. მეტ-ნაკლებად ყველა ეთანხმება თქვენს მოსაზრებას, თუმცა, მსგავსი რეალობისა არა გვჯერაო.

- სექსი! - ხმამაღლა ყვირის ქერათმიანი, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის, - სექსზე რატომ არ ვლაპარაკობთ? გაცილებით საინტერესოა და ნაკლებად რთული!

მისი კომენტარი, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, ბუნებრივად მაინც ჟღერს! სუფრის ერთ-ერთი წევრი ქალბატონი ირონიულად იღიმება. სამაგიეროდ, მე მხარს ვუბამ.

- სექსი მართლა საინტერესო თემაა, მაგრამ არა მგონია, განსხვავებული იყოს. თქვენ რას იტყვით? ბოლოს და ბოლოს, სექსზე საუბარი აკრძალული აღარ არის.

- აკრძალული არ არის, მაგრამ ცუდ ტონად ჯერ კიდევ ითვლება, - ამბობს ჩემ გვერდით მჯდომი.

- მაშინ რაღაა აკრძალული? - ორგანიზატორი უკვე იშმუშნება, თავს უხერხულად გრძნობს.

- მაგალითად, ფული! აქ ყველას გვაქვს ფული, ან თავს ისე ვიჭერთ, ვითომ მდიდარი, გავლენიანი, ცნობილი და ფულიანი ხალხი ვართ. გვგონია, ამის გამო მოგვიწვიეს აქ. მაგრამ მსგავსი შეკრებები არასოდეს გამოგვიყენებია, რომ გაგვეგო, რეალურად რამდენი შემოსავალი აქვს თითოეულ ჩვენგანს. და თუკი საკუთარ თავში დარწმუნებული პიროვნებები ვართ, რატომ არ წარმოვაჩენთ სამყაროს ისეთს, როგორიც სინამდვილეშია, და არა ისეთს, როგორსაც წარმოვიდგენთ ხოლმე?

- საით უმიზნებ? - მეკითხება მანქანების ფაბრიკის მფლობელი.

- გრძელი ისტორიაა: ტოკიოს ბარში მსხდარ ჰანსისა და ფრიცის ისტორიით იწყება. შემეძლო, ჯერ ეს ამბავი მომეთხრო და მერე მონღოლი მომთაბარით გამეგრძელებინა, რომელიც ამბობს, რომ საკუთარი თავის აღმოსაჩენად, უცილებელია, დავივიწყოთ, როგორები ვართ. წარმოგიდგენიათ?

- ვერაფერი გავიგე.

- არ ამიხსნია და როგორ გაიგებდი? - მეღიმება. - მოდით, საინტერესო თემებზე ვისაუბროთ: მინდა, ვიცოდე, რა შემოსავლის პატრონია თითოეული ჩვენგანი და რას ნიშნავს, ამ ფულის გამო იჯდე წვეულების ყველაზე პრესტიჟულ მაგიდასთან.

სიჩუმე! როგორც ჩანს, ჩემი თამაში არ გაგრძელდება. ხალხი შეშინებული შემომყურებს. ეკონომიკური მდგომარეობა სექსზე უფრო მეტად ტაბუდადებული თემაა. მასზე საუბარს, ღალატის, კორუფციის, საპარლამენტო ინტრიგების შესახებ დასმული შეკითხვები ჯობია.

მაგრამ არაბეთის პრინცი საუბრის გაგრძელებას ცდილობს (იქნებ იმიტომ, რომ დაიღალა წვეულებებსა და ბანკეტებზე უაზრო საუბრებით ან იქნებ სწორედ ამ დღეს პირადმა ექიმმა შეატყობინა, მალე მოკვდებიო, ან იქნებ... მოკლედ, არ ვიცი, რა მიზეზით).

- ჩემი ქვეყნის პარლამენტის დადგენილებით, თვეში 20000 ევროს ვიღებ. თუმცა, ეს თანხა ჩემს დანახარჯებს არ შეესაბამება. ამ თანხის გარდა, შემიძლია შეუზღუდავად ვხარჯო „წარმომადგენლობითი“ თანხები. მაგალითად, ახლა აქ საკონსულოს მანქანა და მძღოლი მემსახურება, ეს ტანსაცმელი სახელმწიფო საკუთრებაა. ხვალ, როცა კერძო თვითმფრინავით რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ვიმოგზაურებ, სწორედ „წარმომადგენლობითი“ თანხებით ვისარგებლებ, - ამბობს პრინცი.

დამსწრეთაგან იერარქიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა პრინცი თუ ასე დაუფარავად საუბრობს საკუთარ დანახარჯებზე, არავის აქვს უფლება, მის უდიდებულესობას მხარი არ აუბას. შესაბამისად, სუფრის წევრები იძულებულნი ხდებიან, თამაშში ჩაერთონ და უსიამოვნო კითხვა-პასუხში მონაწილეობა მიიღონ.

- ზუსტად არ ვიცი, რა შემოსავალი მაქვს, - ამბობს „მადლის ბანკის“ ერთ-ერთი კლასიკური წარმომადგენელი, საღამოს ორგანიზატორი (ასეთ ხალხს საზოგადოება

„ლობისტს“ უწოდებს ხოლმე.) - დაახლოებით, 10000 ევრომდე მექნება, მაგრამ კერძო ორგანიზაციებიდან მიღებული „წარმომადგენლობითი“ თანხებით მეც ვსარგებლობ: ვახშმები, საჭმელი, სასტუმროები, ავიაბილეთები, ხანდახან - ტანსაცმელიც. თუმცა, რაიმე განსაკუთრებული ავიალაინერი არ მემსახურება.

ღვინო გაგვითავდა, ორგანიზატორმა ნიშანი მისცა, ჭიქები ისევ აივსო.

ახლა მანქანების ფირმის დირექტორის ჯერი იყო. მართალია, ჩემს იდეას ამრეზით შეხვდა, მაგრამ ეტყობა, ახლა კარგად ერთობოდა.

- დაახლოებით, მეც იგივე მოგება მაქვს და განუსაზღვრელი „წარმომადგენლობითი“ თანხითაც ვსარგებლობ, - სიამაყით განაცხადა.

ერთიმეორის მიყოლებით, ყველა თავის შემოსავალს ამხელდა. ბანკირი ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა: ბანკის აქციების ღირებულების გარდა, წელიწადში, თურმე, ათ მილიონ ევროს იღებდა.

როცა დაუპატიჟებელი ახალგაზრდა ქალის ჯერი დადგა, ქერათმიანმა უკან დაიხია.

- ეს ჩემი „სამზარეულოა“. არავისთვის არ იქნება საინტერესო.

- რა თქმა უნდა, არავის გვაინტერესებს, ჩვენ მხოლოდ ვთამაშობთ, - ეუბნება შეხვედრების ორგანიზატორი.

გოგონა ჯიუტად უარობს. დანარჩენებთან შედარებით, აშკარად უკეთეს მდგომარეობაშია. ჩვენ შორის ერთადერთია, ვისაც საიდუმლო აქვს. ბუნებრივია, მაგიდის წევრები ამრეზით შესცერიან. ამ ახალგაზრდა ქალმა მცირე ხელფასის გამო შერცხვენას თავი აარიდა და უნებურად სხვები შეარცხვინა. თავი იდუმალებით მოცულ ქალად წარმოგვიდგინა, თანაც ისე, რომ ვერც მიხვდა, რომ ეს ხალხი თავისი „წარმომადგენლობითი“ თანხების გადამკიდე, ხშირად ჯოჯოხეთის ზღვარზე ცხოვრობდა. მათი შემოსავალი ხომ ნებისმიერ დროს, თუნდაც - ამ საღამოს, შეიძლება, უკვალოდ გამქრალიყო.

ჩემი რიგიც დადგა.

- გააჩნია. თუ ახალ წიგნს ვაქვეყნებ, წელიწადში შეიძლება, ხუთ მილიონ დოლარამდე მივიღო. სხვა შემთხვევაში, საავტორო უფლებების დაცვით დაბეჭდილი წიგნებიდან 2 მილიონ დოლარს ვჯერდები.

- თქვენ, ალბათ, თქვენი შემოსავლის გამხელა გინდოდათ და ამიტომ წამოიწყეთ ამ თემაზე საუბარი, - თქვა ქერათმიანმა გოგონამ, - მაგრამ შთაბეჭდილება კი ვერავისზე ვერ მოახდინეთ.

მიხვდა, რომ წეღან მცდარი ნაბიჯი გადადგა და ახლა შეტევით ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ ბომბი უკვე დადებული იყო.

- პირიქით, – შეაწყვეტინა პრინცმა, – ეგონა, სხვები მასზე მდიდრები იქნებოდნენ.

ქულა მე დამეწერა. ქერათმიანს მთელი საღამო კრინტი აღარ დაუძრავს.

ფულზე საუბარმა ტაბუდადებულ თემებსაც ფარდა ახადა. დასამალი აღარაფერი იყო. მათთვის „მოგებასა“ და შემოსავლებზე უარესი თემა აღარ არსებობდა.

ოფიციანტი სულ უფრო ხშირად შემოდიოდა, დაუჯერებელი სისწრაფით იცლებოდა ღვინის ბოთლები. ცერემონიის მაესტრო - საღამოს ორგანიზატორი - სცენაზე მეტისმეტად გახარებული ადის, გამარჯვებულს ასახელებს, პრემიას გადასცემს და სასწრაფოდ სუფრასთან ბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ჩვენგანი „კარგი აღზრდის“ ხელოვნებას ფლობს და იცის, რომ სხვისი საუბრის დროს უნდა გაჩუმდეს, ჩვენს სუფრასთან საუბარი არ წყდება.

ვსაუბრობთ იმაზე, თუ რაში ვხარჯავთ აღებულ თანხას (უმეტეს შემთხვევაში, ფული „თავისუფალი დროის“ ყიდვაში, მოგზაურობასა და სპორტის რომელიმე სახეობაში იხარჯება).

ვიფიქრე, იქნებ შევთავაზო და ფულზე არანაკლებ ტაბუდადებულ თემაზე - სიკვდილსა და დაკრძალვაზე - ვისაუბროთ-მეთქი, მაგრამ გარშემო ისეთი მხიარული ატმოსფერო სუფევდა, ხალხი იმდენად გახსნილი და კომუნიკაბელური იყო, რომ დუმილი ვარჩიე.

- ვერ დაგეთანხმებით, რომ ეს თემა ბოლომდე აკრძალულია. ფულზე კი საუბრობენ, მაგრამ ხშირად არ იციან, რა არის ფული, – ამბობს ბანკირი, – რატომ ჰგონია ამ ხალხს, რომ დახატულ ქაღალდს, პლასტიკურ ბარათს ან ლითონის მონეტებს რაიმე ღირებულება აქვს? ყველაზე ცუდი ის არის, რომ თქვენც იცით: ეს ჩვენი ფული, მილიონობით დოლარი, „ელექტროიმპულსებია“ მხოლოდ და მეტი არაფერი. განა ასე არ არის?

რა თქმა უნდა, ასე იყო და ეს ყველამ იცოდა: სწორედ ამ ელექტროიმპულსებისთვის იბრძოდა თითოეული.

- თავიდან სიმდიდრე მხოლოდ მდიდარი ქალბატონების მარგალიტები, ოქროს სამკაულები, ძვირფასი ქვები გვეგონა; სამშვენისები, რაც მარტივად დასათვლელია, მარტივად გასაყოფი, ადვილად გადასატანი. მაგრამ ახლა ესეც გვეცოტავება... ჩვენ ყველანი თითქოს ერთ ადგილას მიჯაჭვულები დავატარებთ საკუთარ ბედისწერას. დრო იყო, როცა სამკაულები საქონელსა და მარცვლეულზე იცვლებოდა, თუმცა ახლა ქუჩაში აღარავინ დადის ხორბლით სავსე ტომრებით. ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ისევ პირველყოფილი ტომებივით ვიქცევით. ძვირფასეულობას დღემდე ჩვენივე სიმდიდრის გამოსაფენად დავატარებთ. ზოგიერთ ჩვენგანს ფულზე მეტი ალბათ სამკაულები აქვს.

- ეს ტომის კოდია, - ვთქვი მე, - ძვირფასი სამკაულების ნაცვლად, ჩემს დროში ახალგაზრდები გრძელ თმას ატარებდნენ, დღეს - პირსინგს იკეთებენ. განსხვავებული ნიშნები საკუთარი თავის იდენტიფიცირებაში ეხმარებათ, მაგრამ გასაყიდად ნამდვილად არ გამოდგება.

- მართალია. ოდესმე თუ გიფიქრიათ: ამ ჩვენი ელექტროიმპულსებით სიცოცხლის ერთი ზედმეტი საათის ყიდვა შეგვიძლია? - არა. იმქვეყნად წასული ჩვენი საყვარელი ადამიანების დაბრუნება შეგვიძლია? - არა.

- შეუძლიათ, - იხუმრა მანქანების კომპანიის დირექტორმა, მაგრამ თვალები უაღრესად სევდიანი ჰქონდა.

ესთერი და ჩემი დილანდელი ინტერვიუ გამახსენდა და ვთქვი: ჩვენი სამკაულები, საკრედიტო ბარათები, სიმდიდრე, ძალაუფლება, ცოდნა - ყველაფერი სიყვარულის ძებნას, ალერსს, სითბოს და საყვარელ ადამიანთან ყოფნას ხმარდება.

- ყოველთვის არა! - თქვა პარფიუმერიის ფაბრიკის დირექტორმა და მე შემომხედა.

- მართალი ხარ. ყოველთვის არა! - ვთქვი და მეც დაჟინებით მივაშტერდი, - და რადგანაც მე მიყურებთ, ვხვდები, რისი თქმაც გინდათ. ჩემმა ცოლმა ხომ, ჩემი სიმდიდრის მიუხედავად, მაინც მიმატოვა, ასე არ არის? ისე, ფულის მცოდნეებად რომ მოგაქვთ თავი, თუ იცით, რამდენი კატა და რამდენი სვეტია გამოსახული ათდოლარიანის უკანა მხარეს?

არავინ არ იცოდა და არც არავის აინტერესებდა. თითქოს სიყვარულზე წამოწყებულმა საუბარმა მხიარულების ატმოსფერო ბოლომდე შთანთქა და ახლა ჯობდა, ისევ ლიტერატურულ პრემიებზე, მუზეუმის გამოფენებზე, დიდ ეკრანზე ახლახან გამოჩენილ ფილმზე, წარმატებულ დადგმებზე გვესაუბრა.

- შენს სუფრასთან რა ხდებოდა?

- არაფერი. როგორც ყოველთვის.

- მე კი ფულის შესახებ საკმაოდ საინტერესო დისკუსია წამოვიწყე. თუმცა ყველაფერი ცუდად დასრულდა.

- რომელ საათზე მიდიხარ?

- აქედან დილის რვის ნახევარზე გავალ. შენც ხომ ბერლინში მიდიხარ, ერთი ტაქსით წავიდეთ.

- სად მიდიხარ?

- იცი! არ გიკითხავს, მაგრამ ნამდვილად იცი.

- ჰო. ვიცი.

- ისიც იცი, რომ ამწუთას უხმოდ ვამბობთ სიტყვას „მშვიდობით“.

- შეგვეძლო, იმ დროში დავბრუნებულიყავით, როცა გაგიცანი. გახსოვს, როგორები ვიყავით მაშინ? შენ - გატეხილი იმის გამო, რომ მიგატოვეს, და მე - თავდავიწყებით შეყვარებული მეზობელ სახლში მცხოვრებ კაცზე. შემეძლო, ახლაც გამემეორებინა, რაც ადრე გითხარი: „ბოლომდე ვიბრძოლებ-მეთქი“, მაგრამ მე უკვე ვიბრძოლე და წავაგე - ახლა ჭრილობები უნდა შევიხორცო და ცხოვრება გავაგრძელო.

- მეც ვიბრძოდი და მეც წავაგე. დახეულის კემსვა აღარ შემიძლია. უბრალოდ, მინდა, ბოლომდე გავიარო გზა, ისტორია დავასრულო.

- ვიტანჯები. იცოდი? თვეებია უკვე ყოველდღე ვიტანჯები და ვცდილობ, დაგანახო, როგორ მიყვარხარ; რომ ჩემთვის საგნები მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა გვერდით მყავხარ. მაგრამ ახლა ტანჯვისა და ტკივილის ჩათვლით, საკმარისია უკვე! გადავწყვიტე და მორჩა! დამთავრდა. დავიღალე. ზაგრებში გატარებული ღამის შემდეგ, თითქოს იარაღი დავყარე და ჩემს თავს ვუთხარი: რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი. რადაც უნდა დამიჯდეს, აბურდულ ძაფის გორგალს გამოვხსნი და ერთ მშვენიერ დღეს მაინც გამოვჯანმრთელდები.

- ვინმეს იპოვი...

- ვიპოვი. ახალგაზრდა, ლამაზი, ჭკვიანი და სასურველი ქალი ვარ. თუმცა, ალბათ, ყოველთვის გამიჭირდება იმ ცხოვრების თავიდან გავლა, რაც შენთან ერთად გავიარე.

- არა უშავს. სხვა ემოციებს იპოვი. და გახსოვდეს, - არ გჯერა, მაგრამ მაინც ყოველთვის გახსოვდეს, - სანამ ერთად ვიყავით, მე შენ მიყვარდი.

- დარწმუნებული ვარ. მაგრამ ჩემს ტკივილს ეგ არ ამსუბუქებს. ხვალ სხვადასხვა ტაქსით წავალთ. მძულს დამშვიდობების სცენები. განსაკუთრებით აეროპორტსა და მატარებლის სადგურზე ნათქვამი სევდიანი „მშვიდობით“.

დაბრუნება ითაკაში

- დღეს აქ დავიძინოთ, ხვალ ცხენით განვაგრძობთ გზას. სტეპის ქვიშებზე მანქანას მოძრაობა გაუჭირდება.

„ბუნკერში“ ვართ. ეს შენობა მეორე მსოფლიო ომის ნაკვალევს მაგონებს. ვიღაც სენიორი, მისი ცოლი და შვილიშვილი ერთხმად გვესალმებიან და მოკრძალებულ, მაგრამ სუფთა ოთახზე მიგვითითებენ.

- ჰო და, არ დაგავიწყდეს, სახელი აირჩიე, - განაგრძო დოსმა.

- არა მგონია, მაგას რამე მნიშვნელობა ჰქონდეს, - თქვა მიხაილმა.

- რა თქმა უნდა, აქვს. - დაიჟინა დოსმა. ახლახან ვიყავი მის ცოლთან. ვიცი, რასაც ფიქრობს, ვიცი რაზეც ფიქრობს, და ვიცი, რას ელოდება.

დოსის ხმა ერთდროულად სასიამოვნოცაა და მრისხანეც.

დიახ, მე სახელს ავირჩევდი; გავაკეთებდი იმას, რაც პირველად მომივიდოდა თავში; საბოლოოდ დავივიწყებდი პირად ისტორიას და ლეგენდას ვიპოვიდი, თუმცა შეიძლება, მხოლოდ წყლის ნაყვას დამგვანებოდა ჩემი ცხოვრება.

დაქანცული ვიყავი. წინაღამეს მხოლოდ ორ საათს მეძინა: სხეულს ჯერ კიდევ უჭირდა შეგუება დროში სხვაობასთან. ალმა-ათაში ადგილობრივი დროით, დაახლოებით, ღამის თერთმეტ საათზე ჩამოვედი - ამ დროს კი საფრანგეთში საღამოს 6 საათი იყო.

მიხაილმა სასტუმროში დამტოვა. ცოტა გამოვიძინე, ალიონზე გამეღვიძა. ქვემო სართულზე სინათლეს მოვკარი თვალი და ვიფიქრე, რომ პარიზში ახლა ვახშმობის დრო იყო. მშიოდა. სასტუმროს მოსამსახურეს ვთხოვე, იქნებ რამე მაჭამოთ-მეთქი. „რა თქმა უნდა, მაგრამ ახლა თქვენ ძალების აღდგენა და დაძინება გჭირდებათ, ჯობია, ორგანიზმი ევროპის დროიდან არ ამოვარდესო“.

დაძინებას ყველაზე დიდი ძალისხმევა სჭირდება. სენდვიჩი შევჭამე და გასეირნება გადავწყვიტე. სასტუმროს წარმომადგენელს ჩვეული კითხვა დავუსვი: „ასეთ დროს ქუჩაში გასვლა უსაფრთხოა?“ - „კიო“, - მითხრა და მეც დაცარიელებულ ქუჩებს, ვიწრო შუკებს, გრძელ გამზირებს მივაშურე.

ჩვეულებრივი ქალაქი იყო - განათებული აბრებით, დროდადრო ჩავლილი პოლიციის მანქანებით, ერთი მათხოვრით აქ, ერთი მეძავით - იქ. ხმამაღლა და, რაც შეიძლება, ბევრჯერ უნდა გამემეორებინა: „მე ყაზახეთში ვარ“, თორემ შეიძლება, დამეჯერებინა, რომ პარიზის რომელიმე იაფფასიან, უცნობ უბანში დავბოდიალობდი.

„მე ყაზახეთში ვარ,“ - მანამდე ჩავძახოდი ცარიელ ქალაქს, სანამ პასუხი არ გამცა:

- რა თქმა უნდა, ყაზახეთში ხარ!

შიშისაგან კინაღამ მოვკვდი. ამ შუაღამისას პარკში, მერხზე, ჩემ გვერდით ვიღაც კაცი იჯდა. ზურგჩანთა იქვე მიეგდო. წამოდგა, მომიახლოვდა და თავი წარმომიდგინა: ჰოლანდიიდან ვარ, იანი მქვია. მერე კი დაამატა:

- მე ვიცი, აქ რისთვის ჩამოხვედით.

რა ხდება? მიხაილის მეგობარია, თუ უკან საიდუმლო პოლიციის ჯაშუში დამყვება?

- რისთვის ჩამოვედი? - ვკითხე და შევეცადე, შიში არ გამემჟღავნებინა.

- რისთვისაც - მე: სტამბულში აბრეშუმის გზის სანახავად მიდიხართ.

შვებით ამოვისუნთქე. გადავწყვიტე, საუბარში ავყოლოდი.

- ფეხით? თქვენ მთელი აზია შემოგივლიათ.

- მჭირდებოდა. ცხოვრებით უკმაყოფილო ვიყავი. წარმოიდგინეთ, ფული მაქვს, ცოლიც მყავს, შვილიც, როტერდამში წინდების ფაბრიკის დირექტორი ვარ. რაღაც პერიოდის განმავლობაში ვიცოდი, რომ ოჯახური სიამტკბილობისთვის ვიბრძოდი. ახლა აღარ ვიცი; რაც ადრე მიხაროდა, მოწყენილობამ გადაფარა. დაღლილობა შემომეჩვია. ჩემი ქორწინების სახელით; შვილების სიყვარულის სახელით; სამუშაოს პატივისცემის სახელით; ორი თვე საკუთარი თავისათვის გავიმეტე. ჩემი ცხოვრება შორიდან უნდა დავინახო. სხვათა შორის, შედეგი უკვე მაქვს.

- ბოლო თვეების მანძილზე მეც იმავეს ვაკეთებდი. როგორ გგონიათ, ჩვენნაირი პილიგრიმები ბევრნი არიან?

- ბევრნი. უამრავი. თუმცა უსაფრთხოების პრობლემები მაინც არსებობს. ზოგიერთი ქვეყანა რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში იმყოფება. „დასავლეთელები“ სძულთ, მაგრამ ხანდახან გვწყალობენ. მე მგონი, პილიგრიმებს ყოველთვის პატივს სცემდნენ, თუ დაამტკიცებდნენ, რომ ჯაშუშობას არ კადრულობენ. მაგრამ ახლა, რატომღაც, მომეჩვენა, თითქოს თქვენ აქ სულ სხვა მიზეზით იმყოფებით. აბა, რას აკეთებთ ალმა-ათაში?

- რასაც თქვენ. ჩემი საკუთარი გზის ბოლომდე გასავლელად ჩამოვედი. ვერც თქვენ დაიძინეთ?

- არა, ახლახან გავიღვიძე. რაც უფრო ადრიანად გავალ, მეორე ქალაქამდე მიღწევის მეტი შესაძლებლობა მექნება - წინააღმდეგ შემთხვევაში, სტეპის სიცივეში, ღია ცის ქვეშ მომიწევს ღამის გატარება. აქ ხომ სულ ქარი ქრის.

- მაშინ, კეთილი მგზავრობა.

- არ წახვიდეთ. ცოტა ხანს კიდევ დარჩით. საუბარი მჭირდება, გამოცდილების გაზიარება. პილიგრიმების უმრავლესობა ინგლისურად ვერ ლაპარაკობს, - მითხრა ჰოლანდიელმა და სანამ მე ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების დამაკავშირებელ აბრეშუმის უძველეს კომერციულ გზაზე წაკითხული ინფორმაციის გახსენებას ვცდილობდი, თავისი ცხოვრება დაწვრილებით მიამბო.

ყველაზე ტრადიციული გზა ბეირუთის გავლით ანტიოქიაზე გადიოდა და ჩინეთში, ყვითელი მდინარის ნაპირებთან მიდიოდა. შუა აზიაში გაჭიმული გზების უზარმაზარი ქსელი სხვადასხვა მიმართულებით იტოტებოდა. გზის ამგვარი დანაწევრება კომერციული ადგილების შექმნამ გამოიწვია. ეს ადგილები

მოგვიანებით ქალაქებად გადაიქცა, რომლებიც ერთმანეთის მოქიშპე ტომებმა დაანგრიეს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კი კვლავ სცადეს მათი აღდგენა.

შესაძლებელი იყო პრაქტიკულად ყველანაირ საქონელს სწორედ ამ გზით ემოძრავა. ეს იქნებოდა ოქრო, ეგზოტიკური ცხოველები, სპილოს ძვალი, მარცვლეული, პოლიტიკური იდეები, სამოქალაქო ომის ემიგრანტები, შეიარაღებული დაჯგუფებები თუ ქარავნების დამცველი საჯარისო ნაწილები. მაგრამ აქ აბრეშუმი ყველაზე ძვირფას და სასურველ „პროდუქტად“ ითვლებოდა. სხვათა შორის, ბუდიზმმაც ჩინეთიდან ინდოეთში ჩასასვლელად სწორედ ამ გზის განშტოებებით ისარგებლა.

- ანტიოქიიდან ორასი დოლარით წამოვედი, წარმოგიდგენიათ? - გააგრძელა ჰოლანდიელმა, როცა მთები, პეიზაჟები, უცნაური ტომები, სხვადასხვა ქვეყნების პატრულებისა და პოლიციელების პრობლემები დაწვრილებით აღწერა, - არ ვიცი, თუ გესმით, რის თქმა მინდა, მაგრამ ჩემთვის აუცილებელი იყო, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავს დავბრუნებოდი და გამეგო, ვინ ვარ.

- იმაზე უკეთესად მესმის, ვიდრე თქვენ გგონიათ.

- იძულებული გავხდი, მემათხოვრა, მოწყალება მეთხოვა. მივხვდი, რომ უბრალო ხალხი იმაზე ჭკვიანია, ვიდრე მე წარმომედგინა.

„ემათხოვრა?“ - ყურადღებით შევათვალიერე მისი ზურგჩანთა და ტანისამოსი, - ტომის სიმბოლოს ვეძებდი, მაგრამ სულ ტყუილად, მსგავსი ვერაფერი შევნიშნე.

- ოდესმე პარიზის სომხურ რესტორანში თუ ყოფილხართ?

- სომხურ რესტორნებში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ პარიზში - არასოდეს.

- ვინმე მიხაილს თუ იცნობთ?

- მიხაილს? აქ საკმაოდ გავრცელებული სახელია. შეიძლება, ვიცნობ კიდეც, მაგრამ ვერ ვიხსენებ. სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით.

- არა. დახმარება არ მჭირდება. უბრალოდ, ასეთი საოცარი დამთხვევებით გაოგნებული ვარ. როგორც ჩანს, უამრავი ადამიანი სამყაროს ნებისმიერ ადგილას ერთნაირად ფიქრობს და ერთნაირად იქცევა.

- ალბათ. როცა პილიგრიმობას ვიწყებთ, შიშს ვგრძნობთ. გვგონია, ვერასოდეს მივაღწევთ სასურველ მიზანს, მეორე - მიუსაფრობის, უძლურების შიში და დღედაღამ უკან დახევაზე ფიქრი გვეუფლება. ერთი კვირაა ძნელი, თუ გაუძელი, ბოლომდე აუცილებლად გახვალ.

- პილიგრიმივით მეც ბევრი მიხეტიალია, ახლა აქ ჩამოვედი. შეიძლიება, დაგლოცოთ?

უცნაურად შემომხედა.

- რელიგიური მიზნებით არ ვმოგზაურობ. თქვენ რა, მღვდელი ბრძანდებით?

- არა, მაგრამ ვიგრძენი, რომ ასე უნდა მოვიქცე. მოგეხსენებათ, ხშირად ჩვენს მოქმედებებს ლოგიკა არ გააჩნია. ვერ ავხსნით!

ჰოლანდიელმა, სახელად იანმა, რომელიც შემდეგ აღარსად შემხვედრია, თავი დახარა და თვალები დახუჭა. მე ხელები მხრებზე შემოვხვიე და ჩემი მშობლიური ენით, რომელსაც ის ვერასოდეს გაიგებდა, ვთხოვე, რომ საკუთარ ბედს დაუფიქრებლად შეხვედროდა. სევდა და ის აზრი, თითქოს ამ ცხოვრებაში ყველაფერი უაზრობაა, აბრეშუმის გზაზე ხეტიალში დაეტოვებინა და ოჯახს წრფელი, ნათელი სულითა და ანთებული, გაბრწყინებული თვალებით დაბრუნებოდა.

ჰოლანდიელმა მადლობა გადამიხადა, ზურგჩანთა აიღო და გზა განაგრძო. სასტუმროსკენ მიმავალი ვფიქრობდი: არავინ არასოდეს დამილოცავს! მაგრამ წეღან იდუმალ ძალას დავემორჩილე; უცნაურ იმპულსს, ენერგიას მივენდე და ახლა მჯეროდა, რომ ჩემს ლოცვას აუცილებლად შეისმენდნენ.

მეორე დღეს მიხაილი მეგობართან ერთად გამომეცხადა: ჩვენთან ერთად წამოვაო, - მითხრა. მეგობარს დოსი ერქვა, ჰყავდა მანქანა და ჩემს ცოლს იცნობდა. კიდევ? სტეპებსაც იცნობდა და სანამ ესთერის სოფლამდე მივაღწევდი, მასაც ჩემ გვერდით ყოფნის სურვილი ჰქონდა. მერე კი, მიხაილივით, მარტო დატოვების პირობას მაძლევდა.

ვიფიქრე, ახლა წუწუნს დავიწყებ-მეთქი: ჯერ - მიხაილი, ახლა კიდევ - ვიღაც მეგობარი, და ვინ იცის, სანამ ბოლომდე მივაღწევდი, იქნებ ტაშის დამკვრელებისა და ცრემლიანი ხალხის მთელი ჯგუფიც გამომყოლოდა!

ნეტავ რა მელოდა? მაგრამ მეტისმეტად დაღლილი ვიყავი და სიტყვის თქმის თავიც არ მქონდა. ხვალ კი აუცილებლად მოვითხოვდი პირობის შესრულებას და ესთერთან შეხვედრისას ყველა მოწმეს დავიფრენდი.

მანქანაში ვსხდებით, ერთხანს აბრეშუმის გზას მივუყვებით. მეკითხებიან, თუ იცი, ეს რა გზაა. ვუყვები, რომ წუხელ ერთი ადამიანი გავიცანი, რომელიც სწორედ ამ გზაზე მოგზაურობს. როგორც ამბობენ, ამგვარი მოგზაურების რიცხვი უფრო და უფრო მატულობს, რაც ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

ორი საათის მგზავრობის შემდეგ, ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ და შედარებით ვიწრო გზას დავადექით. მალე იმ „ბუნკერთან“ გავჩერდით, სადაც ამწუთას ვიმყოფები, თევზს მივირთმევ და სტეპში ამოვარდნილი გაავებული ქარის ქროლას ვუსმენ.

- ესთერი მნიშვნელოვანი ადამიანი იყო ჩემთვის, - მიხსნის დოსი და საკუთარი ნახატის ფოტოს მაჩვენებს, სადაც ნათლად ჩანს სისხლით დალაქავებული ქსოვილის ნაგლეჯი, - მეც აქედან წასვლაზე ვოცნებობდი... ოლეგივით...

- მიხაილი დამიძახე, ასე ჯობია, თორემ დაიბნევა.

- ჰო! ჩემი ტოლი ახალგაზრდებივით აქედან გაღწევაზე ვოცნებობდი. ერთ დღეს ოლეგმა - ან, უფრო სწორად, მიხაილმა დამირეკა. მითხრა, რომ მისმა კეთილისმსურველმა რაღაც დროის მანძილზე სტეპში დარჩენა გადაწყვიტა. დაეხმარეო, მთხოვა. კარგი-მეთქი, - ვუთხარი და გავიფიქრე: ხელსაყრელი შემთხვევაა. მიხაილივით მეც ჩემსას მივაღწევ და მივიღებ ვიზას, ბილეთს და პარიზში სამუშაოს-მეთქი. მთხოვა, შორეულ სოფელში წამეყვანა, სადაც ერთხელ ერთად ვიყავით, იქ დარჩენა უნდაო.

მიზეზი არ მიკითხავს. უსიტყვოდ დავემორჩილე. გზაში ქალი გამიჯიუტდა: წლების წინ რომ ვიყავი, იმ მომთაბარის სახლში გავიაროთო. თქვენ წარმოიდგინეთ, პაპაჩემის ნახვა სურდა! ამ დაუსრულებელი, თვალუწვდენელი სივრცეებისათვის დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს. პაპამ უთხრა: „შენ გგონია, სევდიანი ხარ, მაგრამ, სინამდვილეში, შენს სულში სიხარული, თავისუფლება და სიყვარულის ენერგია განუწყევტლივ ბრუნავსო“. დაარწმუნა, შენი ქმრის ჩათვლით, მთელი სამყაროსთვის მნიშვნელოვანია ეს ცვლილებაო. სტეპის კულტურაზე უამრავი რამ უამბო და უამრავი რამ უჩვენა. მერე მე მიხმო: რაც მე ვერ მოვასწარი, შენ გაბარებ, ასწავლე და გაუფრთხილდი. აბა, შენ იციო, - მითხრა.

ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ პაპა ტრადიციას წინ აღუდგა: გადაწყვიტა, ესთერისთვის სახელი არ შეეცვალა.

და სანამ ეს ქალი პაპაჩემისგან სწავლობდა, მე მისგან ვიღებდი მაგალითს. მივხვდი, მიხაილივით შორს გამგზავრება საჭირო არ იყო: ჩემი მისია აქ, სტეპებში, ცარიელ სივრცეში ყოფნა, მისი ფერების აღმოჩენა და მათი ნახატებად გადაქცევა იყო...

- რაღაც კარგად ვერ გავიგე, ჩემი ცოლი რას სწავლობდა? რა საჭირო იყო? შენს პაპას ხომ უთქვამს, ყველაფერი უნდა დავივიწყოთო...

- ხვალ შენც ისწავლი და სხვა მნიშვნელოვან „რამეებსაც ნახავ,“ - მითხრა დოსმა.

მითხრა და მეორე დღეს უსიტყვოდ მაჩვენა კიდეც:

გაშეშებული ვიდექი და დაუსრულებელ სტეპს გავცქეროდი. უდაბნოს ჰგავდა, მაგრამ დაბალ, მიწიდან ამოხეთქილ მცენარეებს შორის მიმალული სიცოცხლით იყო სავსე. მთელ ჰორიზონტს ვხედავდი: უზარმაზარი ცარიელი სივრცე, ცხენების ფლოქვების თქარათქური, მიწყნარებული, მშვიდი ქარი და სხვა არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ ჩანდა ირგვლივ. თითქოს სამყაროს ამ ადგილას დამალვა გადაეწყვიტა, რომ თავისი უსაზღვროება, უბრალოება და სირთულე -

ერთდროულად დაემტკიცებინა ჩვენთვის. ჩვენ კი თითქოს შეგვეძლო, თითქოს ვალდებულები ვიყავით, ამ ცარიელ, უკიდეგანო და სიცოცხლით სავსე სტეპს დავმგვანებოდით.

ცას ავხედე და მზის სათვალე მოვიხსენი - მინდოდა, სინათლე თვალებში ჩამღვროდა და საოცარი გრძნობით აღვსილიყავი; იმ გრძნობით, რომელიც თითქოს არსად იყო, მაგრამ მაინც ყოველი კუთხიდან იჭყიტებოდა.

ცხენებზე უხმოდ ავმხედრდით. მხოლოდ ნაკადულებთან ვჩერდებოდით, ცხენებს წყალს ვასმევდით და ისიც მაშინ, როცა დოსი ბრძანებდა, რადგან მან კარგად იცოდა, სად შეიძლებოდა გაჩერება.

ხანდახან ჰორიზონტზე, სადღაც, ცასა და უზარმაზარ ვაკეს შორის, თითო-ოროლა მხედარი, მწყემსი და ნახირი თუ გამოჩნდებოდა...

სადამდე უნდა გვევლო? არ ვიცოდი და არც მაინტერესებდა. ქალი, ვისაც ვეძებდი, აქ, ამ უკიდეგანო სივრცეში იმყოფებოდა; ახლა შემეძლო, მის სულს შევხებოდი და იმ მელოდიისათვის მომესმინა, რომელსაც ხალიჩების ქსოვისას მღეროდა, ალბათ. უკვე ვხვდებოდი, რატომ აირჩია ეს ადგილი: არაფერს, სრულიად არაფერს არ შეეძლო მისი ყურადღების გაფანტვა და ამიტომ სიცარიელე, ამდენ ხანს რომ ეძებდა; და ქარი, სტეპებში რომ დანავარდობდა, ნელ-ნელა ბოლომდე წაშლიდა მის ტკივილს. ნეტავ თუ წარმოიდგენდა, რომ მე ოდესმე აქ ჩამოვიდოდი, ცხენზე ავმხედრდებოდი და ამდენს ვივლიდი?

თავი სამოთხეში მეგონა და ვხვდებოდი, რომ ეს ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი წუთები იყო. აქა ვარ! და მე არა მაქვს წარსული, არა მაქვს მომავალი... მხოლოდ ამ დილას ვეკუთვნი, ცხენების ნალების თქარათქურს ვუსმენ და სხეულზე ტკბილად მოალერსე ქარს, ცის ტკბობით გამოწვეულ მოულოდნელ მადლს, დედამიწასა და ჩემ გვერდით მომავალ ორ ადამიანს ვგრძნობ. ექსტაზის, ტკბობისა და მადლიერების გრძნობა მეუფლება. მიხარია, რომ ცოცხალი ვარ!

ხმადაბლა ვლოცულობ, ბუნების ხმას ვუსმენ და ვხვდები: უჩინარი სამყარო ყოველთვის ხილულში ვლინდება.

ცას შევყურებ და იმ კითხვებს ვუსვამ, ბავშვობაში დედას რომ ვუსვამდი ხოლმე:

რატომ გვიყვარს ზოგიერთი ადამიანი და რატომ გვძულს სხვები?

სად მივდივართ სიკვდილის შემდეგ?

რატომ ვიბადებით, თუ ბოლოს მაინც უნდა მოვკვდეთ?

რას ნიშნავს ღმერთი?

სტეპი ქართან ხმაშეწყობილად მეხმიანება. ეს უკვე საკმარისია: ყოველთვის ვიცით, რომ ცხოვრების ფუნდამენტურ შეკითხვებს პასუხი არასოდეს გაეცემა, თუმცა კი შეჩერების უფლება არა გვაქვს - წინ უნდა ვიაროთ!

ჰორიზონტზე მთები რომ გამოჩნდა, დოსმა გვთხოვა, გავჩერდეთო. იქვე ახლოს ნაკადული შევნიშნე.

- მოდი, აქ დავბანაკდეთ.

ცხენებს ხურჯინები ჩამოვხსენით და კარავი გავშალეთ. მიხაილმა მიწის ამოთხრა დაიწყო.

- მომთაბარეები ასე იქცევიან ხოლმე. ორმოს თხრიან, ქვებით ავსებენ და კიდეებზე ლოდებს უწყობენ - კოცონის დასანთებ ადგილს აშენებენ. ქარი ვეღარ შეაწუხებთ.

ჩრდილოეთით, მთებსა და ჩვენს შორის, მტვრის ღრუბელი გამოჩნდა. ალბათ, ცხენების გაუთავებელი ჭიხვინის მიზეზი სწორედ ეს იყო. ყურადღება გავამახვილე: ჩემი ორი მეგობარი სწრაფად წამოდგა. დაიძაბნენ, სუნთქვაშეკრულებმა მიაყურადეს. მერე ერთმანეთს რუსულად რაღაცა გადაულაპარაკეს და დამშვიდდნენ. დოსმა კარვის გაშლა განაგრძო, მიხაილმა - კოცონის დანთება.

- რა ხდება? შეგიძლია, ამიხსნა?

- სანამ ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ თითქოს ცარიელ სივრცეში ვიმყოფებოდით, თუ შეამჩნიე, რამდენი მწყემსი, ხვლიკი, მელია და ბედაური შეგვხვდა? ალბათ, ამ ყველაფრის შემხედვარეს კითხვებიც გაგიჩნდებოდა: საიდან მოდის ეს ხალხი? სად ცხოვრობენ? სად აბინავებენ ნახირსა და ფარას? სიცარიელის შეგრძნება მხოლოდ ილუზიაა: განუწყვეტლივ გვათვალიერებენ და განუწყვეტლივ ვათვალიერებთ ჩვენც. უცხოელისთვის, რომელსაც სტეპის „ნიშნების“ წაკითხვა არ შეუძლია, ყველაფერი რიგზეა. ის მხოლოდ ცხენებსა და მხედრებს ხედავს. ჩვენთვის კი, ვინც აქ გავიზარდეთ, იურტას შემჩნევა უცხო არ არის. იურტა პეიზაჟთან შერწყმულ მრგვალ სახლებს ჰქვია. ჩვენ ვიცით და ზუსტად ვკითხულობთ იმას, რაც ირგვლივ ხდება. ამჩნევთ, როგორ მოძრაობენ და რა მიმართულებას ირჩევენ ცხენები; უძველეს დროში, უამრავი დამპყრობლისა და კონტრაბანდისტისგან ტომის გადარჩენა მათზე იყო დამოკიდებული. ახლა ცუდი ამბავი უნდა გითხრა: აქაურებმა უკვე იციან, რომ ჩვენ იმ მთის მახლობელი სოფლისაკენ მივემართებით. ჩვენს მოსაკლავად ხალხი გამოაგზავნეს. ბოლო უნდა მოუღონ საშინელ ჯადოქარს, რომელიც თურმე გამოცხადებას ხედავს, და უცხოელ სტუმარს, რომელიც უცხოელი ქალის სიმშვიდის დასარღვევად ჩამოვიდა.

გადავიხარხარე.

- მოიცა: ცოტა ხანში თვითონვე დარწმუნდები, - გაეღიმა მიხაილსაც.

მხედრები თანდათან გვიახლოვდებოდნენ. უკვე თავისუფლად შეიძლებოდა გარჩევა, რა ხდებოდა.

- ჩვეულებრივი ამბავი არ უნდა იყოს: შეხედე, ცხენოსან ქალს კაცი მოსდევს.

- ჰო, ჩვეულებრივი საქციელი არ არის, მაგრამ ჩვენი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია.

ქალმა გვერდით ჩაგვიქროლა და დოსს გაუღიმა, თითქოს მიესალმა და კეთილი მგზავრობა უსურვა. ხელში მათრახი ეჭირა და ჩვენს ბანაკს ცხენის ჭენებით გარს უვლიდა. ოფლად გაღვრილი კაციც ღიმილით მოგვესალმა.

- რატომ იქცევა ნინა ასე სასტიკად, რაში სჭირდება ეს?

- რომ არ სჭირდება, იმიტომაც იქცევა ასე. მთავარია, ლამაზია და კარგი ცხენი ჰყავს, - უპასუხა დოსმა.

- მაგრამ ის ყველას იწვევს.

- მე ერთხელ დავეწიე, - ამაყად თქვა დოსმა.

- რადგან ინგლისურად საუბრობთ, ალბათ, გინდათ, რომ მეც გავიგო. მაშინ, ამიხსენით.

ქალი იცინოდა და სულ უფრო სწრაფად აჭენებდა ცხენს. მისი სიცილი სტეპებს სიხარულით ავსებდა.

- კაცის მოხიბვლის ასეთი ფორმაა, მეტი არაფერი. კუზ-კუუ ჰქვია. „გოგონას ჩამოქვეითებას“ ნიშნავს. ბავშვობაში და ახალგაზრდობაში ჩვენც ბევრჯერ მიგვიღია მონაწილეობა.

მხედარი ნინას თანდათან უახლოვდებოდა, მაგრამ აქედანაც ცხადად ვამჩნევდით, რომ მისი ცხენი ვეღარ სუნთქავდა.

- ცოტა მოგვიანებით ტენგრიზე გიამბობ. სტეპების კულტურაა, - განაგრძო დოსმა, - მაგრამ რადგან ამ სცენას შეესწარი, ბარემ ერთ მნიშვნელოვან რამესაც აგიხსნი: აქ, ამ მიწაზე, თუ ვინმე მბრძანებლობს, ქალია. გზას ყოველთვის უთმობენ და განქორწინების შემთხვევაშიც ქონების ნახევარს ყოველთვის იღებს. როცა მამაკაცი ჩალმიან ქალს ხედავს, ხვდება, რომ ის ქალი დედაა.

ასეთ დროს გულზე ხელს ვიდებთ და პატივისცემის ნიშნად თავს ვხრით.

- „გოგონას ჩამოქვეითება“ რას ნიშნავს?

- ესეც ტრადიციაა. ამ გოგონას ნინა ჰქვია. სტეპებში ყველაზე სასურველი ქალია. იმ მთის ძირში სოფლელი მამაკაცები და ეს ქალი ერთად შეიკრიბნენ და თამაში

წამოიწყეს. წეღან გითხარი, თამაშს კუზ-კუუ ჰქვია. უხსოვარი დროიდან მოდის. როცა სტეპებში მებრძოლი ქალები, ამორძალები არსებობდნენ. იმ დროს ოჯახისაგან არავინ ითხოვდა დაქორწინების ნებართვას: ცხენზე ამხედრებული გოგონა და პრეტენდენტი ვაჟები განსაზღვრულ ადგილას იკრიბებოდნენ. გოგონა ცხენს მათ გარშემო აჭენებდა, გამომწვევად იცინოდა, ვაჟებს მათრახს ურტყამდა და იქამდე შეურაცხყოფდა, სანამ ყველაზე მამაცი უკან არ გამოედევნებოდა. თუ გოგონა შემთხვევით ხელიდან გაუსხლტებოდა, ჯობდა, ვაჟს მიწა გასკდომოდა და სამუდამოდ თან ჩაეტანა, რადგან სოფელში დაბრუნებულს, ცუდ მხედრად აღიარებდნენ. ცუდი მხედრობა კი ვაჟკაცისათვის დღემდე ყველაზე საშინელი სირცხვილია.

ის, ვინც ქალთან მიახლოებას შეძლებდა, მათრახს წაართმევდა და ცხენიდან ჩამოაქვეითებდა, ნამდვილი მამაკაცი იყო, და შეეძლო, ქალისათვის ეკოცნა და მასზე დაქორწინებულიყო. რა თქმა უნდა, მაშინაც და ახლაც ქალებმა კარგად იციან, ვის უნდა გაუსხლტნენ და ვის დაელოდონ...

როგორც ჩანს, ნინას მხოლოდ გართობა უნდოდა. ბიჭს გაუსწრო და ახლა უკვე სოფლისაკენ მიქროდა.

- გაგვეპრანჭა. ახლა იცის, რომ იქით მივდივართ და სოფელში ყველას შეატყობინებს.

- ორი შეკითხვა მაქვს. პირველი შეკითხვა შეიძლება, სულელურად მოგეჩვენოთ: ახლაც ასეთი წესით ირჩევენ საქმროებს?

დოსმა მითხრა, რომ დღეს უბრალო თამაშის მოწმე გავხდი. აქ კუზ-კუუს თამაში გართობის ისეთივე საშუალება იყო, როგორც დასავლეთის ქვეყნების ხალხებისათვს - სეირნობა, ბარებსა და მოდურ ადგილებში სტუმრობა.

- ნინამ ბიჭების უმრავლესობა უკვე მრავალჯერ შეურაცხყო, საუკეთესოებს ჩამოქვეითების ნებაც დართო. განა იგივე არ ხდება ევროპულ დისკოთეკებზე? - გამიღიმა დოსმა, - კიდევ რა უნდა გეკითხა?

- მეორე შეკითხვა უფრო იდიოტურად ჟღერს: ჩემი ცოლი, აი, იმ მთების კალთებზე შეფენილ სოფელში ცხოვრობს?

დოსმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- და კიდევ. თუ მხოლოდ ორი საათიღა დაგვრჩა სოფლამდე მისასვლელად, აქ რატომ უნდა გავათიოთ ღამე? დაღამებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. მისვლას მოვასწრებთ.

- მართლაც ორი საათის სავალია, მაგრამ აქ შესაყოვნებლად მიზეზები გვაქვს. პირველი: რადგან ნინა აქამდე მოვიდა, ალბათ, ვინმე დაგვინახავდა კიდეც და, შესაბამისად, ესთერსაც უკვე ეცოდინება, რომ მის სანახავად მივდივართ. ჰოდა, რადგან ეცოდინება, სურვილის მიხედვით იმოქმედებს - თუ ჩვენს ნახვას არ

მოინდომებს, რამდენიმე დღით სხვა სოფელში გადავა. ამ შემთხვევაში მის გადაწყვეტილებას დავემორჩილებით და ძებნას აღარ დავუწყებთ.

გული გამიჩერდა.

- წავა? სად წავა? მიუხედავად იმისა, რომ მის სანახავად ამდენი ვიწვალე?

- ეგ აღარ გაიმეორო! როგორც ჩანს, ვერაფერი გაგიგია! შენ რა, ფიქრობ, რომ სამაგიეროდ მის მორჩილებასა და მადლობებს მიიღებ? აქ იმიტომ ჩამოხვედი, რომ ეს შენი გზა იყო, და არა იმიტომ, რომ შენი ცოლის სიყვარული გეყიდა!

როგორ უსამართლობადაც უნდა მომჩვენებოდა, დოსი მართალი იყო.

- ბარემ მეორე მიზეზიც მითხარი.

- შენ ჯერ კიდევ არა გაქვს სახელი.

- ხომ გითხარი, არ არის-მეთქი მნიშვნელოვანი, - დაიჟინა მიხაილმა, - ის ხომ უცხოელია.

- მისთვის არა, ჩემთვისაა მნიშვნელოვანი, - შეეკამათა დოსი, - პაპამ მითხრა, უცხოელი ქალი დაიცავი და დაეხმარე, ისევე, როგორც ის გიცავდა და გეხმარებოდაო. ჩემი თვალების სიმშვიდეს ესთერს უნდა ვუმადლოდე. მინდა, რომ მის თვალებშიც დავინახო სიმშვიდე... სახელი აუცილებლად უნდა აირჩიოს, სამუდამოდ უნდა დაივიწყოს ტკივილი, ტანჯვა და ახალ ადამიანად იქცეს - თითქოს ახლახანს დაიბადა. მეტიც, ამიერიდან ყოველდღე ხელახლა უნდა დაიბადოს. თუ ასე არ იზამს, დარწმუნებული ვარ, როცა ისევ ერთად იქნებიან, ერთ მშვენიერ დღეს სამაგიეროს გადაუხდის იმისათვის, რაც მის გამო გადაიტანა.

- იცით, გუშინ უკვე ავირჩიე სახელი, - ვთქვი მე.

- ძალიანაც კარგი. მაშინ მზის ჩასვლას დაველოდოთ და მერე მითხარი.

როგორც კი მზე ჰორიზონტს მიუახლოვდა, სტეპის მოშიშვლებული ადგილისაკენ გავეშურეთ. ეს ადგილი უდაბნოს ჰგავდა. ქვიშის უზარმაზარი მთები აღმართულიყო და უცნაური ზუზუნი მესმოდა - სივრცეს ექოს ძლიერი ვიბრაცია ავსებდა.

- ასეთი ადგილი ძალიან ცოტაა მსოფლიოში, აქ დიუნები მღერიან, - მითხრა მიხაილმა, - როცა პარიზში ეს ამბავი მოვყევი, მხოლოდ იმიტომ დამიჯერეს, რომ ვიღაც ამერიკელმა დამიდასტურა: მსგავსი რამ აფრიკის ჩრდილოეთშიც მინახავსო. მსოფლიოში მხოლოდ ოცდაათი მსგავსი ადგილი ყოფილა. დღესდღეობით ამ მოვლენას მეცნიერებმა ახსნა უკვე მოუძებნეს: სპეციფიკური სტრუქტურის გამო, ქარი თურმე ქვიშის მარცვლებში აღწევს და ასეთ ხმას გამოსცემს. აქაური მოხუცებისთვის კი ეს მაგიური ადგილია. ამიტომ გადაწყვიტა დოსმა, რომ სწორედ აქ შეეცვალა შენთვის სახელი.

სანამ დიუნებზე ასვლას ვცდილობდით, ხმა თანდათან ძლიერდებოდა და ქარი სულ უფრო მეტად უბერავდა. როცა მაღლა ავაღწიეთ, შორს ჩრდილოეთის ბრწყინვალე მთები გამოჩნდა, ირგვლივ კი უზარმაზარი ვაკე გადაგვეშალა.

- დასავლეთისაკენ შებრუნდი და ტანსაცმელი გაიხადე, - მიბრძანა დოსმა. ბრძანება შევასრულე. მიზეზი არ მიკითხავს.

ვიყინებოდი. მციოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ჩემს ჯანმრთელობაზე სულაც არ ღელავდნენ. მიხაილმა მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო. დოსმა ჯერ ცას ახედა, მერე მიწას ჩააშტერდა და მე შემომხედა. ხელები მხრებზე ისე შემომაწყო, როგორც მე - იმ ღამეს, ჰოლანდიელ პილიგრიმს რომ ქვეცნობიერად ვლოცავდი.

- დღეს მე ღვთისმშობლის სახელით გაკურთხებ. გაკურთხებ დედამიწის სახელით, რომელიც თავად არის ღვთისმშობელი; გაკურთხებ ბედაურის სახელით და შევთხოვ, სიარულში დაგეხმაროს; გაკურთხებ უკიდეგანო სტეპების სახელით. გაკურთხებ უსაზღვრო სიბრძნის სახელით და შევთხოვ, რომ შენი ჰორიზონტი იმაზე მეტად გაიშალოს და გავრცელდეს, ვიდრე ახლა ხედავ. შენ აირჩიე შენი სახელი და ამ სახელს აქ პირველად წარმოთქვამ.

- თვალუწვდენელი სტეპების სახელით, მე ავირჩიე ჩემი სახელი, - ვუპასუხე ისე, რომ არც მიკითხავს, რიტუალის შესაბამისად თუ ვიქცევი-მეთქი. მომეჩვენა, თითქოს დიუნების ქარის ხმა მეთანხმებოდა...

- მრავალი საუკუნის წინ ერთმა პოეტმა ერთი პილიგრიმი კაცის ხეტიალი აღწერა. იმ კაცს ოდისევსი ერქვა და საყვარელი ქალის ადგილსამყოფელისკენ, კუნძულ ითაკისაკენ მიიჩქაროდა. ქარიშხლებსა და გრიგალებს გაუძლო, უამრავ დაბრკოლებას წინ აღუდგა და ერთ მშვენიერ დღეს გამოქვაბულში აღმოჩნდა. გამოქვაბულში ცალთვალა ურჩხული ცხოვრობდა... ურჩხულმა დაუპატიჟებელ „სტუმარს“ სახელი ჰკითხა. „არვინ“ მქვიაო, - უპასუხა ოდისევსმა. მათ შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ოდისევსმა ის ერთი თვალიც ხმლით ამოსთხარა ურჩხულს, გამოქვაბულიდან გამოვიდა და შესასვლელი უზარმაზარი ლოდით ჩახერგა. მეგობრებმა ურჩხულის ღრიალი გაიგონეს და საშველად გაემართნენ. გამოქვაბულზე მიდგმული ლოდი რომ დაინახეს, გარედან იკითხეს - მანდ, შენთან ერთად ვინ არისო? დაბრმავებულმა ურჩხულმა შიგნიდან უპასუხა: „არავინ, არავინო!“ მეგობრები უკან გაბრუნდნენ; „არავინ ყოფილა და საფრთხეც არ გვემუქრებაო“. ოდისევსმა კი თავისი გზა მშვიდად განაგრძო და მომლოდინე ცოლთან შესახვედრად გაეშურა...

- ესე იგი, შენი სახელია ოდისევსი?

- ჩემი სახელია „არვინ“!

სხეული ისე მიკანკალებს, თითქოს ნემსებს მირჭობდნენ.

- სიცივის კონცენტრირება უნდა შეძლო. კანკალს მაშინვე შეწყვეტ. უფლება მიეცი, რომ შენი ფიქრი შეავსოს და სივრცე სხვა აღარაფრისთვის დარჩეს... ასე შენს მეგობრად და ამხანაგად გადაიქცევა. მის დამორჩილებას ნუ შეეცდები. ნუ ფიქრობ მზეზე, სითბოზე. შენთვის უარესი, ამათზე თუ იფიქრებ; სიცივე მიხვდება, რომ არ გიყვარს, გაურბიხარ და უფრო მეტად შემოგიტევს.

უნებურად დოსს დავემორჩილე. მჯეროდა მისი, მისი სიმშვიდისა, სინაზისა და ძალაუფლებისა. სხეულში ჩარჭობილ ნემსებს, მოცახცახე კუნთებს, მოღრჭიალე კბილებს წინააღმდეგობას აღარ ვუწევდი და ვიმეორებდი: ნუ იბრძვით, სიცივე ჩემი მეგობარია. კუნთები არ მემორჩილებოდა. თხუთმეტი წუთი მაინც გავიდა და მოულოდნელად ვიგრძენი, სიცივემ ძალა დაკარგა, სხეულთან ბრძოლა შეწყვიტა.

ძილი მომერია. თვალები დამიმძიმდა და ჩამოჯდომა ვცადე, მაგრამ მიხაილმა ხელი ჩამჭიდა, დაჯდომის უფლება არ მომცა. დოსი საუბარს აგრძელებდა. ისე შორიდან მესმოდა მისი ხმა, თითქოს სადღაც, ცისა და სტეპის შესაყარზე, იდგა.

- სტეპის მოგზაურო, კეთილი იყოს შენი მობრძანება! კეთილი იყოს შენი მობრძანება იქ, სადაც ცა ყოველთვის ცისფერია, თუნდაც დანისლული ჩანდეს შორიდან. ყოველთვის ცისფერია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ღრუბლებს მიღმა ნაცრისფერი ცა არ არსებობს. კეთილი იყოს შენი მობრძანება ტენგრის სივრცეში. კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩემში, რადგან მე მიგიღე შენ და პატივისცემით მოგექეცი იმიტომ, რომ მე ვაფასებ შენს „ძებნას“.

მიხაილი მიწაზე ჩაჯდა და მითხრა, დალიეო. სხეული მაშინვე გამითბა. დოსი ტანსაცმლის ჩაცმაში დამეხმარა, ერთმანეთთან მოსაუბრე დიუნებს ჩამოვცდით და ცოტა ხანში იმპროვიზებულ ბანაკში დავბრუნდით.

მე კი სწორედ მაშინ, როცა ბიჭებმა სადილის მომზადება დაიწყეს, ღრმა, მშვიდი ძილით დამეძინა.

- რა ხდება? ჯერ არ გათენებულა?

- რა ხანია, გათენდა. ეს ქვიშის გრიგალია. არ შეგეშინდეს. მუქი სათვალე გაიკეთე. თვალებს გაუფრთხილდი.

- დოსი სად არის?

- ალმა-ათაში დაბრუნდა. გუშინდელმა ცერემონიამ ძალიან ამაღელვა. შენთვის შეიძლება, დროის დაკარგვაც იყო. ასე არ უნდა მოგქცეოდა. ფილტვების ანთება რომ დაგმართოდა. მე მგონი, შენც ხვდები. მას მხოლოდ იმის დამტკიცება სურდა, რომ შენი ჩამოსვლა გაუხარდა... მიდი, ზეთი აიღე.

- აუცილებელზე დიდხანს მეძინა.

- ორი საათის სავალიღა დაგვრჩა... სანამ მზე ზენიტს მიაღწევს, სოფელში ვიქნებით.

- ბანაობა მინდა. ტანსაცმელიც უნდა გამოვიცვალო...

- შეუძლებელია. დაგავიწყდა? სტეპის შუაგულში ხარ. ზეთი ჭურჭელში გადაიტანე და ჯერ ღვთისმშობელს შესთავაზე. მარილის შემდეგ, ზეთი ყველაზე მადლიანი პროდუქტია.

- ტენგრი რას ნიშნავს? - გამახსენდა მოულოდნელად.

- სიტყვასიტყვით „ცის კულტს“ ნიშნავს - რელიგიის სივრცეს კონკრეტული რელიგიის გარეშე. აქედან წარმოიშვნენ ბუდისტები, ინდუისტები, კათოლიკები, მუსლიმები... მოკლედ, რწმენაც და ცრურწმენაც აქედან მოდის. მომთაბარეები სასჯელის თავიდან ასაცილებლად სარწმუნოებას ხშირად იცვლიდნენ, მაგრამ მუდამ სჯეროდათ, რომ ყველგან და ყველაფერში არსებობს ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელსაც ბუნებას ვერასოდეს წაართმევ და ოთხ კედელშუა ვერ გამოამწყვდევ. აი, მე, როგორც კი ფეხი დავდგი ამ მიწაზე, უკეთესად გავხდი. თითქოს სწორედ ეს იყო ჩემი საკვები, საზრდო, რომელიც მჭირდებოდა, რომელიც მშიოდა... მიხვდი? მადლობა, შენთან ერთად წამოსვლის უფლება რომ მომეცი.

- მადლობა შენ, დოსი რომ გამაცანი. გუშინ, კურთხევისას მივხვდი, რომ ის განსაკუთრებული ადამიანია.

- პაპისაგან გამოჰყვა. პაპამ თავისი მამისაგან შეითვისა და ასე... თაობიდან თაობას გადაეცა მადლი. მომთაბარე ცხოვრებამ და მეცხრამეტე საუკუნემდე საკუთარი დამწერლობის უქონლობამ აკინის ტრადიცია განავითარა. ადამიანები ყველაფერს დაწვრილებით იხსენებენ, ისტორიებს ყვებიან და თაობიდან თაობას გადასცემენ. დოსიც აკინია. ალბათ ვერ ხვდები. აგიხსნი: „აკინი“ გონების მოკრებას ნიშნავს. ასეთ ისტორიებს არც თარიღი აქვს, არც სახელი და არც რეალური საფუძველი. გმირების, ცხოველების, ბრძოლებისა და მხოლოდ საქმეებისა კი არა, ადამიანის არსის, სიმბოლოების ლეგენდებია. ამბები, რომელიც მოხეტიალე, სტეპებით მოხიბლულ, სიყვარულის ენერგიით შეპყრობილ ხალხს ეხება. ნელა! ზეთს მიხედე, არ დაიღვაროს!

- იცი? თავი მართლა დალოცვილი მგონია.

- მეც მინდა, იმავეს ვგრძნობდე! გუშინ ალმა-ათაში დედა ვინახულე. კარგად თუ ხარო, ფული თუ გაქვსო, - მეკითხებოდა. მოვატყუე, - ძალიან კარგად ვარ, ჩემი „თეატრალური სპექტაკლები“ პარიზში დიდი წარმატებით სარგებლობს-მეთქი. დღეს კი აქ ვარ და ჩემს ხალხთან ვბრუნდები. ასე მგონია, ამ სოფლიდან გუშინ წავედი და ამ ხნის განმავლობაში, მათგან შორს მყოფს, მნიშვნელოვანი არაფერი გამიკეთებია. მართალია, ვესაუბრები მათხოვრებს, „ტომთან“ ერთად დავხეტიალებ, რესტორანში შეკრებებს ვაწყობ... მაგრამ რა? შედეგი არის? არა! მე დოსს არ ვგავარ - მას პაპა ასწავლიდა. მე მხოლოდ ხილვებით ვხელმძღვანელობ. ხანდახან კი იმასაც

ვფიქრობ, იქნებ ხილვები მართლა ჰალუცინაციაა; იქნებ მართლა ეპილეფსიია მაქვს და მეტი არაფერი!

- ერთი წუთის წინ მადლობას მიხდიდი, აქ რომ ჩამოგიყვანე, ახლა კი უბედური ჩანხარ. საკუთარ გრძნობებში ვერ გარკვეულხარ.

- რა ვქნა, ორივე გრძნობა ერთდორულად მეუფლება, ხშირად საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები.

- რაღაც უნდა გითხრა, მიხაილ. რაც გაგიცანი, მას შემდეგ მეც სულ საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები. თავიდან მეზიზღებოდი, მძულდი, მერე თანდათან გაღიარე და სანამ უკან გამოგყვებოდი, ეს გრძნობა პატივისცემაში გადაიზარდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და სავსებით ნორმალურია, თუ უძლურებას გრძნობ. არ ვიცი, რამდენ ადამიანზე იმოქმედა შენმა საქმიანობამ, მაგრამ მე კი შემიძლია დაგარწმუნო: შენ ჩემი ცხოვრება შეცვალე.

- შენ მხოლოდ შენი ცოლის პოვნა გინდოდა.

- ახლაც მინდა, მაგრამ ყაზახეთის სტეპებში მოგზაურობამ საკუთარ წარსულში მოგზაურობა მაიძულა: დავინახე თითოეული შეცდომა, თითოეული „გაჩერება“; დავინახე ის წამი, როცა ესთერი დავკარგე - ჩემი „კრიტიკული მომენტი“. უამრავი რამ შევიგრძენი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ჩემს ასაკში ასეთ გამოცდილებას შევიძენდი. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ შენ იყავი ჩემ გვერდით; შენ დამყვებოდი და, იქნებ გაუცნობიერებლად, მაგრამ შენ მიმითითებდი. იცი, კიდევ რა? მე მჯერა - შენ ხმები გესმის. ისიც მჯერა, რომ ბავშვობაში გოგონა გამოგეცხადა. ყოველთვის მჯეროდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად მჯერა.

- მე რომ გავიცანი, იმ ადამიანს არ ჰგავხარ.

- მართალი ხარ. იმედია, ეს ესთერსაც გაუხარდება.

- შენ? შენ თვითონ თუ გიხარია?

- რა თქმა უნდა.

- მაშინ, ყველაფერი რიგზეა. ვჭამოთ, ქარიშხლის ჩადგომას დაველოდოთ და გზა გავაგრძელოთ.

- მოდი, ქარიშხალს წინ შევეჩეხოთ.

- კარგი. როგორც გინდა: ქარიშხალი ნიშანი არ არის. ის, უბრალოდ, არალის ზღვის დაშრობით არის გამოწვეული.

ქარის მრისხანებამ თანდათან იკლო. წინ სწრაფად მივიწევდით. ხეობაში შევდივართ. პეიზაჟი მთლიანად იცვლება: თვალუწვდენელ ჰორიზონტს მოტიტვლებული კლდეები ენაცვლება. მარჯვნივ ვტრიალდები და ლენტებშებმულ ბუჩქს ვხედავ.

- გოგონა აქ გამოგეცხადა? ეს ის ბუჩქია?..

- არა! ის ბუჩქი ამოძირკვეს.

- მაშ, ეს რაღაა?

- ადგილი, სადაც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა.

მიხაილი ცხენიდან ჩამოხტა, პერანგს პატარა ნაწილი მოახია და ბუჩქს ტოტზე შეაბა. მზერა შეეცვალა. იქნებ იმ პატარა გოგონას ახლაც ხედავდა?

არაფერს ვეკითხები. მეც იმავეს ვაკეთებ. ქსოვილის ნაჭერს სურვილს ვუთქვამ: ვთხოვ, დამეხმაროს, დამიცვას... მოულოდნელად თვალწინ დამიდგა ჩემი ოცნება, მთელი ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობა საყვარელი ქალთან დასაბრუნებლად...

ცხენებზე ავმხედრდით. არ მეუბნება, რა ჩაიფიქრა. არც მე ვეუბნები. ხუთიოდე წუთში პატარა, თეთრსახლებიანი სოფელი გამოჩნდა... ვიღაც კაცი სოფლის განაპირას ჩვენ გველოდება. პირდაპირ მიხაილისაკენ მიდის და რუსულად ესაუბრება. ცოტა ხანს კამათობენ. კაცი გვემშვიდობება.

- რა უნდოდა?

- მთხოვა, შინ წამომყევი, ავადმყოფი შვილი განმიკურნეო. ნინა ეტყოდა, რომ ჩამოვედი. ხალხის უმრავლესობას ახლაც ახსოვს ჩემი მაშინდელი ხილვები.

მიხაილი სასოწარკვეთილი ჩანს. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებს. ან მუშაობის დროა, ან დასვენებისა. მთავარი ქუჩა გადავკვეთეთ და ბაღის შუაგულში აშენებული სახლისაკენ გავემართეთ.

- გაიხსენე, რაც ამ დილით გითხარი, მიხაილ! შეიძლება, მართლაც ეპილეფსიით დაავადებული ადამიანი ხარ, რომელიც არასოდეს აღიარებს თავის ავადმყოფობას და ცნობიერებას უფლებას აძლევს, რეალობისაგან განსხვავებული ისტორია შექმნას, მაგრამ შეიძლება, მართლაც დიდი მისია გაკისრია: პირადი ისტორიების დავიწყება უნდა ასწავლო ხალხს, რომ მათ სულებში სიყვარულის წმინდა, ღვთაებრივმა ენერგიამ თავისუფლად შეაღწიოს.

- არ მესმის შენი. რაც გაგიცანი, მთელი ამ თვეების განმავლობაში მხოლოდ ამ წუთზე ფიქრობდი, მხოლოდ ესთერთან შეხვედრაზე ოცნებობდი. სხვა არაფერი გაინტერესებდა. და უცებ, დილიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს შენი მთავარი საზრუნავი მე ვარ. აშკარად დოსის წუხანდელი რიტუალის ბრალია.

- დარწმუნებული ვარ.

მინდოდა, მეთქვა, ისე მეშინია, ახლა ყველაფერზე ვიფიქრებ, გარდა იმისა, რაც რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა მოხდეს-მეთქი. დღეს დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდსულოვანი, კეთილშობილი ადამიანი ვარ, რადგან ჩემი მიზანი აქვეა. მე მეშინია

იმისი, რაც წინ მელოდება. ამიტომაც დღეს ჩემი სურვილი სხვებისათვის სარგებლობის მოტანაა, სხვებზე ფიქრია, რომ ღმერთი როგორმე დავარწმუნო, კარგი ადამიანი ვარ და ამდენი ხნის მოგზაურობის შემდეგ დალოცვას ვიმსახურებ-მეთქი.

მიხაილი ცხენიდან ჩამოხტა და მანიშნა, შენც ჩამოქვეითდიო.

- მე ახლა იმ კაცის სახლში წავალ. ავადმყოფი ბავშვი უნდა ვნახო. შენ ცხენებს მიხედე...

- იქ არის! - მითხრა და ხეების შუაგულში ჩაფლულ სახლზე მიმითითა.

მთელი ძალით ვცადე თავის შეკავება.

- იქ რას აკეთებს?

- ადრეც გითხარი: ფრანგულის გაკვეთილების სანაცვლოდ, ხალიჩების ქსოვას სწავლობს. ძნელი საქმეა, თუმცა, ერთი შეხედვით, შეიძლება, მარტივადაც მოგეჩვენოს. სტეპს ჰგავს. ძაფის შესაღებად მცენარეებს იყენებენ. მერე ცხვრის ტყავს იატაკზე გაჭიმავენ, ცხელი წყლით გარეცხავენ და ძაფის დართვას ჯერ კიდევ ნესტიანი, სველი მატყლით იწყებენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მზე ყველაფერს კარგად გამოაშრობს, ქსოვას იწყებენ. სამუშაოს ბოლო საფეხურს, მოსართავებს, ბავშვები ასრულებენ. პატარა, ნაზი ნართავებისათვის უფროსების ხელები მეტისმეტად დიდი და უხეშია.

მიხაილი ცოტა ხანს გაჩუმდა.

- ოღონდ ახლა ბავშვების სამუშაოზე არ დამისვა სულელური შეკითხვები. ძველისძველი ტრადიციაა და მორჩა. პატივს ვცემთ ტრადიციას, სულ ესაა.

- როგორ არის?

- არ ვიცი. დაახლოებით, ექვსი თვეა, არ მისაუბრია.

- მიხაილ, იცი, ხალიჩები მეორე ნიშანია.

- ხალიჩები?

- გახსოვს, გუშინ, როცა დოსმა სახელის არჩევა მიბრძანა, ერთი გმირის ისტორია გიამბეთ. ის გმირი შინ, კუნძულზე, საყვარელ ქალთან ბრუნდება. კუნძულს ითაკა ჰქვია, ქალს - პენელოპე. სანამ ოდისევსი ომშია, იცი, რას აკეთებს მისი ცოლი, პენელოპე? ქსოვს! კაბას იქსოვს, წარმოგიდგენია?

ოდისევსი აგვიანებს. პენელოპე ნაქსოვს ყოველღამე არღვევს და დილით ხელახლა იწყებს ქსოვას. ბევრი მთხოვნელი ჰყავს, მაგრამ ქალი თავის საყვარელ ქმარს ელოდება. ბოლოს, როცა მისი დაბრუნების იმედი საბოლოოდ გადაეწურა,

გადაწყვიტა, კაბა აღარ დაერღვია და ბოლომდე მოექსოვა. ქმარი სწორედ მაშინ დაბრუნდა.

- ერთი ეგაა, რომ ამ სოფელს ითაკა არ ჰქვია და არც შენს ცოლს ჰქვია პენელოპე.

მიხაილმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ არ ღირდა, ამეხსნა, რომ მე მხოლოდ მაგალითი მოვიყვანე.

ჩემი ცხენი დავუტოვე და ასიოდე მეტრის გავლა ფეხით გადავწყვიტე.

ასი მეტრი, სულ რაღაც ასი მეტრი მაშორებდა ქალს, რომელიც ერთ დროს ჩემი ცოლი იყო, მერე ზაჰირად გადაიქცა და ახლა ისევ „საყვარელი ქალის“ სახეს იბრუნებდა.

ქვიშიანი, მტვრიანი ტანსაცმელი მაცვია და სხეული ოფლით მაქვს დაცვარული, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცივა.

რა დროს გარეგნობაზე ფიქრია?! გეგონება „ითაკამდე“ ამხელა გზა იმისთვის გამოვიარე, რომ ახალი ტანსაცმლის ჩვენება მომეწყო. ახლა, როცა მიზნამდე ასი მეტრიღა რჩება, ამ სისულელეზე კი არა, იმაზე უნდა ვფიქრობდე, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა.

რა უნდა ვუთხრა, როცა შევხვდები? ხშირად მიფიქრია, უამრავი სცენა და დიალოგი წარმომიდგენია: „დიდხანს ველოდი ამ წუთს...“ ან „მივხვდი, რომ ვცდებოდი“, ანდა „ისეთი ლამაზი ხარ, როგორც არასდროს“...

სისულელეა! გადავწყვიტე, მხოლოდ „გამარჯობა“ ვუთხრა, თითქოს არასოდეს დამშორებია; თითქოს ორი წლის, ცხრა თვის, თერთმეტი დღისა და თერთმეტი საათის ნაცვლად, მხოლოდ ერთმა დღემ განვლო.

ის მიხვდება, რომ მე, სანამ მის ნაკვალევს მოვყვებოდი, ძალიან შევიცვალე; მიხვდება, რომ ის სისხლით გაჟღენთილი ნაჭერი ვნახე მათხოვრების ხელში, ვნახე პარიზის სომხურ რესტორანში გამოჩენილ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების ხელში, ვნახე მხატვართან, ექიმთან, ბიჭთან, რომელიც ამტკიცებდა, ხილვები მაქვს და ხმები მესმისო... მერე კი, სანამ მის ნაკვალევს მივყვებოდი, ხელახლა გავიცანი ქალი, რომელზეც ვიქორწინე და ვიპოვე ცხოვრების აზრი, ცხოვრებისა, რომელიც ბევრჯერ შეიცვალა და შესაძლოა, ისევ შეცვლილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის დაქორწინებულები ვიყავით, ჩემს ცოლს ბოლომდე მაინც არ ვიცნობდი. ჩემთვის სიყვარულის ფილმებში ან სატელევიზიო გადაცემებში ნანახ სიყვარულს ჰგავდა, წიგნებში ან ჟურნალ-გაზეთებში ამოკითხულს. მეგონა, სიყვარული მცენარესავით იზრდებოდა, რაღაც ზღვარს აღწევდა და მის შესანარჩუნებლად მხოლოდ შიგადაშიგ მორწყვა იყო საჭირო. სიყვარული ჩემთვის სინაზის, რწმენის, თავდაჯერებულობის, პრესტიჟისა და წარმატების სინონიმად იქცა.

მაგრამ ყველაფერი გაცილებით რთულად იყო, ვიდრე მე წარმომედგინა. სანამ ქუჩას გადავჭრიდი, თავდავიწყებით მიყვარდა ესთერი, მაგრამ როგორც კი გზის მეორე მხარეს აღმოვჩნდებოდი, თავს ტყვედ ვგრძნობდი. ვსევდიანდებოდი, რომ ვიღაცაზე დამოკიდებული ვიყავი, მე კი სიგიჟემდე მინდოდა, კვლავ თავგადასავლის საძებნელად წავსულიყავი. და ვფიქრობდი: „მე ის არ მიყვარს“.

მერე გაივლიდა დრო და ძველებური სიმძაფრით მიბრუნდებოდა სიყვარული... ვიბნეოდი, ეჭვები თავგზას მირევდა და ვამბობდი: „ალბათ, მხოლოდ შევეჩვიე - სულ ესაა!“

შესაძლებელია, ესთერსაც მსგავსი ფიქრები აწუხებდა. საკუთარი თავისთვის მასაც შეეძლო, ეთქვა: „რა სისულელეა, ჩვენ ბედნიერები ვართ და დარჩენილი ცხოვრებაც ბედნიერები ვიქნებითო“. ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ იმავე გაზეთებსა და ჟურნალებს კითხულობდა, იმავე ფილმებსა და სატელევიზიო სერიალებს უყურებდა, რასაც მე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გვეუბნებოდა, რომ სიყვარული ბედნიერ დასასრულზე ბევრად მეტი იყო.

როგორც ჩანს, ესთერი სხვანაირად ფიქრობდა, სხვანაირად იქცეოდა. სცადა, ჩემთვისაც იგივე ეჩვენებინა, მაგრამ მე ვერ შევძელი დანახვა. ალბათ, მისი დაკარგვა იყო საჭირო, რომ შემეგრძნო დაკარგულის დაბრუნების გემო, რომელიც თაფლზე უტკბესია.

და აი, ახლა აქ ვიყავი და პაწაწინა სოფლის ქუჩაში მივაბიჯებდი. მეძინებოდა, მციოდა, მაგრამ ისევ მისკენ მივეშურებოდი. აბურდული ქსელის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ძაფი, რომელიც ამბობდა, „სიყვარულის ყველა ისტორია ერთნაირიაო,“ და თავის მარწუხებში მაბამდა, მაშინ გაწყდა, როცა მოტოციკლეტი დამეჯახა.

საავადმყოფოში ლოგინზე გაშოტილს კი თითქოს თავად სიყვარული მესაუბრა: „მე ვარ ყველაფერი და მე ვარ არაფერი. ქარს ვგავარ, ამიტომ არ შემიძლია დახურულ ფანჯრებში და დაგმანულ კარებში შეღწევა....“

და ვუპასუხე მას: „მაგრამ მე ხომ ყოველთვის გახსნილი ვარ შენთვის“.

და მითხრა მან მე: „ქარი ჰაერისგანაა შექმნილი. შენს სახლში არის ჰაერი, მაგრამ ყველაფერი ჩაკეტილი გაქვს. ავეჯი მტვრით დაიფარება, ნესტი სურათებს გაგინადგურებს და კედლებს ჩამოდღაბნის. შენ სუნთქვას განაგრძობ, ჩემს ერთ ნაწილს გაიცნობ მხოლოდ, მაგრამ მე ნაწილი არა ვარ - მე მთლიანი ვარ, ყველაფერი ვარ და ამას შენ ვერასოდეს მიხვდები“...

მაგრამ მივხვდი... ვნახე მტვრით დაფარული ავეჯი, ნესტისგან გაფუჭებული სურათები და აღარ დამრჩა სხვა გამოსავალი - მე გავაღე კარ-ფანჯარა. როგორც კი სარკმელს ხელი შევახე და ჰაერი შემოვუშვი, ქარმა მაშინვე ყველაფერი მოხვეტა.

fb.com/groups/elib

მინდოდა, მოგონებები შემომენახა; მინდოდა, დამეცვა ის, რაც დიდი ძალიხმევის შედეგად მოვიპოვე, მაგრამ ყველაფერი უკვალოდ გაქრა და დავრჩი ასე: უკიდეგანო სტეპივით ცარიელი.

ახლა უკეთესად მესმოდა. მივხვდი, რატომ გადაწყვიტა ესთერმა აქ ჩამოსვლა - ისიც სტეპივით უნდა დაცარიელებულიყო.

და რადგან ცარიელი ვიყავი მეც, შემოვარდნილმა ქარმა სიახლეც თან მოიტანა... ხმაური, რომელიც არასოდეს მესმოდა, ყურებში ჩამიგუბა, და ხალხი, ვისაც არასოდეს ვესაუბრებოდი, ჩემთან მოიყვანა. ძველებური ენთუზიაზმი დამიბრუნდა. მე თავისუფალი ვიყავი პირადი ისტორიისაგან, გადავლახე კრიტიკული მომენტი და აღმოვაჩინე, რომ იმაზე ბევრად უკეთესი ვიყავი, ვიდრე თვითონ წარმომედგინა.

და ერთ მშვენიერ დღეს ერთი ქალის გამო მოგზაურობა დავიწყე და ჩემი ოცნების საძებნელად წავედი. მრავალი წლის შემდეგ იგივე ქალი მაიძულებდა ხელახლა დავდგომოდი გზას.

ამ წუთას ათასი უმნიშვნელო აზრი მიტრიალებს თავში, ვფიქრობ რაღაც სიმღერაზე, ფეხსაცმელზე, რომელიც მიჭერს; მაჯის საათზე, რომელიც ჯერ კიდევ ევროპის დროით მუშაობს, ყველაფერზე, გარდა ყველაზე მნიშვნელოვანისა...

ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ქალისგან, ჩემი ქალისგან, ჩემი გიდისგან, ჩემი ცხოვრების სიყვარულისგან ორიოდე ნაბიჯიღა მაშორებს. ნებისმიერი თემა დამეხმარებოდა, რომ რეალობისგან, რომელსაც ამდენ ხანს ვეძებდი, სამუდამოდ გავქცეულიყავი, რადგან ამ რეალობასთან პირისპირ შეჯახება ყველაზე მეტად ახლა მაშინებს.

სახლის კიბის საფეხურზე ვჯდები. სიგარეტს ვეწევი. საფრანგეთში დაბრუნებაზე ვფიქრობ. მე ხომ უკვე მივაღწიე მიზანს, უკვე იქ ვარ, სადაც მინდოდა. მაშ, რაღა საჭიროა ისევ წინ წასვლა, გზის გაგრძელება?

ვდგები, მუხლები მიკანკალებს, მაგრამ, უკან დაბრუნების ნაცვლად, შეძლებისდაგვარად ვიწმენდ ტანსაცმელსა და სახეს ქვიშისაგან, კარის სახელურს ვატრიალებ და შევდივარ...

ვიცი, რომ შეიძლება დავკარგო საყვარელი ქალი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვცდილობ ბოლომდე მივიღო სიამოვნება ცხოვრებისაგან; მინდა ვიგრძნო ის მადლი, რაც დღეს ღმერთმა მომანიჭა. არ არსებობს ბანკი, რომელშიც მისი დაბანდება შეიძლება, რომ მერე, როცა დავმშვიდდები, ისევ გამოვიყენო. თუ ახლა ვერ დავტკბები ცხოვრებით, სამუდამოდ დავკარგავ ამ შანსს...

ღმერთმა იცის, რომ ჩვენ შემოქმედები ვართ. ერთ დღეს საჭრეთელს გვაძლევს, რომ გამოვაქანდაკოთ, მეორე დღეს - ფუნჯსა და საღებავს, რომ დავხატოთ; მესამე დღეს კი ფურცელ-კალამს გვიბოძებს და წერას გვასწავლის. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია

ჩაქუჩით ტილოზე ხატვა, ფუნჯებით ქანდაკების შექმნა. ასე რომ, ყველაფრის მიუხედავად, უნდა მივიღო დღევანდელი დღის მცირეოდენი წყალობა, რომელიც ჩემივე სატანჯველის გამო, წყევლად მეჩვენება. მაგრამ ეს დღე მაინც მშვენიერია, მზე ანათებს, ქუჩაში ბავშვები მღერიან...

მე სამყაროს მოვუსმენ...

მხოლოდ ასე თუ შევძლებ ჩემი ტკივილისაგან თავის დაღწევასა და ცხოვრების შეცვლას.

პატარა ოთახს სინათლე ავსებდა. როცა მე შევედი, ესთერმა თავი ასწია, გამიღიმა და იატაკზე მსხდარი ქალებისთვის და ბავშვებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ფერის ნართავებს აგვირისტებდნენ, „დრო ჭრისა და დრო კერვისას“ კითხვა განაგრძო. როგორც კი ცოტა ხნით გაჩუმდებოდა, მსმენელები წაკითხულ ტექსტს ზეპირად იმეორებდნენ ისე, რომ სამუშაოს თვალს არ აშორებდნენ.

ყელში ბურთი გამეჩხირა. ვცადე, არ მეტირა. მეტი არაფერი მახსოვს. მხოლოდ ერთ ადგილს მივშტერებოდი და უამრავ ფერში ჩაკარგული უცხო ადამიანებისაგან ვისმენდი საკუთარ სიტყვებს.

და გარს მეხვია ფერადოვნება, სინათლე და ხალხი, რომელიც მხოლოდ თავის სამუშაოს ჩაჰკირკიტებდა.

როგორც ერთი სპარსი ბრძენი ამბობს, სიყვარული ავადმყოფობაა, რომლისგან განთავისუფლება არავის სურს. ის, ვინც ერთხელ მაინც მოექცა მის მარწუხებში, თავის დახსნას აღარ ცდილობს; ვინც იტანჯება, განკურნება აზრადაც არ მოსდის...

ესთერმა წიგნი დახურა. იქ მყოფებმა თავი ასწიეს და მე შემომხედეს.

- ცოტა ხნით ახლახან ჩამოსულ მეგობართან ერთად გავისეირნებ, - უთხრა მათ ესთერმა, - დღეისათვის გაკვეთილი დამთავრებულია.

ყველამ გაიცინა და მომესალმა. ის მოვიდა ჩემთან, სახეზე მაკოცა, ხელმკალავი გამომდო და გარეთ გამოვედით.

- გამარჯობა.

- გელოდებოდი.

გულში ჩავიკარი, თავი მხარზე დავადე და ავტირდი. ის თმაზე მეფერებოდა და მისი შეხების მანერით, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი იმას, რის მიხვედრაც აქამდე არ მინდოდა და, ჩემდა უნებურად, ვაღიარე ის, რის აღიარებასაც გავურბოდი.

- სანამ შენ გელოდი, ჩემში უამრავი ქალი ცხოვრობდა და ეს ლოდინი სხვადასხვაგვარი იყო, - მითხრა მან, როცა დაინახა, რომ ცრემლი შემაშრა, - გელოდი, როგორც იმედგაცრუებული ქალი, რომლის ქმარიც ვერასოდეს შეძლებდა

მის კვალდაკვალ სიარულს, და თუ აქამდე ჩამოვიდოდა, ჩამოვიდოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მერე თვითმფრინავში ჩამჯდარიყო და უკან დაბრუნებულიყო. ჩამოსულიყო, წასულიყო, ჩამოსულიყო... და ასე დაუსრულებლად...

ქარი ისე ძლიერად აღარ უბერავდა, თითქოს ხეებიც ესთერის მოსასმენად გარინდულიყვნენ.

- გელოდი, როგორც პენელოპე ელოდა ოდისევსს; როგორც რომეო - ჯულიეტას, და ბეატრიჩე - დანტეს, რომ განსაცდელისაგან დაეხსნა. სტეპის ცარიელი სივრცე სავსე იყო შენზე მოგონებებით, ერთად გატარებული წამებით, ერთად დათვალიერებული ქვეყნებით, ჩვენი სიხარულებით, ჩხუბებით. მერე კი... მერე უკან მოვიხედე და დავინახე გზა, რომელიც ჩემს ნაბიჯებს მიეტოვებინათ, მაგრამ შენ იქ არ იყავი! საშინლად ვიტანჯებოდი. მივხვდი, უკან დასაბრუნებელი ბილიკიც არ დავიტოვე. იცი? როცა ასე ვიქცევით, შეჩერება შეუძლებელი ხდება. აუცილებლად წინ უნდა ვიაროთ. ავდექი და იმ მომთაბარის სანახავად წავედი, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ვთხოვე, მასწავლე, როგორ დავივიწყო პირადი ისტორია და მაჩვენე სიყვარული, რომელიც ყველა კუთხე-კუნჭულს მოიცავს-მეთქი. ტენგრის ტრადიციის შესწავლა დავიწყე. ერთ მშვენიერ დღეს კი მოვიკრიბე ძალა და როცა გარშემო მიმოვიხედე, ეს მშვიდი და ყოვლისმომცველი სიყვარული ერთ წყვილ თვალში აღმოვაჩინე. ეს თვალები მხატვარ დოსის თვალები იყო...

არაფერი მეთქვამს.

- მტკივნეული იყო - ვერაფრით დავიჯერე, რომ მეორედაც შევძლებდი შეყვარებას. დოსი ბევრს არ ლაპარაკობდა, მხოლოდ რუსულს მასწავლიდა და მიყვებოდა, რომ სტეპებში, თურმე, არასოდეს ამბობენ, ცა ნაცრისფერიაო. აქ სჯერათ, რომ ღრუბლებს მიღმა ცა ყოველთვის ცისფერია და სხვა ფერის არსებობა შეუძლებელია. დოსმა ხელი ჩამჭიდა და სწორედ ამ ცისფერ ღრუბლებში მატარა. სიყვარულამდე სავალი გზა მასწავლა. დამიმტკიცა, რომ ჩემი გული მხოლოდ მე და ღმერთს გვეკუთვნის და სხვა არავის ამქვეყანაზე. მითხრა, შენი წარსული ყოველთვის შენთან იქნება, მაგრამ რაც უფრო მეტად გათავისუფლდები ძველი ამბებისგან, ემოციების მართვას უკეთესად ისწავლი და მიხვდები, რომ შენი აწმყო მხოლოდ ამ უაზრმაზარი სტეპივით ცარიელი სივრცეა და მას მუდმივად სიყვარულითა და სიცოცხლის სიხარულით შევსება სჭირდებაო. ბოლოს ამიხსნა: თურმე ჩვენი ტკივილი, ტანჯვა მაშინ იბადება, როცა სხვებისაგან ისეთ სიყვარულს ველით, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია, და არა ისეთს, რომელმაც ყოველთვის უნდა გაიმარჯვოს; რომელიც თავისუფალი, უკონტროლო, გიჟმაჟი სიყვარულია და ერთი წამით ამოსუნთქვის უფლებასაც არ გვაძლევს.

თავი მის მხარს მოვაშორე და თვალებში ჩავხედე:

- შენ ის გიყვარს?

- მიყვარდა.

- ახლაც გიყვარს?

- გგონია, შემიძლია? გგონია, სხვა კაცი რომ მყვარებოდა, ახლა აქ დაგხვდებოდი?

- არა მგონია. დარწმუნებულიც ვარ, რომ მთელი დილა მხოლოდ ჩემს ლოდინში გაატარე. ალბათ, ერთი სული გქონდა, როდის გაიღებოდა კარი.

- მაშინ, რატომღა მისვამ ასეთ სულელურ კითხვებს?

ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ-მეთქი, - გავიფიქრე, მაგრამ მაინც დავუჯერე. ისე, კარგია, თუ ახალი სიყვარულის პოვნას ცდილობდა.

- მე ფეხმძიმედ ვარ.

მხოლოდ ერთი წუთით, მაგრამ აშკარად ვიგრძენი, ცა ჩამომექცა თავზე.

- დოსი?

- არა. ის, ვინც ჩამოვიდა და წავიდა.

გული გაქვავებული მქონდა, მაგრამ მაინც გამეცინა.

- მე მგონი ამ ციცქნა სოფელში აღარაფერი დაგრჩენია, - ვუთხარი სიცილით, - პარიზში დაბრუნების დროა. შენი სამსახურიდან დამირეკეს. მკითხეს, სად არისო. უნდოდათ, ნატოს ავღანეთის პატრულს თან გაჰყოლოდი და რეპორტაჟი მოგემზადებინა. მე მგონი, უარი უნდა თქვა.

- რატომ?

- ფეხმძიმედ ხარ! შენ რა, გინდა, ბავშვი ახლავე ომის უარყოფითი ენერგიით დაიმუხტოს?

- ბავშვი? გგონია, მუშაობაში ხელს შემიშლის?თანაც, შენ რატომ ღელავ? ეს ხომ შენი შვილი არ არის?

- მერე რა, განა ჩემი წყალობით არ მოხვდი აქ?

ესთერმა თეთრი კაბის ჯიბიდან სისხლით დალაქავებული ქსოვილის ნაგლეჯი ამოიღო და ცრემლიანი თვალებით მომაწოდა.

- აიღე, შენია... ისე, ხანდახან ჩვენი ჩხუბი მენატრებოდა...

და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაამატა:

- სთხოვე მიხაილს, მეორე ცხენიც მოიყვანოს.

წამოვდექი, მხრებში ხელი ჩავჭიდე და დავლოცე... დავლოცე სწორედ ისე, როგორც მე დამლოცეს...